

# შეღარაბითი სამართლის

4/2019

ქართულ-გერმანული ჟურნალი

შინაარსიდან:

„სუფთა ქონებრივი ზიანი“ — გულისხმიერი ქცევის ვალდებულების  
თუ დამცავი ნორმის დარღვევა?

**გიორგი რუსიაშვილი**

კანონის ნორმების დასათაურება

**კასპარ ფრაი / ლადო სირდაძე**

აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების  
პასუხისმგებლობას შორის

**გიორგი რუსიაშვილი / ნინო ქავშაია**

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო  
დახმარებად კვალიფიკაციის პრობლემა ქართული და ევროპული  
კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით

**გივი ადამია**

სასამართლო პრაქტიკა:

**სუს:** თავდების პასუხისმგებლობა მოვალის მიმართ სარჩელზე უარის თქმისას

**სუს:** სოლიდარული თავდებობის ბუნება, თავდების პასუხისმგებლობის  
ზღვრული ოდენობის აღნიშვნა ხელშეკრულებაში

**სუს:** ქირავნობის სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გამოყენება დანახარჯების  
კონდიქციით ურთიერთობის მოწესრიგებისას

**სუს:** იპოთეკის გავრცელება სესხზე, რომელიც გაიცა იპოთეკით  
უმრუნველყოფილი სასესხო დავალიანების დასაფარად

**სუს:** იძულებით დადებული ვარიეტების ბათილობა და უკუქცევა

**სააპელაციო:** არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი წუნდებული პროდუქტის  
მიწოდებისას

**სუს:** მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტისათვის

**სუს:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების  
ვადის მიუთითებლობის/მითითების ხარვეზის სამართლებრივი შედეგი

**სუს:** სხვისი პირადობით სესხის აღება, როგორც თაღლითობის შემადგენლობა

**სუს:** წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული



4/2019

# შვედური-გერმანული სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische  
ZEITSCHRIFT FÜR  
RECHTSVERGLEICHUNG



სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის გამოცემა



წინამდებარე გამოცემა შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



## მთავარი რედაქტორი

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

## გამომცემლები

პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიციანა ქიუზი  
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი  
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი  
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი  
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი  
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე  
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული  
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია  
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი  
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი  
ლადო სირდაძე  
დავით მაისურაძე  
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი  
დემეტრე ეგნატაშვილი  
თორნიკე დარჯანია  
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი

## ტექნიკური რედაქტორი

დავით მაისურაძე

## სამუშაო ჯგუფი

ნინო ქავშბაია  
ხატია პაპიძე  
თათია ჯორბენაძე  
ანა ბაიაძე

ISSN 2587-5191

© თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, 2019

© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2019

© ავტორები, 2019

გ. ქიქოძის ქ. 3, თბილისი, +995 322983245, administration@isl.ge

www.isl.ge





# სარჩევი

## სტატიები

„სუფთა ქონებრივი ზიანი“ — გულისხმიერი ქცევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა? <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	7
კანონის ნორმების დასათაურება <i>კასპარ ფრაი / ლადო სირდაძე</i>	10
აქცესორული ზმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის <i>გიორგი რუსიაშვილი / ნინო ქავშბაია</i>	22
სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პრობლემა ქართული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით <i>გივი ადამია</i>	33

## კაზუსი

მარცხენა ნახევარსფერო (ხელყოფის კონდიქცია, მიკუთვნებული უფლების დაცვით სფეროში ჩარევა) <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	48
დათვი მთვარიან ღამით (სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობა) <i>გიორგი რუსიაშვილი</i>	52

## სხვადასხვა

პარტნიორის გარიცხვის სირთულე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან <i>სოფიკო ხიდემელი</i>	55
უმრუნველყოფი საკუთრების გამოყენება ე.წ. „ბინის გირავნობისას“ <i>მარიამ გამხუაშვილი</i>	63

## სასამართლო პრაქტიკა

სუს: თავდების პასუხისმგებლობა მოვალის მიმართ სარჩელზე უარის თქმისას ( <i>ქავშბაია</i> )	66
სუს: სოლიდარული თავდებობის ბუნება, თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობის აღნიშვნა ხელშეკრულებაში ( <i>ქავშბაია</i> )	68
სუს: ქირავნობის სპეციალური ხანდამშობლობის ვადის გამოყენება დანახარჯების კონდიქციით ურთიერთობის მოწესრიგებისას ( <i>მელაძე</i> )	70
სუს: იპოთეკის გავრცელება სესხზე, რომელიც გაიცა იპოთეკით უმრუნველყოფილი სასესხო დავალიანების დასაფარად ( <i>ქავშბაია</i> )	77
სუს: იძულებით დადებული გარიგების ბათილობა და უკუქცევა ( <i>ქავშბაია</i> )	78

სუს: კონდიქციური მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის (ქავშბაია)	80
სააპელაციო: არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი წუნდებული პროდუქტის მიწოდებისას (ქავშბაია)	82
სუს: მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტისთვის (ქავშბაია)	82
სუს: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის მიუთითებლობის/მი- თითების ხარვეზის სამართლებრივი შედეგი (შავგულიძე)	84
სუს: სხვისი პირადობით სესხის აღება, როგორც თაღლითობის შემადგენლობა (ქავშბაია)	89
სუს: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული (ქავშბაია)	90

# „სუფთა ქონებრივი ზიანი“ – გულისხმიერი ქსევის ვალდებულების თუ დამცავი ნორმის დარღვევა?

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## I. შესავალი

სხვის საკუთრების დაზიანება, სხვისი სხეულის დაზიანება ან რომელიმე სხვა აბსოლუტურად დაცული სიკეთის ხელყოფა ყველა მართლწესრიგში, გამონაკლისის გარეშე, მართლსაწინააღმდეგოა და წარმოადგენს დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძველს. ამ ზიანისათვის პასუხისმგებლობა ყველგან მოცულია შესაბამისი დელიქტური შემადგენლობით, იქნება ეს გენერალური დელიქტური დათქმა თუ კონკრეტული დათქმა. ასე მართლაც არ არის საქმე ე. წ. „სუფთა ქონებრივი ზიანის შემთხვევაში“. „სუფთა ქონებრივი ზიანის ქვეშ“ მოიაზრება შემთხვევა, როდესაც დამზიანებლის ქმედება, მართალია, იწვევს დაზარალებულის ქონების შემცირებას, თუმცა ისე, რომ არ ხელყოფს მის აბსოლუტურ სიკეთეებს (საკუთრება, მფლობელობა, სხეული, ჯანმრთელობა და ა. შ.). გერმანული სამართლის ოჯახში ამ შემთხვევას სწორედ „სუფთა ქონებრივი ზიანი“ (reiner Vermögensschaden) მოიხსენიებენ, რომლის ეკვივალენტს ანგლო-ამერიკული pure economic loss წარმოადგენს. სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი არის დელიქტური და ზოგადად პასუხისმგებლობის სამართლის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და პოლემიკური თემა უკლებლივ ყველა მართლწესრიგში.<sup>1</sup> ამ ტიპის ზიანის ანაზღაურების სამართლის თანმიმდევრული და თვითკმარი დოგმატიკის შექმნა ძალზე რთულია და ამასთან დაკავშირებული პერსპექტივა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლება ხოლმე.<sup>2</sup>

დელიქტური პასუხისმგებლობის სამართალს შესაბამის კონტურებს ყველაზე მეტად მისი კაზუსტური ხასიათი ანიჭებს და ის ძირითადად სწორედ ამ კაზუსტიკის მეშვეობით ვითარდება. აქედან გამომდინარე, მის ცალკეულ პრობლემებზე საუბრისას სწორედ ინდუქციური მეთოდის გამოყენებაა მიზანშეწონილი. ამიტომაც, დასაწყისისათვის, მოვიყვან-

თ მაგალითებს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკიდან, რომლებიც სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს შეეხება და მის უკან მდგომ პრობლემატიკას ნათელყოფს. ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებს, მართალია, ერთმანეთისგან განსხვავებული ფაქტობრივი ხდომილება უდევთ საფუძვლად, თუმცა საერთო აქვთ ის, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოთხოვნის საგანს წარმოადგენს (სუფთა) ქონებრივი დანაკლისი, ანუ ზიანი, რომელიც გამოწვეული იყო უშუალოდ დაზარალებულის ქონებაზე ზემოქმედებით და არა აბსოლუტური სიკეთის ხელყოფით.

ასევე შევეცდებით შევხვით ქართულ სასამართლო პრაქტიკას და გავაკეთოთ დასკვნები, რომლებიც მომავალში შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს მისი განვითარებისთვის. თუმცა აქვე აუცილებელია დათქმის გაკეთება, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკისა და იურიდიული ლიტერატურისაგან არ შეიძლება დიდი მოლოდინი გვქონდეს, რადგან სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი არამხოლოდ სრულიად დაუმუშავებელი, არამედ საერთოდ არაიდენტიფიცირებულია.

## II. „სუფთა“ ქონებრივი ზიანი გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში

გსკ-ის 823 I პარაგრაფში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი დელიქტური წესით დაცული სიკეთეები, ანუ ის სასამართლოებრივი პოზიციები რომელთა ხელყოფაც იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას. მართალია, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რაზეც მიანიშნებს „სხვა უფლებების“ მოხსენიება ამ ნორმაში, თუმცა ეს „სხვა უფლებებიც“ აბსოლუტურ ხასიათს უნდა ატარებდნენ და ქონება, როგორც ასეთი, არცერთ შემთხვევაში მათ არ განეკუთვნება. ამგვარად, გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, სუფთა სახით ქონებრივი ზიანი დელიქტური პასუხისმგებლობით პირდაპირ მოცული არ არის.<sup>3</sup>

<sup>1</sup> R. Bernstein, *Economic Loss*, London, 1993; B. Feldthusen, *Economic Negligence*, 3rd ed, Scarborough, Ontario 1994; J.M. Feinman, *Economic Negligence, Liability of Professionals and Businesses to Third Parties for Economic Loss*, Boston 1995; K. M. Hogg, *Negligence and Economic Loss in England, Australia, Canada and New Zealand*, *International and Comparative Law Quarterly* (43) 1994, 116-141.

<sup>2</sup> E. A. Kramer, „Reine Vermögensschäden“ als Folge von Stromkabelbeschädigungen, in: *Recht* 1984, 131.

<sup>3</sup> K. Larenz/C.-W. Canaris, *Lehrbuch des Schuldrechts*, Bd. II/2, 13. Aufl., München 1994, 374, 405; E. Deutsch, *Fahrlässigkeit und erforderliche Sorgfalt*, 2. Aufl., Köln 1995, 444; Chr. v. Bar, *Verkehrspflichten*, Köln 1980, 204; G. Brüggemeier, *Deliktsrecht*, Baden-Baden 1986, 445; K. Huber, *Verkehrspflichten zum Schutz fremden Vermögens*, FS v. Caemmerer, Tübingen 1978, 359-388; H.-J. Mertens, *Deliktsrecht und Sonderprivatrecht - Zur*

ამ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც სუფთა ქონებრივი ზიანის მიყენება ამავედროულად წარმოადგენს (დამცავი) კანონის დარღვევას (გსკ-ის 823 II პარაგრაფი) ან განზრახ ამორალურად მიყენებულ ზიანს (გსკ-ის 826-ე პარაგრაფი). ის ფაქტი, რომ ქონების ამ ფორმით დაცვა არასაკმარისია, გერმანიის უმაღლესმა ფედერალურმა სასამართლომ უკვე არაერთხელ აღნიშნა და არაერთხელ სცადა მისი სხვადასხვა ფორმით გაფართოება.<sup>4</sup> გაფართოების კონტექსტში პირველ რიგში სახსენებელია ახალი აბსოლუტური უფლებების შექმნა სამოსამართლო სამართალშემოქმედების ფარგლებში, რომლის მაგალითსაც წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „უფლება მოწყობილ და ამუშავებულ საწარმოზე“ (das Recht am eingerichteten und ausgeübten Gewerbebetrieb).<sup>5</sup> ამ უფლების დაზიანება წარმოადგენს უშუალოდ გსკ-ის 823 I მუხლით პასუხისმგებლობის საფუძველს. გარდა ამისა, ასევე სახსენებელია სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მნიშვნელოვნად განვრცობა. ეს ეხება, პირველ რიგში, წინარესახელშეკრულებო ურთიერთობის (culpa in contrahendo) სამართლებრივი ფიგურის ჩამოყალიბებას, ფაქტობრივი ხელშეკრულების<sup>6</sup> კონსტრუქციას, მესამე პირთა მიმართ დამცავეფექტიან ხელშეკრულებებსა<sup>7</sup> (Verträge mit Schutzwirkung zugunsten Dritter<sup>8</sup>) და ა. შ. ასევე დასაშვებია ამ კონსტრუქციების კომბინაცია, მაგალითად, წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობისა და მესამე პირის მიმართ დამცავეფექტიანი ხელშეკრულების კომბინაცია. თუმცა არც გსკ-ის 826-ე პარაგრაფიდან წარმომდგარი პასუხისმგებლობის უგულებეყოფა იქნებოდა სწორი. ამ დელიქტური შემადგენლობის მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა სუბიექტური ელემენტების რედაქტირების ხარჯზე. მაგალითად, ექსპერტის ამორალური ქმედება უკვე მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც ეს ექსპერტი არასათანადო გულისხმიერებით ადგენს მისთვის მინდობილ, დიდი მნიშვნელობის მქონე დასკვნას, ხოლო განზრახვისათვის საკმარისია, ევარაუდა, რომ სხვა პირი მისი დასკვნის საფუძველზე ქონებრივ დისპოზიციებს განახორციელებდა.

### III. ანგლო-ამერიკული მართლწესრიგები

რაც შეეხება ანგლო-ამერიკულ სამართალს, აქ ქონებრივი ზიანისათვის პასუხისმგებლობა გასული საუკუნის სამოციან წლებამდე უცნობი იყო.<sup>9</sup> ეს სიტუაცია 1964 წელს რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ინგლისურმა House of Lords-მა პირველად მიიჩნია შესაძლებლად პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობით გაკეთებული არასწორი განცხადებების გამო.<sup>10</sup> ამას მოჰყვა მთელი ტალღა მსგავსი გადაწყვეტილებებისა სხვა, ანგლო-ამერიკული სამართლის ოჯახს მიკუთვნებულ ქვეყნებში.<sup>11</sup> თუმცა 90-იანი წლების დასაწყისიდან პრაქტიკა ისევ შეიცვალა და მას მერე House of Lords-ი, ჩვეულებრივ, უარს ამბობს pure economic loss-ის ანაზღაურებაზე.<sup>12</sup> თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანადის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სასამართლოებმა ეს შეცვლილი პრაქტიკა არ გაიზიარეს, უარი განაცხადეს თავდაპირველ პრაქტიკისკენ დაბრუნებაზე. ისინი ქონებრივ ზიანს მაინც მიიჩნევენ ანაზღაურებადად. ამ წინააღმდეგობის მაგალითად შესაძლებელია კანადის უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების მოყვანა რომელიც მან 1992 წელს მიიღო:<sup>13</sup> სალიანდაგე ხიდი, რომელიც გადებული იყო ერთ-ერთ მდინარეზე ჩრდილოეთ კანადაში, გემმა, მის ქვეშ გავლის შემდეგ, მნიშვნელოვნად დააზიანა. ამის შედეგად ერთ-ერთი კანადური სარკინიგზო კომპანიისათვის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლებელი გახდა მისით სარგებლობა და მოუწია გაცილებით გრძელი შემოვლითი გზის მონახვა. მართალია, სარკინიგზო კომპანია იყო სალიანდაგო მოწყობილობებისა და გარშემო მიწების მესაკუთრე, თუმცა თავად ხიდი სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. ხიდის შეკეთების ხარჯები დაუყოვნებლივ იქნა ზიანის ანაზღაურების სახით გადახდილი, თუმცა გემის მფლობელი კომპანია უარს აცხადებდა ანაზღაურებინა სარკინიგზო კომპანიისათვის მიყენებული ზიანი.

კანადურმა სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განავითარა საკმაოდ ვრცელი შედარებით-სამართლებრივი დისკუსია. სამართლიანად უარყო მან ფრანგული გადაწყვეტა, რომელიც ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს მიზეზ-შედეგობრიობის სიბრტყეში უჩენდა ადგილს. Transferred Loss Theory-ის გამოყენებას, რომელიც წა-

Rechtsfortbildung des deliktischen Schutzes von Vermögensinteressen, AcP 1978, 227-262.  
<sup>4</sup> MünchKommL/Mertens<sup>3</sup>, § 823 BGB Rn. 470 ff.  
<sup>5</sup> K. Larenz/C.-W. Canaris, ზემოთ სქ. 3, 537 ff.  
<sup>6</sup> Palandt/Heinrichs, vor § 145 Rn. 25 ff.  
<sup>7</sup> რუსიაშვილი/ალადაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 349 37-ე და მომდევნო ველები; გ. რუსიაშვილი, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, კაზუსების კრებული, თბილისი 2019, 229-ე და მომდევნო გვერდები.  
<sup>8</sup> BGHZ 66, 51; G. Hohloch, Vorvertragliche Haftung nach culpa-in-contrahendo-Grundsätzen auch zugunsten Dritter? JuS 1977, 302, 304 ff.; H.-J. Mertens, Deliktsrecht und Sonderprivatrecht - Zur Rechtsfortbildung des deliktischen Schutzes von Vermögensinteressen, AcP 1978, 237.

<sup>9</sup> Hogg, ICLQ (43) 1994, ზემოთ სქ. 1, 116; Feinmann, Economic Negligence, ზემოთ სქ. 1, 28.  
<sup>10</sup> Hedley Byrne & Co. v. Heller & Partners Ltd.  
<sup>11</sup> Bernstein, Economic Loss, ზემოთ სქ. 1; Hogg, ICLQ (43) 1994, ზემოთ სქ. 1, 116 seq.; P. W. Keeton/D. B. Dobbs/R. E. Keeton/D. G. Owen, Prosser and Keeton on The Law of Torts, 5th ed., St. Paul 1984, 745; Ch. S. D'Angela, The Economic Loss Doctrine: Saving Contract Warranty Law from Drowning in a Sea of Torts, University of Toledo Law Review (26) 1995, 591-619.  
<sup>12</sup> Caparo Industries Plc. v. Dickman; Murphy v. Brentwood District Council; Department of the Environment v. Thomas Bates and Son Ltd.  
<sup>13</sup> Canadian National Railway Co. v. Norsk Pacific Steamship Co.



რმოადგენს "მესამე პირის ზიანის ლიკვიდაციის" ეკვივალენტს ანგლო-ამერიკულ სამართალში, სასამართლომ ასევე დამაჯერებელი არგუმენტებით აუარა გვერდი. ამის შემდეგ სასამართლომ შეამოწმა, იყო თუ არა სახეზე ეგრეთ წოდებული „საერთო სარისკო წამოწყება“ ("joint" ან "common venture").<sup>14</sup> საკმაოდ რესტრიქციული ინგლისური სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც კი, დამზიანებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს სუფთა ქონებრივი ზიანი, თუ დაზარალებული საწარმო და განადგურებული ნივთის მესაკუთრე ამ Joint-Venture-ის მონაწილეები იყვნენ.<sup>15</sup> სწორედ ამ ბოლო მოსაზრებამ ითამაშა მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტი როლი, რაც, ერთი მხრივ, გასაკვირია, იმდენად რამდენადაც, სარგებლობის უფლების მქონე და ნივთის მესაკუთრე, კანადური სამართლის მიხედვით, ჩვეულებრივ, არ ითვლება Joint-Venture-პარტნიორად. არც მაშინ, როდესაც მესაკუთრე და სარგებლობის უფლების მქონე პირები მიაღწევენ შეთანხმებას ნივთის ჯეროვან მდგომარეობაში შენარჩუნების ხარჯებთან დაკავშირებით და არც მაშინ, როდესაც მოსარგებლე იღებს ვალდებულებას გაიღოს ნივთის მოვლისა და რემონტის ხარჯები.<sup>17</sup>

მსგავსებას, რომელსაც ეს გადაწყვეტა ამჟღავნებს გერმანული სამართლის დოქტრინაში აღიარებულ "მოწყობილ და ამუშავებულ საწარმოზე უფლებასთან", მოგვიანებით კიდევ დავუბრუნდებით.

**IV. „სუფთა“ ქონებრივი ზიანი ქართულ სამართალში**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მთავარი დელიქტური შემადგენლობა, კერძოდ 992-ე მუხლი, გენერალური დათქმის სახით არის ფორმულირებული. მის პირველწყაროდ, ხანდახან საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (ძველი რედაქციის) 1382-ე მუხლს მიიჩნევენ ხოლმე, თუმცა სავარაუდოა, რომ აღნიშნული ნორმა შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლიდან არის გადმოღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ისევე როგორც რამდენიმე სხვა სამართლებრივი ფიგურა, მაგალითად, შეცდომის საფუძველზე შეცილება.<sup>18</sup> ამ დანაწესის მიხედვით საქართველოში პასუხისმგებლობის სტრუქტურასა და წინაპირობებს სიღრმისეულად ჩვენი სტატიის ფარგლებში არ შევხებით, ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს მხოლოდ სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურება 992-ე მუხლის მიხედვით.

ქართული სასამართლო პრაქტიკისათვის სუფთა ქონებრივი ზიანის ცნება დღემდე სრულებით დაუმუშავებელია. მართალია, ქართული სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში<sup>19</sup> ვხვდებით pure economic loss, თუმცა მის ქვეშ სასამართლო მიუღებელ შემოსავალს მოიაზრებს, რაც, რა თქმა უნდა, სრულებით მცდარია და, საბოლოო ჯამში, იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ სუფთა ქონებრივი ზიანის უკან მდგომი პრობლემატიკა და მის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სირთულეები ქართული სასამართლოსათვის სრულებით უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ ის ფაქტობრივი შემთხვევები, რომლებიც ამ სამართლებრივი შემადგენლობის ქვეშ გაერთიანდებოდა, საქართველოშიც უხვად მოიპოვება. ქართულ სასამართლოს გამოტანილი აქვს გადაწყვეტილებები ე. წ. "კაბელის გაწყვეტის შემთხვევებთან" დაკავშირებით, სადაც სწორედ რომ ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას ეხებოდა საქმე. თუმცა ქართულმა სასამართლომ ის ასეთად ვერ დააკვალიფიცირა. რა თქმა უნდა, ქართულ რეალობაშიც იარსებებს არაერთი შემთხვევა, როდესაც ერთმა პირმა მეორეს აბსოლუტური სიკეთების ხელყოფის გარეშე მიაყენა ზიანი, თუმცა ამ შემთხვევების პოვნა და მათი გამოცალკევება დელიქტური პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევებისაგან არის ძალზე რთული, რადგან სასამართლო ამ პრობლემის იდენტიფიცირებას ვერ ახერხებს, ვერც შინაარსობრივად და ვერც ტერმინოლოგიურად.<sup>20</sup> თუმცა ადრე თუ გვიან ის იძულებული გახდება გააკეთოს ეს, თუ არ სურს დელიქტური სამართლის მთლიანი დოგმატიკის თავდაყირა დაყენება.

მაშინ კი ქართულ სასამართლოს დასჭირდება ზემოთ ხსენებული გერმანული სამართლის ფიგურების, როგორც არის, მაგალითად, უფლება მოწყობილ და ამუშავებულ საწარმოზე, გადმოღება და პრაქტიკაში დამკვიდრება, რადგან მათ გარეშე, იმ შემთხვევაში, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, ვერც ქართული გენერალური დათქმა იქნებოდა პირდაპირ გამოსადეგი და ვერ მიანიჭებდა დაზარალებულს შესაბამის მოთხოვნას, რადგან ამ გენერალურ დათქმაში დაფიქსირებული წინაპირობა — მართლწინააღმდეგობა — საბოლოო ჯამში, იმავე, პასუხისმგებლობის შემომზღუდავ, როლს თამაშობს, რასაც გერმანიაში დელიქტურად დაცული სიკეთების კონკრეტული ჩამონათვალი.<sup>21</sup>

<sup>14</sup> რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 408 25-ე და მომდევნო ველები.  
<sup>15</sup> Joint Venture აღნიშნავს ორი, ერთმანეთისგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი საწარმოების საერთო წამოწყებას, რომლის ფარგლებშიც პარტნიორები ინაწილებენ ფინანსურ და მმართველობით პასუხისმგებლობას.  
<sup>16</sup> B. S. Markesinis, The German Law of Torts, A Comparative Introduction, 3th ed., Oxford 1994, 332, 376.  
<sup>17</sup> Markesinis, The German Law of Torts, ზემოთ სქ. 13, 332.  
<sup>18</sup> დარჯანია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხ. 73 ველი 2.

<sup>19</sup> იხ. მაგალითისათვის უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება № ას-354-2019; 2019 წლის 17 მაისის განჩინება № ას-218-2019(b); 2019 წლის 8 მაისის განჩინება № ას-153-2019.  
<sup>20</sup> მაგალითად, უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში (2008 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილება № ას-583-921-07) საერთოდ დისკუსიის მიღმა ტოვებს იმ საკითხს, იყო თუ არა კაბელი დაზარალებულის საკუთრებაში.  
<sup>21</sup> გ. რუსიაშვილი/დ. ეგნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 197-ე და მომდევნო გვერდები.

**V. გულისხმიერი ქცევის ვალდებულების ინტეგრირების მცდელობა შვეიცარულ იურიდიულ დოქტრინაში**

როგორც ზემოთ ვახსენეთ, გამომდინარე იქიდან, რომ ქართული დელიქტური სამართალი ნორმატიული მოცემულობის მხრივ გერმანულისგან საკმაოდ განსხვავდება, კერძოდ, საქართველოში მთავარი დელიქტური დანაწესი გენერალური დათქმის ფორმით არის ჩამოყალიბებული, პირველი მართლწესრიგი, რომელზეც შედარებით-სამართლებრივი დისკუსიისას უთითებენ, არის საფრანგეთი. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის (ძველი რედაქციის) 1382-ე მუხლი. თუმცა ეს მითითება სავალდებულო ხასიათს არ ატარებს, რამდენადაც ქართველ კანონმდებელს არ დაუტოვებია სამოქალაქო კოდექსის განმარტებითი ბარათი და არაფერი მეტყველებს იმაზე, რომ მის ინსპირაციის წყაროს სწორედ ფრანგული მოდელი წარმოადგენდა. ზუსტად ასეთივე წარმატებით არის შესაძლებელი, რომ ქართული დანაწესის წყარო გერმანული სამართლის სივრცის სხვა მართლწესრიგი, კერძოდ, შვეიცარიული იყოს. შვეიცარიული დელიქტური სამართალი წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო მასალას ქართულ სამართალთან შესადარებლად, როგორც მაგალითი არაგერმანული გადაწყვეტის სინთეზისა, ყველა სხვა ნაწილში გერმანული თარგის მიხედვით მოწყობილ პასუხისმგებლობის სამართალთან.

გარდა ამისა, შვეიცარული და ქართული დელიქტური სამართლის შეპირისპირება იმითაც არის საინტერესო, რომ შვეიცარული სამართალი, მართალია, ძალზე ახლოს დგას გერმანულთან, თუმცა უკანასკნელ წლებში შვეიცარულ იურიდიულ ლიტერატურაში სულ უფრო იკრებს ძალას მოსაზრება, ანგლო-ამერიკული სამართლის ფიგურების აქტიურად გადმოღებასთან და ნაციონალურ სამართალში ინკორპორირებასთან დაკავშირებით. ამ ტიპის დისკუსიებმა შვეიცარული საკანონმდებლო კომისიების დონეზეც კი ააღწია (იხ. ქვემოთ). გამომდინარე იქიდან, თუ როგორ აგრესიულად და დაუფიქრებლად ხდება ანგლო-ამერიკული სამართლებრივი კონსტრუქციების ქართულ სამართალში იმპლემენტირება, შვეიცარიაში მიმდინარე პროცესი, საქართველოსთვის სამომავლო პროგნოზად უნდა აღვიქვათ. აქედან გამომდინარე, შვეიცარული სამართლის მიმოხილვა დელიქტური სამართლის ნაწილში საკმაოდ სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს ქართველი იურისტებისათვის.

შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41-ე მუხლში შვეიცარიელებს ტიპური დელიქტური გენერალური დათქმა აქვთ დაფიქსირებული: ვინც სხვას მართლსაწინააღმდეგოდ აყენებს ზიანს, იქნება ეს განზრახ თუ გაუფრთხილებლობით, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მართალია, მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია გსკ-ის 826-ე პარაგრაფის შესატყვისი, თუმცა ამ ნორმის მოქმედების სფერო, რა თქმა უნდა, ძალზე შემოსაზღვრულია.

თავისთავად ცხადია, რომ შვეიცარულ სასამართლო-საც, <sup>22</sup> გერმანულის მსგავსად, უკვე დიდი ხანია უწევს სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემატიკასთან კონფრონტაცია. აბსოლუტური სიკეთების დაზიანებისაგან განსხვავებით, რაც per se მართლსაწინააღმდეგოა, ეს მართლწინააღმდეგობა ავტომატურად არ არის სახეზე, როდესაც ზიანის მიყენება აბსოლუტური სიკეთის ხელყოფის გარეშე ხდება. შვეიცარიაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კონსტელაციას სუფთა ქონებრივი ზიანის მიყენებისა ე.წ. „კაბელის გაწყვეტის შემთხვევა“ წარმოადგენს და შვეიცარიის ფედერალურ სასამართლოს ჰქონდა არაერთი შესაძლებლობა დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა შვეიცარული სასამართლოები ამ დროს „მოწყობილ და ამუშავებულ საწარმოზე უფლების“ – კონსტრუქციის გარეშე გადიან ფონს, კერძოდ, ისეთი დამცავი ნორმის დახმარებით, როგორცაა შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი, რომელიც, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 316b პარაგრაფისაგან განსხვავებით, უფრო ფართოა და მოიცავს ასევე საწარმოს მუშაობისათვის გაუფრთხილებლობით ხელის შეშლასაც. <sup>23</sup>

სუფთა ქონებრივი ზიანის სხვა, არანაკლებ გავრცელებულ შემთხვევებს შვეიცარიულ სამართალში წარმოადგენს არასწორი ინფორმაციის მიწოდება, როდესაც, მაგალითად, ბანკი მისი კლიენტის სამომავლო კონტრაქტებს უდასტურებს მზაობას ამ კლიენტის სამომავლო დაფინანსებასთან დაკავშირებით, რაც მოგვიანებით მცდარი აღმოჩნდება. <sup>24</sup> გარდა აღნიშნულისა, ასევე სახელმწიფო ორგანოების მიერ გაცემულმა ოფიციალურმა ინფორმაციამაც შეიძლება გამოიწვიოს არაუმნიშვნელო ქონებრივი დანაკლისი. საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ჩერნობილის შემთხვევა: რეაქტორის კატასტროფის გამო ასევე შვეიცარიაშიც მოიმატა რადიაციის დონემ, რის გამოც ფედერალურმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გამოსცეს რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც სასურველი იყო ბოსტნეულის საფუძვლიანად გარეცხვა, ხოლო ორსულთათვის და მეძუძური დედებისთვის — ისევე როგორც ორ წლამდე ბავშვებისთვის — სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიღებისაგან თავის შეკავება. ამ რეკომენდაციებმა განაპირობა ის, რომ მოცემული პროდუქტების მოხმარება მნიშვნელოვნად შემცირდა. ბოსტნეულის ერთ-ერთმა მწარმოებელმა უჩივლა ფედერაციას და მოსთხოვა შემოსავლის დაკარგვით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შვეიცარიის ფედერალურმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, თუმცა გვერდი აუარა ფედერაციის პასუხისმგებლობას მის მიერ გავრცელებული ინფორმაციისათვის. ამის ნაცვლად, სასამართლომ რადია-

<sup>22</sup> BGE 102 II 85; BGE 101 II 252; შდრ. ასევე BGE 106 II 75.  
<sup>23</sup> რუსიაშვილი/ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, ზემოთ სქ. 20, 242-ე და მომდევნო გვერდები.  
<sup>24</sup> BGE 111 II 471.

ციული გამოსხივება დააკვალიფიცირა როგორც საკუთრების დაზიანება.<sup>25</sup>

გარდა ხსენებული შემთხვევისა, ფედერალური სასამართლო უკანასკნელ პერიოდში ქონებრივი ზიანისათვის პასუხისმგებლობის ხშირად იშველიებს ხოლმე ნდობის გაცრუებიდან წარმომდგარ პასუხისმგებლობას (Vertrauenshaftung). ამის მაგალითს წარმოადგენს გადაწყვეტილება Swissair-ის საქმეზე.<sup>26</sup> სასამართლომ ნდობიდან წარმომდგარი პასუხისმგებლობა მიიჩნია ზიანის ანაზღაურების საფუძვლად, ასევე, შვეიცარული სამოყვარულო კრივის კავშირის საქმეზე.<sup>27</sup> კავშირმა სპორტსმენს მისცა საფუძვლიანი იმედი მსოფლიო ჩემპიონატებზე მონაწილეობისა. ამის შემდეგ სპორტსმენი პატიოსნად ემზადებოდა ამ მოვლენისათვის, თუმცა მოგვიანებით არ იქნა შერჩეული ამ კავშირის მიერ დაწესებული უცნაური შესარჩევი კრიტერიუმების გამო. სპორტსმენმა კავშირს მოსთხოვა ზიანის ანაზღაურება. ფედერალურმა სასამართლომ მოთხოვნა დასაბუთებულად მიიჩნია, გამომდინარე იქიდან, რომ კავშირმა სპორტსმენის ნდობა არაკეთილსინდისიერად ხელყო.

საერთო ჯამში, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ შვეიცარიის ფედერალური სასამართლო ყოველთვის, როდესაც სუფთა ქონებრივი ზიანის გამო შესაბამისი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მიზანშეწონილად მიიჩნევდა, ახერხებდა კიდევ ამისათვის შესაბამისი დასაბუთების მონახვას: იქნებოდა ეს ხელშეკრულების ფიქცია,<sup>28</sup> ისეთ ნორმაზე მითითება, რომელიც დაზარალებულს სწორედ ქონებრივი ზიანისაგან იცავს — როგორც არის, მაგალითად, შვეიცარიის სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლი კაბელის გაწყვეტის შემთხვევაში, დაუწერელი ნორმის მოშველიება, როგორც ეს არასწორი ინფორმაციისათვის პასუხისმგებლის შემთხვევაში მოხდა, ან გაცრუებული ნდობის მიჩნევა პასუხისმგებლის საფუძვლად, რომლის სამართლებრივი ბუნება სასამართლომ ღიად დატოვა, კერძოდ, Swissair-ისა და სამოყვარულო კრივის კავშირის შემთხვევაში. თუმცა სასამართლომ დღემდე ვერ მოახერხა ამ სფეროში გამოეკვეთა განზოგადებაუნარიანი სახელმძღვანელო ხაზები და პრინციპები.

### VI. დოგმატური საფუძვლები

სუფთა ქონებრივი ზიანის პრობლემატიკისათვის მართლწინააღმდეგობის წინაპირობის ფარგლებში ადგილის მიჩენა და მისი ანაზღაურებადობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ მართლწინააღმდეგობას. აქ, რა თქმა უნდა, დეტალურად ვერ შევხებით შედეგისა და ქცევის მართლწინააღმდეგობის ურთიერთდაპირისპირებულ თეორიებს, თუმცა ამასთან დაკავშირებული ზოგადი

მოსაზრებების წარმოჩენა მოცემულ კონტექსტშიც აუცილებელია.

გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, მართლწინააღმდეგობას განაპირობებს შედეგის უმართლობა, რაც ქონების დაზიანების შემთხვევაში მხოლოდ მაშინ არის სახეზე, როდესაც დამცავი ნორმა დარღვეული. ეს გადაწყვეტა შვეიცარულ იურიდიულ ლიტერატურაში გაკრიტიკებულია იმ კუთხით, რომ საბოლოო ჯამში მხოლოდ შემთხვევითობაზე დამოკიდებული, ექცევა თუ არა კონკრეტული დაზიანება შესაბამისი დამცავი შემადგენლობის ქვეშ.<sup>29</sup> მიუხედავად ამისა, შვეიცარიაში *de lege ferenda* შემოთავაზებული იყო მართლწინააღმდეგობის ცნების შემდეგი ლეგალური დეფინიცია: "მართლწინააღმდეგობა ზიანის მიყენება, თუ ის გამოწვეულია აბსოლუტურად დაცული სამართლებრივი სიკეთების ხელყოფით ან დამცავი ნორმის დაზიანებით".<sup>30</sup> ამგვარად, უნდა მომხდარიყო შედეგის მართლწინააღმდეგობის თეორიის აღიარება კანონისმიერი დანაწესის დონეზე და მისი შევსება დამცავი ნორმის დარღვევით გერმანული ყაიდის შესაბამისად. სწორედ ეს გახდა საწინააღმდეგობანიკიდან კრიტიკის საბაბი, რომ თავად გერმანელებიც მუდმივად პრობლემებს აწყდებიან გსკ-ის 823-ე პარაგრაფის ვიწრო ფორმულირების გამო და უხდებათ ამ რესტრიქციული ნორმატიული შემადგენლობის გადალახვა სახელდახელოდ შეკონსტიტუციონირებული იურიდიული არგუმენტაციისა და სასამართლო სამართალშემოქმედების მტანჯველი პროცესის მეშვეობით. საბოლოო ჯამში, (ამ უკანასკნელი მოსაზრების მიმდევარი) შვეიცარიელები ამ პროცესს აღიქვამენ იმგვარად, რომ გერმანელები გსკ-ის 823-ე პარაგრაფიდან თითქოს თავადვე ცდილობენ ინტერპრეტაციის მეშვეობით გენერალური დელიქტური დათქმის განვითარებას.

ასევე დელიქტური პასუხისმგებლობის გაფართოებასაც, ახალი აბსოლუტურად დაცული სამართლებრივი სიკეთებისა და მათი ინტერპრეტაციის მეშვეობით, შვეიცარიელები სკეპტიკურად უყურებენ, რადგან ამ სიკეთების კონტურები, ჩვეულებრივ, რთულად მოსახაზია. მაგალითის სახით უთითებენ ხოლმე პიროვნულობის უფლებაზე, რომელიც, მართალია, აბსოლუტურად დაცულ სიკეთეს განეკუთვნება და მისი ხელყოფა შედეგის მართლწინააღმდეგობიდან გამომდინარე, ავტომატურად ითვლება მართლწინააღმდეგობად, თუმცა ამ უფლების შინაარსის დეფინიცია არც თუ ისე მარტივია და, ცალკეულ შემთხვევებში, დაცული სფეროს განსაზღვრა დამცავი ნორმის დისპოზიციის აღწერით შემოიფარგლება.<sup>31</sup>

გამოსავლის სახით, შვეიცარულ იურიდიულ ლიტერატურაში უთითებენ ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულებე-

<sup>25</sup> BGE 116 II 480, 492.  
<sup>26</sup> BGE 120 II 33 1.  
<sup>27</sup> BGE 121 III 350.  
<sup>28</sup> BGE 112 II 347, 350.

<sup>29</sup> P. Gauch, Grundbegriffe des ausservertraglichen Haftpflichtrechts, in: Recht 6/1996, 232.  
<sup>30</sup> 52-2-თემის, გამოქვეყნებულია: A JP/PJA 1992 1099.  
<sup>31</sup> Bericht der Studienkommission für die Gesamtrevision des Haftpflichtrechts, hrsg. vom Bundesamt für Justiz, Bern 1991, 41.

ბზე,<sup>32</sup> რომლებიც წარმოადგენენ ანგლო-ამერიკული *duty of care*-ის შესატყვისს გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში. თუმცა გერმანიაში ეს გულისხმიერების ვალდებულებები, გაბატონებული მოსაზრების თანახმად,<sup>33</sup> მხოლოდ აბსოლუტურად დაცული სიკეთეების შემთხვევაში მოქმედებს. მიუხედავად ამისა, შვეიცარულ იურიდიულ ლიტერატურაში იკვეთება ტენდენცია, რომელიც ცდილობს მათი მოქმედების სფეროს გაფართოებას და ამ ვალდებულებებით ასევე სუფთა ქონებრივი ზიანის მოცვასაც. ეს ტენდენცია და ამ ტიპის მოსაზრებები ნაწილობრივ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაშიც არის გამოთქმული, თუმცა იქ ისინი აწყდებიან მძაფრ პოზიციას და კონტრარგუმენტს, რომლის გაბათილებაც შეუძლებელია. კერძოდ, ამგვარი დაშვება პირდაპირი უგულებელყოფა იქნებოდა კანონმდებლის გადაწყვეტილებისა, რომლითაც მან უარი თქვა გენერალური დელიქტური შემადგენლობის აღიარებაზე. თუმცა, გერმანიისგან განსხვავებით, შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 41 I მუხლი წარმოადგენს სწორედ რომ დელიქტურ გენერალურ დათქმას. შესაბამისად, დამცავი ვალდებულებების აღიარება (მესამე პირის ქონების მიმართ) შვეიცარიაში ვერ ჩაითვლება *contra legem*-სამართალშემოქმედებად.<sup>34</sup> თუმცა იმ თემისის გაზიარება, რომ ეს ასევე შინაარსობრივადაც გარდაუვალია და გამომდინარეობს ამ გენერალური დათქმიდან და არათანმიმდევრულია გულისხმიერების ვალდებულებები გამოვიყენოთ პირის მხოლოდ ფიზიკური ინტეგრირებისა და მისი ნივთების დასაცავად, ხოლო მისი ქონება ამ ფორმით არ იყოს დაცული, არასწორად მიგვაჩნია.

აქ აუცილებელია იმის მეტნაკლებად დეტალურად გადმოცემა, თუ როგორ ფუნქციონირებს ქონების დაცვა ამ გულისხმიერების ვალდებულებების მეშვეობით ანგლო-ამერიკულ სამართალში.

იმ კონცეპტის თანახმად, რომლის იმპლემენტირებასაც ცდილობს ზემოთ ხსენებული დოქტრინა შვეიცარულ სამართალში, სუფთა ქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ და მხოლოდ კანონში გამყარებულ დამცავ ნორმებზე; ამის საპირისპიროდ უნდა მოხდეს მეთოდურად უფრო გამართული გზის არჩევა და იმ შემთხვევათა ჯგუფების გამოკვეთა, როდესაც პირს ეკისრება გულისხმიერი ქცევის ვალდებულება (გერმანულ ტერმინოლოგიაში: სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოების ვალდებულება<sup>35</sup>) სხვისი ქონებრივი ინტერესის დაცვის მი-

ზნით. სწორედ ეს მოსაზრება შეესატყვისება ანგლო-ამერიკულ სამართალში დამკვიდრებულ გადაწყვეტას.<sup>36</sup> შვეიცარულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრება სწორედ ამ შემადგენლობათა ჯგუფების (სხვაგვარად: შემთხვევათა ტიპოლოგიის)<sup>37</sup> გამოკვეთისაკენ იხრება. ამ შემთხვევათა ტიპების მაგალითია არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან კონსულტაციის გაწევა, ან ყალბი დოკუმენტისა თუ მოწმობის სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვება. ამ კონტექსტში ასახელებენ ასევე *culpa in contrahendo*-ს და გაუმართლებელი სამოქალაქო თუ ადმინისტრაციული-პროცესუალური წარმოების დაწყებას.<sup>38</sup>

ყველა მართლწესრიგისათვის ცნობილი და პრობლემური შემთხვევა, რომელიც ხშირად ხდება ხოლმე სასამართლოს განსჯის საგანი, ეხება არასწორი ინფორმაციის მიწოდებას.<sup>39</sup> ამ კატეგორიის განეკუთვნება ასევე ყალბი დოკუმენტების დამზადება და სამოქალაქო ბრუნვაში ჩაშვება. მოცემული ტიპის შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელსაც ასევე *negligent misrepresentation*-ად მოიხსენიებენ ხოლმე, ანგლო-ამერიკულ სამართალში ვრცელი სასამართლო პრაქტიკაა განვითარებული.<sup>40</sup> გარდა ამისა, ანგლო-ამერიკულ სამართალში ამავე კონტექსტში მოიხსენიებენ მომსახურების არასწორად გაწევის შემთხვევებსაც. ეს ეხება, პირველ რიგში, ადვოკატთა<sup>41</sup> საქმიანობას, ისევე როგორც, ბუღალტრებსა თუ რევიზორებს.<sup>42</sup> ქვეჯგუფის სახით გამოყოფენ უძრავი ქონების მაკლერის, უძრავი ქონების შემფასებლის, ბანკებისა თუ სხვა ფინანსური ინსტიტუტების, სადაზღვევო აგენტებისა და სხვა ექსპერტების პასუხისმგებლობას.

საინტერესო შემთხვევას, რომელიც ამ არასწორი ინფორმაციის მიწოდების კატეგორიის ქვეშ ექცევა, და არ განეკუთვნება მხოლოდ უსასყიდლო სახელშეკრულებო შესრულებას, წარმოადგენს ანდერძის არასწორად შედგენა. ანგლო-ამერიკულ სასამართლო პრაქტიკაში ამასთან დაკავშირებით უკვე რამდენიმე გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ყველა ამ შემთხვევაში ადვოკატის შეცდომის გამო, ანდერძი არ ან არასწორად იქნა შედგენილი და ანდერძი-

<sup>32</sup> რუსიაშვილი/ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, ზემოთ სქ. 20, 202-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>33</sup> H. Stoll, Richterliche Fortbildung und gesetzliche Überarbeitung des Deliktsrechts, Heidelberg 1984, 42 ff.; M. Borgers, Von den "Wandlungen" zur "Restrukturierung" des Deliktsrechts? Berlin 1993, 30.

<sup>34</sup> Borgers, "Wandlungen" zur "Restrukturierung", ზემოთ სქ. 29, 22 ff.

<sup>35</sup> რუსიაშვილი/ვენატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, ზემოთ სქ. 20, 203-ე და მომდევნო გვერდები.

<sup>36</sup> Sutherland Shire Council v. Heyman.

<sup>37</sup> M. Keller, Ist eine Treu und Glauben verletzende Schädigung widerrechtlich? in: Recht 1987, 136.

<sup>38</sup> თუმცა უკვე აქვე უნდა ვახსენოთ, რომ ეს გულისხმიერი ქცევის ვალდებულება, მხოლოდ დამცავ ნორმაზე ან სახელშეკრულებო ვალდებულებაზე სწორებით შეიძლება იქნეს შექმნილი და განვითარებული, რასაც ეს მოსაზრება საერთოდ არ ითვალისწინებს.

<sup>39</sup> H. Honnell, Probleme der Haftung für Auskunft und Gutachten, JuS 1976, 621-629.

<sup>40</sup> შედარებისათვის საკმარისია Glanzer v. Shepard; Ultramares Corp. v. Touche.

<sup>41</sup> J. L. Dwyer, Solicitors' duties in tort to persons other than their clients, Tort Law Review (2) 1994, 29-59.

<sup>42</sup> Caparo Industries Plc. v. Dickman; Ultramares Corp. v. Touche.

<sup>43</sup> Feinman, Economic Negligence, Liability of Professionals, ზემოთ სქ. 1, 211 seq.; Bernstein, Economic Loss, ზემოთ სქ. 1, 406 seq.

სმიერი მემკვიდრე „მშრალზე“ დარჩა.<sup>44</sup> მართალია, ანდერძის არასწორად შედგენა, თუ არასწორი კონსულტაციის გაწევა, წარმოადგენს ხელშეკრულების დარღვევას მამკვიდრების წინაშე, თუმცა, ერთი მხრივ, ამით სამკვიდრო არ მცირდება და გარდა ამისა, კანონისმიერი მემკვიდრეები, რომლებმაც ეს სტატუსი მხოლოდ და მხოლოდ ადვოკატის შეცდომის წყალობით მიიღეს, რა თქმა უნდა, არაფრის დიდებით არ უჩივლებენ მას.

მიუხედავად იმისა, რომ, ერთი შეხედვით, მოცემულ შემთხვევაში მემკვიდრის სამკვიდროს მიღმა დატოვება ყოველად გაუმართლებელი ჩანს, ადვოკატის პირდაპირი დელიქტური პასუხისმგებლობის დაშვება რეალურად მაინც სრულებით დაუშვებელია. ამ შემთხვევის გადაწყვეტის ერთადერთ დამაკმაყოფილებელ გზად მხოლოდ და მხოლოდ მესამე პირის მიმართ დამცავფეფქტიანი ხელშეკრულება და მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია შეიძლება იყოს, რომლებიც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სქემის მიხედვით კონსტრუირდება. მის მიღმა პირდაპირი დელიქტური პასუხისმგებლობის დაშვება გამოიწვევდა იმას, რომ არამხოლოდ პასუხისმგებლობის ფარგლები წაიშლება და სრულებით დაუდგენელი გახდება, არამედ განუჭვრეტელი გახდება მოთხოვნის მფლობელ პირთა წრეც. რატომ არ უნდა ჰქონდეს მაშინ არა მხოლოდ სამკვიდროს მიღმა დატოვებულ მემკვიდრეს, არამედ, თავის მხრივ, ასევე მის ხუთ მემკვიდრეს მოთხოვნის უფლება?

იმის დაშვება, რომ კონკრეტულ პირთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის გამო, ამ დამრღვევმა გარეშე პირის ქონებრივი ზიანისათვის უნდა აგოს პასუხი, წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებების გააბსოლუტურებას და სრულ უგულებელყოფას ისეთი ინსტიტუტებისა, როგორცაა მესამე პირთა მიმართ დამცავფეფქტიანი ხელშეკრულება,<sup>45</sup> მესამე პირი ზიანის ლიკვიდაცია<sup>46</sup> და მათი

მსგავსი სამართლებრივი ფიგურების. ამგვარად შეიძლება ზოგადად ყველამ ყველას წინაშე აგოს პასუხი, რაც გადაულახავ წინააღმდეგობაშია ფარდობითად დაცულ ინტერესებსა და აბსოლუტურად დაცულ სიკეთეს შორის დიქტომიასთან. რეალურად ეს იქნებოდა დელიქტური პასუხისმგებლობის უსაზღვროდ გაფართოვება და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის პრინციპების სრული უგულებელყოფა.

მაგალითად, ამ დაშვების შემთხვევაში, რატომ არ უნდა შეეძლოს, იმ პირის მემკვიდრეს, რომლის წინაშეც დაიბრუნა სახელშეკრულებო ვალდებულება და რომელმაც უარი თქვა მოვალის მიმართ მოთხოვნის წარდგენაზე ან გაუშვა ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, მოვალეს მაინც აგებინოს პასუხი დელიქტური წესით?<sup>47</sup> ვერც ხანდაზმულო-

გარდა ამისა, აქ ადვოკატის პასუხისმგებლობა, ანდერძს მიღმა დარჩენილი მემკვიდრის წინაშე, ამ ადვოკატის ხარჯზე სამკვიდროს გაორმაგებას გამოიწვევდა — ანდერძში არასწორად მოხვედრილ (თუ სხვა კანონისმიერი) მემკვიდრეს დარჩებოდა მიღებული წილი, ხოლო, გამორჩენილი და ამის გამო ვერშემდგარი, მემკვიდრე თავის „სამკვიდროს“ (მის ღირებულებას) ადვოკატისაგან მიიღებდა. რაც ასევე სრულებით გაუმართლებელი შედეგია.

<sup>46</sup> *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხ. 408 25-ე და მომდევნო ველები; *რუსიაშვილი*, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ზემოთ სქ. 7, 43-ე და მომდევნო გვერდები. ამ ინსტიტუტის წინაპირობებიდან საკამოდ სათუთაა, რომ წინაპირობა — „მოთხოვნის უფლებისა და ზიანის შემთხვევითი აცდენა“ (გვ. 45) — ამ სიტუაციაში მოცემულად ჩაითვალოს.

<sup>47</sup> მთავარი განმასხვავებელი ამ ანდერძისა და ხანდაზმული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევებს შორის, შეიძლება ყოფილიყო ის გარემოება, რომ ანდერძის შედგენის შემთხვევა ჩაგვეთვალა მესამე პირის (მომავალი ანდერძისმიერი მემკვიდრის) მიმართ დამცავფეფქტიან ხელშეკრულებად, ხოლო მეორე ხელშეკრულებისათვის ასეთი დამცავი ფეფქტი არ მიგვეჩვენება, რის გამოც მისგან წარმომდგარი დამცავი ვალდებულებები მემკვიდრეზე არ გავრცელდებოდა — მამკვიდრებელმა თავად უნდა იზრუნოს საკუთარი მოთხოვნების დროულად განხორციელებაზე. თუმცა ეს განსხვავება კეთდება და დასაშვებია მხოლოდ სახელშეკრულებო სიბრტყეში, ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებიდან და სახელშეკრულებო ვალდებულებითი პროგრამიდან გამომდინარე. ამ განსხვავების გაკეთება შეუძლებელია დელიქტური სამართლის სიბრტყეში, სადაც საქმე ეხება აბსოლუტურ სიკეთეებს და აბსოლუტურ ვალდებულებებს — დაუშვებელია იმის თქმა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, პირს აქვს გულისხმიერი ქცევის ვალდებულება, დელიქტური სამართლის გაგებით, რომელიც იცავს სხვა, გარეშე პირის ქონებას (რომელიც ამავედროულად არ არის ჩართული ხელშეკრულებაში). ამგვარი დაშვებისათვის, ეს გარეშე პირი ან უნდა იყოს ჩართული ხელშეკრულებაში, ხოლო თუ არ არის, შეუძლებელია მასზე იმ ზოგადი გულისხმიერების ვალდებულების გავრცელება (მისი ქონების დაცვის მიზნით), რომელიც ამავედროულად ხელშეკრულებით უნდა დაკონკრეტდეს. დელიქტური სამართალი ამგვარად არ ფუნქციონირებს. ის, რაც ხელშეკრულებით კონკრეტდება, წარმოშობს კიდევ მხოლოდ სახელშეკრულებო ან კვამი-სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. ან უნდა დავუშვათ, რომ არსებობს გულისხმიერი ქცევის გენერალური ვალდებულება, რომელიც პირს ავალდებულებს იმგვარად განახორციელოს საკუთარი სახელშეკრულებო ვალდებულება, რომ მესამე პირს ქონებრივი ზიანი არ მიადგეს — თუმცა, ამ დაშვებიდან გამომდინარე, ამ ორ შემთხვევას შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს — ან უნდა ვთქვათ, რომ მესამე პირი მხოლოდ მაშინ არის დაცული, როდესაც ის, ხელშეკრულების

<sup>44</sup> *G. Kegel*, Die lachenden Doppelerben: Erbfolge beim Versagen von Urkundspersonen, FS Flume I, Köln 1978, 545- 558.

<sup>45</sup> *რუსიაშვილი*, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ზემოთ სქ. 7, 229-ე და მომდევნო გვერდები. თუმცა მოცემული შემთხვევა სავარაუდოდ არ ჩაითვლება არც მესამე პირის მიმართ დამცავფეფქტიან ხელშეკრულებად. მომავალი ანდერძისმიერი მემკვიდრე (რომელიც ასეთად ვერ გახდა ადვოკატის შეცდომის გამო) არ არის ჩართული ხელშეკრულებაში, დაცული მესამე პირის სტატუსით, რადგან არ საჭიროებს ამ დაცვას მოცემული კონსტრუქციის შესაბამისი წინაპირობის გაგებით. უფრო ზუსტად: მართლწესრიგი არ იცავს მას ამ რისკისაგან ამ ფორმით. ისევე როგორც არ იცავს მას თავად მამკვიდრებლის მიერ უკანასკნელი ნების გამოხატვისას დაშვებული შეცდომისაგან, რომელიც მას სამკვიდროს მიღმა ტოვებს. ზუსტად ისე, როგორც ამ უკანასკნელ შემთხვევაში ვერშემდგარი მემკვიდრეს ვერ ექნება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ვერ ექნება ეს მოთხოვნა ვერც ადვოკატის შეცდომისას. ადვოკატი აქ წარმოადგენს მხოლოდ მოანდერძის ინსტრუმენტს, რომლის მეშვეობითაც ის ადგენს ანდერძს. შესაბამისად, მისი შეცდომა მესამე პირებთან მიმართებით თავად ამ მოანდერძეს შეერაცხება, ხოლო თავად მოანდერძის შეცდომისაგან კი მომავალი (ანდერძისმიერი) მემკვიდრეები დაცულნი არ არიან.



ბა და ვერც შეგნებული უარი სახელშეკრულებო მოთხოვნის წარდგენაზე ვერ იქნება მემკვიდრის დელიქტური მოთხოვნის გამომრიცხველი. რა თქმა უნდა, თუ ზემოთ ხსენებულ დიქტომიას სრულებით ვუგულვებელყოფთ, დასაშვებია ხანდაზმულობა და კრედიტორის უარი გავავრცელოთ ასევე მემკვიდრის დამოუკიდებელ მოთხოვნაზე, თუმცა ეს, თავის მხრივ, წარმოადგენს აბსოლუტური უფლების გარელატიურებას. ეს ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სისტემის მორღვევას, თუ უფლებების რელატიურ და აბსოლუტურ ბუნებას მუდმივად ერთმანეთში ავურევთ — ჯერ ერთი პირის ფარდობითი უფლების დარღვევის გამო სხვა პირს მივანიჭებთ დელიქტურ მოთხოვნას, ხოლო მოგვიანებით ამ დელიქტურ მოთხოვნას, რომელიც აბსოლუტური უფლებების დაცვას ემსახურება, ისევ ამ პირველი პირის რელატიური უფლების თარგმნად გამოვჭრით. ეს წარმოადგენს სრულებით ასისტემურ და გაუმართლებელ მიდგომას. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია, პასუხისმგებლობა წინარესახელშეკრულებო ურთიერთობიდან და მსგავსი ინსტიტუტები წარმოადგენენ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაზე სწორებით შექმნილ ინსტრუმენტებს, რომლებიც იცავენ ქონებას, თუმცა ამის საპირწონედ მკაცრად არის შემოსაზღვრული იმ პირთა წრე, ვისაც მათგან წარმომდგარი მოთხოვნა შეიძლება მიენიჭოს. იმის დაშვება კი, რომ შეიძლება არსებობდეს გულისხმიერი ქცევის ვალდებულება, რომელიც ყველას წინაშე მოქმედებს, წარმოადგენს აბსოლუტურ ნონსენსს და სრულებით ყურადღების მიღმა დატოვებას დიქტომიისა ხელშეკრულებით დაცულ ინტერესებსა და სამართლებრივი სიკეთეების აბსოლუტურ დაცვას შორის, რომელიც ქართულ მართლწესრიგში ცალსახად არის გამყარებული. ზოგადი გენერალური გულისხმიერი ქცევის ვალდებულება, სხვისი ქონების დაცვის მიზნით — ისე, რომ ეს არ ემყარებოდეს კა-

ნონს, ხელშეკრულებას ან მათი ანალოგიით გამოყენებას (რაც განზოგადებული სახით დამცავი ნორმის ცნების ქვეშ ერთიანდება) —, არ შეიძლება არსებობდეს, რადგან ქონების დამიანება შეიძლება ნებისმიერი ფორმით. მაშინაც კი, როდესაც სამუშაო ადგილისათვის გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთ პრეტენდენტს უკეთესი პროფესიული გამოცდილება აქვს ვიდრე მეორეს და ამის გამო ახერხებს შესაბამისი ადგილის დაკავებას, ამით ის სხვა კონკურენტის ქონებას აზიანებს. მან შეიძლება ეს (კონკურსში მონაწილეობა) სრულებით ამორალური განზრახვით გადაწყვიტოს — მაგალითად, დათმოს თავისი გაცილებით მაღალანაზღაურებადი სამუშაო, რათა დაიკავოს ის ადგილი, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ქვრივისთვის იყო გამიზნული, რათა შური იძიოს მასზე ძველი წყენისათვის. ამის მიუხედავად, ის პასუხს არ აგებს არც გსკ-ის 826-ე პარაგრაფის მიხედვით, რადგან არ არსებობს არანაირი ხელმოსაჭიდი მისი ამორალური ქცევის მართლწინააღმდეგობის ფორმით სამართლებრივ სივრცეში მოთავსებისათვის. თუმცა ზემოთ მოყვანილი ანდერძის შემთხვევა რეალურად ამისგან დიდად არ განსხვავდება. მართალია, ადვოკატმა დაარღვია ხელშეკრულება, მაგრამ ეს დარღვევა მოქმედებს მხოლოდ მისი კონტრაქტის მიმართ. მესამე პირები ამ დარღვევისაგან მხოლოდ ძალიან შეზღუდულ ფარგლებში შეიძლება იყვნენ დაცულნი, როგორცაა, ხელშეკრულება მესამე პირთა მიმართ დამცავი ეფექტით და მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია. ამ ხელშეკრულების დარღვევიდან მართლწინააღმდეგობის დამოუკიდებელი შემადგენლობის შექმნა მესამე პირის დაცვის მიზნით, რომელიც გამოხატული იქნებოდა გულისხმიერი ქცევის ვალდებულების დარღვევაში, დიდად არ განსხვავდება ქვრივის კონკურენტისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისაგან. რა იქნებოდა ამ შემთხვევაში ადვოკატის პასუხისმგებლობის საფუძველი? ის, რომ ეს შემთხვევა შედეგის მხრივ უსამართლოა? ამის პასუხად შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ სათუო და საკამათო შეიძლება იყოს, თუ რომელი შემთხვევაა უფრო „უსამართლო“.

შინაარსიდან გამომდინარე, დაცულ (მესამე) პირთა წრეს განეკუთვნება. ამ დროს კი, მემკვიდრეს ამ ორიდან არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი დამოუკიდებელი დელიქტური მოთხოვნა. რა თქმა უნდა, არსებობს შემთხვევები როდესაც ხდება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მასშტაბის გავრცელება დელიქტურ პასუხისმგებლობაზე, მაგალითად, პასუხისმგებლობის შერბილების ან ხანდაზმულობის ვადის (მაგ. ქირავნობიდან წარმომდგარი ზიანის ანაზღაურების ხანდაზმულობის ვადის) გავრცელება, მაგრამ ზემოთ აღწერილ შემთხვევებში საქმე გვექნებოდა ყველაზე მნიშვნელოვანის გავრცელებაზე, უფრო ზუსტად კი, დელიქტური სამართლის გაგებით მართლწინააღმდეგობის სახელშეკრულებო უმართლობის მასშტაბით განსაზღვრასთან, რაც დაუშვებელია. ეს წარმოადგენს იმ წინაპირობების გვერდის ავლას, რომელსაც შეიცავენ ეს ინსტიტუტები (მაგ. მესამე პირის ზიანის ლიკვიდაცია ან დამცავი ეფექტიანი ხელშეკრულება), რომლებიც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მესამე პირთა წინაშე გაფართოებას ემსახურება. ამ დაშვების შედეგად შესაძლებელია, რომ ყველამ ყველას წინაშე აგოს პასუხი: მაგალითად, იმ მამის დამსაქმებელმა, რომელსაც შემოსავალზე დამოკიდებული ალიმენტის გადახდა ეკისრება შვილისათვის, მამის სამსახურიდან სრულებით უსამართლოდ გაშვების შემდეგ, პასუხი უნდა აგოს ასევე ამ შვილის წინაშე, მიყენებული ქონებრივი ზიანისათვის, თუ მან იცოდა საალიმენტო ვალდებულების შესახებ.

სხვისი ქონების შემცირება, როგორც ასეთი, არ არის მართლწინააღმდეგო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება სხვისი სამართლებრივად დაცული სიკეთის დაუშვებელი ხელყოფის გზით. ამ სამართლებრივად დაცულ სიკეთეებს, რა თქმა უნდა, წარმოადგენენ არა მხოლოდ აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთეები, არამედ ასევე მხოლოდ ქონებაც, თუმცა მათ უკან უნდა იდგეს სამართლებრივად აღიარებული ინტერესი ან რაიმე სამართლებრივი მომენტი. სუფთა ქონებრივი ინტერესის დაცვის კონტექსტში პარადიგმატულია ისეთი დამცავი სამართლებრივი შემადგენლობები, როგორიც არის, მაგალითად, სისხლისსამართლებრივი თადლითობა, როდესაც კანონმდებელი პირველ რიგში ქცევის სანქციონირებას ახდენს. თუმცა ეს არის კონკრეტულ დამცავ ნორმაში გამყარებული შემადგენლობა და არა რაიმე განზოგადებაუნარიანი ქცევის ვალდებულება.

გულისხმიერი ქცევის ვალდებულების არსებობისათვის აუცილებელია მისი მიზმა რაიმე სამართლებრივად დაცულ ინტერესზე. პირველ რიგში, უნდა მოხდეს იმის დადგენა, თუ რას იცავს სამართალი და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იმაზე საუბარი, თუ რა ტიპის ხელყოფისაგან არის ეს ინტერესი დაცული. მხოლოდ სხვისი ქონების შემცირება და გულისხმიერი ქცევის ვალდებულება არასაკმარისია იმისათვის, რომ ერთობლიობაში პასუხისმგებლობის საფუძველი შეადგინოს. მათ შორის უნდა არსებობდეს რაიმე სამართლებრივი მომენტი, სამართლებრივი ბმა, რათა დამზინებელმა პასუხი აგოს ამ ფორმით სხვისი ქონების შემცირებისათვის. სწორედ ამ ბმას წარმოადგენს დამცავი ნორმა, იქნება ის დამცავი კანონისმიერი დანაწესის ფორმით ჩამოყალიბებული, რომელიც კრძალავს ამგვარ ქცევას, თუ იქნება ის აბსოლუტურად დაცული სიკეთის სახით მოცემული.

ამ დამცავი ვალდებულების არსებობა წარმოადგენს მთავარ განმასხვავებელ მომენტს დელიქტური და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობების ერთმანეთისაგან გამიჯნვისათვის, რადგან პირი ერთი და იმავე ფორმით გამოწვეული ერთი და იმავე ზიანისათვის ერთ შემთხვევაში პასუხს აგებს, ხოლო მეორე შემთხვევაში — არა.

როგორც ზემოთ მოყვანილ ექსპერტის პასუხისმგებლობის შემთხვევის მაგალითზე ვახსენეთ, მისი პასუხისმგებლობა დამოკიდებულია კონკრეტულ, დაცულ ინტერესზე და არა მის ქცევასა თუ რეალურად მიყენებული ზიანის ოდენობაზე. ეს თემის ყველაზე ნათლად ჩანს კაბელის გაწყვეტის შემთხვევებში. მაშინაც კი, თუ პირი კაბელის გაწყვეტით გამოწვეული ელექტროენერჯის შეწყვეტის გამო ვერ ახერხებს დროულად წარადგინოს პროექტი სამეცნიერო კონკურსისათვის და ამით 50 000 ლარის ქონებრივ დანაკლისს განიცდის, კაბელის გამწყვეტი პასუხს მაინც არ აგებს, რადგან აქ საქმე არ გვაქვს მოწყობილ და ამუშავებულ საწარმოსთან. ამისგან განსხვავებით, კაბელის გამწყვეტი პასუხს აგებს იმ მინიმალური ზიანისთვისაც კი, რომელიც ელექტროენერჯის შეწყვეტამ იქვე მდებარე სანაყინეს მიაყენა. ეს განსხვავება პასუხისგებისა და არპასუხისგების შემთხვევებს შორის შეიძლება მხოლოდ დამცავი ნორმის (რომლის უკანაც დაცული სიკეთე დგას) საფუძველზე გაკეთდეს.

ზემოთ მოყვანილი შემთხვევა კანადური სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც შეეხებოდა Joint Venture-ს, სხვა არაფერია თუ არა ახალი დამცავი შემადგენლობის სამართლებრივი ფიგურის შექმნა, რადგან მოცემული შემთხვევა — Joint Venture-ის თავდაპირველი დოქტრინით მოცული არ ყოფილა. მოცემული ტიპის სამოსამართლო სამართალშემოქმედება ტოლფასია და უტოლდება გერმანიაში „მოწყობილ და ამუშავებულ საწარმოზე უფლების“ ჩამოყალიბებას.

## VII. შეჯამება

პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სუფთა ქონებრივი ზიანი სწორედ იმიტომ მოიხსენიება „სუფთად“, რომ ის დელიქტური შემადგენლობით პირდაპირ და თავისთავად მოცული არ არის. ეს ზიანი მხოლოდ გამოწვევის შემთხვევებში შეიძლება იყოს ანაზღაურებადი და ეს ასეც უნდა დარჩეს. არ შეიძლება არსებობდეს სხვისი ქონების დაცვის გენერალური ვალდებულება, არა მხოლოდ დელიქტური პასუხისმგებლობის უსაზღვროდ გაფართოების გამო, არამედ პირველ რიგში დოგმატურ-დეფინიციური წინააღმდეგობის მიზეზით. გულისხმიერი ქცევის ვალდებულების საფუძველზე შეუძლებელია მართლწინააღმდეგობის დეფინირება და მისი დაზიანება ვერ იქნება *per se* მართლწინააღმდეგობის განმაპირობებელი. მართლწინააღმდეგობას განაპირობებს მართლწესრიგის მიერ ფუძემდებლური აღიარება იმ ფაქტისა, რომ საწარმო უფრო მეტად არის დასაცავი, ვიდრე მხოლოდ მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც კონკრეტული პირის ქონებას დააკლდა. გამონაკლისის სახით, რა თქმა უნდა, მხოლოდ სუფთა ქონებაც შეიძლება იმსახურებდეს დაცვას. თუმცა ეს საგამონაკლისო შემთხვევა მხოლოდ მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც ხელყოფილი ინტერესი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მართლწესრიგი მას გარკვეულწილად აბსოლუტური სიკეთეების მსგავს დაცვას ანიჭებს დამცავი ნორმის მეშვეობით. მის გვერდით, რა თქმა უნდა, ყოველთვის რჩება ფიქტიური თუ კონკლუდენტური ხელშეკრულებიდან, ისევე როგორც *culpa in contrahendo*-დან პასუხისმგებლობის შესაძლებლობა.

# კანონის ნორმების დასათაურება\*

პროფ. დოქ. კასპარ ფრაი

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის, სავაჭრო და ეკონომიკური სამართლის პროფესორი

ლადო სირდაძე

ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტის დოქტორანტი

## I. შესავალი

დასათაურება ადრე ყოველთვის გამოიყენებოდა კანონის შედარებით უფრო დიდი მონაკვეთებისთვის. 1981 წლიდან გერმანელი კანონმდებელი ცალკეულ პარაგრაფებს სისტემატურად ურთავს ოფიციალურ სათაურებს. მათი ისტორიისა და დანიშნულების მცირე მიმოხილვის შემდეგ სტატიაში წარმოდგენილი იქნება კრიტერიუმები კარგი სათაურებისთვის. განხილული იქნება, რამდენად მიზანშეწონილია მუხლის ნაწილებისა და პუნქტების დასათაურებაც. ტერმინოლოგიური სიმარტივის მიზნით სტატიაში პარაგრაფები და მუხლები სინონიმებად იქნება გამოყენებული, ისევე, როგორც აბზაცები, ნაწილები და პუნქტები.

ნორმათა საგნობრივი დასათაურება ამერიკის შეერთებულ შტატებში უკვე მე-19 საუკუნიდანაა ცნობილი. თუმცა ამ სათაურების განთავსება ხდებოდა არა მხოლოდ ნორმის „ზემოთ“<sup>1</sup>, არამედ ზოგჯერ ტექსტის გვერდით<sup>2</sup> ან მხოლოდ კანონის სარჩევში.<sup>3</sup> გერმანული კანონები, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (გსკ), ნაკლებად იყო მკითხველზე გათვლილი. საგნობრივი სათაურები არსებობდა კოდექსის სტრუქტურის უფრო მაღალი საფეხურებისთვის<sup>4</sup>, მაგრამ არა ცალკეული პარაგრაფებისთვის. 1931 წელს *ჰაი-*

*ნრის შონფელდერმა* ცალკეული მუხლების აღნიშვნებს („§ 1“)<sup>5</sup> კუთხოვან ფრჩხილებში დაურთო არაოფიციალური სათაურები („უფლებუნარიანობის წარმოშობა“). კანონების კრებულის პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ის წერდა: „მე ვფიქრობ, რომ იმისათვის, რომ სტუდენტებს, რომლებიც ვერ კიდევ კანონის გაცნობის პროცესში არიან, ნორმების პოვნა გაუადვილდეთ, აუცილებელი იყო ამ გამოცემისთვის მუხლების სათაურებისა და დეტალური საგნობრივი საძიებლის დართვა და განსაკუთრებულად მარტივი ბეჭდური დიზაინის შემუშავება“.<sup>6</sup> ეს იდეა, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც განხორციელდა.<sup>7</sup> 1980 წლამდე მუხლების ოფიციალური დასათაურება იძებნებოდა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში და უმეტესწილად კანონქვემდებარე აქტებში<sup>8</sup>, 1934 წელს პარაგრაფების სათაურები ოფიციალურად დაერთო „სახლიდან მუშაობის შესახებ კანონს“ (RGBl. I, S. 214).

მხოლოდ 1981 წლიდან დამკვიდრდა წესი, რომ ახალი გერმანული კანონებისთვის პარაგრაფების სათაურები დაერთო.<sup>9</sup> ზოგიერთ ძველ კანონს, როგორებიცაა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და სასამართლოების შესახებ ფედერალური კანონი, ვერ კიდევ მხოლოდ გამომცე-

\* სტატია ნაწილობრივ ეფუძნება 2016 წელს გამოქვეყნებულ სტატიას (ZG 2016, 325), რომელზედაც პასუხისმგებელია პროფ. დოქ. კასპარ ფრაი.

<sup>1</sup> 1900 Lacey Act, 18 USC 42-43 16 USC 3371-3378, <http://www.fws.gov/le/pdf/Files/Lacey.pdf>; შდრ. სქ. 58.

<sup>2</sup> The Societies Registration Act, 1860; 1917 Immigration Act: H.R. 10384; Pub.L. 301; 39 Stat. 874. 64th Congress; February 5th, 1917, [http://library.uwb.edu/guides/usimmigration/1917\\_immigration\\_act.html](http://library.uwb.edu/guides/usimmigration/1917_immigration_act.html). მაგალითად, Chapter 29-ის ტექსტის გვერდითა ველზე წერია: “Immigration Act. ‘Aliens’ defined,” ქვემოთ კი: „Enforcement in the Philippines.“ გვერდითა ველზე განთავსებული ეს შენიშვნები არ მიეკუთვნება ნორმის ტექსტის რომელიმე კონკრეტულ ნაშს.

<sup>3</sup> Investment Company Act of 1940 [as amended through P.L. 112-90, approved January 3, 2012], <https://www.sec.gov/about/laws/ica40.pdf>: “TABLE OF CONTENTS Sec. 1. Findings and Declaration of Policy. Sec. 2. General Definitions [...]”.

<sup>4</sup> 1900 წელს გსკ-ში არ იყო ქვეთავები, (მაგალითად, 1415-ე პარაგრაფის წინ), ანუ მოცემული იყო სტრუქტურის მხოლოდ ხუთი საფეხური. გერმანული კანონების სტრუქტურასთან დაკავშირებით იხ. *Hamann*, ZG 2015, 381, 391 f.

<sup>5</sup> ტერმინოლოგიასთან დაკავშირებთ შდრ. das Handbuch der Rechtsförmlichkeit, herausgegeben vom Bundesministerium der Justiz, 3. Aufl. 2008, <http://hdr.bmj.de>, C. 5.2., Rn. 369, 372. ამაზე მიუთითებენ ბუნდესსამინისტროების საერთო დებულების 42-ე პარაგრაფის მე-4 აბზაცი და die sächsische VwV Normerlass vom 5.7.2014, SächsABl. 858, 860 zu Anlage 2. ვრცლად *Hamann*, ZG 2015, 381, 386.

<sup>6</sup> ციტირებულია *Hans Wrobel*, Heinrich Schönfelder – Sammler Deutscher Gesetze, Beck, 1997, 53.

<sup>7</sup> სხვა გამომცემლებმა, როგორებიცაა NOMOS, WoltersKluwer und C.F. Müller ეს დანერგეს 1949-1986 წლებში (იხ. შესაბამისი გამოცემები), 1950 წელს ეს მოხდა კანონში (BGBl. I, 45) das Gesetz über den Lohnsteuer-Jahresausgleich für das Kalenderjahr 1949; 1956 წელს – das BwahlG, BGBl. I, 383. Palandt-ში საგნობრივი სათაურები მოცემულია 1975 წლის 34-ე გამოცემიდან (იხ. C.H. Beck oHG vom 16.11.2015).

<sup>8</sup> მაგალითად, 1922 წელს RGBl. I, 762; 1929 წელს კი RGBl. I, 9, 15, 33, 112.

<sup>9</sup> გერმანული ნორმების ერთ მეხუთედს არ აქვს სათაურები, იხ. *Hamann*, ZG 2015, 381, 388.

მლის მიერ დართული სათაურები ახლავს<sup>10</sup>, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან.<sup>11</sup> სხვა ძველი კანონები, როგორცაა, მაგალითად, სავაჭრო კოდექსი, თანდათან გარდაიქმნა: კანონში ცვლილების ან დამატების შეტანისას გათვალისწინებული იყო ასევე სათაურებიც. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სრულად დასათაურდა 2002 წელს.<sup>12</sup> ევროპის კავშირი მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან ასევე სულ უფრო მეტად იყენებს მუხლების სათაურებს.<sup>13</sup>

საქართველოში ისტორიული სამართლის ძეგლებითვის მუხლების სათაურები უცხო იყო<sup>14</sup>. სათაურებს არ შეიცავდა არც 1921 წლის კონსტიტუცია. ამის საპირისპიროდ, საბჭოთა კანონებში ცალკეული ნორმები უკვე დასათაურებული იყო. უმეტესწილად, ეს ტენდენცია გაგრძელდა დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც, თუმცა ეს, სავარაუდოდ, უფრო მეტად არა საბჭოთა ტრადიციის გაგრძელება, არამედ გერმანული საკანონმდებლო აქტების დამსახურებაა, რომლებიც ნიმუშად ჰქონდა ქართველ კანონმდებელს. 1997 წელს, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, გსკ ჯერ კიდევ არ შეიცავდა პარაგრაფების სრულ დასათაურებას. თუმცა ეს პრაქტიკა გერმანიაში უკვე დამკვიდრებული იყო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ქართველმა კანონმდებელმაც დაურთო სკ-ს სათაურები. მაგრამ სათაურები რატომღაც არ დაურთეს საქართველოს კონსტიტუციას 1995 წელს. 2018 წელს ამოქმედებულ კონსტიტუციის ახალ რედაქციაში უკვე წარმოდგენილია მუხლების სათაურები, რაც უდავოდ წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა იქნეს მიჩნეული.

სათაურები კანონს ხდის ადვილად აღქმადს და ემსახურება მის უკეთ წაკითხვას.<sup>15</sup> მკითხველს, როგორც წესი, გააჩნია კონკრეტული სამართლებრივი შეკითხვა და სურს, სათაურის დახმარებით გაიგოს, დაეხმარება თუ არა ნორმის წაკითხვა პასუხის პოვნაში. ამ გზით მას შეუძლია მარტივად იპოვოს ზუსტად ის ნორმა, რომელიც აინტერესებს. ამიტომ

მცირე მოცულობის კანონებში შეიძლება უარიც კი ითქვას საგნობრივ დასათაურებაზე.<sup>16</sup> კანონთა ფორმირების შესახებ სახელმძღვანელო<sup>17</sup> სწორად აღნიშნავს, რომ სათაურები ხელს უწყობს ტექსტში ორიენტირებას; თუ კანონმდებელი სირთულეს აწყდება სათაურის შერჩევისას, ეს ნიშნავს იმას, რომ ერთ მუხლში ძალიან ბევრი შინაარსია თავმოყრილი<sup>18</sup>. შედეგად, დასათაურების ვალდებულება ნიშნავს ნორმის ცხადად ფორმულირების დავალდებულებას. მაგრამ სიცხადე არ უნდა გამოიმდინარეობდეს სათაურიდან.<sup>19</sup> ნორმა თავისთავად, ყველაფრისგან დამოუკიდებლად, უნდა იყოს ცხადი. ქართული კანონმდებლობისთვის მუხლების სათაურები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს, მაშინ, როცა კანონებს არ გააჩნიათ საგნობრივი სარჩევი, ფაქტობრივად, ორიენტაციის ერთადერთი საშუალებაა მკითხველისთვის. მართალია, 2018 წელს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის ინიცირებულ ვერსიას<sup>20</sup> ერთვოდა სარჩევი, მაგრამ საპარლამენტო განხილვებისას ამ იმედის მომცემ იდეაზე (რა თქმა უნდა) უარი ითქვა. საგნობრივი სარჩევების დართვა (ბუნებრივია, გვერდების მითითების გარეშე) შესაძლოა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ყოფილიყო ქართული საკანონმდებლო საქმიანობისთვის.

Beck-ის გამოცემლობის შიდა სახელმძღვანელო მითითებებში აღნიშნულია: „სათაურები ... რაც შეიძლება მოკლედ და მკაფიოდ<sup>21</sup> უნდა აღნიშნავდნენ შინაარსს; სიმოკლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეტალური სიზუსტე... თუ ერთ პარაგრაფში რამდენიმე ასპექტია მოწესრიგებული, რომლებიც ერთ ზოგად ცნებაში შეიძლება მოექცეს, მხოლოდ ის უნდა იქნეს გამოყენებული სათაურად... ამის საპირისპიროდ, თუ საქმე ეხება სხვადასხვა განსხვავებულ შინაარსს, რომლებიც საჭიროა, რომ მკაფიოდ გამოითქვას სათაურში, მაშინ ყველა მათგანი უნდა დასახელდეს; იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ახლოს თუ შორს დგანან დარეგულირებული სფეროები, ისინი გამოყოფილი უნდა იქნეს მძიმით ან წერტილ-მძიმით.“

<sup>10</sup> დამატებითი მაგალითებისა და სტატისტიკისთვის იხ. Hamann, ZG 2015, 381, 388 f.

<sup>11</sup> მაგ., § 213 StPO: Nomos, Beck — „Terminbestimmung“; C.F.Müller — „Terminsanberaumung“; Carl Heymanns Verlag — „Bestimmung der Hauptverhandlung“.

<sup>12</sup> შდრ. ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების შესახებ 2001 წლის 26 ნოემბრის კანონის პირველი მუხლის მეორე აბზაცის დანართი. გსკ-ში მხოლოდ 1588-ე პარაგრაფს არ აქვს პარაგრაფის სათაური. Beck გამოცემლობა (იხ. სტატიაში I.) ასეთ დროს ემხრობა არაოფიციალური სათაურის დამატებას. პირველად მასშტაბურად სათაურები დაემატა 2000 წლის 27 ივნისის კანონის მე-2 მუხლის პირველი აბზაცით (BGBl. I 2000, 897, 899).

<sup>13</sup> მაგალითად, შემდეგ დირექტივაში: 2000/43/EG des Rates vom 29. Juni 2000 zur Anwendung des Gleichbehandlungsgrundsatzes ohne Unterschied der Rasse oder der ethnischen Herkunft (ABl Nr. L 180 22), მაგრამ არა - Richtlinie über harmonisierte Investmentfonds (OGAW-Richtlinie) 2009/65/EG des Europäischen Parlaments und des Rates vom 13. Juli 2009 (AbI L 302 vom 17.11.2009, 32).

<sup>14</sup> შდრ. „გარიგება ხელშეწყობის კარისა“.

<sup>15</sup> მაგალითად, BT-Drs. Nr. 14/6040, 272, Zu Absatz 2 (34).

<sup>16</sup> შევიცარიაში ხუთ მუხლზე ნაკლების შემთხვევაში შესაძლოა სათაურებზე უარი ითქვას; Gesetzestechische Richtlinien des Bundes, 2. Aufl. 2013, korrigierter Nachdruck 2015, letzte Änderung 11.8.2015, herausgegeben von der Schweizerischen Bundeskanzlei, <https://www.bk.admin.ch/themen/gesetz/00050/index.html>. - შდრ. ასევე 2.1.8 der Niederösterreichischen Legistischen Richtlinien 2015.; Drucktechnische Hervorhebungen erleichtern das „Schnelllesen“ des Textes.

<sup>17</sup> HdR 2008 (სქ. 5) Rn. 372.

<sup>18</sup> მსგავსად Esslinger/Schneider, Die Überschrift, 5. Aufl. 2015, Vorwort.

<sup>19</sup> შდრ. მაგრამ HdR 2008 (სქ. 5) Rn. 372 „Auslegungshilfe“. ასევე, კრიტიკულად: Hamann, ZG 2015, 381, 388.

<sup>20</sup> რეგლამენტის ინიცირებული ვერსია იხ.: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186619?>

<sup>21</sup> მკაფიოდ და მოკლე სამართლებრივი ენა განმანათლებლობის წყალობით სავალდებულო მინიმუმად არის მიჩნეული. შდრ. Schneider, Gesetzgebung. Ein Lehr- und Handbuch, 3. Aufl. 2002, Rn. 436 f.

შესაძლოა სასურველი იყოს გაზეთების სათაურების შესწავლა და მაგალითის მათგან აღება. თუმცა გაზეთსა და კანონში მიზნები განსხვავებულია. პირველ შემთხვევაში სათაურები კონკურენციისას ემსახურება მკითხველის ყურადღების მიქცევასა და გაყიდვების რაოდენობის გაზრდას. ისინი ეძებენ გამონაკლისს<sup>22</sup> და არა წესს. მათი მიზანია, მკითხველს გაუჩინონ წაკითხვის მოტივაცია<sup>23</sup>, გამოიწვიონ მისი გაოცება, მიაწოდონ რეალობის გადაჭარბებული სურათი და გაუკეთონ პროვოცირება (მაგალითად, „ორი წლის შემდეგ მყიდველი ყველა შანსს კარგავს“ ნაცვლად ისეთი სათაურებისა, როგორებიცაა „ხანდაზმულობა“ ან „ხანდაზმულობის ჩვეულებრივი ვადა“). მუხლების დასათაურება, ამის საპირისპიროდ, ემსახურება ორიენტირებას. მათ არ სჭირდებათ ორიგინალობა, გადაჭარბება ან შეფასება<sup>24</sup>. არ არსებობს დაპირების საჭიროება, რომ ნორმის წაკითხვა ღირს. ნორმები, როგორც წესი, უფრო კომპაქტურია, ვიდრე გაზეთის სტატიები და, შესაბამისად, საჭიროებენ უფრო პატარა სათაურებს და მხოლოდ თემატიკაზე მითითებას.

## II. კრიტერიუმები კარგი სათაურისთვის

ნორმათა სათაურებს, როგორც კანონში, ისე ხელშეკრულებაში, უნდა გააჩნდეს შემდეგი მახასიათებლები, რომლებიც ქვემოთ მნიშვნელობის მიხედვითაა დასახელებული:

### 1. სწორი

გსკ-ში სათაურებს შორის ძალიან ცოტა შეცდომაა. ენობრივად, ალბათ, „§ 907 საფრთხის შემცველი ნაგებობის“ ნაცვლად უკეთესი იქნებოდა, მაგალითად, „მეზობლად მდებარე ნაგებობიდან მომდინარე საფრთხე“. შინაარსობრივად „§ 56: კავშირის წევრთა მინიმალურ რაოდენობის“ ნაცვლად უკეთესი იქნებოდა „წევრთა რაოდენობა რეგისტრაციისას“, რადგანაც რეგისტრაციის შემდეგ კავშირში დასაშვებია 7 პირზე ნაკლების არსებობაც. მაგრამ *სწორი* არ ნიშნავს *ამომწურავს*, რადგანაც ამ შემთხვევაში მთლიანი სამართლებრივი ჩანაწერის გამეორება იქნებოდა საჭირო სათაურში.

სკ-ში შედარებით მეტი მუხლის სათაურია შეცდომით. ხშირად ეს შეცდომები არც თუ ისე უმნიშვნელოა და სათაური რადიკალურად განსხვავდება ნორმის შინაარსისგან. მაგალითად, 401-ე მუხლის სათაურია „ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა“, ხოლო ნორმის ტექსტი საუბრობს ვადის გადაცილებაზე ვალდებულების იმ გარემოე-

ბათა გამო შესრულებლობისას, რომლებიც მოვალის ბრალით არაა გამოწვეული და არა შესრულების შეუძლებლობაზე, როგორც შესრულების ვალდებულებისგან გათავისუფლების საფუძველზე<sup>25</sup>. არასწორია ასევე, მაგალითად, 491-ე მუხლის სათაური „მუხლი 491. მყიდველის მიერ ხელშეკრულების მოშლის უფლება“. ეს მუხლი, რეალურად, ხელშეკრულებიდან გასვლას გულისხმობს და მიუთითებს კიდევ 352-ე მუხლზე (ის ფაქტი, რომ ტერმინი ნორმის ტექსტშიც არასწორადაა გამოყენებული, არ ნიშნავს, რომ სათაური იმავე ტერმინის გამოყენების გამო სწორია). შეცდომაა ასევე სკ-ის 298-ე მუხლშიც, რომლის სათაურიცაა „მესამე პირის უფლებები“. მუხლი ადრე შეიცავდა პირველ ნაწილსაც, რომელიც ეხებოდა იპოთეკისას მესამე პირის უფლებებს, ხოლო მეორე ნაწილი – პირადი მოვალის უფლებებს. 2007 წელს მუხლიდან პირველი ნაწილი ამოღებულ იქნა და მუხლი აღარ ეხება „მესამე პირებს“, არამედ მხოლოდ „პირად მოვალეს“. მიუხედავად ამისა, სათაურად მაინც „მესამე პირის უფლებები“ რჩება, რაც არასწორია – ნორმის სისტემური და ისტორიული განმარტებით ნათელია, რომ პირადი მოვალე და მესამე პირი ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.

არასწორი სათაურის შეცვლა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივითაა შესაძლებელი. ეს აუცილებელია, როდესაც აცდენა ნორმის სათაურსა და შინაარსს (და არა ტექსტს!) შორის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სათაურმა მკითხველს, რომელიც გარკვეულ შეკითხვაზე პასუხს ეძებს, შესაძლოა, არასწორი წარმოდგენა შეუქმნას ნორმაზე და გადააფიქრებინოს საჭირო ნორმის წაკითხვა ან, პირიქით, არასაჭირო ნორმაზე გადაატანინოს ყურადღება. მეორე მიზეზი, რის გამოც ნორმის სათაურში ცვლილების შეტანა აუცილებელია, ეს არის ისეთი აცდენა (სათაურსა და შინაარს შორის), როდესაც ნორმის განმარტება არასწორ სათაურს შეიძლება დაეფუძნოს და კანონმდებლის ნებაზე მცდარი წარმოდგენა შექმნას. სხვა შემთხვევებში სათაურის შეცვლა საჩქარო არ არის და ეს შეიძლება ეტაპობრივად მოხდეს<sup>26</sup>.

უფრო რთულადაა საქმე არა მუხლების, არამედ მთლიანი კანონის შემთხვევაში. ასეთ დროს შეცდომა განსაკუთრებით დამაბნეველია მკითხველისთვის. მაგალითად, „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ ბევრად უფრო მეტს მოიცავს შინაარსობრივად, ვიდრე ბავშვის უფლებები. ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, „ბავშვის კოდექსი“ უკეთესი სახელი ყოფილიყო, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვერსია ინიცირებამდე განიხილებოდა, კოდექსის პროექტის ინიცი-

<sup>22</sup> *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 1.

<sup>23</sup> *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 4 f. , Forderung 5: Lese-Anreiz. Es geht um Funktion, nicht um Niveau. *Wir sind Papst!* ist gelungen, „*Top-Geheimnis überraschend gelüftet*“ dagegen inhaltsarm.

<sup>24</sup> ჟურნალისტიკაში ასევე *კომენტარი*: ობიექტურ სათაურებს მოსდევს ასევე კომენტარული სათაური. შდრ. *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 11-24.

<sup>25</sup> შესრულების შეუძლებლობასთან დაკავშირებით იხ. *სირდაძე*, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 1/2019, 57.

<sup>26</sup> იხ., მაგ., „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N4248-რს, 27.12.2018) პირველი მუხლის მე-2 პუნქტი (მოცემული სათაური დახვეწას იმ მხრივაც საჭიროებს, რომ ის 19 ხაზიანია, რაც ყოველად გაუმართლებელია).



რება მაინც „უფლებებზე“ მითითებით მოხდა. ზოგჯერ კანონის სათაურში შეცდომა არა გამოყენების სფერო, არამედ ტექნიკური მითითება კანონის რანგზე. მაგალითად, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი 2018 წელს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედებამდე საქართველოს კანონის რანგს ატარებდა. მაგრამ კანონმდებლობის კონსტიტუციასთან ჰარმონიზაციის ფარგლებში არ მომხდარა „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდაქმნა „ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონად. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ 2018 წლის დეკემბერში ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტში ნორმატიული აქტების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილების ინიცირება მოხდა არა საქართველოს ორგანული კანონის, არამედ საქართველოს კანონის გზით, რაც გაცილებით ნაკლებ კვორუმს მოითხოვს და კონსტიტუციურ ჩანაწერს ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ სათაურში არასწორი ტექნიკური მითითება „საქართველოს ორგანული კანონის“ თუ „საქართველოს კანონის“ შესახებ კანონის (კონსტიტუციით გარანტირებულ) რეალურ რანგს არ ცვლის და პროექტს ორგანული კანონისთვის საჭირო კვორუმით ეყარა კენჭი, სადავოა, რამდენად სწორი პროცედურაა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა პარლამენტის თავმჯდომარის მიერ სხდომაზე უბრალო გამოცხადებით, რომ, რადგანაც კონსტიტუციით ნორმატიული აქტების შესახებ კანონი ორგანული კანონის რანგს ატარებს, არასწორად ინიცირებული პროექტის განხილვა არა საქართველოს კანონისთვის, არამედ საქართველოს ორგანული კანონისთვის დადგენილი კვორუმით უნდა მოხდეს და სათაური ავტომატურად უნდა ჩასწორდეს.

## 2. მარტივად აღქმადი

მკითხველს ეგრევე უნდა შეეძლოს აღიქვას, თუ რას ეხება კანონის ტექსტში საქმე. ეს ასე არაა, მაგალითად, გსკ-ის 38-ე პარაგრაფში, რომლის სათაურიცაა „წევრობა“. წევრობაზე საუბარი წინა და მომდევნო პარაგრაფებშიც. უფრო მარტივად აღქმადი იქნებოდა — როგორც ეს გერმანიის შპს-ს შესახებ კანონის მე-15 პარაგრაფშია — „წევრობის გადაცემა“. ეს არ არის ყოვლისმომცველი, მაგრამ ყველაზე გამოსადეგია ამ მუხლისთვის. სკ-ის 38-ე მუხლის სათაურია „ზიანის ანაზღაურება“. ამ სათაურიდან არ ჩანს ვის პასუხისმგებლობასა და რა სახის ზიანს ეხება საქმე. მკითხველმა ნორმა უნდა გადაიკითხოს, რათა მიხვდეს, რაზეა მასში საუბარი. ეს არის იმის დასტური, რომ სათაური თავის საორიენტაციო ფუნქციას სრულყოფილად ვერ ასრულებს და არ გამოხატავს სათქმელს ადვილად. სხვა მაგალითი შეიძლება იყოს 289<sup>1</sup> მუხლი, რომლის სათაურიცაა „იპოთეკის მოწმობა“. მართალია, სათაური მოკლეა (რაც დადებითად უნდა შეფასდეს), ის ფაქტი, რომ მომდევნო შვიდ მუხლშიც

იპოთეკის მოწმობაზე საუბარი, 289<sup>1</sup> მუხლის სათაური ამ ფონზე დამახინჯებლად გამოიყურება, რადგანაც არ ჩანს, იპოთეკის მოწმობის თუ რა ასპექტს ეხება ნორმა.

სათქმელს ვერ გამოხატავს და შეცდომაში შემყვანია ასევე სკ-ის 545-ე მუხლის სათაური „გამქირავებლის ვალდებულება“. გამქირავებლის ვალდებულებები გაცილებით უფრო ფართოდაა ქირავნობის თავში წარმოდგენილი, ვიდრე ამ ორნაწილიან მუხლში მოცემულ ხარვეზზე მითითებაა.

გამომხატველობით გამოირჩევა ასევე რიცხვებიც. ისინი სათქმელს გამოხატავენ მკაფიოდ, საიმედოდ და ობიექტურად. „§ 195 ხანდაზმულობის ჩვეულებრივი ვადის“ შემდეგ არსებობს მოლოდინი, რომ იქნება „§ 197 ხანდაზმულობის ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში“. 197-ე პარაგრაფის არსებული სათაური „ოცდაათწლიანი ხანდაზმულობის ვადა“ უკეთესია. რა თქმა უნდა, რიცხვების სანდობას თან სდევს რისკიც, რომ მკითხველი ტექსტის წაკითხვის გარეშე დაეცრდნობა სათაურში მითითებულ მონაცემებს. ამიტომ, ისეთი სათაურები, რომლებიც რიცხვებს შეიცავს, კიდევ უფრო მეტი ყურადღებით უნდა შეირჩეს, ვიდრე სიტყვობრივი სათაურები. მაგალითად, ჰიპოთეკური სათაური „ხელშეკრულების მოშლა თვის მე-15 რიცხვამდე ან თვის ბოლომდე“ (გსკ-ის 622-ე პარაგრაფის პირველი აბზაცი) შეცდომაში შეიყვანდა მკითხველს, რადგანაც მეორე აბზაცი განსხვავებულ რამეს აწესებს.

ზოგჯერ ბუნდოვანია არა მხოლოდ პარაგრაფის, არამედ მთლიანად კანონის სახელიც. მაგალითად, დამახინჯებულია პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის სათაურიც, რომელიც რატომღაც სამშენებლო სამართლის მარეგულირებელ ნორმებსაც შეიცავს. განსაკუთრებული სირთულეები წარმოიშობა, როდესაც საქმე ეხება იმ კანონს, რომლითაც სხვა კანონში შედის ცვლილება. ყოველად გაუმართლებელია საქართველოს პარლამენტში ადრე არსებული მიდგომა, როდესაც სათაურით „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონი ეხებოდა მთელ რიგ სხვადასხვა ნორმატიულ აქტს და ამით მკითხველისთვის სრულიად გაუგებარს ხდიდა, თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონოდა ამ კანონისგან. დღეს ეს პრობლემა პრაქტიკაში აღარ დგას, მაგრამ პარლამენტი ერთი და იმავე სათაურით იღებს არაერთ სხვადასხვა კანონს, მაგ.: „საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“. ასეთ დროს სასურველი კანონის სათაურის მიხედვით იდენტიფიცირება რთულია როგორც მკითხველისთვის, ისე კანონმდებლისთვის (როდესაც საჭიროა ერთ-ერთ მათგანში ცვლილების შეტანა). გამოსავალი იქნებოდა ასეთი ტიპის კანონებში თარიღის ან ნომრის<sup>27</sup> დართვა, რაც

<sup>27</sup> ნომერი და თარიღი ისედაც ენიჭება კანონპროექტს პარლამენტში, თუმცა სათაურში არ აისახება.

უფრო ადვილად იდენტიფიცირებადს გახდიდა კონკრეტულ კანონს.

### 3. კომენტარისგან თავისუფალი

კანონმდებლის მცდელობა, დააკონკრეტოს სამართლებრივი ტექსტი, უნდა განხორციელდეს თავად ნორმაში და არა სათაურში. „ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება“ ან „ბანკის კლიენტების დაცვა“ თუმცა ეფექტურად ჟღერს, მაგრამ კონკრეტულად არ ასახავს ნორმის შინაარსს. გსკ-ის 720-ე პარაგრაფის სათაურია: „კეთილსინდისიერი მოვალის დაცვა“. ესეც გარკვეულწილად კომენტარია და თანაც ცუდი კომენტარი. ეს ნორმა იცავს ასევე უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედ მოვალესაც, რომელიც, 932-ე პარაგრაფის გაგებით, არ არის „კეთილსინდისიერი“. სწორი კომენტარი იქნებოდა „მოვალის დაცვა არცოდნის შემთხვევაში“, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ კომენტარი საერთოდ არ იქნებოდა მოცემული: „მოვალის არცოდნა“. ეს უფრო მოკლეა და უფრო ერგება ნორმას. დაცვის მიზნის შესახებ სწორი მითითება სათაურში – ნორმის ტექსტის ზემოთ – ზედმეტია. სათაურში დოგმატური მითითებები არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ანალოგიურად, უმჯობესი იქნებოდა, თუ სკ-ის 185-ე მუხლის სათაურშიც არ იქნებოდა მითითება „შემძენის ინტერესების დაცვაზე“. ამის საპირისპიროდ, გამართლებულად უნდა იქნეს მიჩნეული სკ-ის 187-ე მუხლის სათაური „კეთილსინდისიერი შემძენი“, რომელიც ყოველგვარი კომენტარის გარეშე უქმნის მკითხველს წინასწარ შთაბეჭდილებას, რომ მუხლში იმ წინაპირობებზე იქნება საუბარი, რომლებიც სახეზე უნდა იყოს საკუთრების კეთილსინდისიერად მოსაპოვებლად. სწორია, რომ გსკ-ის 242-ე პარაგრაფის სათაურში არაა მითითებები, როგორებიცაა: გენერალური დათქმა ან მოსამართლის დისკრეციის ფარგლები. რა თქმა უნდა, კომენტარისგან თავის შეკავება იდეალური ვარიანტია და ზოგჯერ კომპრომისზე წასვლა საჭიროა. მაგრამ შეცდომას თავს არიდებს ის, ვინც კომენტარს არიდებს თავს. თუმცა, უპირველეს ყოვლისა, მთავარია, რომ ნორმის ტექსტის ბუნდოვანება იქნეს თავიდან აცილებული. ასეთ დროს – მაგალითად, გსკ-ის 720-ე პარაგრაფის შემთხვევაში – სათაურში არსებული შეცდომა პრობლემებს არ იწვევს.

### 4. გასაგები

სამართლებრივი ნორმები ხშირად გაუგებარია წინადადებათა წყობის გამო, ხოლო სათაურები – ცალკეული სიტყვების გამო. უცხოენოვანი ტერმინები, გაუგებარი ტექნიკური ცნებები და გრძელი სიტყვები შეიძლება ჩანაცვლდეს უფრო გასაგები ენით. ეს ხელს უწყობს უკეთეს ორიენტირებას და მკითხველს უბიძგებს წაკითხვისკენ.

სიცხადე დამოკიდებულია ადრესატზე. მათ შორის არიან ასევე არაიურისტებიც.<sup>28</sup> ადრესატთა უმრავლესობისათვის გაუგებარი გამონათქვამები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს შერჩეული, თუ ის გაცილებით უფრო ზუსტია. ასე მაგალითად, სააქციო საზოგადოებების შესახებ კანონის ნმ-ე პარაგრაფის სათაური შეიცავს სიტყვას „ვინკულირება“, მაშინ, როცა არაიურისტებისთვის სათაურის მეორე ნაწილი – „საზოგადოების წილის გასხვისება“ – საკმარისი იქნებოდა. მუხლი რომ მხოლოდ „სახელობითი აქციების ვინკულირებას“ ეხებოდეს, ალბათ, „სახელობითი აქციების შეზღუდული გადაცემა“ უკეთესი სათაური იქნებოდა. თუ საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა უფრო ნაკლებად ზუსტია (პარტნიორთა კრება) და ნაკლებად დამკვიდრებული ტერმინიც ზუსტად ასევე გასაგებია (პარტნიორთა ერთიანობა), პირველ მათგანს უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს. ეს უკანასკნელი უკეთესად გამოხატავს, რომ პარტნიორები ერთსა და იმავე ადგილას არ უნდა „შეიკრიბონ“, რათა გადაწყვეტილება მიიღონ (შპს-ის შესახებ კანონის 48-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცი).

სკ-ის 310-ე მუხლის სათაურია „ნივთის იძულებითი მართვა (სეკვესტრი)“. მხოლოდ „სეკვესტრი“ არაიურისტი მკითხველისთვის, რომელიც ნივთის იძულებითი მართვის მარეგულირებელ ნორმას ეძებს, გაუგებარი იქნებოდა. მხოლოდ „ნივთის იძულებითი მართვა“ ამ შემთხვევაში სჯობდა ფრჩხილებში ტექნიკური ტერმინის – „სეკვესტრის“ დართვაც, რადგანაც ეს ძალიან არ ტვირთავს სათაურს.

თუ სიტყვა შეიცავს ხუთ ხმოვანზე<sup>29</sup> ან ოც ასოზე მეტს, შესამოწმებელია, არის ის ტექნიკური თუ მკითხველისთვის ცნობილი ტერმინი და თუ შესაძლებელია მათი უკეთესად დაყოფა. აღნიშნული პრობლემა ენობრივი თვალსაზრისით გერმანულ კანონებში უფრო აქტუალურია, ვიდრე ქართულში. სიტყვის დაყოფის შემთხვევაში სათაური უფრო გრძელი, მაგრამ უფრო გასაგები იქნება. მაგალითად, გსკ-ის 838-ე პარაგრაფში არსებული სიტყვა „Gebäudeunterhaltungsverpflichteten“ („შენობისშენარჩუნებადავალდებულებული“) შეიძლება ჩანაცვლდეს, სულ მცირე, სიტყვებით: „zur Gebäudeunterhaltung Verpflichteten“ („პირი, რომელსაც ეკისრება შენობის შენარჩუნება“). ორივე მათგანი ერთსა და იმავე შინაარსს – შენობის შენარჩუნების ვალდებულებას – გამოხატავს. იგივე ითქმის გსკ-ის 2338-ე პარაგრაფზე,

<sup>28</sup> ადრესატებთან დაკავშირებით იხ. *Antas*, in: *Verständlichkeit als Bürgerrecht?*, 9 ff. m.w.N. კანონების გარკვეულობასთან დაკავშირებით *Lötscher*, *Bulletin suisse de linguistique appliquée* 62/1995, 109–127, insbes. 118 f.: *Das Prinzip normativer Relevanz verbietet weitgehend verständnisfördernde Beispiele und Wiederholungen.* *Müller*, *Elemente einer Rechtssetzungslehre*, 1999, Rn. 147: *Adressaten sind Juristen und Fachleute, die vermitteln.*

<sup>29</sup> *Schneider* (სქ. 21) Rn. 439 will keine Zusammensetzungen mit mehr als drei Gliederworten; sein kürzestes Beispiel hat acht Silben und 28 Buchstaben.

„Pflichtteilsbeschränkung-ის“ („სავალდებულო წილის შეზღუდვა“<sup>30</sup>) ნაცვლად სავალდებულო წილის შეზღუდვა შესაძლოა გამოხატული ყოფილიყო სიტყვებით „Beschränkung des Pflichtteils“ („სავალდებულო წილის შეზღუდვა“). სათაურის პირველ სიტყვას უფრო მეტი დატვირთვა ენიჭება, ვიდრე მომდევნოს. ამიტომ გსკ-ის 1004-ე პარაგრაფის შემთხვევაში „მოთხოვნა აღმოფხვრასა და მოქმედებისგან თავის შეკავებაზე“ (მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების შერწყმა აქ არ ხდება – „Anspruch auf Beseitigung und Unterlassung“) შეიძლება ბევრად უკეთესი არ იყოს, ვიდრე „Beseitigungs- und Unterlassungsanspruch“ – „აღმოფხვრისა და თავის შეკავების მოთხოვნა“.

ბოლოს, აუცილებელია, რომ თავიდან იქნეს აცილებული ტერმინოლოგიური აღრევის საფრთხე. მაგალითად, გერმანულ საკანონმდებლო ტერმინოლოგიებში „Geschäftsführung“ (სიტყვა-სიტყვით: „საქმეების გაძღვლა“), ერთი მხრივ, აღნიშნავს საზოგადოების მართვას, მეორე მხრივ კი (დავალების გარეშე სხვისი) საქმეების შესრულებას, „Erfüllungsort“ (სიტყვა-სიტყვით: „შესრულების ადგილი“) გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე პარაგრაფისა და ასევე ვალდებულების შესრულების ადგილის გაგებით ან „nicht rechtsfähige Vereine“<sup>31</sup> (გსკ-ის 54-ე მუხლში იგულისხმება არა უფლებასაზღვრავი არაა, არამედ რეგისტრაციის არქონა). მიუღებელია სიტყვების თამაში, ფარული მინიშნებები, გართიმვა და ალიტერაცია, რადგანაც ისინი სათქმელს თითქმის ყოველთვის აგრძელებენ ან ბუნდოვანს ხდიან.<sup>32</sup>

## 5. მოკლე

### ა) ზედმეტი სიტყვების გამოტოვება

სიმოკლე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დეტალური სიზუსტე<sup>33</sup>. ზედმეტი სიტყვები უნდა იქნეს გამოტოვებული, გერმანულ ენაში სახელობით ბრუნვაში არტიკლზე უმრავლეს შემთხვევაში შესაძლოა უარის თქმა<sup>34</sup>, მაგალითად, საზოგადოების ლიკვიდაციის აღსანიშნავად გამოყენებული უნდა იქნეს „Liquidation“ და არა „Die Liquidation der Gesellschaft“. როგორც წესი, ზედსართავი სახელები არის ბუნდოვანი („სავალდებულო ლიკვიდაცია“<sup>35</sup>) ან ზედმეტი („სწორი ლიკვიდაცია“). ასევე უნდა ითქვას უარი მამრობითი და მდედრობითი ფორმების გამოყენებაზე, თუ ეს სათა-

ურს ძალიან გრძელს ხდის. მაგალითად, სწორია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე პარაგრაფის სათაურში ფხიბით მოსიარულეები აღნიშნულია მხოლოდ ერთ ფორმაში „Fußgänger“ და არა „Fußgängerinnen und Fußgänger“.<sup>36</sup> თავის, კარის და ა. შ. სათაურები მუხლების სათაურებში აღარ უნდა იქნეს გამოყენებული. ადმინისტრაციული საპროცესო კანონის მესამე თავს ჰქვია „III. ადმინისტრაციული აქტი“. შესაბამისად, 35-ე პარაგრაფში საკმარისია მხოლოდ „ცნების“ მითითება და არაა საჭირო „ადმინისტრაციული აქტის ცნება“.

ქართულ კანონებში ხშირია შემთხვევები, როდესაც სათაურში გამოყენებულია და ამავე დროს ფრჩხილებით ან სხვა სასვენი ნიშნით გამოყოფილია ერთი და იმავე შინაარსის გამომხატველი ორი სხვადასხვა სიტყვა ან ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა რიცხვში. ასეთ დროს სათაური ხელოვნურად გრძელდება, რაც არათუ არ ეხმარება მკითხველს, არამედ აფერხებს კიდევ მას შესაბამისი მუხლის მოძიებისას. თუ შესაძლებელია ერთ-ერთი სიტყვის გამოყენება (განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი მოიცავს მეორეს), მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი უნდა დარჩეს სათაურში. მაგალითად, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის სათაურიდან „მესამე პირი/შუამავალი“, სიტყვა „შუამავლის“ ამოღება უპრობლემოდაა შესაძლებელი, რადგანაც მესამე პირი, მათ შორის, შუამავალსაც მოიცავს. რაც შეეხება რიცხვს, მართალია, ზოგჯერ მას შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა ქონდეს სამართლისთვის<sup>37</sup>, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სათქმელის გამოსახატავად საკმარისია, თუ სათაურში არსებითი სახელი ან მხოლოდ მხოლობითში, ან მხოლოდ მრავლობითში იქნება მოხსენიებული. ამით, როგორც წესი, ნორმის განმარტებას საფრთხე არ ექმნება და ეს მკითხველისთვის კანონს უფრო მარტივად წასაკითხს ხდის. ამასთან, პრინციპები – *Argumentum a maiore ad minus* და *Argumentum a minori ad maius*, რა თქმა უნდა, ძალაში რჩება. ნორმა მხოლოდ ერთ პირზე შეიძლება გავრცელდეს თუ რამდენიმეზე, ეს თავად ნორმის ტექსტიდან და შინაარსიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა სათაურში მოხსენიებული არსებითი სახელების რიცხვიდან.

როდესაც შესაძლებელია საკვანძო სიტყვის გამოყენება ისე, რომ შინაარსი მკითხველისთვის გასაგები დარჩეს, ეს ყოველთვის უნდა მოხდეს. ეს განსაკუთრებით მაშინაა მი-

<sup>30</sup> ეს გერმანულში ერთ სიტყვადაც შეიძლება შეიკრას.

<sup>31</sup> „არაუფლებასაზღვრავი კავშირი“.

<sup>32</sup> მაგალითებისთვის იხ. *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 51-69.

<sup>33</sup> Beck-Verlag a.a.O. (იხ. ზემოთ I.). უარყოფითი მაგალითი მოცემულია *Hamann, ZG 2015*, 381, 389.

<sup>34</sup> დეტალურად *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 36-38, 42.

<sup>35</sup> „ლიკვიდაციის სავალდებულობა“ უკეთ წარმოაჩენს, რომ ის ყოველთვის არაა სავალდებულო. შდრ. გერმანიის სავაჭრო კოდექსის 145-ე პარაგრაფი.

<sup>36</sup> დამატებით HdR 2008 (სქ. 5) B.1.8.

<sup>37</sup> მაგალითად, სისხლის სამართალში შესაძლოა კვალიფიკაციისთვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს სახელი მრავლობით თუ მხოლობით რიცხვშია მოხსენიებული. იხ., მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ბ) ქვეპუნქტი – „სხვათა“, სადაც მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად მისაჩვენებელია აუცილებელია, გამოყენებული სამუალები საფრთხეს უქმნიდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ, სულ მცირე, ორი პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას.

ზანშეწონილი, თუ საკვანძო სიტყვები არა უცხო ტექნიკური ტერმინები, არამედ საკმაოდ დამკვიდრებული ცნებებია. მაგალითად, სკ-ის მე-100 მუხლის სათაურია „წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)“, 101-ე მუხლის კი – „შემდგომი თანხმობა (მოწონება)“. აქ თავისუფლად შეიძლება ჩანაცვლოს ფრჩხილებში მოქცეულმა საკვანძო სიტყვებმა მანამდე მოცემული ვრცელი ტერმინების ერთობლიობა. ყოველ შემთხვევაში, სრულიად გაუმართლებელია ორივე მათგანის ჩაწერა ნორმის სათაურში და ამ გზით მისი გადატვირთვა. „ნებართვაც“ და „მოწონებაც“ საკმაოდ დამკვიდრებული ტერმინებია და არ არის მკითხველისთვის უცხო. ამიტომ ისინი დამოუკიდებლად უკეთესად შეასრულებდნენ საორიენტაციო ფუნქციას.

### ბ) სიტყვის ნაწილების გამოტოვება

სიტყვის ნაწილებისთვისაც იგივე წესი მოქმედებს. მაგალითად, მართალია, სიტყვა „Nachfolgeklausel“ (დათქმა მემკვიდრეობით გადაცემის შესახებ) ხშირად გამოიყენება, მაგრამ თითქმის ყველა სამართლებრივ ჩანაწერს ხელშეკრულებაში შეიძლება ეწოდოს „დათქმა“. ამიტომ „Nachfolgeklausel“-ის ნაცვლად უნდა დაიწეროს „Nachfolge“ (მემკვიდრეობით გადაცემა), „პარტნიორის გარდაცვალება“ ან „მემკვიდრის გახდომა პარტნიორად“.

ქართული კანონების შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ქართული ენა მსგავს სიტყვათა შეერთებებს ნაკლებად იცნობს, აღნიშნული პრობლემა არ დგება. ამის საწინააღმდეგო სათაური გრძელი, ცუდად წასაკითხი და ზოგჯერ ბუნდოვანი ხდება ნათესაობითი ბრუნვის ხშირი გამოყენების გამო.

### გ) მთლიანი წინადადებების ჩანაცვლება საკვანძო სიტყვებით

უმეტეს შემთხვევაში მთლიანი წინადადებები არაა საჭირო და შემოკლებადია. მაგალითად, „დირექტორი“ ნაცვლად წინადადებისა „დირექტორი შეიძლება იყოს პარტნიორი“. როდესაც სათაური წინადადებას და, შესაბამისად, გამონათქვამს შეიცავს, ის კონკურირებს ნორმასთან. ნორმა კი მხოლოდ იშვიათად შეიძლება ჩანაცვლდეს იმავე შინაარსის (კიდევ უფრო) მოკლე წინადადებით. საკვანძო სიტყვები ან ფართო ცნებები სათაურში, ამის საპირისპიროდ, ხსნიან თემას და მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ახდენენ მის აბსტრაქტიზაციას. თუმცა გამოუსადეგარი იქნებოდა ზმნების გაარსებითება, რათა მთლიანი წინადადებები თავიდან იქნეს აცილებული<sup>38</sup>. „§ 566 ნასყიდობა არ წყვეტს ქირავნობას“<sup>39</sup> ან „შემძენი ხდება გამქირავებელი“ უმჯობესია, ვიდრე „გამქირავებლის ადგილის დაკავება საკუთრე-

ბის გადაცემისას“. ზუსტად იგივე ითქმის სკ-ის 572-ე მუხლზეც (დამატებით, შესაძლოა სადავო იყოს რამდენად სწორია ტერმინ „უფლებამონაცვლეობის“ გამოყენება).

განსაკუთრებით თვალშისაცემია სკ-ის 273-ე მუხლი, სადაც სათაური უფრო გრძელია, ვიდრე თავად მუხლი. ვრცელი სათაური „მუხლი 273. გირავნობის უფლების შეწყვეტა მოგირავნის საკუთრებაში გირავნობის საგნის გადასვლის გამო (კონსოლიდაცია)“ შეიძლება მარტივად ჩანაცვლდეს მხოლოდ საკვანძო სიტყვით, რომელიც მუხლის სათაურს ისედაც დართული აქვს ფრჩხილებში. მართალია არაიურისტისთვის ეს ტერმინი შეიძლება უცხო იყოს და სრულყოფილად ვერ შეასრულოს საორიენტაციო ფუნქცია, მაგრამ რადგანაც თავად მუხლი მხოლოდ რამდენიმე სიტყვისგან შედგება, ამ ტერმინის სათაურად გამოყენება არ უნდა იყოს პრობლემა.

### დ) წერტილებისა და კითხვის ნიშნებისგან თავის შეკავება?

წერტილსა და კითხვის ნიშანზე მაშინ შეიძლება ითქვას უარი, თუ სათაური დამოუკიდებელ ხაზზე<sup>40</sup> განთავსებული, მაგალითად, როგორც ეს თავის სათაურების შემთხვევაშია. ასეთ დროს მათი გამოყენება მხოლოდ გემოვნებაზე დამოკიდებული. ქართულ კანონებშიც მუხლების სათაურები განთავსებულია დამოუკიდებელ ხაზზე, თუმცა არა ცენტრში, არამედ მარცხენა კიდზე. ამიტომ მათ შემდეგ სასვენი ნიშნის გამოყენება არაა საჭირო. თუ სათაური ცალკე ხაზზე არაა განთავსებული, წერტილი პარაგრაფის ნომრისა და საგნობრივი სათაურის შემდეგ ოპტიკურ და შინაარსობრივ გამოყოფას ემსახურება და მაშინაც კი საჭიროა, როცა მუქი შრიფტი უკვე ასრულებს ცემურის ფუნქციას.

კითხვის ნიშანზე, როგორც წესი, უარი უნდა ითქვას („კავშირის პასუხისმგებლობა ორგანოს ქმედებისთვის.“) და მხოლოდ კითხვით წინადადებებში უნდა იქნეს გამოყენებული. შეკითხვა აფერხებს მკითხველს, საკუთარ შეკითხვას აშორებს და უბიძგებს, რომ სათაურში დასმულ (სხვა) შეკითხვაზე პასუხი მოძებნოს ნორმის ტექსტში. მაგრამ ის ნებადართული უნდა იყოს, როდესაც გამონაკლისის სახით განსაკუთრებით მოკლე და მკაფიო და ამგვარად მკითხველის პოზიციდანაა დაწერილი: „ხდებიან მემკვიდრეები პარტნიორები?“ უმჯობესია, ვიდრე „მემკვიდრის ქცევა საზოგადოების პარტნიორად მემკვიდრეობის შესახებ დათქმისას“.

<sup>38</sup> ზმნების გამოყენების აკრძალვის საწინააღმდეგოდ იხ. *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 99-102.

<sup>39</sup> მკაფიო, მაგრამ შინაარსობრივად გაუმართავი. Dazu *Hamann*, ZG 2015, 381, 388.

<sup>40</sup> სწორედ ამიტომ ავსტრიის სამართლებრივი ტექნიკის სახელმძღვანელოში ნათქვამია: *Handbuch der Rechtssetzungstechnik*, Teil 1: *Legistische Richtlinien* 1990, Herausgegeben vom Bundeskanzleramt, Nr. 144: „სათაურის ბოლოს წერტილი არ დაისმის.“

### ე) ორწერტილისგან თავის შეკავება

ორწერტილი არის მცირე კავშირი გარკვეულ განცხადებასა და მისით ხაზგასმულ აზრს შორის.<sup>41</sup> ნორმის სათაური მიზნად ისახავს შემოკლებას და არა განცხადებას.

## 6. ერთგვაროვანი

### ა) შინაარსობრივი ერთგვაროვნება

ერთად თავმოყრილი ნორმები მიზნად ისახავენ გარკვეული სამართლებრივი სფეროს სრულყოფილ მოწესრიგებას. შესაბამისად, სათაურებიც უნდა იყოს ერთგვაროვანი და გადაფარვების გარეშე (მაგალითი კავშირის სამართლიდან: „§ 21 არაეკონომიკური კავშირი.“, „§ 22 ეკონომიკური კავშირი.“).<sup>42</sup> ყოველ შემთხვევაში, ეს ეხმარება მკითხველს, როდესაც უნდა შეფასდეს, რის მიხედვითაა სტრუქტურა აგებული: გამონაკლისისა და წესის, ატრიბუტების (დროის, ადგილის, სახისა და ფორმის), წინაპირობების თუ სამართლებრივი შედეგების მიხედვით. ამჟამად სათაურების წყობა გსკ-ის 843-845 პარაგრაფებში შემდეგია:

„§ 843 ფულადი სარჩო და ერთჯერადი კომპენსაცია.

§ 844 მესამე პირთა მოთხოვნები ზიანის ანაზღაურებაზე მკვლელობის შემთხვევაში.

§ 845 ანაზღაურების მოთხოვნა მიუღებელი მომსახურებისთვის.“

ეს დამაბნეველია<sup>43</sup>, რადგანაც პერსპექტივა იცვლება. გარდაცვალებას (§ 844) შეესაბამებოდა სხეულის დაზიანება, მესამე პირის ზიანის ანაზღაურებას (§ 844) – დაზარალებულის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე. ფულადი სარჩოს მოთხოვნა (§ 843) შესაძლოა § 844-ის შემთხვევაშიც არსებობდეს, ისევე, როგორც მესამე პირთა მოთხოვნები შეიძლება არსებობდეს § 845-ის შემთხვევაში. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ეს პარაგრაფები ასანაზღაურებელი ზიანის მიხედვით დასათაურდებოდა:

„§ 843 შემცირებული შრომისუნარიანობა

§ 844 დაკრძალვის ხარჯები; მიუღებელი ალიმენტი მკვლელობის გამო.

§ 845 მიუღებელი მომსახურება.“

რა თქმა უნდა, ასეთ დროს გარკვეული ინფორმაცია იკარგება და არჩევანი უნდა გაკეთდეს იმის მიხედვით, თუ რომელი ინფორმაციის შენარჩუნებაა უკეთესი მკითხველი-

სთვის. მნიშვნელოვანი ისაა, თუ რა დრო და ენერჯია დასჭირდება მკითხველს დამატებით, რომ სათაურების პერსპექტივის ცვლილება აღიქვას.

პრობლემური და დამაბნეველი შეიძლება იყოს პარალელური მუხლების სათაურების არაერთგვაროვნება. მაგალითად, სანივთო გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე საკუთრების მომწესრიგებელი ნორმის სათაურია: „მუხლი 183. უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა გარიგების საფუძველზე“, მაშინ, როცა მოძრავ ნივთებზე პარალელური ნორმის სათაური შემდეგია: „მუხლი 186. მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნის საფუძველი“. ამ ნორმათა სათაურების ერთობლივად წაკითხვის შემთხვევაში მკითხველს ექმნება არასწორი შთაბეჭდილება, თითქოს 183-ე მუხლისგან განსხვავებით, 186-ე არა მხოლოდ საკუთრების გარიგებისმიერ შექმნას ეხება, არამედ ყველა საფუძველს მოიცავს. ამიტომ გამართლებული იქნებოდა, ამ ორ მუხლს თუ ერთგვაროვანი სათაურები ექნებოდა: „მუხლი 183. უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა სანივთო გარიგების საფუძველზე“; „მუხლი 186. მოძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა სანივთო გარიგების საფუძველზე“.

### ბ) ფორმალური ერთგვაროვნება

სათაურები, ცალკე აღებული,<sup>44</sup> შეიძლება წარმოდგენილი იყოს წინადადების (გსკ-ის § 566 „ნასყიდობა არ წყვეტს ქირავნობას.“) ან შეკითხვის სახით („ხდება მემკვიდრე პარტნიორი?“). რაიხის სასამართლო თავის სახელმძღვანელო წინადადებებს უმეტესწილად (მაგრამ არა ყოველთვის) აყალიბებდა კითხვის ფორმით;<sup>45</sup> ცუდი არ იქნებოდა, თუ გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ პრაქტიკას გააგრძელებდა. საკვანძო სიტყვების გამოყენებას, წინადადებებსა და შეკითხვებს შორის მონაცვლეობა უმეტეს შემთხვევაში შეიძლება არაკომფორტული იყოს, მაგრამ შეიძლება ასევე – განსაკუთრებით ხელშეკრულებებში – გარკვეულწილად ეფექტური აღმოჩნდეს. მაგალითად: „§ 11 ხდებიან მემკვიდრეები პარტნიორები? ... § 12 კომპენსაცია მემკვიდრეებისთვის, რომლებიც არ ხდებიან პარტნიორები“.

შედარებით იშვიათი სათაურები, რომლებიც პარაგრაფების ზემოთ მყოფ საფეხურზე ერთვის სტრუქტურის პუნქტებს, უნდა განთავსდეს ცალკე ხაზზე და ცენტრში<sup>46</sup>. პარაგრაფებისთვის ეს უჩვეულო და უაზრო იქნებოდა. ეს გაართულებდა საჭირო თემის ძიების პროცესს. მკითხველის თვალს, რომელიც ვერტიკალური მიმართულებით მოძრაობს, აქეთ-იქით მონაცვლეობა მოუწევდა, რათა სათაურისა და შესაბამისი ნორმის ტექსტის დასაწყისი აღეჭვა. ნორმის

<sup>41</sup> დამატებით *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 38-40.

<sup>42</sup> მაგ., გსკ-ის 236-ე-239-ე პარაგრაფები.

<sup>43</sup> გაუმართავ სისტემასთან დაკავშირებით ასევე: *Wagner in Münchener Kommentar zum BGB*, 6. Aufl., § 843 Rn. 2.

<sup>44</sup> დამატებით *Esslinger/Schneider* (სქ. 18), 46-51.

<sup>45</sup> შდრ., მაგ., RGZ 1, 4; RGZ 171, 400.

<sup>46</sup> შდრ. ავსტრიაში სახელმძღვანელო (სქ. 40), Nr. 111 და Nr. 117. მაგ., *GesB-R-Reformgesetz, Bundesgesetzblatt für die Republik Österreich*, Teil I, ausgegeben am 21. November 2014.

ნომერი (§ 1) და სათაური („გამოყენების სფერო“) უნდა განთავსდეს ყოველთვის მარცხნივ. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულ კანონებში სათაურები, მართალია, დამოუკიდებელ ხაზზე განთავსებული, მაგრამ არა ცენტრში, არამედ მარცხნივ. ამით მკითხველს საჭირო პასუხების მოძიებაში ხელი არ ეშლებოდა.

### გ) სათაურების გამოყენება ყველა შემთხვევაში<sup>47</sup>

არაერთგვაროვნების სპეციალური შემთხვევაა სათაურების გამოყენებასა და არგამოყენებას შორის მონაცვლეობა. ასეთ დროს ტექსტი არაკომფორტული წასაკითხია, ავტორი – არათანმიმდევრული, ხოლო მკითხველს უჩნდება კითხვა, იმალება თუ არა რაიმე ფარული სათქმელი იმაში, რომ პარაგრაფს სათაური არ გააჩნია. გარდა ამისა, მკითხველი მიჩვეულია, რომ კანონის გარკვეული მონაკვეთის კითხვა იმით დაიწყოს, რომ ვერტიკალური მიმართულებით თვალი გადაავლოს პარაგრაფების სათაურებს – მუქი შრიფტით გამოყოფილ სავანძო ტექსტს. ეს მარტივია, რადგანაც სათაურები, როგორც წესი, მარცხნივია და თვალს მხოლოდ ვერტიკალური მიმართულებით უწევს მოძრაობა. თუ ნორმას სათაური არ აქვს, უსათაურო პარაგრაფების აღქმა ერთი შეხედვით შეუძლებელია. ძიება მოითხოვს გაცილებით მეტ კონცენტრაციასა და დროს, რადგანაც მკითხველი ვერტიკალური მიმართულებით ეძებს, ხოლო ჰორიზონტალური მიმართულებით ჩვეულებრივ შრიფტს კითხულობს. სწორედ ამიტომ არამიზანშეწონილია, რომ კანონში, რომელშიც პარაგრაფები არაა დასათაურებული, მხოლოდ ცალკეულ, ახლად ფორმულირებულ ნორმებს დაურთონ სათაურები. თუმცა გამართლებული იქნებოდა სათაურების დართვა ერთად თავმოყრილი პარაგრაფების ახალი ჯგუფისთვის.

კანონების შემთხვევაში პრაქტიკაში ის პრობლემა, რომ ყველა პარაგრაფს შეიძლება არ ჰქონდეს ოფიციალური სათაური, მარტივად გადაიჭრება იმით, რომ ტექსტების გამომცემელი კუთხოვან ფრჩხილებში ურთავს სათაურებს. ასე მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შესავალი კანონის 50-ე–218-ე პარაგრაფებსა და გერმანიის სავაჭრო კოდექსის უმეტეს პარაგრაფებს<sup>48</sup> სწორედ კუთხოვან ფრჩხილებში აქვს დართული სათაურები, რადგანაც მხოლოდ ისინი შეიცავენ ოფიციალურ სათაურებს, რომლებშიც ცვლილება შევიდა.

### დ) არაერთგვაროვანი ნორმის ტექსტთან მიმართებით?

სრულებით მისაღები და გავრცელებული პრაქტიკაა ნორმის ამოსავალი სიტყვის გამეორება სათაურში, მაგ., „§ 13

მომხმარებელი. მომხმარებელი არის...“. მაგრამ სათაური უნდა იყოს გაცილებით უფრო მოკლე, ვიდრე ნორმის ტექსტი. ამიტომ გსკ-ის 1968-ე პარაგრაფში არ მეორდება ტექსტში მოცემული სიტყვები „Kosten der Beerdigung“ (დაკრძალვის ხარჯები). არამედ სათაურში, ტექსტისგან განსხვავებით, „დაკრძალვის ხარჯები“ შერწყმულია („§ 1968 Beerdigungskosten.). ამასთან, ზოგადად გასათვალისწინებელია, რომ ტერმინის სიტყვა-სიტყვით გამეორება უღიშალო და მოსაწყენია. ამიტომაც, მართალია, შერწყმის შედეგად უფრო დიდი სიტყვა წარმოიქმნა, მაგრამ ის ხშირად გამოიყენება და მარტივად გამოხატავს სათქმელს. თუმცა, როდესაც შედარებით გრძელ წინადადებას ეხება საქმე, ტერმინების ზუსტი გადმოწერა სათაურში უპრობლემოა. „§ 1828 მოწონება მეურვის მიმართ.“ უკეთესი სათაური იქნებოდა ვიდრე დღეს არსებული „მოწონების გაცხადება“. როდესაც სათაურში ორივე სიტყვა გაარსებებულა და „ება“ სუფიქსით მთავრდება, ეს ამ ტექსტს ძალიან ფორმალურ ტონს აძლევს.

## 7. ორიენტაცია სამართლებრივ შედეგებზე

სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარეობს ნორმის მნიშვნელობა. როგორც გსკ-ის 125-ე პარაგრაფს ჰქვია „ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო“, 134-ე პარაგრაფიც შეიძლება დასათაურებულიყო, როგორც „ბათილობა კანონსაწინააღმდეგობის გამო“, ხოლო 138-ე პარაგრაფი, როგორც – „ბათილობა ჩვეულებებთან წინააღმდეგობის გამო“. იგივე ითქმის, მაგალითად, სკ-ის 54-ე („მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი“), 55-ე („გარიგების ბათილობა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო“) და 59-ე („ფორმის დაუცველად დადებული გარიგება“) მუხლებზეც. გადამწყვეტი ისაა, თუ რას ეძებს მკითხველი. მაგალითად, რისი უფლება აქვს რაიმე *ქმედებად*, თუ რა ზიანი უნდა აანაზღაუროს მის *შემდეგ*. გსკ-ის 280-ე პარაგრაფს სწორად ჰქვია არა „ვალდებულების დარღვევა, ვადის გადაცილება“, არამედ „ზიანის ანაზღაურება ვალდებულების დარღვევის გამო“, 823-ე პარაგრაფს არა „აბსოლუტური სამართლებრივი სიკეთებისა და დაცვითი ნორმების დარღვევა“, არამედ „ზიანის ანაზღაურების ვალდებულება“. სამართლებრივ შედეგებზე მითითება მხოლოდ ცოტა ნორმის შემთხვევაში ხდება. შესაძლოა სამართლებრივ შედეგებზე ხაზგასმა მოხდეს უარყოფით ფორმამაც: „კეთილსინდისიერი შეძენის გამორიცხვა მფლობელობიდან ნების გარეშე გასული ნივთების შემთხვევაში“. სიტყვა „გამორიცხვის“ გარეშე ნორმის სათაური დამაბნეველი იქნებოდა. მეორე აბზაცის სათაური შეიძლება ყოფილიყო „ნივთები, რომელთა მოპოვებაც შეუძლებელია კეთილსინდისიერად“. ხშირად ქართველი კანონმდებელი ასეთ უარყოფით ფორმულირებებს თავს არიდებს, რაც გაუმართლებელია. მაგ., სკ-ის 293-ე მუხლის სათაური უნდა იყოს არა „იპოთეკის გავრცელება უძრავი ნივთის ნაყოფზე“, არამედ „იპოთეკის არგავრცელება ნაყოფზე“ (აქ „უძრავ ნივთზე“ მითითებაც ზედმეტია, რადგანაც ისედაც

<sup>47</sup> Müller, Handbuch der Gesetzgebungstechnik, 1963, 44, ევლება მეტად „უფერულ შინაარსს“ – ადმინისტრაციულ სასამართლო კოდექსში მხოლოდ 55c და 71-ე პარაგრაფებს აქვთ სათაურები.

<sup>48</sup> აქ ოფიციალური სათაურები ახალ ფორმულირებას შეიცავენ 1985 წლიდან.

ცხადია, რომ იპოთეკა მხოლოდ უძრავ ნივთებს ეხება). სკ-ის 114-ე მუხლს სწორად ჰქვია „საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა“, რადგანაც საკუთარ თავთან დადებული გარიგება, როგორც წესი, ბათილია და მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევაშია ნამდვილი.

## 8. ერთი თემატიკა

ჩვეულებრივი მკითხველის გადმოსახედიდან, მხოლოდ ერთი თემატიკა<sup>49</sup> გააჩნია შინაარსობრივად ახლოს მდგომ ზოგად ცნებებს. მაგალითად:

– „შემოსავალი და დანაკარგები“ (შედევი)

– „წარმომადგენლობა და საზოგადოების მართვა“ (საქმეების გაძღოლა)

ასევე:

– „შვებულება, ავადმყოფობა (სამუშაოს შესრულები-სგან გათავისუფლება,

მაგრამ ასეთი ზოგადი ტერმინების გამოყენება არასწორი იქნებოდა შემდეგ შემთხვევებში:

– „ხელშეკრულების გაუქმება და გადაკისრება“, რადგანაც მკითხველისთვის ლოგიკური კავშირი გაუგებარი იქნება (ხელშეკრულების გაუქმებისას შეწყვეტის ნაცვლად შესაძლებელია მისი სხვისთვის გადაკისრება);

– „სახელწოდება, ადგილსამყოფელი, საქმიანობის სფერო“, ამით ხდება სავალდებულო რეკვიზიტების მოკლედ დასახელება.

თუ მხოლოდ ერთი თემატიკაა პარაგრაფში, მაშინ ზოგადი ტერმინები („შედევი“) ან უფრო გასაგები ცნებათა წყვილები („მოგება და წაგება“) უნდა განთავსდეს სათაურში. თუ ერთ პარაგრაფში სხვადასხვა ასპექტია დარეგულირებული, რომლებიც ერთი ზოგადი ტერმინის ქვეშ არ ექცევა – გამომცემლობა Beck-ის მაგალითზე<sup>50</sup> – ყველა მათგანი უნდა იქნეს დასახელებული. სათაურში ამ ასპექტების დასახელებისას „და“ კავშირი („§ 675c ანგარიშსწორება და ელექტრონული ფული“) უნდა იქნეს გამოყენებული თუ მძიმე („§ 762 თამაშობა, სანაძლეო“<sup>51</sup>), გემოვნების საკითხია. ავსტრიაში უფრო ხშირად გამოიყენება ტირე.<sup>52</sup> საინტერე-

სოა, რომ ამ ბოლო დროს ქართველი კანონმდებლისთვის დახრილი ხაზი უფრო მიმზიდველია<sup>53</sup>. მძიმე უფრო მოკლეა, „და“ კავშირი – უფრო გასაგები. ამიტომ ორ მოკლე სიტყვებს – „თამაშობასა“ და „სანაძლეოს“ შორის საკმარისი ადგილი იყო უფრო გასაგები „და“ კავშირისთვის, მაშინ, როცა უფრო რთულ ტერმინებს – „ანგარიშსწორებასა“ და „ელექტრონულ ფულს“ შორის მკითხველისთვის მძიმე უკეთესი იქნებოდა. წერტილ-მძიმე – და, განსაკუთრებით, წერტილი – წარმოაჩენს თემატიკების უფრო დიდ დაშორებას, მაგ., „§ 166 ნების ნაკლი; ცოდნის შერაცხვა.“ ამით ნათელია, რომ პარაგრაფი შეიძლებოდა დაყოფილიყო ორ დამოუკიდებელ ნაწილად.

თუ პარაგრაფის სათაური სრულიად სხვადასხვა თემატიკას შეიცავს, მაგ., „სახელწოდება, ადგილმდებარეობა, საქმიანობის სფერო“<sup>54</sup>, მკითხველმა, რომელიც მხოლოდ საქმიანობის სფეროთი ინტერესდება, უნდა იპოვოს შესაბამისი აბზაცი. ამისათვის შეიძლება სათაურის თითოეული საკვანძო სიტყვის „§1 სახელწოდება, ადგილმდებარეობა, საქმიანობის სფერო“ აბზაცის სათაურად გამოყენება: „(3) საქმიანობის სფერო საზოგადოებისთვის არის ქარის დანადგარების შექმნა და წარმოება.“ მაგრამ ნორმა ყოველთვის მოკლე და ნათელი უნდა იყოს. სხვადასხვა თემატიკა სხვადასხვა პარაგრაფში უნდა გაიწეროს<sup>55</sup>: „§ 3 საქმიანობის სფერო. საზოგადოებამ უნდა შექმნას და აწარმოოს ქარის დანადგარები.“

გაუმართლებელია სკ-ის 59-ე მუხლში ორი სრულიად განსხვავებული თემატიკის – ერთი მხრივ, ფორმის დაუცველად დადებული გარიგების ბათილობის და, მეორე მხრივ, საცილო გარიგების ეფექტისა და შეცილების წესის ერთსა და იმავე მუხლში მოქცევა და, მითუმეტეს, სათაურად მხოლოდ „ფორმის დაუცველად დადებული გარიგების“ გამოყენება. ეს ორი თემატიკა იმდენად დაშორებულია ერთმანეთთან, რომ სათაურში მათი საკვანძო სიტყვები წერტილით უნდა გამოყოფილიყო ერთმანეთისგან, თუმცა საერთო ზოგადი ცნების მოძებნის შეუძლებლობა კანონმდებელს იმაზე მინიშნებს, რომ ამ ორი თემატიკის ერთ მუხლში მოქცევა არც თუ ისე კარგი იდეა იყო.

<sup>49</sup> *Schneider* (სქ. 21), Rn. 319 მიუთითებდა კანონებისთვის აშშ-ის უმეტესი შტატის კონსტიტუციის დათქმაზე კანონების შესახებ *“No law shall embrace more than one object, which shall be expressed in its title.”*

<sup>50</sup> იხ. ზემოთ (1.)

<sup>51</sup> მძიმე გამოყენებულია: გსკ-ის §§ 397, 426, წერტილ-მძიმე, მაგ.: § 7, 87, 193, 312a, 374, „და“: § 26, 44, 77, 288, 325, ან: § 113.

<sup>52</sup> *Handbuch der Rechtssetzungstechnik*, Teil 1: Legistische Richtlinien 1990, Herausgegeben vom Bundeskanzleramt, Nr. 144, <https://www.justiz.gv.at/file/2c94848a60c158380160e4e3747c0c3>

3.de.0/legr1990.pdf: zwischen ihnen sei ein Gedankenstrich zu setzen, z.B. „Verlust des Anspruches auf Versorgungsgenuß – Abfindung der Witwe bei Wiederverhehlung“.

<sup>53</sup> იხ., მაგ., საქართველოს სსსხლის სამართლის კოდექსის 344<sup>2</sup> მუხლი.

<sup>54</sup> მაგალითი ხელშეკრულებიდან.

<sup>55</sup> კომენტარებისთვის არ არის უცხო აბზაცის დაწყება საკვანძო სიტყვით: შდრ., მაგ., *Wiedemann*, in: *Großkommentar zum Aktiengesetz*, 4. Aufl., § 183 Rn. 10–22: In Länderberichten ist in der ersten Zeile eines Absatzes das Land halbfett gedruckt; auf Überschriften wurde deshalb verzichtet.

<sup>56</sup> მსგავსად HdR 2008 (სქ. 5) B.1.7, Rn. 105.

### III. სათაურები აბზაცებისთვის

#### 1. ძირითადი პრინციპი და მაგალითები

აბზაცების სათაურები გერმანიასა და საქართველოში და, ზოგადად, ევროპაში, რამდენადაც ცნობილია, მეტად იშვიათია<sup>57</sup>. ისევე, როგორც აშშ-ში<sup>58</sup> ისინი გრძელს ხდიან ტექსტს და გარკვეულწილად აწყვეტილებენ მკითხველს კითხვას. მაგრამ მკითხველს ძალიან არ ეშლება ხელი, რადგანაც აბზაცები ისედაც ახალი ხაზით იწყება. მათი მეშვეობით შესაძლებელია პარაგრაფისა და მუხლის შიგნით საჭირო ადგილის ადვილად მოძებნა. კარგად შერჩეულ აბზაცებს გააჩნია შინაარსობრივი ერთიანობა, რომელთათვისაც სათაურის მორგება შედარებით მარტივია. ლოგიკურად, ისინი უფრო მოკლე უნდა იყოს, ვიდრე პარაგრაფებისა და მუხლების სათაურები, რაც შესაბამისობაში იქნებოდა აბზაცის/პუნქტის სიგრძესთან. მაგალითად, გსკ-ის 441-ე პარაგრაფს ასეთი სახე ექნებოდა (დამატებები დახრილი შრიფტითაა წარმოდგენილი):

„§ 441 ფასის შემცირება

(1) *გასვლის ნაცვლად.* <sup>1</sup>გასვლის ნაცვლად მყიდველს შეუძლია...

(2) *რამდენიმე მონაწილე.* თუ მყიდველის მხარეს...

(3) *მოცულობა.* <sup>1</sup>ფასის შემცირებისას ნასყიდობის ფასი...

(4) *ანაზღაურება.* <sup>1</sup>თუ მყიდველმა...“

#### 2. ერთგვაროვნება

თუ სათაურები ცალკეული აბზაცებისთვის საჭიროა, სხვებისთვის კი - არა, სულ მცირე, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყოს პარაგრაფების გარკვეული ჯგუფებისთვის, ან უმჯობესია მთლიანი კანონისთვის ერთგვაროვანი მიდგომა (შდრ. ზემოთ II.ნ.გ.). მკითხველი ამ შემთხვევაში პარაგრაფების კითხვას აბზაცის სათაურების გადახედვით დაიწყებს. ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ სათაურები მარცხნივ და დახრილი შრიფტით განთავსდება ისე, რომ თვალი მხოლოდ ვერტიკალური მიმართულებით იმოძრაებს. ეს „თვალის გადავლება“ აბზაცების სათაურების სიმოკლისა და ხაზებს შორის არსებული დაშორების დახმარებით უფრო მარტივი იქნება, ვიდრე პარაგრაფების შემთხვევაში. აბზაცის ცალკეული წინადადებებისთვის სათაურის დართვა ტე-

ქსტს მეტად გრძელს გახდიდა, განსხვავებით ნუმერაციისაგან, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა აბზაცში ბევრი წინადადებაა და თანაც არც თუ ისე მოკლე. ასე, მაგალითად, მრგვალ ფრჩხილებში ჩასმული ნომრების სათაურები გსკ-ის 308-ე და მომდევნო პარაგრაფში - ისევე, როგორც სკ-ის 347-ე და მომდევნო მუხლში - ძალიან ეხმარება მკითხველს. რაც უფრო მოკლეა ტექსტი, მით უფრო მოკლე უნდა იყოს სათაური. გსკ-ის 438-ე პარაგრაფის მე-5 აბზაცს შესაძლოა „ფასის შემცირების“ ნაცვლად „ფასის შემცირების უფლება“ ან „ფასის შემცირების უფლება, როგორც შესაგებელი“ ან რაიმე მსგავსი ერქვას, მაგრამ მოკლე აბზაცისთვის რაც შეიძლება მოკლე სათაური უფრო გამოსადევი იქნებოდა.

#### 3. კრიტერიუმები აბზაცების სათაურებისთვის

##### ა) გრძელი პარაგრაფები

მხოლოდ იმ კანონის სჭირდება აბზაცების სათაურები, რომელშიც გრძელი პარაგრაფებია. გრძელად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის პარაგრაფები, რომლებშიც ორზე მეტი აბზაცია და თითოეული აბზაცი საშუალოდ ორ ხაზზე (13 ასოზე) მეტს შეიცავს. რადგანაც მხოლოდ ერთაბზაციანი პარაგრაფებისთვის პარაგრაფების სათაური საკმარისია, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, რამდენი პარაგრაფი შეიცავს მხოლოდ ორ აბზაცს და, შესაბამისად, არ საჭიროებს დამატებით სათაურებს და რამდენშია ორი ან მეტი აბზაცი, რომელთა დასათაურებაც საჭიროა. მთავარ სახელმძღვანელო პრინციპად შემდეგი წესი გამოდგება: აბზაცების სათაურები გამოყენებულ უნდა იქნეს, თუ სახეზეა ორი წინაპირობა: კანონში უფრო მეტი პარაგრაფია ორზე მეტი აბზაცით, ვიდრე ორაბზაციანი პარაგრაფები<sup>59</sup> და დასათაურებელი აბზაცები საშუალოდ 130 ასოზე მეტს შეიცავს. ნებისმიერ შემთხვევაში პარაგრაფებისა და აბზაცების მოკლე სათაურები ბევრად უკეთესია, ვიდრე პარაგრაფების რამდენიმე ხაზიანი სათაურები.<sup>60</sup>

##### ბ) რთულად აღქმადი პარაგრაფები

რაც უფრო მარტივად აღქმადია ნორმა და რაც უფრო სწრაფად შეიძლება თემატიკის ტექსტიდან ამოკითხვა, მით უფრო ნაკლებადაა საჭირო პარაგრაფები. სათაურები არაა საჭირო, როდესაც თითოეული აბზაცი ისედაც იწყება დასათაურებლად გამოსადევი საკვანძო სიტყვით (შეად. ზემოთ II.8), მაგალითად, გსკ-ში „§ 580a. ხელშეკრულების მოშლის ვადა.

<sup>57</sup> HdR 2008 (სქ. 5) C.5.1, Rn 375 „Die Absätze sind ... mit vorgesezten eingeklammerten arabischen Ziffern zu versehen.“

<sup>58</sup> Lacey Act (სქ. 1). Dort heißt es etwa “[...] § 3373. Penalties and sanctions

(a) Civil penalties  
(1) Any person who [...]  
(b) Hearings  
Hearings held during [...]“.

<sup>59</sup> გსკ-ში 1238 პარაგრაფს აქვს მხოლოდ ორი აბზაცი, 794-ს უფრო მეტი. გერმანიის საგადასახადო კოდექსში მხოლოდ ორი აბზაცი აქვს 149 პარაგრაფს, უფრო მეტი - 484-ს. შედეგად, საგადასახადო კოდექსში აბზაცის სათაურები გონივრული იქნებოდა, გსკ-ში კი არა.

<sup>60</sup> შდრ., მაგ., § 37a BImSchG „Mindestanteil von Biokraftstoffen an der Gesamtmenge des in Verkehr gebrachten Kraftstoffs; Treibhausgasmindering“.



- (1) მიწის ნაკვეთის ქირავნობისას ...
- (2) კომერციული ფართის ქირავნობისას ...
- (3) მოძრავი ნივთების ქირავნობისას ...“

ასეთი სტრუქტურა მეტად იშვიათია; და, გარდა ამისა, ასეთ შემთხვევებშიც გამეორება არ იქნებოდა ძალიან ცუდი: (1) *მიწის ნაკვეთი*. მიწის ნაკვეთის ქირავნობისას ...“ ან „§ 247. საბაზისო პროცენტი. საბაზისო პროცენტი შეადგენს ...“.

როდესაც შინაარსი მეტად ტექნიკურია, ასეთ დროსაც ნაკლებად საჭიროა აბზაცის დასათაურება, მაგალითად, გსკ-ის 475-ე პარაგრაფის მე-3 აბზაცი: „(3) ამ პარაგრაფის პირველი და მე-2 ნაწილები – §§ 307-309-ისგან დამოუკიდებლად, არ მოქმედებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებების გამორიცხვისა თუ შეზღუდვისათვის.“. აქ აბზაცის სათაურად ისევ „*ზიანის ანაზღაურება*“ თუ გამოდგებოდა. როდესაც საქმე ეხება ფიქტიურ აბზაცებს, მაგ., „(4) §§ მე-8 მუხლის პირველი აბზაცი, მე-9 მუხლის პირველი აბზაცი მე-2 წინადადება ... ძალაში რჩება.“, აბზაცის სათაურად ირჩევენ ხოლმე „კონკურენციას“ ან „გამოყენების ფარგლებს“. ეს ზოგადი ხასიათის პრობლემა აბზაცების შემთხვევაში უფრო ხშირია, რადგანაც პარაგრაფებზე უფრო ხშირად სწორედ ისინი არიან შემოსაზღვრული ტექნიკური შინაარსით.

#### 4. სატესტო ფაზა

დასათაურებული აბზაცები მკითხველისთვის უფრო მიხალბეა. ახლად დამატებული აბზაცებისთვის არსებობს შემდეგი დადებითი და უარყოფითი მხარეები: თუ კანონმდებელი განსაკუთრებით ეყრდნობა სათაურის სახელმძღვანელო ფუნქციას, ის ნაკლებ ყურადღებას უთმობს ნორმის ტექსტის ენობრივ სიცხადეს. მეორე მხრივ, სათაურები ხელს უწყობს თემატურ ფოკუსირებას. ეს გამართლებული იქნება ფოკუსირებისკენ მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო გრძელია ტექსტი. მოკლე აბზაცების შემთხვევაში სწორედ ამიტომაც სათაურები უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მთლიანი პარაგრაფებისას.

ამიტომ, სანამ ახალ კანონებში ოფიციალური სათაურები აბზაცებსაც დაერთვება, საჭიროა შეგროვდეს შესაბამისი გამოცდილება. გამომცემლებს შეუძლიათ აბზაცებს სათაურები დაურთონ კუთხოვან ფრჩხილებში. სწორედ მათ შემოიტანეს პირველად პარაგრაფების სათაურები. კომენტარის ავტორები დიდი ხანია ღირებულ შემოთავაზებებს

აკეთებენ აბზაცების ქვესათაურებით. მათი გადმოღება შეიძლება ჯერ გამომცემლების მიერ და შემდეგ ოფიციალურადაც. თუ ეს გადაწყვეტა მკითხველში მოწონებას დაიმსახურებს, შესაძლებელი იქნებოდა კანონებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. იურისტებისათვის, რომლებიც ზოგადად ყურადღებით გამოირჩევიან, ნათელი კანონები მნიშვნელოვანი მონაპოვარი და დახმარებაა მათ საქმიანობაში.

საქართველოში მუხლის ნაწილებისთვის სათაურების დართვამდე აუცილებელია ნაწილში შემავალი წინადადებების გადანომვრა. წინადადებების ნუმერაცია ტექსტს მკითხველისთვის უფრო მარტივად წასაკითხს გახდის. მეორე მხრივ, ეს ხელს შეუწყობდა უფრო სტრუქტურირებული და სისტემური იურიდიული აზროვნების განვითარებას, რადგანაც ნორმის გამომყენებლები უფრო მეტად მოტივირებული იქნებოდნენ, მიეთითებინათ არა მხოლოდ მთლიანი მუხლი ან ნაწილი, არამედ კონკრეტული წინადადება.

#### IV. დასკვნა

ნორმებს სჭირდებათ სათაურები. კარგი სათაური გულისხმობს სწორ, სათემელის ადვილად გამომხატველ, გასაგებ, კომენტარისაგან თავისუფალ, მოკლე და ერთგვაროვან ტექსტს. ის შეძლებისდაგვარად მხოლოდ ერთი თემატიკით უნდა შემოისაზღვროს. ასეთ შემთხვევაში მკითხველი საჭირო ნორმას უფრო სწრაფად პოულობს. იმისათვის, რომ მკითხველს ორიენტირება კიდევ უფრო გაუადვილდეს, შესაძლოა ცალკეულ კანონებში სათაურები აბზაცებსაც დაერთოს. ამის ფონზე ცალსახაა, რომ ქართული კანონმდებლობა გადამუშავებას საჭიროებს როგორც მთლიანად კანონების, ისე მუხლების სათაურების თვალსაზრისითაც. ნაწილებისა და პუნქტებისთვის სათაურების დართვის გარდა, საჭიროა კანონის დაერთოს ოფიციალური საგნობრივი საარჩევინი (გვერდების მითითების გარეშე), ხოლო მუხლის პუნქტებსა და ნაწილებში შემავალ წინადადებებს კი – ნუმერაცია.

# აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ნინო ქავშიბაია

## I. შესავალი

თავდების ხელშეკრულების ძალით თავდები კისრულობს ვალდებულებას მესამე პირის კრედიტორის წინაშე, საკუთარი ბრალისგან დამოუკიდებლად, პასუხი აგოს ამ მესამე პირის (მთავარი მოვალის) ვალდებულებისათვის — ძირითადი ვალისთვის (სკ-ის 891 I მუხლი).<sup>1</sup> შეუძლებელია საკუთარი ვალის თავდებით უზრუნველყოფა.<sup>2</sup> თავდების შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადი ვალდებულებისაგან გასამიჯნ, თავდების მიერ ცალმხრივად<sup>3</sup> ნაკისრი შესრულების ვალდებულებას,<sup>4</sup> რომელიც საკუთარ სამართლებრივ საფუძველს (კაუზას) საკუთარ თავში შეიცავს და მისი ნამდვილობა სხვა ვალდებულების გარიგების ნამდვილობაზე არ არის დამოკიდებული.<sup>5</sup> თავდებობა წარმოშობს შესრულების დამოუკიდებელ ვალდებულებას და არა მხოლოდ პასუხისმგებლობას სხვისი ვალისათვის.<sup>6</sup> თავდები შესრულებით ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, რის შემდეგაც ძირითადი ვალდებულება გადადის მასზე სკ-ის 905 I მუხლის მიხედვით, ამიტომაც თავდები და ძირითადი მოვალე ვერ ჩაითვლებიან სოლიდარულ მოვალეებად<sup>7</sup> სოლიდარული თავდებობის შემთხვევაშიც კი<sup>8</sup> — მიუხედავად ამისა, თავდების ვალდებულება არის აქცესორული, ანუ წარმოშობის, გაქარწყლების, მიკუთვნების, ისევე, როგორც პასუხისმგებლობის ფარგლებისა (სკ-ის 898 მუხლი) და მო-

თხოვნის განხორციელების (სკ-ის 899 მუხლი) კუთხით, ხანგრძლივად დამოკიდებულია მთავარ ვალდებულებაზე და ამგვარად წარმოადგენს ე. წ. დამხმარე ვალდებულებას.<sup>9</sup> თუმცა ეს აქცესორული ბმა შეიძლება შერბილდეს ან საერთოდ მოირღვეს იმ შემთხვევაში, თუ ის წინააღმდეგობაში მოდის უზრუნველყოფის მიზანთან.<sup>10</sup> განსხვავებული შეთანხმების შემთხვევაში სახეზე აღარ არის თავდებობა, არამედ, მაგალითად, ვალის გადაკისრება ან სხვა ტიპის უზრუნველყოფის შეთანხმება.<sup>11</sup>

თავდებობის მიზანს წარმოადგენს ძირითადი მოვალის წინააღმდეგ მიმართული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფა დამხმარე ვალდებულების კისრებით.<sup>12</sup> ინტერცესიის — სხვისათვის ვალდებულების კისრების — სხვა შემთხვევებზე სკ-ის 891-ე და მომდევნო მუხლები არ გამოიყენება ანალოგიითაც კი, ამიტომაც სკ-ის 905-ე მუხლი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომელიც არ არის თავდები, ისტუმრებს სხვის ვალს, ამ შემთხვევაზე შეიძლება სკ-ის 372 2 მუხლის გამოყენება, თუ, რა თქმა უნდა, სახეზეა სკ-ის 372 1 მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. ამასთან, ცალმხრივად სხვისი ვალდებულების შესრულების საკუთარ თავზე აღება სოლიდარულ თავდებობად შეფასდა სააპელაციო სასამართლოს მიერ და გამოირიცხა სკ-ის 203-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობა ვალის გადაკისრებისას კრედიტორის მიერ ნების გამოვლენის აუცილებლობის გამო.<sup>13</sup>

თავდებობა წარმოიშობა ხელშეკრულების საფუძველზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით<sup>14</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი „თავდების დარ“ კანონისმიერ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს.

<sup>1</sup> შტრ. უკანასკნელად თავდებობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით *მესხიშვილი*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 6 (2017), 71.

<sup>2</sup> Celle BauR 2002, 1711, თუმცა შესაძლებელია ამ შეთანხმების მოვალის გარანტია კონვერსია. დასაშვებია, რომ იურიდიული პირის თავდები იყოს მისი დირექტორი, შტრ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის განჩინება № ას-715-674-2011.

<sup>3</sup> *მესხიშვილი*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 6 (2017), 71

<sup>4</sup> BGHZ 139, 214.

<sup>5</sup> BGH NJW 2001, 1857.

<sup>6</sup> *Sprau*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl. 2014, Einf v § 765 Rn. 1.

<sup>7</sup> BGH WM 1968, 916.

<sup>8</sup> შტრ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 აგვისტოს განჩინება № ას-164-158-2011 და 2019 წლის 5 ივნისის განჩინება № ას-97-2019, სადაც სოლიდარული თავდებობა გაიგივებულია სოლიდარულ ვალდებულებასთან. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება № ას-1172-2018 ასეთ ინტერპრეტაციას უარყოფს. ამასთან, უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებაში № ას-1087-1018-2012, ძირითადი მოვალის ვალზე პასუხისმგებელი რამდენიმე თავდების ვალდებულება სწორადაა შეფასებული სოლიდარულად, რაც 896-ე მუხლიდან გამომდინარეობს.

<sup>9</sup> *T. Lettl*, Akzessorietät contra Sicherungszweck – Rechtsfragen bei der Gestaltung von Bürgschaftserklärungen, WM 2000, 1316

<sup>10</sup> BGH NJW 2005, 2157.

<sup>11</sup> BGH WM 1966, 124.

<sup>12</sup> შტრ. თავდებობის ფარგლებისათვის კონკრეტული უზრუნველყოფის მიზანთან დაკავშირებით ქვემოთ.

<sup>13</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 სექტემბრის განჩინება № 2ბ/2202-14

<sup>14</sup> შტრ. მაგალითისათვის გსკ-ის 566 II და 1251 II 2 პარაგრაფები.

## II. თავდების ვალდებულების საფუძველი

მართალია, თავდებობის ხელშეკრულება წარმოშობს თავდების სამართლებრივად დამოუკიდებელ ვალდებულებას, რომელიც უნდა გაიმიჯნოს უზრუნველყოფილი (ძირითადი) მოთხოვნისაგან, თუმცა განსხვავებით, მაგალითად, გარანტიისაგან, თავდების ვალდებულება არის აქცესორული,<sup>15</sup> რაც ნიშნავს იმას, რომ მისი წარმოშობა, არსებობა, შინაარსი, განხორციელება და ა. შ. დამოკიდებულია ძირითად ვალდებულებაზე.<sup>16</sup> ამგვარი „დინამიკური“ ბმა თავდებობისა და ძირითად ვალდებულებას შორის პირველ რიგში ტექნიკურ-სამართლებრივად აადვილებს მდგომარეობას,<sup>17</sup> კერძოდ იმას, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის ცვლილება უშუალოდ აისახება თავდებობიდან მოთხოვნაზე და ამისთვის საჭირო აღარ არის ცალკე გარიგება ამ დამატებით მოთხოვნასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, აქცესორულობის პრინციპის ძირითადი მიზანია თავდების დაცვა — როდესაც კანონი კრედიტორის მოთხოვნას თავდებობიდან აბამს ძირითად ვალდებულებას, ამით ის ანგარიშს უწევს თავდებობის (უზრუნველყოფის) მიზანს, „კრედიტორი თავდებისაგან მიიღებს მხოლოდ იმას, რისი მიღების უფლებაც ჰქონდა ძირითადი მოვალისაგან მოთხოვნის მდგომარეობის გათვალისწინებით“.<sup>18</sup> შეუძლებელია თავდებობიდან მოთხოვნის დამოუკიდებლად განკარგვა, მისი გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ მთავარ მოთხოვნასთან ერთად. აქ აქცესორულობის პრინციპი ასრულებს მიკუთვნების ფუნქციას და გამორიცხავს ერთი და იმავე საფუძვლით ორმაგი პასუხისმგებლობის შესაძლებლობას.

თავდების ვალდებულებასა და ძირითად ვალდებულებას შორის არსებობს აქცესორული ბმა, რის ნორმატიულ კონსტანტაციასაც წარმოადგენენ სკ-ის 893-ე, 898-ე და 899-ე მუხლები. ეს სამივე დანაწესი წარმოადგენს აქცესორულობის პრინციპის განშტოებებს. პირველი, სკ-ის 893-ე მუხლი, ეხება აქცესორულ ბმას თავდებობიდან მოთხოვნისა — მისი წარმოშობისა და გაქარწყლების,<sup>19</sup> ისევე როგორც მისი შინაარსის განსაზღვრისას — ძირითად მოთხოვნასთან. სკ-ის

898-ე მუხლი ეხება უშუალოდ პასუხისმგებლობის ფარგლებს,<sup>20</sup> ხოლო სკ-ის 899-ე — აქცესორულობის პრინციპის ასახვას თავდების მიმართ მოთხოვნის განხორციელებაზე. თუმცა სკ-ის 898-ე მუხლთან ერთად პასუხისმგებლობის ფარგლებს აწესრიგებს ასევე 893 2 მუხლიც.

## III. აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის

სკ-ის 893 1 მუხლის მიხედვით თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. ეს ნიშნავს იმას, რომ, ზოგადად, თავდების პასუხისმგებლობის შინაარსი იცვლება და ფართოვდება ამ ძირითადი ვალდებულების ცვლილება-გაფართოებასთან ერთად, რაც ზღვარდადებულია პირველ რიგში სკ-ის 898 I მუხლებით და ასევე სკ-ის 893 2 მუხლით. თავდებობის ვალდებულების ფარგლები არ შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ვალდებულების ფარგლებს, ასეთი შეთანხმება უკვე გარანტიას წარმოადგენს.

აქცესორულობის პრინციპიდან გამომდინარე, თავდების სასარგებლოდ მოქმედებს ძირითადი ვალდებულების შემდგომი შემცირება ან ძირითადი მოვალის მდგომარეობის გაუმჯობესება.<sup>21</sup>

დანაწესის მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენს, თავდებობის რისკის დაზუსტება და შემოსაზღვრა; რის ფარგლებშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვისი გარიგებით პასუხისმგებლობის გაფართოების აკრძალვის პრინციპს (*Verbot der Fremddisposition*, იხ. ქვემოთ).<sup>22</sup> ამასთან, მოცემულ დანაწესს ავსებს სკ-ის 898 II ა) 1 მუხლი და ითვალისწინებს თავდებობის (უზრუნველყოფის) მიზანს იმგვარად, რომ ძირითადი ვალის გაზრდა, რამდენადაც ეს გამოწვეულია მოვალის გადახდისუუნარობით ან სხვა მიზეზის გამო შეუსრულებლობით, ტვირთად აწევს თავდებს.

893-ე მუხლში მოწესრიგებული არ არის შემთხვევა, როდესაც, მიუხედავად ძირითადი ვალის გაქარწყლებისა თუ შემცირებისა, უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, თავდები მაინც შეუზღუდავად აცებს პასუხს.<sup>23</sup> ასევე ამ მუხლის რეგულაციის საგანს არ წარმოადგენს თავდების მხრიდან ვალდებულების დარღვევას (მაგ. შესრულების ვადის გადაცილება), რამაც ასევე შეიძლება გაზარდოს მისი

<sup>15</sup> არააქცესორულ თავდებობაზე იხ. *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 191

<sup>16</sup> *D. Medicus*, Die Akzessorietät im Zivilrecht, JuS 1971, 497; *Lettl*, WM 2000, ზემოთ სქ. 9, 1316; *M. Habersack*, Die Akzessorietät — Strukturprinzip der europäischen Zivilrechte und eines künftigen europäischen Grundpfandrechts, JZ 1997, 860; *W. Lindacher*, Die selbstschuldnerische Bürgschaft. Plädoyer für ein effektives Gläubigerwahlrecht, Festschrift Gerhardt (2004), 587, 592 f.; *E. Becker-Eberhard*, Die Forderungsgebundenheit der Sicherungsrechte, *Bielefeld 1993*, 48, 104, 251; *C. Schmidt*, Die sogenannte Akzessorietät der Bürgschaft, Berlin 2001 45, 96.

<sup>17</sup> *Medicus*, JuS 1971, ზემოთ სქ. 16, 498.

<sup>18</sup> BGH NJW 1998, 2972; *Fischer*, Aktuelle höchstrichterliche Rechtsprechung zur Bürgschaft und zum Schuldbeitritt — Teil I, WM 2001, 1051.

<sup>19</sup> თუმცა ეს წარმოშობისა და გაქარწყლების აქცესორულობა იკითხება თავად სკ-ის 891 I მუხლიდანაც.

<sup>20</sup> *Habersack*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 767 Rn. 1.

<sup>21</sup> BGH WM 1984, 633; BGH NJW 1994, 1790. *მესხიშვილი*, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა 6 (2017), 73

<sup>22</sup> *Habersack*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 767 Rn. 1.

<sup>23</sup> მაგ. ძირითადი მოვალის გაცატრება, იხ. ამასთან დაკავშირებით ქვემოთ.

პასუხისმგებლობის ფარგლები და რაც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი წესების მიხედვით განისაზღვრება.<sup>24</sup>

**1. ძირითადი ვალის გაქარწყლება**

როგორც ზემოთ ვახსენეთ, აქცესორულობის პრინციპის რეგულატიური შინაარსი რამდენიმე დანაწესშია გაწერილი. ამთავან სკ-ის 893 1 მუხლის გამოყენების მთავარ სფეროს წარმოადგენს ძირითადი ვალის გაქარწყლება.

**ა) ძირითადი ვალის სრულად გაქარწყლება**

აქცესორულობის პრინციპის საფუძველზე, თავდებობა, სხვა საფუძველზეთან ერთად, სკ-ის 893 1 მუხლის მიხედვით, ქარწყლება ძირითადი ვალის გაქარწყლებასთან ერთად, თუ უზრუნველყოფის მიზნიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (იხ. ქვემოთ). ძირითადი ვალდებულების შეწყვეტა შეიძლება გამოწვეული იყოს შესრულებით (სკ-ის 427-ე მუხლი),<sup>25</sup> შესრულების სუროგატით,<sup>26</sup> დეპონირებით ან გაქვითვით<sup>27</sup>, ისევე როგორც ვალის პატიებითა<sup>28</sup> თუ ვალის არარსებობის აღიარებით სკ-ის 448-ე მუხლის გაგებით.<sup>29</sup> ყველა ამ შემთხვევაში საკუთარი ვალდებულებისაგან თავისუფლდება ასევე თავდებიც. თავდების სასარგებლოდ მოქმედებს სკ-ის 387-ე და მომდევნო მუხლები, თუ თავდებსა და კრედიტორს შორის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ნამდვილია კრედიტორსა და თავდებს შორის დათქმა, რომლის მიხედვითაც, ზღვრული თანხის თავდებობის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია სხვა უზრუნველყოფის საშუალებების რეალიზაციიდან ამონაგები პირველ რიგში ჩაითვალოს იმ ვალდებულების ანგარიშში, რომელიც თავდებობით არ არის უზრუნველყოფილი.<sup>30</sup> ასევე ძირითადი ვალის გაქარწყლება, რომელიც გამოწვეულია ვალდებულების დარღვევით (მაგ. გასვლა ამ დარღვევის გამო) ან შეცილებით, წყვეტს თავდებობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თავდებობით უზრუნველყოფილია კრედიტორის ზიანის ანაზღაურებისა და რესტიტუციული მოთხოვნები.<sup>31</sup> გარდა სხენებულისა, თავდებობა ქარწყლება ხელშეკრულების საფუძვლის მოშლასთან ერთად (სკ-ის 398-ე მუხლი)<sup>32</sup> ისევე, როგორც სკ-ის 8 III მუხლის მიხედვით უფლების პრეკლუზიის შემთხვევაში,<sup>33</sup>

თუ ამის შედეგად ძირითადი მოთხოვნა განუხორციელებელი ხდება. თავდებობა წყდება ასევე კონფუზიისა და ძირითადი მოვალის გამოთიშვის შემთხვევაშიც. იგივე წესი მოქმედებს ნოვაციისას, თუმცა ნოვაციისგან უნდა გაიმიჯნოს (რაც ცალკეულ შემთხვევებში საკმაოდ პრობლემურია) ვალის რესტრუქტურისაციის იმგვარი შემთხვევები, როდესაც თავდებობით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულება უცვლელი რჩება.<sup>34</sup> ძირითადი ვალდებულების მოშლისა და ურთიერთშეთანხმებით გაუქმების შემთხვევაში ასევე თავდებობაც ex nunc-მოქმედებით ქარწყლდება.<sup>35</sup> ვალდებულების თავიდან დაფუძნება არ იწვევს თავდებობის აღდგენას.<sup>36</sup> იგივე წესი მოქმედებს ძველის გაუქმების შემდეგ ახალი საკრედიტო ხაზის გახსნის შემთხვევაში. კონკრეტული თანხის ათვისების შემდეგ მხოლოდ პირობების მისადაგება ძირითად ვალს ძალაში ტოვებს და მასთან ერთად ძალაში რჩება თავდებობაც, ისევე, როგორც ვალის დაფარვის პირობების ცვლილებისას.<sup>37</sup> ეხება თუ არა ვალდებულების შინაარსის ცვლილება ასევე თავდებობიდან მოთხოვნასაც, განისაზღვრება სკ-ის 893 2 მუხლის მიხედვით.

**ბ) ძირითადი ვალის ნაწილობრივ გაქარწყლება**

ძირითადი ვალის ნაწილობრივ გაქარწყლების შემთხვევაში თავდები პასუხისმგებლობის ფარგლებიც მის შესაბამისად მცირდება.<sup>38</sup> ასეთი შემთხვევა ძირითადად სახეზეა მოვალესა და კრედიტორს შორის შემდგარი შეთანხმებით პასუხისმგებლობის შემცირებისას.<sup>39</sup> თუ ძირითადი ურთიერთობა მოშლის მეშვეობით ნაადრევად მთავრდება და მოვალეს აქვს გამოუყენებელი კრედიტის ხარჯების უკუმოთხოვნის უფლება, ეს თანხა უნდა გამოიქვითოს მისი დანარჩენი ვალდებულებიდან და ვალდებულების ამით გამოწვეული შემცირება მოქმედებს ასევე თავდების სასარგებლოდაც. თუ ძირითად ვალდებულებას ფარავს მესამე პირი სკ-ის 371-ე მუხლის მიხედვით, ეს, ჩვეულებრივ, იწვევს ასევე თავდებობის გაუქმებას; თავდებობა ამ დროს ამ მესამე პირის რეგრესის კონდიქციას (სკ-ის 986-ე მუხლი) აღარ უზრუნველყოფს.<sup>40</sup> ამის საპირისპიროდ, თავდებობა ძალაში რჩება უზრუნველყოფილი მოთხოვნის კანონისმიერი ცესიის შემთხვევებში; ეს პირველ რიგში ეხება სკ-ის 372 2, 473 I, 292 II მუხლებით გათვალისწინებული კანონისმიერი ცესიის შემთხვევებს. გარდა ამისა, ეს წესი მოქმედებს ასევე მაშინ, როდესაც მესამე პირის შესრულება უნდა ჩაითვალოს მოთხოვნის მოპოვების საზღაურად, რომლის დათმობასთან

<sup>24</sup> Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 767 Rn. 1.  
<sup>25</sup> OLG München ZIP 2009, 1310.  
<sup>26</sup> BGH WM 1970, 13.  
<sup>27</sup> BGHZ 136, 199.  
<sup>28</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება № ას-97-2019, რომელშიც სასამართლომ არ გაითვალისწინა თავდების პოზიცია და კრედიტორის უარი მოვალისადმი სარჩელზე არ მიიჩნია ვალის პატიებად.  
<sup>29</sup> RGZ 153, 345.  
<sup>30</sup> BGH DB 1960, 351; BGH NJW 1994, 2146.  
<sup>31</sup> RGZ 134, 128; BGH NJW 1986, 43.  
<sup>32</sup> BGH NJW 1963, 1617; BGH NJW 1952, 1049.  
<sup>33</sup> Herrman, in Erman, Kommentar zum BGB, 13. Aufl, 2011, § 767 Rn. 3.

<sup>34</sup> BGH NJW 2003, 59; BGH 2000, 2581; ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, 185  
<sup>35</sup> BGH NJW 1989, 28.  
<sup>36</sup> BGH WM 1969, 1277; BGH NJW 1989, 28.  
<sup>37</sup> BGH NJW 1983, 1111.  
<sup>38</sup> BGH NJW 1999, 2113; BGH NJW 2000, 511.  
<sup>39</sup> BGH NJW 1979, 159.  
<sup>40</sup> BGH MDR 1976, 662.

ერთადაც, სკ-ის 201 I მუხლის მიხედვით, მესამე პირზე გადადის ასევე თავდებობაც.<sup>41</sup>

თუ ძირითადი ვალდებულება ქარწყლდება თავდების ბრალით, მართალია, ეს იწვევს ასევე თავდებობის შეწყვეტასაც, თუმცა მის ადგილს იკავებს კრედიტორის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავდების მიმართ სკ-ის 394 I მუხლიდან. თუ კრედიტორი მოიპოვებს შემცველ მოთხოვნას ძირითადი მოვალის მიმართ, თავდებობა უზრუნველყოფს ამ მოთხოვნასაც.

### გ) აქცესორულობის პრინციპი და მტკიცების ტვირთი

აქცესორულობის პრინციპი მოქმედებს ასევე მტკიცების ტვირთის განაწილების შემთხვევაშიც:<sup>42</sup> კრედიტორს ეკისრება თავდების წინაშე ძირითადი ვალდებულების წარმოშობის მტკიცების ტვირთი, თუმცა ამის საპირწონედ თავდებმა უნდა ამტკიცოს ამ ძირითადი ვალდებულების გამაქარწყლებელი გარემოებების<sup>43</sup> არსებობა.<sup>44</sup> ეს წესი მოქმედებს დამოუკიდებლად უზრუნველყოფილი მოთხოვნის ხასიათისა, ანუ, მაგალითად, კონტოკორენტის ურთიერთობიდან არალიარებული დღიური სალდოს თავდებობით უზრუნველყოფის შემთხვევებშიც.<sup>45</sup>

თავდებმა უნდა ამტკიცოს, რომ კრედიტორის მიერ მისი მოთხოვნიდან გამოქვითული ძირითადი მოვალის შესრულებების გარდა სახეზეა ასევე სხვა შესრულებები.<sup>46</sup> თუმცა მას აქვს უფლება გაეცნოს კრედიტორის დოკუმენტაციას იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია მტკიცებულებების შეგროვებისათვის.<sup>47</sup>

## 2. ძირითადი მოვალის გარიგებები

### ა) გარიგებები თავდებობის კისრების შემდეგ

თავდებობის კისრების შემდეგ ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის დადებული გარიგებით, მართალია, შესაძლებელია თავდების პასუხისმგებლობის შემღუღვა,<sup>48</sup> თუმცა დაუშვებელია მისი გაფართოება (სხვისი გარიგებით პასუხისმგებლობის გაფართოების აკრძალვის პრინციპი), ანუ თავდების იმ რისკის გაზრდა, რომელიც უკავშირდება, მაგალითად, მოთხოვნის ოდენობას (ან მის ვადამოსულობას).<sup>49</sup> ამგვარი გარიგებისმიერი ცვლილებები ბათილია

თავდების მიმართ იმდენად, რამდენადაც ისინი მის მდგომარეობას აუარესებენ და ის შემდგომშიც მხოლოდ თავდაპირველ ფარგლებში აგებს პასუხს. თავდებობა სხვა მხრივ ძალაში რჩება. თუმცა თავდებობა ქარწყლდება ძირითადი მოვალის პიროვნების ცვლილების შემთხვევაში.<sup>50</sup> დამატებითი ვალდებულებები, რომლებიც თავდებისათვის შეცნობადად ჩაღებულა თავდაპირველ ხელშეკრულებაში და ამგვარად მოცულია თავდებობის კისრებით, არ წარმოადგენენ პასუხისმგებლობის გაფართოებას სკ-ის 893 2 მუხლის მიხედვით, ისევე როგორც ვალდებულების უმნიშვნელო ცვლილებები. გადამწყვეტია, შეიძლება თუ არა ჯერ კიდევ მოეთხოვოს თავდებს, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, შებოჭილი იყოს თავდაპირველი ვალდებულებით.<sup>51</sup> თავდების პასუხისმგებლობის გაფართოება ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის დადებული გარიგებით ნამდვილია, თუ ის მასზე გამოთქვამს თანხმობას სკ-ის 892-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმით.

სკ-ის 893 2 მუხლი არ გამოიყენება კრედიტორის იმ ცალმხრივ გარიგებებზე, რომლებიც ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის ხელშეკრულებითაა შეთანხმებული, მაგალითად, ცალმხრივი გარდაქმნითი უფლების გამოყენება.<sup>52</sup> ამის საპირისპიროდ, სკ-ის 893 2 მუხლის გაგებით ვალდებულების გაფართოების მაგალითებია: ძირითადი მოვალის მიერ ვალის აღიარება, რომელიც აჩერებს ხანდამშულობის ვადის დენას<sup>53</sup> (განსხვავებით კონტოკორენტისას სალდოს აღიარებისაგან და მსგავსი შეთანხმებებისაგან<sup>54</sup>); მორიგება, თუ ის ძირითადი მოვალის ვალდებულებას აფართოებს; მოთხოვნის ვადამოსულობის მომენტის გადმოწევა;<sup>55</sup> ცალკეულ შემთხვევებში ასევე შეთანხმებები, ძირითად მოვალესა და კრედიტორ/გაკოტრების მმართველს შორის, გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის მიხედვით.<sup>56</sup> ე. წ. „შესრულების თავდებობის“ შემთხვევაში — არსებითი და უარყოფითი ცვლილება შესასრულებელი ვალდებულების<sup>57</sup> ან მისი შესრულების ვადისა;<sup>58</sup> უზრუნველყოფითი თავდებობის შემთხვევაში ნარდობის ფარგლებში სამუშაოს მიღების მოდალიტეტის უარყოფითი ცვლილება.<sup>59</sup>

ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის არსებული საქმიანი ურთიერთობიდან კონკრეტული მოთხოვნის უზრუნ-

<sup>41</sup> BGH WM 1966, 942

<sup>42</sup> Brödermann, in Prütting/Wegen/Weinreich, BGB, § 767 Rn. 16.

<sup>43</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინება ას-689-910-08, რომლის აღწერილობითი ნაწილის თანახმად, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვისას თავდები პირები სადავოდ ხდიდნენ თავდებობით უზრუნველყოფილი სესხის ნამდვილობას.

<sup>44</sup> BGH 1995, 2162.

<sup>45</sup> BGH NJW 1996, 719.

<sup>46</sup> BGH NJW 1989, 300.

<sup>47</sup> BGH NJW 1985, 3009.

<sup>48</sup> BGH NZBau 2004, 270.

<sup>49</sup> OLG Hamm BauR 2002, 495.

<sup>50</sup> BGH NJW 1980, 2412.

<sup>51</sup> BGH WM 1962, 701.

<sup>52</sup> Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 767 Rn. 10.

<sup>53</sup> OLG Düsseldorf MDR 75, 1019.

<sup>54</sup> OLG München WM 2006, 684.

<sup>55</sup> BGH NJW 2000, 2580.

<sup>56</sup> BGH NJW 2006, 228.

<sup>57</sup> OLG Celle CR 1996, 732.

<sup>58</sup> OLG Hamm NZBau 2000, 471.

<sup>59</sup> OLG Hamburg WM 1992, 349.

ნველყოფისას თავდები პასუხს არ აგებს ამ ურთიერთობის დასრულების შემდეგ წარმომხილი ვალდებულებისათვი-  
60 61

გარდაქმნითი უფლებები (მაგ. არჩევანის უფლება (სკ-ის 374-ე მუხლი), რომლებიც ძირითად მოვალეს თავდებობის კისრების მომენტისათვის უკვე მინიჭებული აქვს, მას შეუძლია თავისუფლად გამოიყენოს ან უარი თქვას მათზე.<sup>62</sup> მაგალითად, ძირითად მოვალეს შეუძლია ნაადრევად გამოიწვიოს სესხის დაბრუნების ვალდებულების ვადამოსულობა მოშლის მეშვეობით, თუ ეს მოშლის უფლება ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს; ნაადრევი მოშლის ჯარიმისათვის პასუხს აგებს ასევე თავდებიც; იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება უქმდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით იმ საფუძვლით, რომელიც მასში იყო გათვალისწინებული.<sup>63</sup>

**ბ) გარიგებები თავდებობის კისრებამდე**

თავდებობის კისრებამდე კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის შეთანხმებით პასუხისმგებლობის გაფართოება სკ-ის 893 2 მუხლით მოცული არ არის. გარიგებები თავდებობის კისრებამდე მოგვიანებით ნაკისრი თავდებობის ნამდვილობას არ ეხებიან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა მოთხოვნის ჩანაცვლება და ამგვარად სახეზე აღარ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნა.<sup>64</sup> თუმცა, თუ თავდებობა თავისი შინაარსით ჩამორჩება მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ფარგლებს, თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მის მიერ ნაკისრი ვალდებულების ფარგლებში. თუ თავდებობა არ შეიცავს მითითებას მთავარი ვალდებულების საგნის ცვლილებასთან დაკავშირებით, კრედიტორს შეიძლება დაეკისროს თავდებისათვის შეტყობინების ვალდებულება; ამ შემთხვევაში თავდები თავისუფლდება, თუ ის რეალური მდგომარეობის შესახებ ცოდნის შემთხვევაში თავდებობას არ იკისრებდა.<sup>65</sup>

**3. სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალა**

კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მოქმედებს ასევე თავდების მიმართაც იმდენად, რამდენადაც მასში უარყოფილია ძირითადი ვალდებულების არსებობა.<sup>66</sup> ეს სასამართლომ თავდებსა და კრედიტორს შორის დავისას საკუთარი ინციტივით უნდა გაითვალისწინოს. ამის საპირისპიროდ, გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს ძირითად ვალდებულებას, თავდების მიმართ არ მოქმედებს და მას შეუძლია ამ ძირითადი ვალის არსებობა სადაო გახადოს კრედიტორის წინააღმდეგ პროცესში.<sup>67</sup> თავდებს შეუძლია კრედიტორს დამოუკიდებლად წაუყენოს ძირითადი მოთხოვნის გამაქარწყლებელი და მისი განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლები,<sup>68</sup> თუ შეთანხმებიდან ან თავდებობის მიზნიდან სხვა რამე არ გამომდინარეობს. კრედიტორსა და თავდებს შორის დავაზე გამოტანილი გადაწყვეტილება არ მოქმედებს კრედიტორისა და ძირითადი მოვალის მიმართ.

**4. სკ-ის 893-ე მუხლის იმპერატიული ხასიათი**

სკ-ის 893-ე მუხლი იმპერატიულია იმდენად, რამდენადაც შეთანხმება, რომელიც სრულებით აუქმებს აქცესორულობის პრინციპს ან ზღუდავს მას თავდების საზიანოდ, ცვლის სახელშეკრულებო ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებას და მას გარდაქმნის გარანტიის ხელშეკრულებად.<sup>69</sup> თუ აქცესორული ბმა უქმდება თავდებობის გამაქარწყლებელი მხოლოდ კონკრეტული გარემოების ნაწილში, შესაძლოა სახეზე იყოს თავდებობისა და გარანტიის ხელშეკრულების ან დამოუკიდებელი ვალის აღიარების კომბინაცია. თუმცა თუ მხარეთა ნება ცალსახად თავდებობის დადებისაკენ იყო მიმართული, მაშინ 893-ე მუხლიდან თავდების საზიანო გადახვევა სტანდარტულ პირობებში ბათილია 346-ე მუხლის მიხედვით.<sup>70</sup> გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ვალის გადავადების ან სხვა, გადახდის მორალიტეტთან დაკავშირებული შეთანხმების, რომელიც არ გამორიცხავს თავდების მიერ დაუყოვნებლივ შესრულებას, თავდებობაზე გავრცელებას.<sup>71</sup>

ბათილია სტანდარტული პირობებით თავდების პასუხისმგებლობის გავრცელება ძირითადი მოვალის იმ სხვა ვალდებულებებზე კრედიტორის მიმართ, რომელიც სცდება თავდებობით უზრუნველყოფილი კრედიტის ფარგლებს. ეს წესი ძალაშია ასევე ზღვრული თანხის თავდებობის შეთანხმების შემთხვევაშიც. ამის საპირისპიროდ, აქცესორულობის პრინციპთან თანხმობაშია თავდების დავალდებულება

<sup>60</sup> BGH WM 1988, 1301.  
<sup>61</sup> გერმანიაში არსებობს ისეთი შერეული ტიპის სამეწარმეო საზოგადოება, როგორცაა GmbH & Co. KG — კომანდიტური საზოგადოება, რომლის კომპლემენტარსაც შპს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, თუ ეს კომპლემენტარი შპს იკისრებს თავდებობას GmbH & Co. KG-ის ვალდებულებისათვის, რომელიც წარმოსდგება საქმიანი ურთიერთობიდან, მისი თავდებობა არ ფართოვდება მხოლოდ იმის გამო, რომ მან მოგვიანებით ყველა კომანდიტური წილი მოიპოვა (BGH WM 1977, 812). იხ. ძირითადი მოვალის მიერ (მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელ და გამაქარწყლებელ) შესაგებლებზე უართან დაკავშირებით ქვემოთ.  
<sup>62</sup> Horn, in Staudinger, Kommentar zum BGB, Neubearb. 2013, § 767 Rn. 42.  
<sup>63</sup> OLG Frankfurt a. M. ZIP 2002, 567.  
<sup>64</sup> BGH NJW 1980 2413.  
<sup>65</sup> BGH NJW 1980, 2413.

<sup>66</sup> BGH NJW 1970, 279.  
<sup>67</sup> BGHZ 76, 230; BGHZ 107, 92.  
<sup>68</sup> OLG Koblenz WM 2006, 481.  
<sup>69</sup> BGH NJW 1993, 1919; Horn, in Staudinger, Kommentar zum BGB, 13. Aufl. 1997, § 767 Rn. 4.  
<sup>70</sup> BGH NJW 2000, 2582.  
<sup>71</sup> BGH NJW 2000, 2582.

გადაიხადოს პირველი მოთხოვნისთანავე, რადგან ამგვარი შეთანხმება ემსახურება მხოლოდ კრედიტორის უზრუნველყოფას და არ წყვეტს თავდებობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოთხოვნისაგან, თუმცა აქაც თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები განისაზღვრება სკ-ის 893-ე მუხლის მიხედვით. ასევე არ მოდის აქცესორულობის პრინციპთან წინააღმდეგობაში თავდების სასარგებლოდ შეთანხმებული დათქმები, რომლებიც ზღუდავენ მის პასუხისმგებლობას: თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებისათვის ზღვრის დადება (ზღვრული თანხის თავდებობა, სკ-ის 898 I) და თავდების პასუხისმგებლობის გამორიცხვა ცალკეული ხარჯებისა და მეორადი მოთხოვნებისათვის, სკ-ის 898 II ა) 1 მუხლიდან გადახვევით.<sup>72</sup>

## 5. თავდების პასუხისმგებლობის ფარგლები

### ა) ძირითადი ვალდებულების ცვლილება კანონის საფუძველზე, სკ-ის 898 II ა) 1 მუხლი

თუ თავდებსა და კრედიტორს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თავდები პასუხს აგებს უზრუნველყოფილი მოთხოვნის ტიპური გაფართოებისა და შინაარსობრივი ცვლილებისათვის.<sup>73</sup>

სკ-ის 898 II ა) 1 მუხლის მიხედვით თავდები პასუხს აგებს ძირითადი ვალდებულების ფარგლების ისეთი ცვლილებისათვის, რომელიც კანონის საფუძველზე ხდება,<sup>74</sup> მაგალითად, ძირითადი ვალის ცვლილება მოვალის ბრალის ან გადახდის ვადის გადაცილების გამო, რაც მოიცავს ასევე ძირითადი მოვალის გადახდისუუნარობის საქმის დაწყების შემდეგ ძირითად ვალზე დარიცხულ პროცენტებსაც<sup>75</sup> (მაგ. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ კანონის 46 IV მუხლი, თუმცა შდრ. ამავე კანონის 21 II დ) მუხლი). ამ პრინციპის თანახმად თავდების პასუხისმგებლობით მოცულია ძირითადი მოვალის მიერ ბრალეულად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (სკ-ის 394-ე და მომდევნო მუხლები).<sup>76</sup> თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სკ-ის 898 II ა) 1 მუხლში „ბრალისა“ და „ვადის გადაცილების“ ხსენება მხოლოდ სამაგალითო ხასიათს ატარებს, იგივე წესი მოქმედებს ძირითადი მოვალის მიერ ნაკისრი საგარანტიო პასუხისმგებლობისა და ძირითადი ურთიერთობის ნაადრევად დასრულებით კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის<sup>77</sup> (Verfrühungsschaden) შემთხვევაშიც.

ხელშეკრულების საფუძვლის მოშლისას (სკ-ის 398-ე მუხლი) თავდები პასუხს აგებს მხოლოდ უზრუნველყოფილი

ვალდებულების ფარგლებში.<sup>78</sup> ამის საპირისპიროდ (გამონაკლისი: საპირისპირო შეთანხმება) თავდები არ აგებს პასუხს რესტიტუციული მოთხოვნისათვის<sup>79</sup> და თავდებობა ქარწყლდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რესტიტუციული ურთიერთობა წარმოიშობა კრედიტორის მიერ გაცხადებული გასვლის საფუძველზე, რის მიზმსაც წარმოადგენს ძირითადი მოვალის მხრიდან ვალდებულების ბრალეული დარღვევა.<sup>80</sup>

თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განმარტების გზით უნდა დადგინდეს, თუ რამდენად უნდა აგოს პასუხი თავდებმა მოვალის მიერ კრედიტორის მოტყუებისათვის ძირითადი ურთიერთობის წარმოშობის ან განხორციელების სტადიაზე.<sup>81</sup> იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც უზრუნველყოფილი მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუმცა კრედიტორს აქვს კონდიციური, რესტიტუციული ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

### ბ) ვალდებულების დარღვევისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები, სკ-ის 898 II ა) 2 მუხლი

ვალდებულების დარღვევისათვის ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგებისათვის — პირგასამტეხლო,<sup>82</sup> მიზანის მყარად დადგენილი თანხა (Schadenspauschale), ხელშეკრულებით შეთანხმებული გასვლის უფლება — თავდები პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს საგანგებოდ იქნება შეთანხმებული. კანონის ეს ჩანაწერი მოიცავს იმ შემთხვევასაც, როდესაც ეს „საგანგებო შეთანხმება“ თავდებობის ხელშეკრულების განმარტების გზით გამომდინარეობს; ანუ თავდები უზრუნველყოფს არა მხოლოდ კონკრეტულ მოთხოვნას მისი დარღვევის კანონისმიერი სანქციებით, არამედ ამ დარღვევისათვის გათვალისწინებულ სახელშეკრულებო სანქციებსაც. საკმარისია, თუ თავდებს უნდა სცოდნოდა ამ სანქციების შესახებ და ევალებოდა მათი გათვალისწინება.<sup>83</sup> სავარაუდოა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის ხელშეკრულებით

<sup>72</sup> RGZ 95, 11.

<sup>73</sup> OLG Düsseldorf WM 2001, 2384.

<sup>74</sup> BGH NJW 1989, 27.

<sup>75</sup> OLG Nürnberg NJW-RR 1992, 47.

<sup>76</sup> BGH NJW 1988, 907; BGH NJW 1986, 1429; OLG Hamm NJW 2005, 2238.

<sup>77</sup> BGH NJW 1989, 1483; BGH NJW 1988, 907; BGH ZIP 2006, 462.51

<sup>78</sup> OLG Düsseldorf WM 2001, 2382: თავდებმა პასუხის უნდა აგოს მთავარი ვალდებულების მისთვის უარყოფითი ცვლილებებისათვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევების მიღმა, თუ ეს ცვლილება წარმოადგენს ძირითადი ვალდებულების ორგანული განვითარების შედეგს: ძირითადი ვალდებულების მისადაგება, რაც გამოწვეულია ხელშეკრულების საფუძვლის დარღვევით, ვერ ჩაითვლება ამ ორგანულ განვითარებად. თუმცა ძირითადი ვალდებულებისა და თავდებობით უზრუნველყოფილის ურთიერთაქცევა არ იწვევს თავდების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას, არამედ თავდები პასუხს აგებს თავდაპირველი ძირითადი ვალდებულების ფარგლებში და არა — მის საზიანოდ სახეცვლილი ძირითადი ვალდებულების ფარგლებში; BGH NJW 2010, 1668.

<sup>79</sup> OLG Hamburg MDR 64, 324.

<sup>80</sup> Herrman, in Erman, Kommentar zum BGB, 13. Aufl, 2011, § 767 Rn. 10.

<sup>81</sup> BGH NJW 1980, 1459.

<sup>82</sup> OLG Düsseldorf WM 2001, 2385.

<sup>83</sup> RG JW 1933, 2826.

ბით შეთანხმებულია პირგასამტეხლო ვადის გადაცილებით, თუმცა კრედიტორი თავდებს ძირითადი მოვალის ვადის გადაცილებასთან დაკავშირებით არ ატყობინებს, გამოიყენება 902 II მუხლი.<sup>84</sup>

ძირითადი მოვალის მიმართ გაცხადებული მოშლის გზით ძირითადი ვალდებულების (შესრულების) ვადამოსულობა ყოველთვის მოქმედებს ასევე თავდების წინააღმდეგაც.<sup>85</sup>

**გ) დამატებითი მოთხოვნები, სკ-ის 898 II ბ) მუხლი**

თავდები პასუხს აგებს დამატებითი მოთხოვნებისათვის, როგორც არის, მაგალითად, მოშლის ხარჯები ან პროცენტის ხარჯები, რომლებიც წარმოეშობა კრედიტორს ძირითადი ვალდებულებით ურთიერთობიდან თავდებობის ხელშეკრულების დადების შემდეგ (სკ-ის 898 II ბ). ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როდესაც ძირითადი ვალდებულება უკვე გაქარწყლდა შესრულების გზით.<sup>86</sup> თუ კრედიტორსა და თავდებს შორის შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამოდინარეობს სკ-ის 898 II ბ) მუხლი არ იწვევს თავდების პასუხისმგებლობისათვის დათქმული ზღვრული თანხის გაზრდას (სკ-ის 898 I მუხლი).

კრედიტორის მიერ თავდებობიდან წარმომდგარი მოთხოვნის განხორციელებისათვის მოქმედებს ზოგადი წესი. თუ ამ განხორციელების პროცესში კრედიტორს წარმოეშობა დამატებითი პროცენტებისა და ხარჯების მოთხოვნის უფლება, თავდების პასუხისმგებლობა შეიძლება ზღვრულ თანხასაც კი გადაცდეს. სკ-ის 898 II ბ) მუხლი ამომწურავი ხასიათისაა და გამორიცხავს კრედიტორი მოთხოვნას თავდების წინააღმდეგ სკ-ის 969, 973-ე მუხლის მიხედვით, მესამე პირის (მაგ. სხვა უზრუნველყოფის გამცემის) მიმართ წარმოებული პროცენტის ხარჯებთან დაკავშირებით.<sup>87</sup>

*აა) ძირითადი ურთიერთობის მოშლისა და პროცენტის ხარჯები*

სკ-ის 898 II ბ) მუხლის თანხმად თავდების პასუხისმგებლობით არის მოცული კრედიტორის მხრიდან ძირითადი ურთიერთობის მოშლის ხარჯებიც. მოშლის შედეგად ძირითადი ვალდებულება ხდება ვადამოსული და ამით ვადამოსული ხდება ასევე თავდების ვალდებულებაც. ამის საპირისპიროდ, თავდებობის იზოლირებული მოშლა არ იწვევს სა-

მართლებრივ შედეგებს არც მოვალისა და არც თავდების წინააღმდეგ.<sup>88</sup>

რაც შეეხება „სასამართლო ხარჯებს“ მის ქვეშ მოიაზრება მთლიანი საპროცენტო ხარჯები სამოქალაქო საპროცენტო კოდექსის 37-ე მუხლების მიხედვით, ანუ როგორც უშუალოდ სასამართლო ხარჯები, ასევე სასამართლოს გარეშე ხარჯები, რამდენადაც ძირითადი მოვალე ვალდებული იქნებოდა ანაზღაურებინა ისინი.<sup>89</sup> ამავე (თავდების მიერ ასანაზღაურებელ) ხარჯებს განეკუთვნება აგრეთვე ძირითადი მოვალის გადახდის უუნარობის საქმეში მონაწილეობის დანახარჯები.<sup>90</sup>

აუცილებელია, რომ ყველა ეს ხარჯი წარმოიშვას თავდებობის კისრების შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორსა და თავდებს შორის შეთანხმებით ეს უკანასკნელი აზღვევს ასევე უკვე წარმოშობილ ხარჯებს.<sup>91</sup>

სკ-ის 898 II ბ) მიხედვით, თავდები მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს მოშლისა და პროცენტის ხარჯებისათვის, თუ თავდებს ჰქონდა შესაძლებლობა კრედიტორის დაკმაყოფილებით ისინი თავიდან აეცილებინა, რის ქვეშაც, რა თქმა უნდა, იგულისხმება არა თავდების ბრალის გარეშე დამდგარი შესრულების შეუძლებლობა ან შესრულების სხვა არაბრალეული გართულება, არამედ მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც თავდებს კრედიტორის მიზნით არა აქვს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა, როგორც არის კრედიტორის ვადის გადაცილება ან თავდებისათვის ვალის გადახდის შესახებ შეუტყობინებლობა.

*ბბ) სახელშეკრულებო დამატებითი მოთხოვნები, სკ-ის 898 II გ) მუხლი*

სახელშეკრულებო დამატებითი მოთხოვნები, როგორც არის, მაგალითად, პროცენტები, პროზონა, დანახარჯები და ა. შ., მხოლოდ მაშინ არის მოცული თავდების პასუხისმგებლობით, თუ ეს გაცხადებულად ან კონკლუდენტურად არის შეთანხმებული თავდებსა და კრედიტორს შორის, ან გამომდინარეობს ამ შეთანხმებიდან განმარტების გზით, მა-

<sup>84</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინება ას-689-910-08, რომლის აღწერილობითი ნაწილის მიხედვით, მეორე ინსტანციაში საქმის განხილვისას სასამართლომ თავდებთა პასუხისმგებლობა არ გააგრძელა ძირითადი მოვალის ვადაგადაცილების პირგასამტეხლოზე, რადგან დაუდასტურებელი იყო თავდებთა შეტყობინება ვადის გადაცილების ფაქტთან დაკავშირებით.

<sup>85</sup> RG LZ 1918, 809

<sup>86</sup> Horn, in Staudinger, Kommentar zum BGB, 13. Aufl. 1997, § 767 Rn. 33.

<sup>87</sup> BGH NJW 2009, 1879.

<sup>88</sup> Horn, in Staudinger, Kommentar zum BGB, 13. Aufl. 1997, § 767 Rn. 33.

<sup>89</sup> BGH NJW 2009, 1879. ამის საპირისპიროდ, გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლოს გარეშე ხარჯებს სასამართლო თავისი ინიციატივით არ განიხილავს (აუცილებელია, მხარემ მოითხოვოს ასეთი ხარჯების განაწილება, უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 26 იანვარის განჩინება JN ას-658-625-2014), თუ ძირითადი მოვალე არ იქნება ვალდებული, ანაზღაუროს სასამართლოს გარეშე ხარჯები (რადგან წარმოების ფარგლებში კრედიტორს ამის მოთხოვნა გამორჩა ან დაავიწყდა, ხოლო ცალკე წარმოებით სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების რაიმე გზა კანონმდებლობით აღარ არსებობს), არც თავდებს დაეკისრება ეს პასუხისმგებლობა.

<sup>90</sup> Horn, in Staudinger, Kommentar zum BGB, 13. Aufl. 1997, § 767 Rn. 34.

<sup>91</sup> Horn, in Staudinger, Kommentar zum BGB, 13. Aufl. 1997, § 767 Rn. 34.



გალითად, ეს დამატებითი მოთხოვნები უკვე არსებობს თავდების კისრების მომენტისათვის.<sup>92</sup> დათქმა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში, რომლის მიხედვითაც, თავდები ზღვრული თანხის (სკ-ის 898 I მუხლი) მიღმა პასუხს აგებს პროცენტების, პროვიზიისა და ხარჯებისათვის, შეიძლება წინააღმდეგობაში მოდიოდეს 344, 346-ე მუხლის მოთხოვნებთან.<sup>93</sup>

## 6. ძირითადი მოვალის შესაგებელები, რომლების თავდებს აქვს მინიჭებული

სკ-ის 899 I 1 მუხლის თავდებს ანიჭებს ძირითადი მოვალის კუთვნილ შესაგებელებს და ამგვარად, წარმოადგენს აქცესორულობის პრინციპის კიდევ ერთ გამოხატულებას.<sup>94</sup> მართალია, სამოქალაქო სამართალში მოქმედებს პრინციპი, რომ დაუშვებელია პირმა კონტრაქტენტს მესამე პირის უფლებიდან წარმომდგარი შესაგებელი წაუყენოს (exceptio ex iure tertii), თუმცა ეს აქ გამონაკლისის სახით დაიშვება, რადგან თავდებობა სხვის ვალდებულებას უზრუნველყოფს და კრედიტორი საკუთარი მოთხოვნის თავდების წინააღმდეგ განხორციელებისას არ უნდა იყოს უკეთესს მდგომარეობაში, ვიდრე იქნებოდა მოთხოვნის მოვალის მიმართ განხორციელებისას.

ამ პრინციპს არბილებს სკ-ის 899 I 2 მუხლი, რომლის მიხედვითაც, თავდები, უზრუნველყოფის მიზნიდან გამომდინარე, ვერ მიუთითებს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. ამავე დანაწესიდან გამომდინარე, გარდაცვლილი ძირითადი მოვალის კრედიტორი არ ვარგავს თავდებისადმი მოთხოვნის უფლებას, თუ ძირითადი მოვალის მემკვიდრისადმი მოთხოვნა სკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადებში არ წარადგინა.<sup>95</sup>

სკ-ის 899 II მუხლი უზრუნველყოფს და ცხადყოფს იმას, რომ თავდები არ ვარგავს თავის შესაგებელებს იმ საფუძვლით, რომ ძირითადმა მოვალემ მათზე უარი თქვა, რაც შეესატყვისება სკ-ის 893 2 მუხლს. თუმცა ეს დანაწესი არ მოიცავს წმინდა პროცესუალური ხასიათის მქონე შესაგებელებს. გამომდინარე იქიდან, რომ თავდები დამოუკიდებელ ვალდებულებით ურთიერთობაში იმყოფება კრედიტორთან, მის წინააღმდეგ მოთხოვნის წაყენების მოდალიტეტი განისაზღვრება თავდების პიროვნების მიხედვით და თავდებობის ხელშეკრულებისათვის მოქმედი კანონისმიერი და სახელშეკრულებო დანაწესებით. ეს დათქმა ვრცელდება, პირველ რიგში, არაგანსჯადი სასამართლოსა და არბიტრაჟის შესაგებელებზე.<sup>96</sup> სხვა წესი მოქმედებს იმ პროცესუალურ

რი შესაგებელების შემთხვევაში, რომლებსაც აქვთ ასევე მატერიალურსამართლებრივი მოქმედება, რომელთა ქვეშაც, პირველ რიგში, იგულისხმება კრედიტორისათვის არახელსაყრელი გადაწყვეტილების კანონიერი ძალა.

სკ-ის 899-ე მუხლი ეხება მხოლოდ იმ შესაგებელებს, რომელიც წარმოსდგება კრედიტორსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობიდან. თუმცა ამ შესაგებელების გარდა თავდებს შეიძლება ჰქონდეს კრედიტორის მიმართ თავისი დამოუკიდებელი შესაგებელები მასთან დადებული თავდებობის ხელშეკრულებიდან. თავდებობის ხელშეკრულებიდან ამომრდილი — მოთხოვნის გამაქარწყლებელი თუ მისი განხორციელების შემაფერხებელი — შესაგებელები მოცულია სკ-ის 891-ე (ან 898) მუხლით. ძირითადი მოვალის მიერ კრედიტორის მიმართ გარდაქმნითი უფლებების (მაგ. შეიცლება, გასვლა, ფასის შემცირება და ა. შ.) გამოყენებასა და ამის სამართლებრივ შედეგებს თავდებისთვის აწესრიგებს სკ-ის მე-900 მუხლი.

### ა) სკ-ის 898-ე მუხლით მოცული შესაგებელები

სკ-ის 898-ე მუხლი, ზოგადად, ეხება ყველა იმ შესაგებელებს, რომელიც მიმართულია ძირითადი მოვალის წინააღმდეგ. მაგალითად: მოთხოვნის ვადამოსულობის გადაწევის შესაგებელი;<sup>97</sup> უსაფუძვლო გამდიდრების შესაგებელი;<sup>98</sup> ნაკლოვანი შესრულების შესაგებელი;<sup>99</sup> ხელშეკრულების საფუძვლის მოშლის გამო მისი მისადაგების შესაგებელი;<sup>100</sup> დაკავების შესაგებელი;<sup>101</sup> ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის უზრუნველყოფის შეთანხმების არანამდვილობის შესაგებელი;<sup>102</sup> მოთხოვნის დროებით არწარდგენის შესაგებელი (მაშინაც კი, როდესაც მოვალე და კრედიტორი ათანხმებენ, რომ მოთხოვნის წარდგენა დროის ამ შუალედშიც შესაძლებელი უნდა იყოს)<sup>103</sup>.

#### აა) ხანდაზმულობის შესაგებელი

სკ-ის 899-ე მუხლით მოცულია, რა თქმა უნდა, ასევე ხანდაზმულობის შესაგებელი.<sup>104</sup> თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელი მოლაპარაკებები მოვალესა და კრედიტორს შორის არ წარმოდგენს ამ შესაგებელზე უარის ნაირსახეობას, შესაბამისად, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება ასევე თავდების მიმართაც.<sup>105</sup> თავდების მიმართ სარჩელის აღძვრა არ იწვევს ძირითადი ვალდებულების ხა-

<sup>92</sup> *Sprau*, in Palandt BGB Kommentar, 73. Aufl. 2014, § 765 Rn. 24.

<sup>93</sup> OLG Hamm WM 1995, 1872; OLG Stuttgart NJW-RR 1997, 301.

<sup>94</sup> BGH NJW 2009, 1664; BGH NJW 2010, 1284; BGH NJW 2009, 3422; LG München WM 2009, 548.

<sup>95</sup> იხ. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება №ას-97-2019.

<sup>96</sup> OLG Frankfurt BeckRS 2015, 00750.

<sup>97</sup> BGH NJW 1979, 160.

<sup>98</sup> BGH NJW 1989, 1854.

<sup>99</sup> BGH NJW 1991, 1049.

<sup>100</sup> BGH NJW 1999, 2032.

<sup>101</sup> BGH ZIP 2017, 2406.

<sup>102</sup> BGH NJW 2018, 458.

<sup>103</sup> BGH ZIP 2018, 68; იხ. დეტალურად *Habersack*, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 768 Rn. 5 f.

<sup>104</sup> BGH WM 2007, 28; BGH ZIP 2009, 1610.

<sup>105</sup> BGH ZIP 2009, 1608.

ნდამშულობის ვადის დენის შეწყვეტას.<sup>106</sup> შესაბამისად, ძირითადი ვალდებულების ხანდაზმულობაზე მითითების უფლება აქვს ასევე იმ თავდებსაც, რომლის წინააღმდეგაც კრედიტორმა უკვე მანამდე აღძრა სარჩელი გადახდის მოთხოვნით. ეს უფლება მას აქვს საკასაციო ინსტანციაშიც.<sup>107</sup> ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძირითადი მოვალის ქონებაზე გადახდისუუნარობის საქმის წარმოება დაწყებული ან ლიკვიდაციის შედეგად ის უკვე ამოიშალა რეესტრიდან, ხოლო ძირითადი ვალდებულება ხანდაზმული ხდება თავდების წინააღმდეგ მიმდინარე პროცესისას.<sup>108</sup>

თუ კრედიტორის მიერ ძირითადი მოვალის მიმართ აღძრული სარჩელი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო არ დაკმაყოფილდა და ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული, თავდებს აქვს მასზე მითითების უფლება.<sup>109</sup> ამის საპირწონედ, თუ ძირითადი მოვალის მიმართ წარმოებულ პროცესში მან ამაოდ სცადა კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითება რაც სასამართლომ არ გაითვალისწინა, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ თავდებსაც აღარ აქვს ხანდაზმულობის შესაგებებლზე მითითების უფლება, რადგან ის უკვე არც თავდებს აღარ ეკუთვნის.<sup>110</sup>

*ბბ) გამორიცხული შესაგებებლები*

გამონაკლისის სახით, უზრუნველყოფის მიზნიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, რომ თავდებს არ უნდა მიენიჭოს ძირითადი მოვალის კუთვნილი ცალკეული შესაგებებლები.<sup>111</sup> ეს ეხება, მაგალითად, „უნაკლო შესრულების უზრუნველყოფი თავდებობისას“<sup>112</sup>, თუ უზრუნველყოფილი შემთხვევა უკვე ნაკლოვანი შესრულების მომენტში არის სახეზე.<sup>113</sup> თუმცა ეს განმარტების შედეგად მიღებული წესი არ არის ძალაში სხვა ტიპის თავდებობების შემთხვევაში, როგორცაა მაგალითად, თანათავდებობა.<sup>114</sup>

ზემოთ მოყვანილი შემთხვევების გარდა, თავდებს არა აქვს ძირითადი მოვალის შესაგებებელი, თუ კრედიტორი ამ ძირითადი მოვალის მიმართ საკუთარი მოთხოვნის განხორციელებას ვერ ახერხებს სამართლებრივი საფუძვლიდან

გამომდინარე<sup>115</sup> და იგივე საფუძველი თავდების სასარგებლოდ არ მოქმედებს. თუმცა ამგვარი შემთხვევა არ გვაქვს სახეზე მაშინ, როდესაც ძირითადმა მოვალემ და კრედიტორმა შეათანხმეს, რომ მოთხოვნა გარკვეული დროის განმავლობაში არ იქნებოდა მოვალისადმი წარდგენილი და, ამავდროულად, თავდებისაგან გადახდის მოთხოვნა დასაშვებია ამ პერიოდის განმავლობაშიც.<sup>116</sup> ამ სიტუაციაში მიჩნეულია, რომ თავდებმა არ უნდა აგოს პასუხი მანამ, სანამ ძირითად მოვალეს აქვს მოთხოვნის არწაყენების აღწერილი შესაგებებელი, მესამე პირის საზიანოდ გარიგების დადების აკრძალვისა და თავდების საზიანოდ შესაგებებელზე უარის თქმის დაუშვებლობის პრინციპებიდან გამომდინარე.

გარდა ზემოთ თქმულისა, შესაძლებელია, რომ ძირითად მოვალესა და კრედიტორს შორის მიღწეული და მოვალისთვის შესაგებების მიმნიჭებელი შეთანხმების განმარტებიდან არ გამომდინარეობდეს ამ შესაგებების თავდების სასარგებლოდ მოქმედება. ეს შემთხვევა, განსაკუთრებით, სოლიდარული თავდებობისას შეიძლება გვექონდეს სახეზე.<sup>117</sup>

გარდა ამისა, თავდებს არ აქვს არც (ძირითადი მოვალის) მემკვიდრის შეზღუდულად პასუხისგების შესაგებებელი, სკ-ის 899 | 2 მუხლი.

**ბ) ძირითადი მოვალის უარი შესაგებებლზე**

თავდები არ კარგავს სკ-ის 899 | 1 მუხლით მისთვის მინიჭებულ ძირითადი მოვალის შესაგებებელს იმ საფუძვლით, რომ ძირითადმა მოვალემ მასზე უარი თქვა (სკ-ის 892 II მუხლი). ნორმა ანალოგიით გამოიყენება ძირითადი მოვალის ყველა იმ პროცესუალურ მოქმედებაზე, რომელიც ტოლფასია შესაგებებლზე გარიგებისმიერი უარისა.<sup>118</sup> თუ ძირითადი მოვალე სხვაგვარად — არა მისი მხრიდან უარის თქმით — კარგავს ამ შესაგებებელს, მაშინ ეს დაკარგვა მოქმედებს ასევე თავდების საზიანოდაც.<sup>119</sup> ამიტომაც თავდები ვეღარ მიუთითებს ხანდაზმულობის შესაგებებლზე, თუ მოვალემ პროცესზე ეს შესაგებებელი აღძრა, თუმცა უშედეგოდ და, მიუხედავად ამისა, მის წინააღმდეგ გადახდის მავალდებულებელი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა; ამ შემთხვევას უკვე ვეღარ შევადარებთ შესაგებებლზე უარს. ეს შესაგებებელი ამ დროს უკვე თავად ძირითად მოვალესაც აღარ ეკუთვნის.<sup>120</sup> ამის საპირისპიროდ, მოთხოვნის არსებობის აღიარება, რომელსაც აქვს სკ-ის 137-ე მუხლით გათვალისწინებული ეფექტი, უთანაბრდება უარს სკ-ის 899 II

<sup>106</sup> BGH NJW 1998, 2973; KG BeckRS 2005, 6992.  
<sup>107</sup> BGH JW 1998, 2974, გარდა ამისა ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის შესაგებების წარდგენა გერმანიაში თავდებს შეუძლია ასევე „აღსრულების ამცილებელი სარჩელი“ (Vollstreckungsabwehrklage) ფარგლებშიც, რომელსაც ქართული სამართალი ამ ფორმით არ იცნობს.  
<sup>108</sup> OLG Düsseldorf NJW-RR 2005, 1495; BGH NJW 2003, 1251.  
<sup>109</sup> BGH NJW 1998, 1141.  
<sup>110</sup> BGH NJW 2016, 3159.  
<sup>111</sup> BGH NJW 1993, 1131 f.; BGH NJW 1998, 1141.  
<sup>112</sup> „უნაკლო შესრულების უზრუნველყოფი თავდებობის შემთხვევაში თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას ნასყიდობის (ან ნარდობის) საგნის ნაკლოვანებისათვის უზრუნველყოფის ვადის განმავლობაში.“  
<sup>113</sup> BGH NJW 1993, 1131 f.; BGH NJW 1998, 1141.  
<sup>114</sup> BGH NJW 1998, 982.

<sup>115</sup> BGH ZIP 2018, 68.  
<sup>116</sup> BGH ZIP 2018, 68.  
<sup>117</sup> OLG Hamm WM 1995, 153.  
<sup>118</sup> BGH NJW 2016, 3161.  
<sup>119</sup> Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 768 Rn. 9.  
<sup>120</sup> BGH NJW 2016, 3159.

მუხლის მიხედვით.<sup>121</sup> ამიტომაც, თავდების ვალდებულების ხანდაზმულობა არ ჩერდება ამგვარი აღიარებით.

## 7. შესაგებლის წაყენება და ამის ვალდებულება

თავდებს შეუძლია კრედიტორს წაუყენოს ის შესაგებელი, რომელიც მოცემული ნორმით არის მოცული. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ვერ მოახერხებს შესაგებლის ეფექტის ფარგლებში საკუთარი მოთხოვნის განხორციელებას.

თავდებსა და ძირითად მოვალეს შორის ურთიერთობიდან გამომდინარეობს, თუ რა ფარგლებშია თავდები ვალდებული, აღძრას ეს შესაგებლები. თუ თავდებს ეს ვალდებულება აკისრია და ის ბრალეულად დაარღვევს მას, მაშინ შეიძლება მისი რეგრესი ძირითადი მოვალის წინააღმდეგ სკ-ის 905-ე მუხლის მიხედვით გამოიწიხოს იყოს. ეს ვალდებულება, ჩვეულებრივ, სახეზეა, თუ, ზოგადად, მოსალოდნელია თავდების რეგრესი. თუ ძირითადი მოვალე უარს ამბობს საკუთარ შესაგებელზე (სკ-ის 899 II მუხლი), მაშინ არც თავდები არის ვალდებული კრედიტორს მოვალის მიერ უარყოფილი შესაგებელი წაუყენოს.

## IV. გამონაკლისები თავდების აქცესორულობის პრინციპიდან

თავდებობა, იპოთეკის მსგავსად, არ არის მკაცრად აქცესორული. აქცესორულობის „შერბილება“<sup>122</sup> ხდება, მაგალითად, სკ-ის 891 II მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც თავდებობა უზრუნველყოფს სამომავლო ან პირობით მოთხოვნას. ასევე სკ-ის 893 2 მუხლში გაკეთებული დათქმაც, რომლის მიხედვითაც თავდებობის აღების შემდეგ ძირითადი მოვალის მიერ გარიგებით ნაკისრი ვალდებულებები თავდების პასუხისმგებლობას არ აფართოებს, აქცესორულობის პრინციპის შეზღუდვას წამოადგენს. სკ-ის 899 I 2 მუხლი, რომელიც ძალაში ტოვებს თავდების შეუზღუდავ პასუხისმგებლობას, მიუხედავად მოვალის მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვისა, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად გამონაკლისს თავდებობის აქცესორულობიდან და ძირითად დასტურს იმისა, რომ კანონმდებელი თავდებს არ იცავს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების რისკისაგან.

### 1. ძირითადი მოვალის გავტრება

ძირითადი მოვალის გავტრებისა და ზოგადად გადახდისუნარიანობის აქცესორულობა უკან იხევს უფრო ფუ-

ნდამენტური პრინციპის — უზრუნველყოფის მიზნის<sup>123</sup> — წინაშე და უნდა დაეუშვათ გამონაკლისი ამ პრინციპიდან.<sup>124</sup> უზრუნველყოფის მიზნის, როგორც ზოგადი პრინციპის, გათვალისწინება გულისხმობს იმას, რომ აქცესორულობა უკან იხევს ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარ მოვალესთან ერთად თავდების პასუხისმგებლობის შეზღუდვა ან მისი სრული გათავისუფლება კრედიტორს უკან გადმოაქისრებდა იმ რისკს, რომლის გასაწინააღმდეგებლადაც მან თავდებობა მოითხოვა. ამიტომაც თავდები სრულად (თავდაპირველი ვალდებულების ოდენობით) აგებს პასუხს მოვალის გადახდისუნარიანობის<sup>125</sup> ან მისი ინდივიდუალური უსახსრობით გამოწვეული ხელშეკრულების საფუძვლის მოშლისას (სკ-ის 398-ე მუხლი).<sup>126</sup>

შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მოვალეს სამეწარმეო რეესტრიდან ამოშლის მომენტისათვის — ან თავდებობის ხელშეკრულების დადების შემდეგ ნებისმიერ სხვა მომენტში — სრული უქონელობის გამო უქმდება, როგორც სამართალსუბიექტი<sup>127</sup>, და ამ მიზეზით მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნა აზრს კარგავს, გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს მიხედვით, თავდებობა, მიუხედავად მისი აქცესორულობისა, გამონაკლისის სახით დამოუკიდებელი მოთხოვნის ფორმით უნდა დარჩეს ძალაში.<sup>128 129</sup>

<sup>123</sup> E. Becker-Eberhard, Die Forderungsgebundenheit der Sicherungsrechte, Bielefeld 1993, 201 ff., 459, 477; Habersack, JZ 1997, ზემო სქ. 16, 857, 862; Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 765 Rn. 61; § 768 Rn. 7.

<sup>124</sup> გერმანიაში გადახდისუნარიანობის აქცესორულობიდან დაშვებულ გამონაკლისთან ნაწილი მოწესრიგებულია სპეციალურ კანონებში, როგორც არის გერმანიის გავტრების შესახებ კანონის 254 II 1 და 301 II 1 პარაგრაფები. ამ დანაწესების მიხედვით ძირითადი ვალდებულების შემცირება სარეაბილიტაციო გეგმისა და მონარჩენი ვალდებულების ჩამოწერის შემთხვევაში თავდების ვალდებულებას უცვლელს ტოვებს და ის მაინც თავდაპირველი მთლიანი ვალდებულებისათვის აგებს პასუხს. თუმცა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ძალაში დატოვება მაშინ, როდესაც ძირითადი მოვალე ნაწილობრივ თუ სრულად თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, არ წარმოადგენს მხოლოდ ამ სპეციალური შემთხვევებისათვის გათვალისწინებულ საგამონაკლისო წესს, არამედ, პირიქით, თავის მხრივ, ეს კანონისმიერ დანაწესებია, ზოგადი პრინციპის კონკრეტული გამოვლინება.

<sup>125</sup> BGH NJW 1993, 1917, 1918; Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 765 Rn. 50, § 765 Rn. 62; BGH NJW 2003, 1250; BGH BB 1956, 830; BGH NJW 1982, 875; BGH NJW 2003, 1250; BGH ZIP 2008, 1376 Rn. 24; BGH NJW 2003, 59, 60; 1993, 1917, 1918.

<sup>126</sup> BGHZ 6, 385.

<sup>127</sup> K.-O. Knops in: Derleider/Knops/Bamberger, Handbuch zum deutschen und europäischen Bankrecht, 2. Aufl., Berlin, Heidelberg 2009, § 25 Rn. 17.

<sup>128</sup> BGHZ 82, 327; BGH WM 1956, 1209; KG NJW 1955, 1152; BGH NJW 1955, 1152; BGHZ 25, 217.

<sup>129</sup> თუმცა თავდების პასუხისმგებლობის ძალაში დატოვების მიზეზი არ არის მხოლოდ ის, რომ თავდებობა მიზნად ისახავს კრედიტორის დაზღვევას ძირითადი მოვალის ვალაუგებლობისაგან და ამგვარად უნდა

<sup>121</sup> OLG Düsseldorf MDR 1975, 1019; Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, § 768 Rn. 5; A. K. Tiedtke/Ch. Holthusen, Auswirkungen eines Anerkenntnisses der Hauptschuld durch den Hauptschuldner auf die Haftung des Bürgen, WM 2007, 95.

<sup>122</sup> Habersack, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 765 Rn. 61.

**2. სხვა გამონაკლისები აქცესორულობის პრინციპიდან**

ძირითადი მოვალის ვაკოტრებისა და ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში აქცესორულობის პრინციპის მოშლისაგან უნდა განვასხვავოთ შემთხვევები, როდესაც თავად ძირითადი ვალის არსებობა და ფარგლები დამოკიდებულია მოვალის გადახდისუნარიანობაზე, რის მაგალითსაც წარმოადგენს საალიმენტო ვალდებულებები (სკ-ის 1214 მუხლი). ამ შემთხვევაში ძირითადი ვალის შემცირება მოქმედებს ასევე თავდების სასარგებლოდ.<sup>130</sup> თუმცა, თუ თავდებობის კისრება ხდება უკვე უქონელი მოვალის ვალისათვის, მაშინ საჭეჭობისას ივარაუდება, რომ აქცესორულობის პრინციპზე უარია ნათქვამი ინტერსეციონერის (თავდების) საზიანოდ,<sup>131</sup> რაც ინტერესის გარანტიად დაკვალიფიცირების საბაზია.

**3. მოვალის „გამოთიშვის“ შემდეგ თავდების პასუხისმგებლობის სამართლებრივი შედეგები**

თუ თავდები (ზემოთ აღწერილი მიზეზებით) ძირითადი მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შემდეგ მაინც პასუხს აგებს, ხდება ამ მთავარი ვალის ფიქცია, ანუ თავდების პასუხისმგებლობისათვის გადამწყვეტია ამ ფიქციური მოთხოვნის ოდენობა, ფარგლები და ა. შ.<sup>132</sup> ამ დროს თავდებს შეუძლია, ზოგადად,<sup>133</sup> მიუთითოს ძირითადი (ფიქციის მეშვეობით დაშვებული) სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმომდგარ ყველა შესაგებებელზე.<sup>134</sup> თუმცა, რა თქმა უნდა, ზოგადი პრინციპებიდან გადახვევით, ხანდაზმულობის შეჩერება ხდება მხოლოდ თავდების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებით. თუ თავდები ასრულებს, მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს რეგრესის წესით დაკმაყოფილება თანათავდებებისაგან ან სხვა უზრუნველყოფის გამცემისაგან იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მას შეეძლებოდა ამ რეგრესის მოთხოვნა მთავარი ვალის არსებობის შემთხვევაში (სკ-ის 905 მუხლი).

განიმარტოს თავად თავდების ნების გამოხატვა, არამედ ისიც, რომ კანონი (საქართველოში: სკ-ის 899 I 2 მუხლი) თავად ითვალისწინებს აქცესორულობიდან განზოგადებაუნარიან გამონაკლისს, მაგალითად, როდესაც გამორიცხავს იმას, რომ ძირითადი მოვალის ვალაუვალობის საბაზით „გამოთიშვამ“ — მემკვიდრის პასუხისმგებლობის შეზღუდვამ — გამოიწვიოს ასევე თავდების პასუხისმგებლობის შეზღუდვა.

<sup>130</sup> K. Larenz/C.-W. Canaris, Schuldrecht BT, II/2, 13. Aufl., München 1994, § 60 III 1 d.  
<sup>131</sup> BGH LM Nr. 2.

<sup>132</sup> W. Kühn/G. Rotthege, Inanspruchnahme des deutschen Bürgen bei Devisensperre im Lande des Schuldners, NJW 1983, 1233; შდრ. უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება № ას-97-2019.  
<sup>133</sup> გამონაკლისებთან დაკავშირებით იხ. ზემოთ.  
<sup>134</sup> BGH NJW 2003, 1250.

# სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პრობლემა ქართული და ევროპული კავშირის კონკურენციის სამართლის მიხედვით

გივი ადამია  
თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

## შესავალი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომში – „კანონი“) არსებული სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმების უმთავრეს მიზანს – ისევე, როგორც იმ ნორმებისა, რომლებიც კონკურენციის შემზღუდავ შეთანხმებებს, შეთანხმებულ ქმედებებს, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და კონცენტრაციას შეეხება, წარმოადგენს ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა და ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნება. მაგრამ, მაშინ, როდესაც კონკურენციის სამართლის კლასიკური ინსტრუმენტები მიმართულია ეკონომიკური აგენტებისაგან მომდინარე საფრთხეების აღკვეთისაკენ, სახელმწიფო დახმარების სამართალი გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოებში აქცევს საკუთრივ სახელმწიფოს და ადგენს მის მიერ გასატარებელი ღონისძიებების შინაარსისა და ფორმის სტანდარტებს. ის განსაზღვრავს კონკურენციის ბუნებრივ პროცესში სახელმწიფოს ჩარევის ინტენსივობის მასშტაბებს.

სახელმწიფო დახმარება, როგორც წესი, გულისხმობს ეკონომიკური აგენტის მიერ სახელმწიფოს ხარჯზე გარკვეული სარგებლის მიღებას, რაც მას შესაბამის ბაზარზე, სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით, მნიშვნელოვანი უპირატესობით უზრუნველყოფს. სახელმწიფოს მიერ ხელოვნურად შექმნილი მსგავსი უპირატესობა კი, საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს ჯანსაღ კონკურენტულ გარემოზე. სწორედ ამიტომ, კრძალავს კონკურენციის სამართალი (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) ეკონომიკური აგენტების სასარგებლოდ სახელმწიფო დახმარების გაცემას.

შიდა ბაზრის პრინციპის არსებითი მნიშვნელობის გამო, სახელმწიფო დახმარების სამართლის როლი განსაკუთრებით დიდი ევროპული კავშირის მართლწესრიგში. ევროპული სახელმწიფო დახმარების სამართალი უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია არსებობს<sup>1</sup> და, შესაბამისად, მოულოდნე-

ლი არაა ის ფაქტი, რომ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა (შემდგომში – „ევროპული სასამართლო“) და ევროპული კომისიის მდიდარი და მრავალფეროვანი პრაქტიკა აერთიანებს სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით მიღებულ არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა თუ განმარტებას, რომელსაც იურიდიული დოქტრინისა და პრაქტიკის განვითარების კუთხით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ევროპული კავშირის კონკურენციის სამართალთან შედარებით ქართულ კონკურენციის სამართალში არც საკმარისი თეორიული საფუძველია შექმნილი და არც საკმარისი გამოცდილებაა დაგროვილი იმისათვის, რომ ზუსტად განისაზღვროს სახელმწიფო დახმარების არსი და მისი მახასიათებლები. გარდა ამისა, ნორმათა ბუნდოვანი ფორმულირება, თავის მხრივ, გამორიცხავს მათი ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამ სფეროში არსებული ამკრძალავი ნორმების სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო დახმარების შემადგენელი ელემენტების ზუსტი იდენტიფიცირება და მისი ცნების სრულყოფილი დეფინიციის ჩამოყალიბება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება წინამდებარე ნაშრომიც, რომელშიც სახელმწიფო დახმარების აუცილებელი წინაპირობები განხილულია ევროპულ იურიდიულ დოქტრინასა და ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით. შედარებითსამართლებრივი კვლევის საფუძველზე კი ნაშრომის დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია სახელმწიფო დახმარების ცნება და რამდენიმე რეკომენდაცია ქართულ სახელმწიფო დახმარების სამართალში განსახორციელებელ აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით.

მსგავსი კვლევის განხორციელებას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს ის ფაქტი, რომ საქართველო უკვე წარმოადგენს ევროასოცირებულ სახელმწიფოს და ესწრაფვის შიდა კანონმდებლობის ევროპული კავშირის სამართალთან დაახლოებას. ამ პროცესის ერთ-ერთ ქვაკუთხე-

<sup>1</sup> სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელ ნორმებს შეიცავდა ჯერ კიდევ ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ 1951 წელს დადებული შეთანხმება (Treaty constituting the European

Coal and Steel Community) – იხ. შეთანხმების მე-4 მუხლის “C” ქვეპუნქტი.

დს სწორედ კონკურენციის სამართალი და ამ სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკა წარმოადგენს. სრულყოფილი დაახლოებისთვის კი გადამწყვეტია ევროპული იურიდიული მეცნიერებისა თუ სასამართლო პრაქტიკის მიღწევების სიღრმისეული კვლევა და მისი გვეგმამომიერი გათვალისწინება.

**I. სახელმწიფო დახმარების წინაპირობების ზოგადი მიმოხილვა**

კანონის მე-12 მუხლის ფარგლებში კანონმდებელი არ აკონკრეტებს ამ ნორმით მოცული სახელმწიფო ღონისძიების ფორმას, მახასიათებლებს, მის ფინანსურ წყაროებს და ა. შ. იგი მხოლოდ ზოგადი ფორმულირებით შემოიფარგლება და უშვებს სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი ფორმით განხორციელების შესაძლებლობას.

მე-12 მუხლისაგან განსხვავებით, სახელმწიფო დახმარების კონკრეტულ ფორმებს ჩამოთვლის კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტი. ამ ნორმის მიხედვით, სახელმწიფო დახმარება წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც მოიცავს გადასახადისაგან გათავისუფლებას, გადასახადის შემცირებას ან გადავადებას, ვალის ჩამოწერას, რესტრუქტურზაციას, სესხის ხელსაყრელი პირობებით გაცემას და სხვა.

კანონის აღნიშნულ მუხლებში ერთსა და იმავე საკითხზე განსხვავებული მიდგომებია განვითარებული, რაც ბუნდოვანს ხდის კანონმდებლის მიზანს. იგი მე-12 მუხლში უშვებს სახელმწიფო დახმარების ნებისმიერი ფორმით განხორციელების შესაძლებლობას, რაც ცნების ფართო ინტერპრეტაციის საფუძველს ქმნის. მე-3 მუხლში კი ავიწროებს სახელმწიფო დახმარების ფარგლებს და კონკრეტულად ჩამოთვლის სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების იმ ფორმებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სახელმწიფო დახმარების გაცემა.

ამასთან, კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, სახელმწიფო დახმარება წარმოადგენს მხოლოდ ეკონომიკური აგენტის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას. კანონის მე-12 მუხლის მიხედვით კი, სახელმწიფო დახმარება შეიძლება მიმართული იყოს არა მარტო ეკონომიკური აგენტის, არამედ კონკრეტული სახის საქმიანობის მიმართაც. ვარდა ამისა, კანონის მე-3 მუხლი სახელმწიფო დახმარების სინონიმურ ტერმინად იყენებს სუბსიდიას, მაშინ, როდესაც სახელმწიფო დახმარების ქვეშ სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვა სახის ღონისძიებებიც მოიაზრება.

კანონის მე-3 მუხლის სათაურია „ტერმინთა განმარტება,“ მაგრამ ცნების ზოგადი განმარტების ნაცვლად ამ მუხლში კანონმდებელი გვთავაზობს სახელმწიფო დახმარების მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების ჩამონათვალს,

რაც ცალსახად არ წარმოადგენს ამ ინსტიტუტის კვალიფიციურ და ადეკვატურ განმარტებას. სახელმწიფო დახმარების კონკრეტული შემთხვევების ჩამონათვალის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება შეიცავს სახელმწიფო დახმარების სფეროში არსებული ამკრძალავი ნორმის მოქმედების ფარგლების მნიშვნელოვნად შეზღუდვის საფრთხეს. ამ „განმარტების“ საფუძველზე, ასევე შეუძლებელია სახელმწიფო დახმარების ზოგადი წინაპირობებისა თუ ელემენტების იდენტიფიცირება, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ართულებს კონკრეტული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პროცესს.

კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში მოცემული შემთხვევების გარდა, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამის ბაზარზე განხორციელებული სხვა ნებისმიერი სახის ინტერვენციაც ალბათობის მაღალი ხარისხით მოწოდებულია გავლენა იქონიოს ამ ბაზარზე ოპერირებად ეკონომიკურ აგენტებს შორის მატერიალური სიკეთეების გადანაწილებაზე (რომლის დროსაც ერთი მხარისთვის სარგებელი ძალზე ხშირად წარმოადგენს ზიანს მეორე მხარისთვის) და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ეკონომიკური აგენტის საბაზრო მდგომარეობაზე.<sup>2</sup> ამ შემთხვევაში, ძირითადად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოს ორი სახის ქმედება: ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ მმართველობითი საქმიანობის ფარგლებში ბაზრის მარეგულირებელი ხასიათის ღონისძიებების განხორციელება და მეორე მხრივ, სახელმწიფო რესურსის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ტრანსფერი ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობის სასარგებლოდ.

თუმცა, სახელმწიფო ღონისძიებების ამგვარი ზოგადი დიფერენცირება არ იძლევა სახელმწიფო დახმარების კონკრეტული მახასიათებლების გამოკვეთის შესაძლებლობას. პრაქტიკაში კი ძალზე რთულია გარკვეული ღონისძიების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაცია და მისი კონკრეტული წინაპირობების დადგენა, რასაც ცხადყოფს კიდევ ევროპული სასამართლოს მდიდარი და მრავალფეროვანი პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სახელმწიფო დახმარების ელემენტებისა თუ მახასიათებლების გამოკვეთა და მისი წინაპირობების დადგენა აუცილებელია, რათა სახელმწიფოს მიერ გატარებულ ქმედებას მიეცეს ზუსტი სამართლებრივი შეფასება. სწორედ ამ გზით უნდა დადგინდეს ექვევა თუ არა იგი უფლებამოსილი ორგანოს კონტროლის ქვეშ. მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნება ასევე იმ სახის ქმედებების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის საკითხის გადასაწყვეტად, რომლებიც, მართალია, დეტალურად არ არის მოცემული კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში, თუმცა კონკურენტული ბაზრის

<sup>2</sup> L. Rubini, Elusive Frontier: Regulation under EC State Aid Law, *ib. Eur. St. Aid* 277 2009. 279.

ინტერესების გათვალისწინებით, აუცილებელია მათი შეფასება კანონის მე-12 მუხლის ფარგლებში.

ევროპული კავშირის სამართალში კონკურენციის შემზღუდავი სახელმწიფო დახმარების ამკრძალავ ძირითად საფუძველს წარმოადგენს ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – „ხელშეკრულება“) 107-ე მუხლი,<sup>3</sup> რომელიც არ ჩამოთვლის სახელმწიფო დახმარების კონკრეტულ შემთხვევებს და ქართული სამართლისგან განსხვავებით, უფრო ნათლად და დეტალურად მიუთითებს სახელმწიფო დახმარების ცნების ელემენტებსა და მის ზოგად წინაპირობებზე. აღნიშნული მუხლის მოქმედების სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება ექცევა და წარმოადგენს აკრძალულ ქმედებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ოთხი წინაპირობა: ა) უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსის საშუალებით განხორციელებული ქმედება; ბ) კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან ეკონომიკური საქმიანობისათვის უპირატესობის მინიჭება გ) გატარებული ღონისძიების შერჩევითი ხასიათი; დ) წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობისთვის ზიანის მიყენება და შიდა ბაზარზე კონკურენციის შემზღუდავა.<sup>4</sup> ხელშეკრულების ამ ნორმის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს ან სახელმწიფო რესურსის საშუალებით მიღებული ბენეფიტების შედეგად შიდა ბაზარზე ეკონომიკურ აგენტებს შორის კონკურენციის შემზღუდვის ან შემზღუდვის საფრთხის პრევენცია და ამ გზით წევრ სახელმწიფოებს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა.<sup>5</sup>

კანონში არსებული წინააღმდეგობების ფონზე ევროპული კავშირის სამართალი, სახელმწიფო დახმარების მახასიათებლებისა თუ მისი ცნების ელემენტებთან დაკავშირებით, უფრო ჩამოყალიბებული პოზიციითა და თანმიმდევრული მიდგომებით გამოირჩევა. ამიტომ, სახელმწიფო დახმარების წინაპირობებზე მსჯელობა მიზანშეწონილია ევროპულ ნორმებზე დაყრდნობითა და ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული ერთგვაროვანი პრაქტიკის საფუძველზე მოხდეს. თუმცა, ქართული კონკურენციის სამართლისგან განსხვავებით, ევროპული კონკურენციის სამართალი არის სუპრანაციონალური ხასიათის და მიზნად ისახავს ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნებას, არა მარტო ერთი სახელმწიფოს ტერიტორიულ სივრცეში, არამედ მთლიანად, ევროპული კავშირის შიდა ბაზარზე. წინამდებ-

რე ნაშრომი კი, ძირითადად, ორიენტირებულია ქართული კონკურენციის სამართლის პრობლემებზე. ამიტომ მასში განხილულია სახელმწიფო დახმარების მხოლოდ ის წინაპირობები, რომელიც არ ატარებს საერთაშორისო ხასიათს და შეიძლება ნებისმიერი მართლწესრიგისთვის მიჩნეულ იქნეს უნივერსალურად.

## II. რელევანტური ქმედება

### 1. ქმედების სუბიექტი

სახელმწიფო დახმარების არსებობისთვის, უპირველეს ყოვლისა, მოცემული უნდა იყოს სახელმწიფოს რელევანტური ქმედება, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ელემენტს აერთიანებს. პირველ ელემენტს წარმოადგენს ქმედების სუბიექტი ანუ ის ორგანოები თუ პირები, რომლებიც ფლობენ საკმარის სამართლებრივ თუ ფინანსურ ბერკეტებს სახელმწიფო დახმარების გასაცემად.

ხელშეკრულების 107-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, კონკრეტული ღონისძიების სახელმწიფო დახმარებად მიჩნევისათვის აუცილებელია ეს ღონისძიება განხორციელებული იყოს „სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსის საშუალებით“ (by a Member State or through State resources/Staatliche oder aus staatlichen Mitteln). ამ ჩანაწერის მიხედვით აშკარაა, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების რელევანტურობა სახელმწიფო დახმარებად მისი კვალიფიკაციისთვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს იმის მიხედვით, გვაქვს თუ არა სახემე სახელმწიფოსთვის შერაცხადი ქმედება ან ხდება თუ არა კონკრეტული ღონისძიების საშუალებით სახელმწიფოს ფინანსური სახსრების ტრანსფერი კონკრეტული ეკონომიკური აგენტისა თუ საქმიანობის სასარგებლოდ.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, ძალზე საინტერესო პრაქტიკა განავითარა ევროპულმა სასამართლომ, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების 87-ე მუხლი (მოქმედი ხელშეკრულების 107-ე მუხლი) მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება არა მხოლოდ სახელმწიფოს ცენტრალური, რეგიონული თუ მუნიციპალური ორგანოების მიერ, არამედ სხვა დაწესებულებების მიერაც, რომლებიც სახელმწიფო ორგანოების კონტროლის ქვეშ (in one way or another, under its control) არიან.

ამ მხრივ ასევე საინტერესოა ქართველი კანონმდებლის მიდგომა, რომელიც რელევანტური ქმედების სუბიექტს „სახელმწიფო დახმარების გამცემს“ უწოდებს და მის ქვეშ კანონის მესამე მუხლის „ტ“ ქვეპუნქტის მიხედვით მოიაზრებს „სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, საჯარო სამართლის იურიდიული პირს, სახელმწიფოს 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ სა-

<sup>3</sup> „იმდენად რამდენადაც ხელშეკრულებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსის საშუალებით განხორციელებული დახმარება, რომელიც კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან საქმიანობისათვის უპირატესობის მინიჭების გზით ზღუდავს კონკურენციას ან შეიცავს მისი შემზღუდვის საფრთხეს და აფერხებს ვაჭრობას წევრ სახელმწიფოებს შორის, არ არის თავსებადი შიდა ბაზართან.“

<sup>4</sup> ECLI:EU:T:2008:585, „Ryanair Ltd“; Case T-196/04, § 36.

<sup>5</sup> ECLI:EU:C:1974:71, „Italy v. Commission“, Case-173/73, § 13.



წარმოს ან სახელმწიფოს სახელით მოქმედ შუამავალ ეკონომიკურ აგენტს, რომელიც სახელმწიფო დახმარების გაცემის მიზნით პირდაპირ ან არაპირდაპირ იყენებს უფლებამოსილებას.“ ევროპული სასამართლოს მსგავსად, ამ შემთხვევაში, ქართველმა კანონმდებელმაც მაქსიმალურად გააფართოვა სახელმწიფოს რელევანტური ქმედების სუბიექტთა წრე და მასში გააერთიანა ნებისმიერი ორგანო თუ დაწესებულება, რომელიც პირდაპირ ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას ან რაიმე ფორმით იმყოფება სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლის ქვეშ.

ევროპული კავშირის სამართალში, სახელმწიფო დახმარების ღონისძიებების ქვეშ, ასევე მოიაზრება წევრი სახელმწიფოების საკანონმდებლო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები<sup>6</sup>, რაც ევროპული კავშირის სამართლის სუპრანაციონალური ხასიათით აიხსნება. ქართულ რეალობაში კი, პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად შეიძლება სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი ნორმების გავრცელება საკანონმდებლო აქტებზე, ბუნებრივია, ცალსახად უარყოფითია, ვინაიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (რომელიც ქმნის სახელმწიფო დახმარების ღონისძიებების კონტროლის სამართლებრივ საფუძველს) შემთხვევაში სახეზე გვაქვს სწორედ საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი და, მეორე მხრივ, ამ კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოს უმაღლესი ლეგიტიმაციის მქონე წარმომადგენლობითი ორგანოს საკანონმდებლო საქმიანობის რაიმე ფორმის ბედამხედველობა აშკარა სამართლებრივ ნონსენსამდე მიგვიყვანს.

2. ქმედების ადრესატი

ხელშეკრულების 107-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო დახმარება მიმართული უნდა იყოს ეკონომიკური აგენტის ან გარკვეული პროდუქციის წარმოების მიმართ. სასამართლოს განმარტებით ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ეკონომიკური აგენტები.<sup>7</sup> თუმცა, ხელშეკრულება არ აკონკრეტებს თუ რა უნდა მოიაზრებოდეს ტერმინ „ეკონომიკური აგენტის“ ქვეშ. ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონკურენციის სამართალში ეკონომიკური აგენტი გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა თუ ფინანსური წყაროებისა, ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას.<sup>8</sup> ეკონომიკურ საქმიანობას კი, აღნიშნული დეფინიციის ფარგლებში, წარმოადგენს ბაზა-

რზე საქონლისა თუ მომსახურების ნებისმიერი სახით მიწოდება.<sup>9</sup>

კანონის მე-12 მუხლი, ხელშეკრულების 107-ე მუხლის მსგავსად, სახელმწიფო დახმარების ადრესატად განიხილავს ეკონომიკურ აგენტს ან კონკრეტული სახის საქმიანობას, თუმცა ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, იგი შეიცავს ეკონომიკური აგენტის ცნების პირდაპირ დეფინიციას. კერძოდ, კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ეკონომიკური აგენტი არის პირი, რომელიც, განურჩევლად რეზიდენტობისა, საწარმოს სამართლებრივი ფორმისა, ახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და სხვა გაერთიანება, რომლებიც არიან ბაზრის მონაწილეები ან/და ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას;

ორივე მართლწესრიგში, სახელმწიფო დახმარების ადრესატად ეკონომიკურ აგენტთან ერთად, განხილულია გარკვეული ეკონომიკური საქმიანობაც. (ხელშეკრულებაში მითითებულია „კონკრეტული პროდუქციის წარმოება“). ამ ჩანაწერის ქვეშ შეგვიძლია მოვიაზროთ შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ახდენს რომელიმე დარგის წახალისებას, რაც საბოლოო ჯამში, გარკვეული ფორმით აისახება ამ სფეროში ოპერირებადი ეკონომიკური აგენტების მდგომარეობაზე. შეიძლება ითქვას, რომ რელევანტური ქმედების საბოლოო და უმთავრეს ადრესატს, ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც ეკონომიკური აგენტი ან ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფი წარმოადგენს.

3. რელევანტური ქმედება ვიწრო გაგებით

ვიწრო გაგებით რელევანტური ქმედების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო დახმარების გამცემი სუბიექტის მიერ განხორციელებული ყველა ის ქმედება, რომელიც არის ვარგისი იმისათვის, რომ გარკვეული უპირატესობით უზრუნველყოს კონკრეტული ეკონომიკური აგენტი. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, ერთი მხრივ, სახელმწიფოს აქტიური მოქმედება და მისი საშუალებით განხორციელებული პირდაპირი ინტერვენცია შესაბამის ბაზარზე და მეორე მხრივ, სახელმწიფოს პასიური ქმედება, ანუ უმოქმედობა. ეს უკანასკნელი შემთხვევა სახეზეა, როდესაც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ბაზარზე სახელმწიფოს როლის გათვალისწინებით, მას აკისრია ვალდებულება გაატაროს გარკვეული სახის ღონისძიებები, თუმცა იგი თავს იკავებს ქმედების განხორციელებისაგან.<sup>10</sup> შედეგად კი იზღუდება კონკურენცია ან წარმოიშობა მისი შეზღუდვის საფრთხე.

<sup>6</sup> ECLI:EU:C:2001:160 “PreussenElektra” Case C-379/98.  
<sup>7</sup> ECLI:EU:C:1977:52 “Steinike und Weinlig” Case 78/76 § 18.  
<sup>8</sup> ECLI:EU:C:1984:271, „Hydrotherm“ Case 170/83, § 11.

<sup>9</sup> ECLI:EU:C:2000:428, “Pavel Pavlov and Others” Joined Cases C-180/98 to C-184/98 § 75.  
<sup>10</sup> სქ. 9. § 19.



სახელმწიფოს აქტიური ქმედების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ სუბსიდიის (დაწვრილებით მომდევნო თავებში) გაცემა. გარდა ამისა, სახელმწიფო დახმარების ნიშნებს შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფოსა და რომელიმე ეკონომიკურ აგენტს შორის წარმოშობილი გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობაც. მაგ. სახელმწიფო ორგანოსა და ეკონომიკურ აგენტს შორის არსებობს ისეთი სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც მის შედეგად წარმოშობილი შესრულებისა და საპირისპირო შესრულების ვალდებულებებს შორის ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ აშკარა ღირებულებით შეუსაბამობას წარმოშობს.<sup>11</sup> სახელმწიფო დახმარების ნიშნებს ასევე შეიძლება შეიცავდეს სახელმწიფო ორგანოს მიერ გატარებული რეგულაციური ხასიათის ღონისძიებაც, რომელიც გარკვეულ უპირატესობას წარმოშობს რომელიმე ეკონომიკურ აგენტის სასარგებლოდ.

აქედან გამომდინარე, გაუგებარია კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში რატომ ათანაბრებს კანონმდებელი სახელმწიფო დახმარებასთან მხოლოდ სუბსიდიას, მაშინ, როდესაც სახელმწიფო დახმარება სუბსიდიის გარდა სხვა სახის ქმედებებსაც შეიძლება მოიცავდეს. რელევანტური ქმედების განხორციელების ფორმათა მრავალფეროვნებაზე ასევე მიუთითებს კანონის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში სახელმწიფო დახმარების „ნებისმიერი ფორმით“ გაცემის შესაძლებლობის დაშვება. „ნებისმიერი ფორმის“ ქვეშ კი არ შეიძლება მხოლოდ სუბსიდია მოიაზრებოდეს.

კანონის მე-12 მუხლისაგან განსხვავებით, რელევანტური სახელმწიფო ქმედების შემადგენლობის ელემენტების უფრო კონკრეტულ ნიშნებს ვხვდებით ხელშეკრულების 107-ე მუხლში, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულია შემდეგი სახის ჩანაწერი „სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსის საშუალებით.“ სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ნორმა ერთმანეთისაგან განასხვავებს, ერთი მხრივ, სახელმწიფოს მიერ გატარებულ ან გასატარებულ მარეგულირებელი ხასიათის ღონისძიებას და, მეორე მხრივ, შემთხვევას, როდესაც გატარებული ღონისძიების საფუძველზე ეკონომიკური აგენტისა თუ აგენტთა ჯგუფის სასარგებლოდ ხდება სახელმწიფოს მატერიალური რესურსების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ტრანსფერი.

ხელშეკრულების 107-ე მუხლის მსგავსმა ფორმულირებამ თავიდანვე წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა მის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, რთულია გადაჭრით იმის თქმა, მოცემულ შემთხვევაში ალტერნატიულ წინაპირობებთან გვა-

ქვს საქმე (ნორმის ფართო განმარტება) თუ კუმულატიურთან (ნორმის ვიწრო განმარტება). სხვაგვარად რომ ითქვას, ნორმის ფორმულირება ცალსახად არ იძლევა პასუხს იმასთან დაკავშირებით წარმოადგენს თუ არა ეკონომიკური აგენტისთვის სახელმწიფო რესურსის გადაცემა კონკრეტული ღონისძიების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის აუცილებელ ელემენტს, თუ მისი სახით დამატებით, შემავსებელი ხასიათის მითითებასთან გვაქვს საქმე, რომლის არსებობის გარეშეც შესაძლებელია სახელმწიფომ ეკონომიკურ აგენტს გაუწიოს დახმარება. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპული სასამართლო იზიარებს მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო დახმარების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფო რესურსის პირდაპირი ან არაპირდაპირი გადაცემის გზით ეკონომიკური აგენტისთვის ან საქმიანობისთვის უპირატესობის მინიჭება<sup>12</sup> (ნორმის ვიწრო განმარტება).

ევროპული სასამართლოს მსგავსი პრაქტიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს „Sloman Neptun“-ის სახელით ცნობილ საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, სადაც აღნიშნულია, რომ წევრი სახელმწიფოს მიერ ისეთი საკანონმდებლო სისტემის გამოყენება, რომელიც ტოვებს არაწევრი სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ ხომალდებს აღნიშნული წევრი სახელმწიფოს რეგულაციების მიღმა და შესაბამისად, ამ ქვეყნის სამართალს დაქვემდებარებულ ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით არახელსაყრელი შრომითი რეგულაციებისა და ტარიფების პირობებში, არ წარმოადგენს ადგილობრივი ეკონომიკური აგენტების სასარგებლოდ გაწეულ სახელმწიფო დახმარებას ხელშეკრულების 92-ე (1) მუხლის (მოქმედი ხელშეკრულების 107-ე მუხლის) გაგებით.<sup>13</sup> არგუმენტად კი სასამართლომ დაასახელა ის ფაქტი, რომ სახელმწიფოს აღნიშნული ღონისძიება არ ესწრაფვის კონკრეტული ეკონომიკური აგენტისათვის ან საქმიანობისათვის სახელმწიფო რესურსების ხარჯზე ფინანსური უპირატესობის მინიჭებას და არ წარმოადგენს ფინანსურ ტვირთს სახელმწიფოს ან მის მიერ შექმნილი ორგანოებისთვის.<sup>14</sup> ამ შემთხვევაში სასამართლომ კუმულატიურად გამოიყენა ორი წინაპირობა – სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედება და სახელმწიფო რესურსის ტრანსფერი. საკანონმდებლო ცვლილება მართალია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ღონისძიებას, თუმცა იმის გამო, რომ არ ხდება სახელმწიფო რესურსის გადაცემა ეკონომიკური აგენტი-

<sup>11</sup> Commission Decision of 29.11.2000 on the aid scheme implemented by Spain in favour of the shipping company Ferries Golfo de Vizcaya (2001/247/EC), იხ. წინამდებარე ნაშრომის მე-2 თავი.

<sup>12</sup> ECLI:EU:C:1978:10, 24.01.1978 „Van Tiggele“ C-82/77 § 25; ECLI:EU:C:1993:97 „Sloman Neptun“ Joined Cases C-72/91 and C-73/91, § 18-19; ECLI:EU:C:1993:907 „Kirshaimmer-Hack“ Case-C-189/91, § 16-18; ECLI:EU:C:1998:209 „Epifania Viscido“ Joined cases C-52/97, C-53/97 and C-54/97 § 13.

<sup>13</sup> ECLI:EU:C:1993:97 „Sloman Neptun“ Joined Cases C-72/91 and C-73/91, § 18-19.

<sup>14</sup> სქ. 13. § 21.

სთვის, სასამართლოს განმარტებით, სახეზე არ გვაქვს სახელმწიფო დახმარება. ევროპულმა სასამართლომ Sloman Neptun-ის საქმეზე ჩამოყალიბებული ეს მიდგომა განავრცო იმავე პერიოდში ერთ-ერთ აქტუალურ და ევროპულ იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე ხშირად ციტირებად Petra Kirsammer-ის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მოცემული დასაბუთებით, რომ ჩვეულებრივი სახელმწიფო ღონისძიება, რომელიც ხასიათდება რეგულაციური ხასიათით, მოწოდებულია მოაწესრიგოს კონკრეტული სახის სამართლებრივი ურთიერთობა და არ წარმოშობს დამატებით ფინანსურ ტვირთს სახელმწიფოსთვის, არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო დახმარებად.<sup>15</sup>

ევროპული სასამართლოს მსგავსმა პრაქტიკამ საფუძველი ჩაუყარა ე.წ. სახელმწიფო რესურსის დოქტრინას ევროპულ სახელმწიფო დახმარების სამართალში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერის - „სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო რესურსის საშუალებით“ ვიწრო ინტერპრეტაციის გამოხატულებას.<sup>16</sup> მსგავსი მიდგომის სასარგებლოდ, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა თუ იურიდიულ ლიტერატურაში, სხვადასხვა არგუმენტებზე კეთდება აქცენტი. ძირითადად კი, იგი გამართლებულია იმით, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფო რესურსი წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების ფუნდამენტურ ელემენტს, ხოლო, მეორე მხრივ, მისი გამორიცხვა სახელმწიფო დახმარების აუცილებელ წინაპირობათა ნუსხიდან, ფაქტობრივად, შეუძლებლად ფარგლებში მოქმედების უფლებას მიანიჭებს ხელშეკრულების 107-ე მუხლს, რაც გულისხმობს კომისიის მხრიდან წევრ სახელმწიფოთა სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში მრავალმხრივი ინტერვენციის დაშვებას, თავისუფალ საკანონმდებლო საქმიანობაში ინტენსიურ ჩარევას<sup>17</sup> და წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის არათანაბომიერ შეზღუდვას. ეს ყველაფერი კი, ბუნებრივია, მიუხედავად მისი სუპრანაციონალური ხასიათისა, არ წარმოადგენს ევროპული კავშირის მიზანს. ამასთან, ევროპული კავშირის სახელმწიფო დახმარების სამართალი, ევროპული კავშირისა და წევრ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ჭრილში, აღიქმება როგორც ლეგიტიმური სახელმწიფო პოლიტიკისა და შიდა ბაზრის ინტერესების დაბალანსების მექანიზმი. ხოლო განსახილველი ნორმის ვიწრო ინტერპრეტაციის თანდაყოლილი რისკი, (იმასთან დაკავშირებით, რომ მისი მოქმედების ფარგლებს მიღმა და, შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების კონტროლის გარეშე დარჩება, წევრ სახელმწიფოთა კონკრეტული ქმედებები, რაც მთელ რიგ შემთხვევებში მისცემთ

მათ საბაზრო წესრიგში თვითნებური ჩარევის შესაძლებლობას,) არის მინიმალური და მასში არ უნდა იქნას შიდა ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვის საფრთხეები დანახული.

გასარკვევია თუ რამდენად არის მიზანშეწონილი ქართულ რეალობაში დასახელებული არგუმენტების საფუძველზე იმ დასკვნის გაკეთება, რომ სახელმწიფო რესურსის განკარგვა წარმოადგენს ღონისძიების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის აუცილებელ ელემენტს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფო დახმარების სამართლის მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ქართულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნება და ამის საპირწონედ არ არსებობს ლეგიტიმურ სახელმწიფო პოლიტიკასა თუ სახელმწიფო სუვერენიტეტში შესახელმწიფოებრივი ძალების ჩარევის შესაძლებლობა. ქართული სახელმწიფო დახმარების სამართალი მსგავსი ხასიათის ევროპული ნორმებისაგან განსხვავებით, წარმოადგენს არა სამართლის საერთაშორისო, არამედ შიდასახელმწიფოებრივ წყაროს, რის გამოც შიდა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე შექმნილი ორგანოს მხრიდან, სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ჯანსაღ კონკურენციასთან თავსებადობის კონტროლის ფარგლები არ შეიძლება შეიზღუდოს იმავე საფუძველით, რა საფუძველითაც ეს ხდება ევროპული კავშირის შემთხვევაში.

ამასთან, ქართული კონკურენციის კანონმდებლობის შემთხვევაში, სახელმწიფო რესურსის გამოყენებით შევიწროებული კანონის მოქმედების ფარგლები სახელმწიფო დახმარებასთან მიმართებაში გამოთანაბრებულია კანონის მე-10 მუხლით, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოებს უკრძალავს კონკურენციის შემზღუდველი სხვადასხვა სახის ქმედებების განხორციელებას. შესაბამისად, ისეთი ქმედებები, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო რესურსის გამოყენების გარეშე სახელმწიფოს მხრიდან რომელიმე ეკონომიკური აგენტისთვის ან ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფისთვის გარკვეული უპირატესობის მინიჭებას, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას ექცევა კანონის მე-10 მუხლის მოქმედების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ქართული კანონმდებლობის გადმოსახედიდან არ არის რელევანტური ის არგუმენტები, რომელზეც აპელირებენ სახელმწიფო რესურსის დოქტრინის მოწინააღმდეგეები.

აქედან გამომდინარე, კანონის მე-12 მუხლის განმარტებისას მიზანშეწონილია გაზიარებულ იქნეს ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა და სახელმწიფო რესურსის ტრანსფერი მიჩნეულ იქნეს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის ერთ-ერთ ძირითად ელემენტად. შესაბამისად, კანონის მე-12 მუხლის მიზნებისათვის, სახელმწიფოს რელევანტურ ქმედებას (ფართო გაგებით) წარმოადგენს სახე-

<sup>15</sup> სქ. 12.  
<sup>16</sup> სქ. 2. გვ. 292.  
<sup>17</sup> Opinion of Advocate General Jacobs delivered on 26 October 2000, 157. <http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?docid=45750&doclang=EN> (19.10.2017 მდგომარეობით).

ლმწიფო დახმარების გამცემის მიერ სახელმწიფო რესურსის ხარჯზე ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობის მიმართ გატარებული ყველა ისეთი ღონისძიება ან ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც შესწევს უნარი, ნებისმიერი ფორმით გავლენა მოახდინოს ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის მატერიალური სიკეთეების გადანაწილებაზე და/ან შეცვალოს ეკონომიკური აგენტის/აგენტების მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე.

### III. უპირატესობა

#### 1. ცნება და მნიშვნელობა

მას შემდეგ, რაც დადგინდება რელევანტური სახელმწიფო ქმედების არსებობა, კვალიფიკაციის პროცესის შემდეგ ეტაპზე, უნდა გაირკვეს იღებს თუ არა ბაზრის მონაწილე რომელიმე ეკონომიკური აგენტი ან აგენტთა ჯგუფი ამ ქმედების საფუძველზე უპირატესობას. სახელმწიფო დახმარების ცნების აღნიშნულ ელემენტზე მითითებას პირდაპირ ვხვდებით ხელშეკრულების 107-ე მუხლში: „სახელმწიფო დახმარება... რომელიც ეკონომიკური აგენტისთვის ან კონკრეტული საქონლის წარმოებისთვის უპირატესობის მინიჭების გზით...“ – აღნიშნული ჩანაწერის მიხედვით უპირატესობის მინიჭება წარმოადგენს იმ გზას, საშუალებას, რომლითაც კონკრეტული ღონისძიება აფერხებს თავისუფალ ბაზარზე კონკურენციის პროცესს.

ხელშეკრულების 107-ე მუხლისაგან განსხვავებით, კანონის არც მე-3 და არც მე-12 მუხლში არ არის სახელმწიფო დახმარების ამ ელემენტზე საუბარი. თუმცა, ბუნებრივია, ეს არ უნდა იქნეს გაგებელი, ისე თითქოს ქართულ რეალობაში სახელმწიფო დახმარების იდენტიფიცირებისათვის იგი ყურადღების მიღმა უნდა დარჩეს, რამდენადაც სახელმწიფო დახმარების არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ამ შემთხვევაში თავისი ქმედებით გარკვეულ სარგებელს ანიჭებს ეკონომიკურ აგენტს. ამიტომ, კანონის მე-12 მუხლის მიზნებისთვის უპირატესობა მიჩნეულ უნდა იქნეს სახელმწიფო დახმარების ცნების აუცილებელ ელემენტად და რელევანტური ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად.

როგორც უკვე აღნიშნა, სახელმწიფოს რელევანტური ქმედების დადგენის ეტაპზე უნდა გაირკვეს არსებობს თუ არა იმის ობიექტური შესაძლებლობა, რომ მოცემულმა ღონისძიებამ გავლენა მოახდინოს ეკონომიკურ აგენტებს შორის მატერიალური სიკეთეების გადანაწილებაზე და ამ გზით შეცვალოს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის მდგომარეობა ბაზარზე. ანუ, რელევანტური ქმედების დადგენის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს ობიექტური მოლოდინი და, შესაბამისად, იმის მინიმალური ალბათობა მაინც, რომ ამ ქმედების საფუძველზე ბაზრის მონაწილეთა შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება შეიცვლება; ხოლო ამ რე-

ლევანტური ქმედების სახელმწიფო დახმარებად მიჩნევისათვის კი აღნიშნული რისკი უნდა იყოს რეალიზებული ან უნდა არსებობდეს მისი რეალიზების გარდაუვალობა. ეს უკანასკნელი კი, უნდა დადგინდეს უპირატესობის შემოწმების ეტაპზე. ამ შემთხვევაში, უნდა გაირკვეს რეალურად ახდენს თუ არა რელევანტური ქმედება პირდაპირ თუ არაპირდაპირ პოზიტიურ გავლენას კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან აგენტთა ჯგუფის მდგომარეობაზე.

საკუთრივ უპირატესობის ქვეშ კი უნდა მოვიანოთ ეკონომიკური აგენტის მიერ რელევანტური სახელმწიფო ქმედების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი სახის ეკონომიკური სარგებელი.<sup>18</sup> ევროპული სასამართლოს განმარტებით განსახილველი წინაპირობის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფო ქმედების მიზანს და/ან მოტივს, არამედ სახელმწიფო დახმარების სამართლისთვის, ამ შემთხვევაში, საინტერესოა მხოლოდ ის შემთხვევა, რომელსაც ახდენს კონკრეტული ქმედება ბაზრის მონაწილის ეკონომიკურ მდგომარეობასა და ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე.<sup>19</sup>

სახელმწიფო დახმარების არსებობისთვის რელევანტურ უპირატესობად მხოლოდ ეკონომიკური სარგებლის არსებობა, უპირველეს ყოვლისა, გამართლებულია საკუთრივ სახელმწიფო დახმარების სამართლის მიზნითა და ამ მიზნის მიღწევის საშუალებების სამართლებრივი ბუნებით. სახელმწიფო დახმარების სამართალი საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად აღჭურვილია არა მარტო პრევენციული ხასიათის ამკრძალავი ნორმებით, არამედ უკანონო სახელმწიფო დახმარების საფუძველზე მიღებული ეკონომიკური სარგებლის გამომხმობის გზით (Recovery/Rückforderung)<sup>20</sup> იგი მოწოდებულია აღადგინოს შესაბამის ბაზარზე Status quo და ჩამოაყალიბოს დახმარების გაცემამდე არსებული საბაზრო წესრიგი.<sup>21</sup> სწორედ უკანონოდ გაცემული სახელმწიფო დახმარების გამომხმობა წარმოადგენს სა-

<sup>18</sup> ECLI:EU:C:1996:285, „*Syndicat français de l'Express international*“, Case C-39/94, § 60.

<sup>19</sup> ECLI:EU:C:1974:71 „*Italy v Commission*“ Case 173/73, § 26/28.

<sup>20</sup> სახელმწიფო დახმარების გამომხმობის პროცედურა მისი სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით ცალკე კვლევის საგანია. ამ შემთხვევაში კი შემოვიფარგლებით მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ კონკურენციის შესახებ კანონი არ შეიცავს ამ პროცედურების მომწესრიგებელ არანაირ ნორმას, რის გამოც ბევრ, კითხვას ბადებს კანონის მე-15 მუხლში სასამართლოში სახელმწიფო დახმარების გასაჩივრებაზე მითითება. ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით ევროპული კავშირის სამართალში არსებობს მთელი რიგი სამართლის მეორადი წყაროებისა რომლებიც არეგულირებენ აღნიშნულ საკითხს (იხ. მაგ. Notice from the Commission towards an effective implementation of Commission decisions ordering member states to recover unlawful and incompatible state aid (2007/C 272/05).

<sup>21</sup> Notice from the Commission towards an effective implementation of commission decisions ordering Member States to recover unlawful and incompatible state aid, 2007 / C 272/05, § 11.

ხელმწიფო დახმარების კონკურენტული ბაზრის ინტერესებთან არათავსებადად ცნობის ლოგიკურ გაგრძელებას, რაც შეუძლებელია განხორციელდეს ქმედების პირდაპირი ადრესატის ეკონომიკური სარგებლით უზრუნველყოფის გარეშე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ არის ეკონომიკური სარგებელი დაზარალებულ მხარეს საკუთარი უფლებების დასაცავად აქვს სხვა სამართლებრივი გზების გამოყენების შესაძლებლობაც. მაგ. მას შეუძლია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფოს დისკრიმინაციული ხასიათის ქმედება და ა.შ. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებზე სახელმწიფო დახმარების სამართლის გავრცელება არ წარმოადგენს აუცილებლობას. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს ქმედებები არ ექცევიან სახელმწიფო დახმარების ცნების ქვეშ, თუ მათგან ბაზრის მონაწილე არ იღებს პირდაპირ ეკონომიკურ სარგებელს.

**2. უპირატესობის მინიჭების ფორმები**

ეკონომიკური სარგებელი შეიძლება ეფუძნებოდეს სახელმწიფოს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე მის უმოქმედობას. ნებისმიერ შემთხვევაში, ორივე სახის ქმედება პოზიტიურ გავლენას უნდა ახდენდეს ეკონომიკური აგენტის მატერიალურ მდგომარეობაზე. გასათვალისწინებელია ორი უზოგადესი ალტერნატივა იმისა, თუ რა ფორმით შეიძლება ეკონომიკურმა აგენტმა/აგენტთა ჯგუფმა მიიღოს სახელმწიფოსგან ეკონომიკური სარგებელი. ეს არის შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული აქტიური თუ პასიური ქმედების საფუძველზე ხდება მათი ხარჯების შემცირება ან მათი შემოსავლების გაზრდა.

კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში დასახელებული შემთხვევებიც სახელმწიფოს ქმედების საფუძველზე ეკონომიკური აგენტების მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ნათელი მაგალითია. კერძოდ, ეკონომიკური აგენტის დანახარჯებზე პოზიტიური გეგავლენის მოხდენით ეკონომიკური სარგებლის მინიჭების შემთხვევას შეგვიძლია მივაკუთვნოთ: გადასახადებისაგან განთავისუფლება, გადასახადის შემცირება, ვალის ჩამოწერა და ა.შ. ამ შემთხვევაში, უპირატესობის დასადგენად, აუცილებელია მოხდეს სახელმწიფოს ინტერვენციამდე და სახელმწიფოს ინტერვენციის შემდეგ არსებული ეკონომიკური აგენტის ჩვეულებრივი ფინანსური ხარჯების ერთმანეთთან შედარება (Internal benchmarking).<sup>22</sup>

შემოსავლების კუთხით დადებითი ეფექტი შეიძლება გამოიხატოს საოპერაციო აქტივების გადაცემაში, ფულადი

დახმარების გაწევაში და ა.შ. შემოსავლებზე პოზიტიური ეფექტის მაგალითად ასევე შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან ხდება ეკონომიკური აგენტისგან კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესყიდვა რეალურზე მაღალ ფასად ან იმ მოცულობით, რომელიც სინამდვილეში აჭარბებს ობიექტურ, რეალურ საჭიროებებს. ამ შემთხვევაში საკითხი, იმასთან დაკავშირებით სახეზეა თუ არა სახელმწიფო დახმარება, წყდება იმის მიხედვით არის თუ არა შესყიდვის ფასი, და შესაბამისად, ეკონომიკური აგენტის მიერ მიღებული შემოსავალი, ჩვეულებრივზე მაღალი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კონკრეტულ შემთხვევაში შესყიდვის ფასის შესყიდვის განხორციელებამდე არსებულ საბაზრო პირობებთან შედარება (External benchmarking).<sup>23</sup>

ამ უკანასკნელი შემთხვევის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ევროპულ სინამდვილეში მომხდარი ფაქტი, როდესაც ესპანეთში სახელმწიფოს რეგულაციური ღონისძიება უზრუნველყოფდა გადამზიდავ კომპანია Ferries Golfo de Vizcaya-ს გარკვეული ეკონომიკური უპირატესობით, რაც კომისიის გადაწყვეტილებით<sup>24</sup> მიჩნეულ იქნა შიდა ბაზართან არათავსებად ქმედებად. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით ბასკეთის ავტონომიური მხარის ერთ-ერთ საჯარო დაწესებულებასა და დასახელებულ კომპანიას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ კომპანიისგან შეიძინა 46 500 ერთეული ვაუჩერი 1995-1998 წწ პერიოდისთვის. კომისიის ეჭვები სახელმწიფო დახმარების სქემის არსებობასთან დაკავშირებით ძირითადად ეფუძნებოდა იმ არგუმენტს, რომ შემსყიდველმა ვერ დაასაბუთა 46 500 ვაუჩერის შესყიდვის აუცილებლობა იმის ფონზე, რომ მათ წინა გარიგებით, რომლის დადებიდანაც არცთუ ისე დიდი ხანი იყო გასული, შემსყიდველმა მხოლოდ 26 000 ერთეული. ამასთან ბუნდოვანი იყო თუ რატომ იყო ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული შესყიდული ვაუჩერების რაოდენობა თვიდან თვემდე (750 ვაუჩერი იქნა შეძენილი 1995 წლის იანვარში, ხოლო იმავე წლის თებერვალში 3000 ერთეული).<sup>25</sup> აღნიშნულის საფუძველზე კომისიამ დაასკვნა, რომ შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ხელოვნურად იყო გაზრდილი მასზე შემცირებული საბაზრო ფასებისგან გამოწვეული კომპანიის შემცირებული შემოსავლის გამოთანაბრების მიზნით და აქედან გამომდინარე, აღნიშნული პირობებით არსებული შეთანხმება არ წარმოადგენდა გონივრულ კომერციულ გარიგებას. ამასთან, კომისია ასევე მიუთითებს, რომ ვაუჩე-

<sup>22</sup> Phedon Nicolaidis, State Aid, Advantage and Competitive Selection: What is a Normal Market Transaction, *ib. Eur. St. Aid L.Q.* 2010, 66.

<sup>23</sup> იქვე.  
<sup>24</sup> Commission Decision of 29.11.2000 on the aid scheme implemented by Spain in favour of the shipping company Ferries Golfo de Vizcaya (2001/247/EC).

<sup>25</sup> Commission Decision of 29.11.2000 on the aid scheme implemented by Spain in favour of the shipping company Ferries Golfo de Vizcaya (2001/247/EC) § 49.

რების შესყიდვა მოხდა ფიქსირებული სამწლიანი პერიოდი-სთვის და არა რეალური საჭიროების საფუძველზე; აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გარიგება ჩაითვა-ლა სახელმწიფო დახმარებად და კომისიის გადაწყვეტილე-ბით მასზე გავრცელდა ევროპული კავშირის ფუნქციონირე-ბის შესახებ ხელშეკრულებაში მოცემული შესაბამისი ამკრძალავი ნორმები.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო დახმარების ქვეშ უნდა მოვიგზავროთ არამარტო სახელმწიფოს ცალმხრივი ქმედება, არამედ, ასევე, ეკონომიკურ აგენტებთან განხორციელებუ-ლი ისეთი ორმხრივი ან მრავალმხრივი სამართლებრივი ტრანზაქციები, როდესაც მის საფუძველზე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული შესრულების საპირწონედ არ არის ეკონომიკური აგენტის მხრიდან თანამომიერი და პროპორციული ღირებულების მქონე შემხვედრი შესრულე-ბა ან შესრულების განხორციელების ვალდებულება სახეზე. სხვაგვარად რომ ითქვას, ამ შემთხვევაში ბაზრის მონაწილე იღებს ეკონომიკურ სარგებელს, მაშინ როდესაც ეს უკან-სკენელი სახელმწიფოს ქმედების საპასუხოდ ახორციელებს გარკვეულ საპირისპირო შესრულებას, თუმცა აღნიშნულ შესრულებასა და სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ შესრულებას შორის ეკონომიკური აგენტის სასარგებლოდ აშკარა ღირებულებითი შეუსაბამობაა.

### 3. უპირატესობა და სუბსიდია ქართულ კონკურენციის სამართალში

როგორც უკვე გაირკვა ევროპული პრაქტიკის მიხე-დვით, სახელმწიფო ღონისძიება კონკრეტული ეკონომიკუ-რი აგენტის სასარგებლოდ, რომელიც ატარებს ორმხრივი შეთანხმების ფორმას, არ შეიძლება გამოირიცხოს სახე-ლმწიფო დახმარების სამართლის მოქმედების სფეროდან მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ამ შემთხვევაში არა სახე-ლმწიფოს ინდივიდუალურ, ცალმხრივ ქმედებასთან, არა-მედ ორმხრივად მავალდებულებელ გარიგებასთან გვაქვს საქმე. აღნიშნული არგუმენტი თავისუფლად ერგება ქა-რთულ რეალობასაც. მაგ. შემთხვევა, როდესაც პირდაპირი (გამარტივებული) სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე ხდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საქონლის ან მო-მსახურების შესყიდვა ჩვეულებრივზე მაღალ ფასად ან საჭი-როზე მეტი მოცულობით, შეიძლება დაკვალიფიცირდეს სა-ხელმწიფო დახმარებად. შესაბამისად გაუგებარია თუ რა-ტომ აიგივებს კანონმდებელი კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვე-პუნქტში სახელმწიფო დახმარებისა და სუბსიდიის ცნებებს ერთმანეთთან. მსგავსი მიდგომა ცალსახად არ არის მა-რთებული და მიზანშეწონილი. ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ 1961 წელს აღნიშნა, რომ, კონკურენციის სამა-რთლის მიზნებისათვის, სახელმწიფო დახმარება უფრო ფა-რთო ცნებაა ვიდრე სახელმწიფოს მიერ გაცემული უბრალო სუბსიდია, ვინაიდან სახელმწიფო დახმარება მოიცავს არა მარტო სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური აგენტის სასარგე-

ბლოდ პირდაპირ გადახდილ თანხებს ან მსგავსი სახის ქმე-დებებს, არამედ, ასევე ბაზრის ბუნებრივი განვითარების დინამიკაში ნებისმიერი სხვა სახის ინტერვენციას, რომე-ლიც გარკვეული ფორმით უპირატეს მდგომარეობას უქმნის კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს/აგენტთა ჯგუფს იმავე შე-საბამის ბაზარზე მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტთან/აგე-ნტთა ჯგუფთან შედარებით.<sup>26</sup>

ნათელია, რომ სუბსიდია წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების მხოლოდ ერთ-ერთ სახეს და ის არ უნდა იყოს სახელმწიფო დახმარების ცნებასთან გათანაბრებული. ის გულისხმობს ბაზრის მონაწილე სუბიექტისთვის ან კონკრე-ტული ეკონომიკური საქმიანობისთვის პირდაპირ ფინანსურ დახმარებას. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ცალმხრივ ქმედებას, რომელსაც შესწევს უნარი გავლენა იქონიოს ბა-ზრის მონაწილეთა შორის არსებულ ურთიერთდამოკიდე-ბულებაზე. ამასთან სუბსიდიის სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციისათვის არარელევანტურია ის, თუ რა წყარო-ებიდან მოზიდული სახსრების განკარგვას ახდენს სახე-ლმწიფო ამ დროს,<sup>27</sup> რადგან სახელმწიფო დახმარების სა-მართლისთვის მნიშვნელოვანია მოახდინოს საკუთრივ სა-ხელმწიფოს მხრიდან კონკურენციის შემზღუდავი ქმედებე-ბის განხორციელების პრევენცია, რისთვისაც მნიშვნელობა არ აქვს კონკრეტული ფინანსური სახსრების წარმომავლო-ბას. თუმცა, ეს არ უნდა ნიშნავდეს შესაბამის ბაზარზე კო-ნკრეტული ღონისძიებისგან მომდინარე კონკურენციის შე-ზღუდვის ინტენსივობის შეფასების დროს მისი ფინანსური წყაროს უგულებელყოფას.

ნათელია, რომ კანონის მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში სა-ხელმწიფო დახმარებისა და სუბსიდიის გაიგივება ერთმანე-თთან არ არის მართებული. ასევე თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო დახმარების განმარტება, როგო-რც ეს მოცემულია მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტში არის არა-სრულყოფილი. უფრო მეტიც, კანონში მსგავსი ჩანაწერი არის ზედმეტი, ვინაიდან კანონის მე-12 მუხლი უკვე მიუთი-თებს „ნებისმიერი ფორმით“ განხორციელებულ სახელმწი-ფო დახმარებაზე, რის გამოც მე-3 მუხლში სახელმწიფო და-ხმარების ცნების დეფინიცია მხოლოდ მისი განხორციელე-ბის ფორმების არასრულყოფილი ჩამონათვალის გაკეთე-ბით არ წარმოადგენს საკითხის ადეკვატურ გადაწყვეტას. კანონმდებელმა თავი უნდა აარიდოს მსგავსი ფორმით სა-ხელმწიფო დახმარების ცნების დეფინიციის საკანონმდე-ბლო მოწესრიგებას და უნდა შემოიფარგლოს ცნების აუცი-ლებელი ელემენტებისა თუ ზოგადი წინაპირობების ჩამოყა-ლიბებით. ამგვარად შესაძლებელი იქნება კონკრეტული ღონისძიების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის სა-კითხის გადაწყვეტა არა იმის მიხედვით ემთხვევა თუ არა

<sup>26</sup> ECLI:EU:C:1961:2 „Steenkolennijnen“ C-30/59, 19; ECLI:EU:C:2001:598 „Adria-Wien Pipeline“ C-143/99 § 38.

<sup>27</sup> EuGH: Absatzfonds der deutschen Agrarwirtschaft, NJW 1977, 1005.

იგი კანონში პირდაპირ მითითებულ ქმედებას, არამედ იმის მიხედვით, ექცევა თუ არა იგი ცნების ზოგადი საკანონმდებლო დეფინიციის ფარგლებში. სახელმწიფო დახმარების ცნების ელემენტების საფუძველზე კი შესაბამისმა უფლებამოსილმა ორგანომ თუ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პრობლემა.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედი რედაქცია არ შეიცავს სახელმწიფო დახმარების ელემენტების სრულყოფილ ჩამონათვალს. ამ უკანასკნელზე არც კანონის მე-3 მუხლშია რაიმე ნახსენები. თუ ჩავთვლით, რომ მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის ჩანაწერი არის ზედმეტი, აუცილებელია კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომ მასში ნათლად იყოს მითითება სახელმწიფო დახმარების ცნების აუცილებელ ელემენტებზე, მათ შორის – უპირატესობაზე, (იხ. ნაშრომის მე-5 თავი).

#### IV. შერჩევითობა

##### 1. უპირატესობის ექსკლუზიური ხასიათი

სახელმწიფო ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის მომდევნო მნიშვნელოვან წინაპირობას ღონისძიების შერჩევითი ხასიათი წარმოადგენს. შეიცავს რა შემდეგი სახის ჩანაწერს, ხელშეკრულების 107-ე მუხლის დისპოზიცია პირდაპირ მიუთითებს აღნიშნული წინაპირობის არსებობის აუცილებლობაზე: „...კონკრეტული ეკონომიკური აგენტისა თუ საქმიანობისათვის უპირატესობის მინიჭების გზით...“<sup>28</sup> აღნიშნული ფორმულირების მიხედვით სწორედ შერჩევითობის საფუძველზე ახდენს სახელმწიფოს რელევანტური ქმედება ბაზარზე კონკურენციის შეზღუდვას ან შეზღუდვის საფრთხის წარმოშობას. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს, რომ შერჩევითობა სწორედ სახელმწიფო დახმარების შემადგენელი განუყოფელი ნაწილია და უპირატესობის მიმნიჭებელ რელევანტურ ქმედებასთან ერთად წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების ერთ-ერთი მთავარ პრერეკვიზიტს.<sup>29</sup> აქედან გამომდინარე, თუ სახელმწიფოს კონკრეტული ქმედება არ ატარებს შერჩევით ხასიათს იგი არ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო დახმარებად.<sup>30</sup>

ამასთან, სახელმწიფოს რელევანტური ქმედების ფართო განმარტების პირობებში (იხ. ნაშრომის მე-3 თავი) სწორედ შერჩევითობის კრიტერიუმი წარმოადგენს იმ

ერთადერთ გამართლებულ და ადეკვატურ მექანიზმს, რომელიც მოწოდებულია გონივრულ ჩარჩოებში მოაქციოს რელევანტური სახელმწიფო ქმედების ფაქტობრივად შეუზღუდავი ფარგლები. სახელმწიფო დახმარების სწორედ ამ წინაპირობაში ხედავდა Preussen Elektra-ს საქმეზე გენერალური ადვოკატი გერმანიის ფედერალური მთავრობის მიერ დანახული, წევრი სახელმწიფოს თავისუფალ საკანონმდებლო პროცესში ევროპული კავშირის ორგანოების ჩარევით გამოწვეული საფრთხეების კომპენსირების საშუალებას.<sup>31</sup>

შერჩევითობის ფაქტის დასადგენად პირველ რიგში მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმის გარკვევა, შეიცავს თუ არა სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება რომელიმე ეკონომიკური აგენტისა თუ საქმიანობისათვის ექსკლუზიურ უპირატესობას.<sup>32</sup> თუ რელევანტური ქმედება უზრუნველყოფს კონკრეტულ სუბიექტს/სუბიექტთა ჯგუფს ეკონომიკური სარგებლით ბაზარზე და არ ხდის მას ხელმისაწვდომს იგივე პირობებში მყოფი ბაზრის რომელიმე სხვა ეკონომიკური აგენტისთვის მაშინ ღონისძიება არის შერჩევითი.<sup>33</sup> თუ მსგავსი შემთხვევების არსებობა ვერ დადასტურდება მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ზოგადი ხასიათის ღონისძიებად, რომელიც არ შეიძლება მოექცეს არც ხელშეკრულების 107-ე და არც კანონის მე-12 მუხლის აკრძალვების ქვეშ.

შერჩევითობა არის ის მთავარი ელემენტი, რომელიც განასხვავებს სახელმწიფო დახმარებას ზოგადი ხასიათის ღონისძიებისაგან.<sup>34</sup> სახელმწიფო დახმარების შემთხვევაში საქმე ეხება სუბიექტურ ქმედებას, რომელიც მიმართულია კონკრეტული პირისა თუ საქმიანობისაკენ და მის სუბიექტურობას სწორედ მისი შერჩევითი, მიკერძოებული ხასიათი განაპირობებს. ამისგან განსხვავებით, ზოგად ღონისძიებას შესწევს უნარი ჩამოაყალიბოს ობიექტურ წესრიგი ბაზარზე და ამ გზით გასცდეს სახელმწიფო დახმარების სამართლის მოქმედების ფარგლებს. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება ზოგადი ხასიათის ღონისძიებას, რომელიც თანაბრად არის მიმართული სახელმწიფოში არსებული ყველა ეკონომიკური აგენტისკენ, მაშინ იგი არ ითვლება სახელმწიფო დახმარებად, ვინაიდან, როგორც წესი, იგი მოწოდებულია პოზიტიური ეფექტი მოახდინოს არა რომელიმე შერჩეული ეკონომიკური აგენტისთვის.

<sup>28</sup> ECLI:EU:C:2001:598 „Adria-Wien Pipeline“ C-143/99 § 34.  
<sup>29</sup> ECLI:EU:C:2003:92 „Kingdom of Spain v. Commission“ Case C-409/00 § 47.  
<sup>30</sup> Bekanntmachung der Kommission zum Begriff der staatlichen Beihilfe im Sinne des Artikels 107 Abs. 1 des Vertrags über die Arbeitsweise der Europäischen Union, 2016/C 262/01 § 117.

<sup>31</sup> Opinion of Advocate General Jacobs delivered on 26 October 2000, 157.  
nb.http://curia.europa.eu/juris/showPdf.jsf?docid=45750&doclang=EN (03.08.2017 მდგომარეობით).  
<sup>32</sup> ECLI:EU:T:2000:223 „Confederación Española de Transporte de Mercancías“ Case T-55/99 § 39.  
<sup>33</sup> ECLI:EU:C:2008:488 Joined Cases C-428/06 to C-434/06 § 46; ECLI:EU:C:2006:511, „Portugal v. Commission“ § C-88/03 § 56.  
<sup>34</sup> Prek Miro, Lefeevre Silver; The Requirement of Selectivity in the Recent Case-Law of the Court of Justice, იხ. Eur. St. Aid L.Q. 2012, 335.

ნომიკური აგენტის მატერიალურ მდგომარეობაზე, არამედ მთლიანად ბაზრის მდგრად განვითარებაზე.<sup>35</sup>

## 2. შერჩევითობის სახეები

სახელმწიფოს რელევანტური ქმედების შერჩევითი ხასიათი შესაძლებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვა ფორმითა თუ სახით იყოს გამოხატული. ხშირად შერჩევითობა გამომდინარეობს ღონისძიების წმინდა ფორმალურ-სამართლებრივი მახასიათებლებისგან, რომლებიც ეკონომიკურ აგენტს/აგენტთა ჯგუფს გარკვეული სახის ეკონომიკური სარგებლით უზრუნველყოფენ. ამ შემთხვევაში შერჩეული ეკონომიკური აგენტის/აგენტთა ჯგუფის შერჩევის კრიტერიუმებს ძირითადად წარმოადგენს ეკონომიკური აგენტის ისეთი მახასიათებლები როგორცაა მათი სიდიდე, დაფუძნების დრო, სამართლებრივი ფორმა, საქმიანობის სფერო და ა.შ. როდესაც მსგავსი მახასიათებლები პირდაპირ არის მითითებული ღონისძიების საფუძვლად არსებულ ფორმალურ აქტებსა თუ სხვადასხვა სახის იურიდიულ დოკუმენტებში საქმე ეხება ე.წ. De-jure შერჩევითობას. მსგავს შემთხვევაში შერჩევითობის იდენტიფიცირებისათვის საკმარისია ღონისძიების მხოლოდ ფორმალურ-სამართლებრივი მხარის შემოწმება.

De-jure შერჩევითობასთან ერთად ასევე გასათვალისწინებელია De-facto შერჩევითობაც, რომელიც სახეზეა მაშინ, როდესაც მართალია სახელმწიფოს მიერ გასატარებული ღონისძიების ფორმალური მხარე წესრიგშია, თუმცა იგი რეალურად ისეა ჩამოყალიბებული, რომ მისი საშუალებით ეკონომიკური უპირატესობით უზრუნველყოფილია ეკონომიკურ აგენტთა მხოლოდ გარკვეული ჯგუფი. სხვაგვარად რომ ითქვას, ღონისძიება ფორმალურად ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ფაქტობრივად მისი საშუალებით ეკონომიკურ სარგებელს იღებს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ეკონომიკური აგენტი ან აგენტთა ჯგუფი. აქედან გამომდინარე, De-jure შერჩევითობისგან განსხვავებით, De-facto შერჩევითობის დასადგენად არ კმარა მხოლოდ ღონისძიების ფორმალური მხარის შემოწმება, არამედ აუცილებელია ღრმა შინაარსობრივი კვლევის განხორციელება.

გარდა ამისა, კანონის მე-12 მუხლი პირდაპირ შეიცავს სექტორალური უპირატესობის აკრძალვასთან დაკავშირებულ ჩანაწერს, რამდენადაც იგი საუბრობს კონკრეტული სახის საქმიანობისთვის მინიჭებულ სახელმწიფო დახმარებაზე. ხელშეკრულების 107-ე მუხლი კი უთითებს კონკრეტული პროდუქციის წარმოებაზე. ცხადია ორივე ფორმულირებაში ერთი და იგივე შინაარსი უნდა იქნეს გაგებული: საქმე ეხება კონკრეტული სახის ეკონომიკური საქმიანობის,

დარგის ან სფეროს და შესაბამისად, ამ სფეროში ოპერირებადი აგენტების ეკონომიკურ „ჩახალისებას“.

შერჩევითობა შეიძლება ეფუძნებოდეს კონკრეტული ღონისძიების გეოგრაფიულ მასშტაბებს. მსგავსი შემთხვევა სახეზეა, როდესაც სახელმწიფოს რელევანტური ქმედებას გააჩნია მხოლოდ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილზე მოქმედების იურიდიული ძალა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღონისძიება, რომლის მოქმედების არეალიც შემოიფარგლება მხოლოდ გარკვეული სივრცითი ნაწილით და არა მთლიანად სახელმწიფოს ტერიტორიით, ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს სახელმწიფო დახმარებას. ამ შემთხვევაში განხილვის ძირითადი ობიექტი უნდა იყოს მიღებული სახელმწიფო დახმარების გამცემი სუბიექტის სამართლებრივი სტატუსი – წარმოადგენს იგი სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ნაწილს თუ რეგიონული/ადგილობრივი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დონის ორგანოს.

გეოგრაფიულ შერჩევითობასთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო პრაქტიკა განავითარა ევროპულმა სასამართლომ 2006 წელს მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა პორტუგალიის ერთ-ერთი ავტონომიური რეგიონის – Azores-ის მიერ გადასახადების შემცირებას იმ ეკონომიკური აგენტებისთვის, რომლებიც დაფუძნებული იყვნენ ამ რეგიონში.<sup>36</sup> ევროპული სასამართლოს განმარტებით მხოლოდ ის ფაქტი, რომ უპირატესობა ვრცელდება წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის მხოლოდ გარკვეულ ნაწილზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებზე არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ სახეზე იყოს მისი შერჩევითი ხასიათი.<sup>37</sup> გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია სახელმწიფოს შიგნით არსებობდეს ისეთი ორგანოები (“genuinely autonomous infra-state body”<sup>38</sup>), რომლებსაც სახელმწიფოს ტერიტორიის მხოლოდ ნაწილზე გააჩნიათ გარკვეული ავტონომიური უფლებები და ამ უფლებების შესაბამისად მათ სამოქმედო ტერიტორიაზე ისინი ქმნიან გარკვეულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ამინდს.<sup>39</sup> მსგავსი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ მხოლოდ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დაფუძნებულ ეკონომიკურ აგენტებს, არ ატარებენ შერჩევით ხასიათს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ გატარებული ღონისძიების რელევანტური გეოგრაფიული სივრცე და ის ტერიტორია, რომლებზეც ვრცელდება ამ ღონისძიების გამტარებელი ავტონომიური ორგანოს იურისდიქცია, ერთმა-

<sup>36</sup> ECLI:EU:C:2006:511 “Portugal v. Commission” C-88/03.

<sup>37</sup> ECLI:EU:C:2008:488 Joined Cases C-428/06 to C-434/06 § 47.

<sup>38</sup> Prek Miro, Silver Lefeevre; The Requirement of Selectivity in the Recent Case—Law of the Court of Justice, *ib. Eur. St. Aid L.Q.* 2012, 335.

<sup>39</sup> ECLI:EU:C:2006:511 “Portugal v. Commission” C-88/03, § 58; ECLI:EU:C:2008:488 Joined Cases C-428/06 to C-434/06, § 48.

<sup>35</sup> Romariz Cristina; revisiting Material Selectivity in EU State Aid Law — or the Ghost of Yet-to-come, *ib. Eur. St. Aid L.Q.* 2014, 40.

ნეთს ემთხვევა. ეს უკანასკნელი შემთხვევა კი სახეზეა მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთდროულად დაკმაყოფილებულია შემდეგი სამი წინაპირობა: 1) გადაწყვეტილება მიღებულია რეგიონული ან ადგილობრივი ორგანოების მიერ, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გააჩნიათ ქვეყნის საკონსტიტუციო წესრიგით გარანტირებული პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული სტატუსი; 2) კონკრეტული გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს ცენტრალური ხელისუფლების ნებისმიერი სახის ჩარევის გარეშე; 3) გადაწყვეტილების მიმღები ტერიტორიული ერთეულისთვის ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული უარყოფითი ფინანსური შედეგები არ უნდა იყოს გამოთანაბრებული ცენტრალური ხელისუფლების ან სხვა ტერიტორიული ერთეულების ფინანსური რესურსების ხარჯზე.<sup>40</sup>

ამ განმარტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ არსებობს კონკრეტული ღონისძიების განხორციელებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში ავტონომიური ტერიტორიული ერთეულის მმართველ ორგანოებთან ერთად, სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების ნებისმიერი პოლიტიკური თუ ფინანსური თანამონაწილეობა, მაშინ ამ ღონისძიების რელევანტურ გეოგრაფიულ სივრცეს წარმოადგენს არა მხოლოდ ავტონომიური ერთეულის ტერიტორია არამედ, სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორია. ასეთ შემთხვევაში ავტონომიური თვითმმართველი ერთეულის იურისდიქციის ტერიტორიული მასშტაბები არ ემთხვევა გატარებული ღონისძიების რელევანტურ ტერიტორიულ მასშტაბებს. აქედან გამომდინარე, შერჩევითობის დასადგენად გატარებული ღონისძიების გავლენა უნდა შეფასდეს არა მარტო იმ ეკონომიკური აგენტების მდგომარეობაზე, რომლებიც ოპერირებენ ავტონომიური ერთეულის ტერიტორიაზე, არამედ – მთლიანად სახელმწიფოს ტერიტორიაზე. რის შედეგადაც იქმნება ისეთი სამართლებრივი მდგომარეობა, რომ განსახილველი ღონისძიების რელევანტურ გეოგრაფიულ სივრცეში (ასეთ დროს სახელმწიფოს მთელი ტერიტორია) მოქმედ სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით, მხოლოდ მოცემული ავტონომიური ერთეულის ტერიტორიაზე არსებული ბაზრის მონაწილეები იღებენ სახელმწიფოსგან შერჩევით უპირატესობას – სახელმწიფო დახმარებას.

### 3. შერჩევითობის გამართლება

შერჩევითობის დასახელებული ფორმებისა თუ სახეებისგან ერთ-ერთის არსებობის ფაქტის დადგენა ერთი შეხედვით შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული სახელმწიფოს რელევანტური ქმედებისგან მომდინარე ეკონომიკური სარგებლის სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციისათვის. თუმცა, საკითხის მსგავსი გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შე-

ზღუდავს სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თავისუფალი მოქმედების ფარგლებს, რაც თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობაზე უფრო მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის შელახვის საფუძველი შეიძლება გახდეს. ღონისძიების შერჩევით ბუნებას ყოველთვის არ მიეყვარება სახელმწიფო დახმარების არსებობამდე. გასათვალისწინებელია ისეთი შემთხვევა როდესაც გატარებული სახელმწიფო ღონისძიების ეკონომიკური ლოგიკა, მიზანი და ფუნქცია აქცევს მას აუცილებლად უფრო მეტი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი სიკეთისა თუ საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ასეთ დროს სწორედ სახელმწიფო დახმარების გამცემს ეკისრება გატარებული ღონისძიების არსებობის აუცილებლობის მტკიცების ტვირთი.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, შერჩევითობა არ არის სახეზე, როდესაც მართალია ღონისძიება უპირატესობა ანიჭებს კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს ან აგენტთა ჯგუფს, თუმცა იგი გამართლებულია წევრი სახელმწიფოს იმ საკანონმდებლო სისტემის პრინციპებით, მიზნებითა და ბუნებით, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მოცემული ქმედება.<sup>41</sup> აღნიშნული მიდგომებს შესაბამისად განვითარდა შერჩევითობის შემოწმების სამსაფეხუროვანი მოდელიც, რომელიც ძირითადად De-Jure შერჩევითობაზე ვრცელდება.<sup>42</sup>

შემოწმების სამსაფეხუროვანი სისტემა გულისხმობს პირველ რიგში რელევანტური სისტემის იდენტიფიცირებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, წარმოადგენს ყველა იმ ზოგადი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც მოქმედებენ იმ სფეროში, რომელშიც კონკრეტულ შემთხვევაში გატარებული ღონისძიების საშუალებით ხდება სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენცია. რელევანტური სისტემის ქვეშ არსებული სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე კი უნდა დადგინდეს კონკრეტული სისტემის სტრუქტურა, მისი ბუნება, პრინციპები და ფუნქციონირების ლოგიკა, ამ მიმართულებით სახელმწიფოს ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ.

მაგალითად გადასახადებთან მიმართებაში რელევანტური სისტემა აერთიანებს გადასახადის დაანგარიშების საფუძვლებსა და მეთოდებს, გადასახადის სახეს, გადასახადის სუბიექტს და ობიექტს და ა.შ. სწორედ მსგავსი საფუძვლებით განასხვავებს ერთმანეთისაგან ევროპული სასამართლო მაგ. დღგ-ის სისტემას, სადაზღვევო სფეროში მო-

<sup>40</sup> ECLI:EU:C:2006:511 06.09.2006. C-88/03, „Portugal v. Commission“ § 67.

<sup>41</sup> EuGH: Beihilfecharakter der Vergütung von Energieabgaben, EuZw 2002, 213, გ. 42; EuGH: Beihilferecht: Ausnahme von einer den Verlustvortrag ausschließenden Mantelkaufvorschrift als unionsrechtswidrige Beihilfe, EuZw 2013, 867, § 22.

<sup>42</sup> Ismer/Petrovski, Selektivität von Beihilfen, Dogmatische Grundfragen am Beispiel von IP-Boxen, IstR, 2015, 257 260.



ქმედ საგადასახადო სისტემას, მეწარმე სუბიექტთა დაბეგვრის სისტემას<sup>43</sup> და ა.შ.

რელევანტური სისტემის იდენტიფიცირების შემდეგ უნდა დადგინდეს მოცემული ღონისძიება წარმოადგენს თუ არა გადახვევას ამ სისტემისგან. რელევანტური სისტემასთან აცდენის დადგენა წარმოადგენს შემოწმების სამსაფეხუროვანი მოდელის უმთავრეს ელემენტს. თუ სისტემისგან გადახვევა არ დასტურდება, მაშინ არც ღონისძიების შერჩევითი ხასიათი გვაქვს სახეზე და შესაბამისად არც სახელმწიფო დახმარებასთან გვაქვს საქმე. ხოლო სისტემის სტრუქტურასთან და მის მიერ ჩამოყალიბებული კანონზომიერებისა თუ წესრიგისგან აცდენის შემთხვევაში კი *prima facie* შერჩევითი ღონისძიების არსებობა ეჭვგარეშეა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით ამ უკანასკნელი შემთხვევის დროს შემოწმების მომდევნო საფეხურზე უნდა გაირკვეს ხომ არ შეიძლება *prima facie* შერჩევითი ღონისძიება გამართლდეს რელევანტური სისტემის ლოგიკის, მისი მიზნებისა თუ მის საფუძვლად არსებული პრინციპების საფუძველზე.<sup>44</sup>

პრაქტიკაში ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც *prima facie* შერჩევითი ღონისძიება გარკვეულწილად იზიარებს რელევანტური სისტემის ძირითად პრინციპებს და ემსახურება საკუთრივ ამ სისტემის ლეგიტიმური მიზნების სრულყოფილ განხორციელებას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში მისი არსებობა არსებითი მნიშვნელობის მქონეა მოცემული რელევანტური სისტემის, როგორც ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფის მექანიზმის სრულფასოვნად ფუნქციონირებისათვის. ამ შემთხვევაში მსგავსი *prima facie* შერჩევითი ღონისძიება ევროპული სასამართლოს მოსაზრებით ითვლება გამართლებულად რელევანტური სისტემის სტრუქტურისა და მისი ბუნების საფუძველზე და შესაბამისად იგი თავსებადია ჯანსაღ კონკურენტულ გარემოსთან<sup>45</sup> იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი ბაზრის რომელიმე მონაწილეს ანიჭებს გარკვეულ უპირატესობას.<sup>46</sup> ხოლო გამართლების საფუძვლის არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივია სახეზე სახელმწიფო დახმარება.

## V. შერჩევითი უპირატესობის ადგილი ქართულ კონკურენციის სამართალში

ხელშეკრულების 107-ე მუხლისაგან განსხვავებით ქართველი კანონმდებელი აშკარად ბუნდოვნად აყალიბებს კანონის მე-12 მუხლს. აღნიშნული ნორმის მიხედვით, „ა-

კრძალულია ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით...“ ამ ნორმის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს უპირატესობის ელემენტის სახელმწიფო დახმარების ცნების ფარგლებს მიღმა დატოვება. თუმცა, უპირატესობისგან განსხვავებით, ამ ნორმის საფუძველზე შეიძლება შერჩევითობის კრიტერიუმზე საუბარი. კანონის ამ მუხლში მოცემული ჩანაწერი – „...ეკონომიკური აგენტისათვის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის...“ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ სახელმწიფოს რელევანტური ქმედება მიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ აგენტთა წინასწარ განსაზღვრული წრისკენ. ამასთან, ამ შემთხვევაში უფრო ლოგიკური იქნებოდა ტერმინ „კონკრეტული“ არა მარტო „საქმიანობის“, არამედ ეკონომიკური აგენტის მიმართაც გამოყენება, რათა უფრო ნათლად წარმოჩინდეს სახელმწიფო დახმარების სუბიექტური ხასიათი.

გარდა ამისა, კანონის მე-12 მუხლის მოქმედი რედაქციის სიტყვასიტყვითი განმარტების საფუძველზე შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ კანონმდებელს აშკარად არასწორად ესმის შერჩევითობის არსი. როგორც აღინიშნა, დასახელებულ ნორმაში ეკონომიკური აგენტისა თუ კონკრეტული სახის საქმიანობაზე მითითების ქვეშ დანახულ უნდა იქნეს შერჩევითობის ელემენტი. ამ ჩანაწერის შემდეგ კი პირდაპირ ვხვდებით ტერმინს – „სახელმწიფო დახმარება.“ მსგავსი ფორმულირება კი იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ შერჩევითობა განხილულია არა როგორც სახელმწიფო დახმარების მაკვალიფიცირებელი ელემენტი, არამედ როგორც სახელმწიფო დახმარებისგან განყენებული ცნება, მისი ფაკულტატური თვისება და მახასიათებელი. შესაბამისად, სახელმწიფო დახმარება და შერჩევითი ხასიათი კანონის მე-12 მუხლში მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისგან. სხვაგვარად რომ ითქვას, კანონის მე-12 მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების მიხედვით, სახელმწიფო დახმარება შეიძლება არსებობდეს შერჩევითობის გარეშე, მაგრამ ნორმაში მოცემული აკრძალვის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ კონკრეტულ სახელმწიფო დახმარებას ჰქონდეს სწორედ შერჩევითი ხასიათი. ამიტომ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ შერჩევითობა განხილულია არა როგორც საკუთრივ სახელმწიფო დახმარების განუყოფელი ელემენტი, არამედ კანონის მე-12 მუხლში მოცემული აკრძალვის გამოყენების წინაპირობა.

საკითხის მსგავსი გადაწყვეტა კი ცალსახად მცდარია, ვინაიდან შერჩევითობა არ წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების მიღმა არსებულ მახასიათებელს, არამედ იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც სახელმწიფო დახმარების ცნების ერთ-ერთი სავალდებულო ელემენტი და მის ქვეშ მოქცეული კატეგორია. როგორც უკვე აღინიშნა, სწორედ შერჩევითი ხასიათი აქცევს სახელმწიფოს რელევანტური

<sup>43</sup> Bekanntmachung der Kommission zum Begriff der staatlichen Beihilfe im Sinne des Artikels 107 Abs. 1 des Vertrags über die Arbeitsweise der Europäischen Union, 2016/C 262/01 § 134.

<sup>44</sup> ECLI:EU:C:2001:598 „Adria-Wien Pipeline“ C-143/99.

<sup>45</sup> ECLI:EU:C:2011:550 Joined Cases C-78/08 to C-80/08 § 69b.

<sup>46</sup> ECLI:EU:T:2000:223 „Confederación Española de Transporte de Mercancías (CETM) v. Commission“ Case T-55/99.

ქმედებას სახელმწიფო დახმარებად. სახელმწიფო დახმარება ყოველთვის არის შერჩევითი და იგი გულისხმობს რელევანტურ ქმედებას, რომელიც შერჩევით უპირატესობას ანიჭებს კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს ან კონკრეტული სახის საქმიანობას. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია სახელმწიფო დახმარება არსებობდეს მის გარეშე. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ერთის მხრივ, ცნებას (სახელმწიფო დახმარება) და მეორეს მხრივ, მის შემადგენელ აუცილებელ ელემენტს და წინაპირობას (შერჩევითობა).

კანონის მე-12 მუხლის არსებული ფორმულირება კი მნიშვნელოვნად ართულებს სახელმწიფო დახმარებისა და ზოგადი ხასიათის ღონისძიების გამიჯვნას, ვინაიდან სახელმწიფო დახმარების ორი ელემენტი - რელევანტური ქმედება და უპირატესობა, როგორც წესი, ემთხვევა ბაზრის მარეგულირებელი ხასიათის ზოგად ღონისძიებებს. მე-12 მუხლი შერჩევითობას არ განიხილავს სახელმწიფო დახმარების წინაპირობად. ამ ნორმის მიხედვით საკმარისია რელევანტური ქმედების საფუძველზე არსებობდეს უპირატესობის მინიჭება რომ სახეზე იყოს სახელმწიფო დახმარება. აქედან გამომდინარე, კანონის საფუძველზე შეუძლებელიც კი არის სახელმწიფო დახმარებასა და მარეგულირებელი ხასიათის ზოგად ღონისძიებას შორის გამყოფი ხაზის გავლება.

ცხადია, რომ პრაქტიკაში სახელმწიფო დახმარებისა და ზოგადი ხასიათის ღონისძიების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ქმედების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაციის პროცესში უნდა მოხდეს და არა უკვე სახელმწიფო დახმარებად მიჩნეული ღონისძიების ეფექტების შეფასებისას, ვინაიდან თუ ქმედებას ჩავთვლით სახელმწიფო დახმარებად (მხოლოდ მისგან გამომდინარე უპირატესობის გამო), მაშინ შერჩევითობის არარსებობისას იგი უნდა გადაკვალიფიცირდეს ზოგადი ხასიათის ქმედებად. მსგავსი მიდგომა კი არ არის მართებული, რადგან არ შეიძლება ერთი და იგივე ქმედება ერთდროულად წარმოადგენდეს სახელმწიფო დახმარებასაც და ზოგადი ხასიათის ღონისძიებასაც. ამიტომ, კანონის მე-12 მუხლის განმარტებისას ყურადღება არ უნდა მიექცეს მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, არამედ აღნიშნული ნორმა ცალსახად უნდა იქცეს სისტემური და ტელეოლოგიური ინტერპრეტაციის საგნად. ქართულ რეალობაშიც, ისევე როგორც ეს ხდება ევროპული კავშირის სამართლის შემთხვევაში, შერჩევითობა უნდა განვიხილოთ ქმედების სახელმწიფო დახმარებად მიჩნევის ერთ-ერთ ძირითად წინაპირობად და მაკვალიფიცირებელ გარემოებად და არა მისგან აბსტრაქტიზებულ კატეგორიად.

თუმცა, უმჯობესია კანონის მე-12 მუხლის დისპოზიციის ისეთი ცვლილება, რომ მან შეიძინოს წინამდებარე ნაშრომში განვითარებული მსჯელობის შესაბამისი დატვირთვა და მნიშვნელობა, რათა მოხდეს მისი არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის პრევენცია. ამ გარემოებების გათვალისწინებით მისაღები იქნება „კონკურენციის შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შემდეგი სახით ჩამოყალიბება: „აკრძალულია სახელმწიფო დახმარება ნებისმიერი ფორმით, რომელიც კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის შერჩევითი უპირატესობის მინიჭების გზით ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მისი შეზღუდვის საფრთხეს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.“

კანონის მე-12 მუხლის მსგავსი ფორმით ჩამოყალიბების შემთხვევაში მივიღებთ ნორმას, რომელიც შედგება ორი ნაწილისაგან:

პირველი ნაწილი აყალიბებს სახელმწიფო დახმარების ცნების ლეგალურ დეფინიციას: სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის შერჩევითი უპირატესობის მინიჭება. მოცემულ განმარტებაში ნათლად იკვეთება სახელმწიფო დახმარების წინაპირობები: რელევანტური ქმედება, უპირატესობა და შერჩევითობა. ამ ფორმით უფრო მარტივდება სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიების სახელმწიფო დახმარებად კვალიფიკაცია, რის გამოც კანონის მე-3 მუხლში სახელმწიფო დახმარების დამატებითი განმარტება არ არის საჭირო.

მეორე ნაწილი კი ეხება უშუალოდ სახელმწიფო დახმარების ნორმალურ კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობას, რაც ცალკე კვლევის საგანია და მოცემული ნაშრომის ფარგლებში ვერ იქნება განხილული.

### დასკვნა

ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებაში მოცემული სახელმწიფო დახმარების მომწესრიგებელი ნორმებისა და ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო ქართულ კონკურენციის სამართალში სახელმწიფო დახმარების ცნების ზოგადი დეფინიციის ჩამოყალიბების აუცილებლობა და მისი პრაქტიკული უპირატესობა. ასევე გამოიკვეთა ის ძირითადი წინაპირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაშიც არის შესაძლებელი სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიება დაკვალიფიცირდეს სახელმწიფო დახმარებად. ამის საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა კანონის მე-12 მუხლის განახლებული ფორმულირების მიზნით არსებითი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების აუცილებლობა. ნაშრომში განვითარებული ანალიზის საფუძველზე კი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „აკრძალულია სახელმწიფო დახმარება, რომელიც კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის შერჩევითი უპირატესობის მინიჭების გზით ზღუდავს კონკურენციას ან ქმნის მისი შეზღუდვის სა-

ფრთხეს, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა.“ ნორმის ამ სახით ჩამოყალიბების შედეგად კი ნათელი ხდება თუ რას წარმოადგენს სახელმწიფო დახმარება: სახელმწიფოს მიერ კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობისათვის შერჩევითი უპირატესობის მინიჭება. ცნების აღნიშნული დეფინიციის საფუძველზე კი იკვეთება სახელმწიფო დახმარების სამი აუცილებელი წინაპირობა:

**ა) რელევანტური ქმედება** – სახელმწიფოს რელევანტურ ქმედებას (ფართო გაგებით) წარმოადგენს სახელმწიფო დახმარების გამცემის მიერ სახელმწიფო რესურსის ხარჯზე ეკონომიკური აგენტის ან კონკრეტული სახის საქმიანობის მიმართ გატარებული ყველა ისეთი ღონისძიება ან ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც შესწევს უნარი, ნებისმიერი ფორმით გავლენა მოახდინოს ბაზრის მონაწილე სუბიექტებს შორის მატერიალური სიკეთეების გადანაწილებაზე და/ან შეცვალოს ეკონომიკური აგენტის/აგენტების მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე;

**ბ) უპირატესობა** – ეკონომიკური აგენტის მიერ რელევანტური სახელმწიფო ქმედების საფუძველზე მიღებულ ნებისმიერი სახის ეკონომიკური სარგებელი;

**გ) შერჩევითობა** – იგი სახეზეა, როდესაც რელევანტური ქმედება უზრუნველყოფს კონკრეტულ ეკონომიკურ აგენტს/აგენტთა ჯგუფს ეკონომიკური სარგებლით და არ ხდის მას ხელმისაწვდომს იგივე პირობებში მყოფი რომელიმე სხვა ეკონომიკური აგენტის ან ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფისთვის.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალიზის შედეგად კი ასევე გამოიკვეთა სახელმწიფო დახმარების მიზნებისათვის სახელმწიფოს რელევანტური ქმედების ფორმები, ის გზები, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ეკონომიკურმა აგენტმა ან ეკონომიკურ აგენტთა ჯგუფმა სახელმწიფოსგან მიიღოს ეკონომიკური სარგებელი. განხილულ იქნა ასევე ის ძირითადი შემთხვევები, რომელთა დროსაც ვლინდება უპირატესობის მიმნიჭებელი რელევანტური ქმედების შერჩევითი ხასიათი. ვინაიდან კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის ამგვარად ჩამოყალიბება უკვე შეიცავს საკუთრივ სახელმწიფო დახმარების ცნების დეფინიციას, მე-3 მუხლში სახელმწიფო დახმარების ტერმინის განმარტება უკვე აღარ არ არის საჭირო, რის გამოც უნდა მოხდეს მე-3 მუხლის „ს“ ქვეპუნქტის კანონიდან ამოღება.

# მარცხენა ნახევარსფერო

## კაზუსი

(ხელყოფის კონდიქცია, მიკუთვნებული უფლების დაცვით სფეროში ჩარევა)

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

კაკო, რომელიც მთელი ცხოვრება ფულზე ფიქრობდა და ამის გამო ტვინის მარცხენა ნახევარსფერო მარჯვენასთან შედარებით ძლიერ განუვითარდა, ბინას, რომელიც ნაქირავები აქვს 500 ლარად, გააქირავებს უცხოელებზე 1400 ლარად ზაფხულის სამი თვის განმავლობაში. თავად ამ დროს მინც სოფელშია წასული იქ დატოვებული „ბიზნესების“ მისახედად. აგვისტოს ბოლოს გამქირავებელი ვასიკო შემთხვევით შემოივლის ბინის დასახედად და შეიტყობს კაკოს ახალი ბიზნესის შესახებ, რის შემდეგაც ითხოვს მთლიან მოგებას. შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

### კაზუსის ამოხსნა

I. გამქირავებელი ვასიკო ვერ მოითხოვს კაკოს მიერ ქვექირავანობიდან მიღებული მოგების ანაზღაურებას, მათ შორის დადებული ქირავანობის ხელშეკრულებიდან, რადგან ამის წინაპირობას წარმოადგენს ამ ურთიერთობის ფარგლებში გაკეთებული დათქმა, ამონაგების გამქირავებლისათვის გადაცემასთან დაკავშირებით, რაც აქ სახეზე არ არის.

### II. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 394 I, 316 II მუხლების მიხედვით

ვასიკოს შეიძლება ჰქონდეს კაკოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 394 I, 316 II მუხლების მიხედვით, რის წინაპირობასაც წარმოადგენს კაკოს მხრიდან ვალდებულების ბრალეული დარღვევა და ვასიკოსათვის ამით მიყენებული ზიანი.

ვალდებულებითი ურთიერთობა აქ სახეზეა ქირავანობის ხელშეკრულების სახით. სკ-ის 549 I მუხლის თანახმად, გამქირავებელს არ აქვს გამქირავებლის თანხმობის გარეშე ნივთის მესამე პირისათვის მიქირავების უფლება. აქ კაკომ ბინა გააქირავა ისე, რომ უცდია ამისთვის ვასიკოს თანხმობის მოპოვება, რითიც დაარღვია ზემოთ ხსენებული ვალდებულება. სკ-ის 394 I 2 მუხლის თანახმად, კაკოს ბრალი ივარაუდება. შესაბამისად, ის ვალდებულია აუნაზღაუროს გამქირავებელს ამ ქვექირავანობით მიყენებული ზიანი სკ-ის 408-ე და მომდევნო მუხლების მიხედვით.

მაგალითად, თუ ქვექირავანობა გამოიწვევს ქირავანობის საგნის დამატებით ცვეთას, გამქირავებელს აქვს უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ფულადი კომპენსაციის სახით (408 I-III მუხლის ანალოგიით). თუმცა კაზუსის ფაბულიდან ეს არ იკითხება. ისევე როგორც არ იკითხება ზიანის რეალიზება მიუღებელი შემოსავლის (411) ფორმით, რადგან ვასიკოს ბინა ამ დროისთვის უკვე მიქირავებული ჰქონდა კაკოსათვის და ხელმეორედ ვეღარ მიაქირავებდა მას უცხოელებს.

ზიანის არარსებობის გამო ვასიკოს არ აქვს კაკოს მიმართ მოთხოვნა სკ-ის 394 I, 316 II მუხლების მიხედვით.

### III. მიღებულის დაბრუნებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 969, 972-ე და 970 II მუხლების მიხედვით

ვასიკოს შეიძლება ჰქონდეს კაკოსაგან, ამ უკანასკნელის მიერ მისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულებიდან მიღებულის დაბრუნების მოთხოვნა სკ-ის 969, 972-ე მუხლების მიხედვით, ისევე, როგორც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა (970 II). მოცემული მოთხოვნის პირველ წინაპირობას წარმოადგენს სხვისი საქმის შესრულება. საკითხავია, არის თუ არა ეს სახეზე უნებართვო ქვექირავანობის შემთხვევაში.

ქვექირავანობა შეიძლება წარმოადგენდეს სხვის, კერძოდ კი, გამქირავებლის, საქმეს, იმის გათვალისწინებით, რომ გამქირავებელი კაკო არ იყო უფლება-მოსილი უნებართვოდ გაექირავებინა ბინა მესამე პი-

რზე (იხ. ზემოთ). თუმცა ამგვარი მსჯელობა არადამაჯერებელია. ქვექირავნობა ვერ ჩაითვლება ობიექტურად სხვის (გამქირავებლის) საქმედ, რადგან ამ დროს გამქირავებელს ნივთზე მფლობელობა უკვე გადაცემული აქვს დამქირავებლისათვის ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, რის გამოც მას თავად უკვე არ ხელეწიფება ამ მფლობელობის მესამე პირისათვის გადაცემა. ამიტომაც ქვექირავნობა წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დამქირავებლის საქმეს.

გარდა ამისა, სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულება გამოირიცხება ასევე სხვისი საქმის შესრულების ნების (975) არარსებობის გამო — კაკო მოქმედებდა მხოლოდ პირადი გამორჩენის მიზნით.

### III. სარგებლის მოთხოვნა 164 1 მუხლის მიხედვით

სარგებლის — ქვექირავნობიდან მიღებული ქირის — სკ-ის 164 1 მუხლის მიხედვით მოთხოვნის წინაპირობას წარმოადგენს ვასიკოსა და კაკოს შორის „მესაკუთრე-მფლობელს შორის ურთიერთობის“ არსებობა. ანუ კაკო უნდა ყოფილიყო მესაკუთრე, ხოლო ვასიკო კი არაკეთილსინდისიერი მფლობელი, მფლობელობის უფლების გარეშე, რომელიც ამ მფლობელობიდან მიიღებდა სარგებელს. ეს უკანასკნელი წინაპირობა აქ პრობლემურია, რადგან ვასიკოსა და კაკოს შორის არსებობდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელიც ანიჭებდა მას ამ მფლობელობის უფლებას.

თუმცა კაკოს არაუფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს იმ ფაქტიდან, რომ მან გადააბიჯა მინიჭებული მფლობელობის უფლების ფარგლებს — „უზურპატორი მფლობელი“.

მფლობელობის უფლების გადაბიჯები (პირობითად „უზურპატორი მფლობელი“ (სიტყვა-სიტყვით: „არა ამგვარად უფლებამოსილი მფლობელი“ — nicht-so-berechtigter Besitzer)<sup>1</sup> გერმანულ დოქტრინაში შემუშავებულ სამართლებრივ ფიგურას წარმოადგენს და მოიცავს შემთხვევებს, როდესაც მფლობელს, მართალია, ჰქონდა შესაბამისი უფლებამოსილება მესაკუთრის წინაშე, თუმცა მან გადააბიჯა თავის ამ ფლობის უფლებას (მაგ., ბინა, რომელიც საცხოვრებლად

ჰქონდა დაქირავებული გამოიყენა კომერციულ ფართად). ამ დროს, ისევე როგორც არაუფლებამოსილი ფლობის სხვა შემთხვევაში სკ-ის 163-164-ე მუხლები ჩვეულებრივად უნდა გამოვიყენოთ. თუმცა გაბატონებული მოსაზრება უარყოფს „უზურპატორი მფლობელის“ არაუფლებამოსილ მფლობელთან გათანაბრების შესაძლებლობას, რადგან მესაკუთრე ამ დროს საკმარისად არის დაცული სახელშეკრულებო და კანონისმიერი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნების მეშვეობით და არ არსებობს მისთვის დამატებით 163-164-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნის მინიჭების აუცილებლობა. გარდა ამისა, მფლობელობის უფლების გადაბიჯება არ იწვევს მის გაქარწყლებას.

ამგვარად, „უზურპატორი მფლობელის“ კონსტრუქცია უკუსაგდება, რადგან შეუძლებელია მფლობელობის იმგვარი გახლეჩა, რომ მფლობელი პირი, ერთდროულად, ნივთის ერთი ფორმით გამოყენების შემთხვევაში უფლებამოსილი იყოს, ხოლო სხვა ფორმით გამოყენებისას კი — არაუფლებამოსილი.<sup>2</sup>

### IV. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 992-ე მუხლის მიხედვით

გამქირავებელ ვასიკოს შეიძლება ჰქონდეს კაკოსაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით, უნებართვო ქვექირავნობიდან გამომდინარე.

სკ-ის 992-ე მუხლი საკუთრებას იცავს ყოველგვარი ხელყოფისაგან. მოცემულ შემთხვევაში კაკომ ხელყოფის ვასიკოს უფლება, თავად განესაზღვრა ის პირი, ვისაც მინიჭებდა ნივთით სარგებლობის უფლებას. ამასთან, საკუთრების ამ ფორმით ხელყოფა მოხდა მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად, რის გამოც პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი შემადგენლობა სახეგია.

აქედან გამომდინარე ვასიკოს უნდა ჰქონდეს იმ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, რომელიც კაუზალურად გამომდინარეობს უნებართვო ქვექირავნობიდან. თუმცა, როგორც უკვე ზემოთ იქნა აღნიშნული, ვასიკოს რეალური ზიანი არ მისდგომია, რის გამოც ეს მოთხოვნაც უნდა გამოირიცხოს.

<sup>1</sup> K.-H. Gursky, Die neuere höchststrichterliche Rechtsprechung zum Mobiliarsachenrecht - Teil 2, JZ 1997, 1154, 1155; D. Medicus, Bürgerliches Recht, 21. Aufl., München 2007, Rn. 582.

<sup>2</sup> BGH NJW 2014, 622.

**V. განკარგვის შედეგად მოპოვებულის მოთხოვნა, 982 I, 1-ლი ვარიანტი (ხელყოფა განკარგვით)**

ვასიკოს შეიძლება ჰქონდეს კაკოსაგან ხელყოფის კონდიქციით მიღებული ქირის დაბრუნების მოთხოვნა, რომელიც კაკომ მოიპოვა მისი საგნის არაუფლებამოსილი განკარგვის გზით (982 I მუხლის 1-ლი ვარიანტი).

ამისათვის აუცილებელია, რომ ქვექირავნობა წარმოადგენდეს განკარგვას, ანუ ვარიანტს, რომლის მეშვეობითაც ხდება სამართლებრივი პოზიციის გაუქმება, გადაცემა, დატვირთვა ან შინაარსობრივი ცვლილება. ქვექირავნობა ასეთ ვარიანტად ვერ ჩითვლება. ის არის მხოლოდ მავალდებულებელი ხელშეკრულება, რომლითაც არ იცვლება სანივთო უფლების შინაარსი. მფლობელობის გადაცემა კი არის მხოლოდ რეალაქტი და არა ვარიანტი და, რა თქმა უნდა, ის ვერ იქნება განკარგვა.

დაუშვებელია ასევე სკ-ის 982 I მუხლის 1-ლი ვარიანტის ანალოგიით გამოყენება მფლობელობის გადაცემაზე, რადგან ქვექირავნობიდან მიღებული ქირა, გაბატონებული მოსაზრების<sup>3</sup> თანახმად, არ წარმოადგენს იმ ამონაგებს, რომელსაც დამქირავებელი მესაკუთრის მაგივრად იღებს. უკვე გაქირავებული ნივთის მესაკუთრეს თავადაც არ აქვს უფლება ნივთი ქვექირავნობის ფარგლებში მესამე პირს მიაქირაოს.

**VI. საკუთრების ხელყოფის შედეგად მოპოვებულის მოთხოვნა, 982 I**

ვასიკოს შეიძლება ჰქონდეს ქვექირავნობიდან მიღებული სარგებლის მოთხოვნა სკ-ის 982 I მუხლის საფუძველზე („სხვა საშუალებით ხელყოფა“).

ამ კონდიქციის წარდგენისათვის აუცილებელია, რომ კაკოს მოეპოვებინა „რაიმე“, შესაბამისი საფუძვლის გარეშე ხელყოფით (ვასიკოს ხარჯზე) ან მისთვის მიკუთვნებული უფლების დაცვით სფეროში ჩარევის გზით.

ხელყოფის კონდიქციის დაუწერელ წინაპირობად მოიპოვება ხელყოფის „სხვის ხარჯზე“<sup>4</sup> (კონდიქციის კრედიტორის ხარჯზე) განხორციელების აუცილებლობა,

ბა, რა შემთხვევაშიც გადაწყვეტია არა ქმედება (და მისი მართლსაწინააღმდეგობა), არამედ ხელყოფილი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ, მისი დაცვითი სფერო და ფარგლები: აკუთვნებს თუ არა მართლწესრიგი კონდიქციის კრედიტორს ამ (ხელყოფილ) სამართლებრივ პოზიციას ექსკლუზიური განკარგვა-გამოყენების უფლებით (ე. წ. მიკუთვნებული სამართლებრივი სფეროს თეორია — *Zuweisungstheorie*).<sup>5</sup> სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით, ამ შემთხვევაში გადაწყვეტი კრიტერიუმებია: 1. აკუთვნებს თუ არა კანონი ამ პოზიციას კონდიქციის კრედიტორს (სანივთო (170 I) ან ვალდებულებითი ძალით); 2. ფლობს თუ არა კრედიტორი ამ პოზიციის გამოყენების, გასხვისების ან სხვა გზით სასყიდლის მიღების შესაძლებლობას (სამოქალაქო ბრუნვაში აღიარებული რეალიზაციის შესაძლებლობა)<sup>6</sup>; 3. აქვს თუ არა კრედიტორს უფლება მოსთხოვოს მოვალეს ხელშეშლის აღკვეთა; 4. ამ კონკრეტული სამართლებრივი პოზიციის დაცვის შესაძლებლობა დელიქტური წესით.<sup>8</sup>

ამგვარად, ხელყოფის კონდიქციით შეიძლება მხოლოდ იმ ქონებრივი სარგებლის უკუმოთხოვნა, რომელიც პირმა მოიპოვა სხვა პირის სამართლებრივი პოზიციის ხელყოფისა და ამ პოზიციის მისთვის მიკუთვნებული რეალიზაციის მონოპოლიის მითვისებით. აუცილებელია, რომ დაცული სამართლებრივი პოზიცია უფლებამოსილ პირს ანიჭებდეს მესამე პირთათვის მისი გამოყენების აკრძალვის შესაძლებლობას. ამისთვის მხოლოდ ნივთის მოპოვებისა და მოგების მიღების შანსი საკმარისი არ არის.

მაგალითად, არაუფლებამოსილი მესამე პირის მიერ დამქირავებლის ოთახებით სარგებლობის შემთხვევაში მოთხოვნის უფლება წარმოემოჭრა მხოლოდ დამქირავებელს და არა დამქირავებელ მესაკუთრეს.<sup>10</sup>

<sup>3</sup> BGHZ 131, 306; BGH NJW 2007 217; *Grüneberg*, in BeckOK BGB § 816 Rn. 6.

<sup>4</sup> BGHZ 94, 165; BGHZ 99, 390.

<sup>5</sup> BGH NJW 1982, 1155; *Lorenz*, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 23; *Medicus*, Bürgerliches Recht, 21. Aufl., ზემოთ სქ. 1, Rn. 709.

<sup>6</sup> *U. Hüffer*, Die Eingriffskondiktion, JuS 1981, 265; *K. Larenz/C. W. Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 69 I 1 d; *Schwab*, in MüKo BGB, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 248; *D. Reuter/M. Martinek*, Ungerechtfertigte Bereicherung, II, Tübingen 2016, § 7 III 2 c, § 7 III 2 d.

<sup>7</sup> *G. Kleinheyer*, Rechtsgutsverwendung und Bereicherungsausgleich, JZ 1970, 471.

<sup>8</sup> *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, ზემოთ სქ. 6, § 69 I 1 c.

<sup>9</sup> BGHZ 107, 117.

<sup>10</sup> *გ. რუსიაშვილი/დ. ევნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი 2016, 97.

ამ შემთხვევაშიც გადაწყვეტია ის გარემოება, თუ ვის აკუთვნებს მართლწესრიგი ქონებრივი პოზიციის რეალიზაციის უფლებას, რაც წარმოადგენს კონდიქციის კრედიტორის იდენტიფიცირების საშუალებას. თუ პირი იყენებს იმ ცოდნას, რომელიც არ არის დაცული სპეციალური საწარმოო უფლებებით, აღიარებულია შესაბამისი საჯარო პროცედურის დაცვით და ამგვარად გასაჯაროებული და ზოგადად ხელმისაწვდომია, სახეზე არ არის იმ პირისათვის მიკუთვნებული უფლების სფეროში ჩარევა, რომელმაც მოიპოვა ეს ცოდნა საკუთარი სამეცნიერო კვლევის ფარგლებში.<sup>11</sup> მხოლოდ ვალდებულებითი მოთხოვნის უფლება საგნის დაბრუნებასთან და გამოთხოვასთან დაკავშირებით არ აკუთვნებს ამ საგანს უფლებამოსილ პირს, რის გამოც ამ საგნის განკარგვა (რაც აკარგვინებს უფლებამოსილ პირს შესაბამის მოთხოვნას) არ წარმოადგენს ამ პირის

ქონების ხელყოფას, მისთვის მიკუთვნებულ სამართლებრივ პოზიციებში ჩარევის გზით.<sup>12</sup>

დამქირავებელი შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე ქვექირავნობის ხელშეკრულების დადებით არ ხელყოფს გამქირავებლის სამართლებრივ პოზიციებს,<sup>13</sup> არ აკარგვინებს მას ნივთის რეალიზაცია-გამოყენების რაიმე დამატებით შესაძლებლობას, რომელიც უკვე არ ექნებოდა გაცემული ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში<sup>14</sup> — მას აღარ ჰქონდა უკვე გაქირავებული საგნის კიდევ ერთხელ გაქირავების უფლება. ამგვარად, კაკოს არ მიუთვინებია ვასიკოს საკუთრების უფლების ხელყოფის გზით ქვექირავნობიდან მიღებული სარგებელი.

**შედეგი:** ვასიკოს არ აქვს კაკოსაგან ქვექირავნობით მიღებული ამონაგების მოთხოვნის უფლება.

<sup>11</sup> BGHZ 107, 117.

<sup>12</sup> BGH NJW 1993, 1919.

<sup>13</sup> BGH NJW 1996, 838.

<sup>14</sup> *Larenz/Canaris*, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, 76. Mot. S. 6, § 69 I 2 a; *Lieb*, in *MüKo BGB*, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 266; *Schwab*, in *MüKo BGB*, 7. Aufl., 2017, § 812 Rn. 255.

# დათვი მთვარიან ლამით\*

## კაზუსი

(სამ პირს შორის წარმოშობილი კონდიქციური ურთიერთობა)

ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი

ადვოკატმა პაკომ 2016 წელს დააბღვია თავისი ძვირადღირებული ნახატების კოლექცია, მათ შორის ფიროსმანის “დათვი მთვარიან ლამით”, სადაზღვეო კომპანიაში “თქვენი ხანძარი ჩვენთან ჩნდება”, 200 000 ლარად. 2017 წელს პაკოს სახლში გაჩენილმა ხანძარმა სხვა მრავალ პირად ნივთსა თუ დოკუმენტთან ერთად იმსხვერპლა ასევე დაზღვეული ნახატიც. ამის შემდეგ პაკომ უჩივლა სადაზღვეოს და მოსთხოვა სადაზღვეო თანხის გადახდა, რაზეც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ არსებობდა ეჭვი პაკოს მიერ ხანძრის გაჩენისა. პროცესი გაჭინაურდა. პაკომ ამასობაში ისეხსა 200 000 ლარი მეგობარ ბიზნესმენ ბესიკისაგან და სანაცვლოდ დაუთმო მოთხოვნა სადაზღვეოს მიმართ, რაზეც სადაზღვეომ თანხმობა განაცხადა. მას შემდეგ, რაც პაკომ ბესიკს ვალის გადახდა დაუგვიანა, ბესიკმა მოთხოვნა წაუყენა სადაზღვეოს. თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა ვალის გადახდაზე იმ მოტივით, რომ დავა ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იყო და ის თავს ვალდებულად არ მიიჩნევდა გადაეხადა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ, 2019 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილებით, სადაზღვეოს თანხის გადახდა დააკისრა. სადაზღვეომ გადაუხადა პირდაპირ ბესიკს. ამის შემდეგ მოხდა მეორე ხანძარი პაკოს კაბინეტში და საბოლოოდ გამოირკვა, რომ ორივე შემთხვევა პაკოს მიერ იყო მოწყობილი. პაკო ციხეში ჩასვეს, მანამდე თავი გაკოტრებულად გამოაცხადა, ხოლო სადაზღვეო ითხოვს უკვე ბესიკისაგან გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას. შეაფასეთ სამართლებრივი მდგომარეობა!

## კაზუსის ამოხსნა

### I. სადაზღვეოს მოთხოვნა ბესიკის წინააღმდეგ 976 I ა), 988 II 2 მუხლების მიხედვით

სადაზღვეოს შიძლება ჰქონდეს ბესიკისაგან მისთვის გადახდილი 200 000 მოთხოვნის უფლება სკ-ის 976 I ა) მუხლის მიხედვით.

#### 1. რაიმეს მოპოვება

ამ მოთხოვნის პირველ წინაპირობას წარმოადგენს ბესიკის მიერ რაიმეს მოპოვება. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარეობს, რომ სადაზღვეომ ბესიკის ანგარიშზე გადარიცხა ეს თანხა, შესაბამისად ბესიკმა მოიპოვა ბანკის მიმართ გადახდის მოთხოვნა ამ ოდენობით; ეს წარმოადგენს რაიმეს სკ-ის 976 I მუხლის გაგებით.

#### 2. შესრულებით

რაიმეს მოპოვება უნდა მომხდარიყო სადაზღვეოს შესრულებით. შესრულება წარმოადგენს სხვისი ქონების გაცნობიერებულ და მიზანმიმართულ შევსებას. პაკოს მიერ სადაზღვეოს მიმართ მოთხოვნის დათმობის შემდეგ ბესიკი იყო მისი ერთადერთი მფლობელი, რის გამოც სადაზღვეოს გადახდის მიზანი მხოლოდ ამ ვალდებულების დაფარვა შე-

იძლება ყოფილიყო. ამგვარად სახეზეა სადაზღვეოს შესრულება ბესიკის წინაშე.

თუმცა საკითხავია, ხომ არ არის სახეზე საგამონაკლისო სიტუაცია და სადაზღვეოს, მიუხედავად შესრულების არსებობისა, მაინც არ შეუძლია ბესიკისგან უკუმოთხოვნა. თუ ვითომ-მოვალე ასრულებს რეალურად არარსებულ მოთხოვნას, შეუძლია შესრულება კონდიქციით მოითხოვოს კრედიტორისაგან (condictio indebiti), თუ შესრულებისას არ იცოდა ამ ვალის არარსებობის შესახებ (976 II გ).

ამის საპირისპიროდ, საკამათოა, თუ ვისგან უნდა მოითხოვოს მოვალემ საკუთარი შესრულება იმ შემთხვევაში, როდესაც ვითომ-კრედიტორმა სხვას დაუთმო საკუთარი მოთხოვნა, ხოლო მოვალემ ამის საფუძველზე ცესიონერის მიმართ შეასრულა. ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმომდგარი მოთხოვნის დათმობის შემდეგაც ეს ვალდებულებითი ურთიერთობა აგრძელებს არსებობას თავდაპირველ მხარეებს შორის. ახალ კრედიტორზე (ცესიონერზე) გადადის მხოლოდ დათმობილი მოთხოვნა. მოვალის მხრიდან გადახდის შემთხვევაში საკითხავია, ასრულებს ის ამით თავდაპირველი კრედიტორის (ცედენტის) წინაშე არსებული ვალდებულებითი ურთიერთობის შესასრულებლად თუ ახალი კრედიტორის (ცესიონერის) წინაშე კონკრეტული მოთხოვნის დასაფარავად. დათმობილი მოთხოვნის შესრულების შემთხვევას აწესრიგებს სკ-ის 988 II მუხლის, რომლის პირველი ნაწილი შეიცავს წესს (988 II 1), ხოლო მეორე — გამონაკლისს (988 II 2).

\* კაზუსი შექმნილია გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების (BGHZ 105, 365) მიხედვით.



## ა) პირველი მოსაზრება

ერთი მოსაზრების მიხედვით, შემსრულებელს აქვს კონდიქციური მოთხოვნა პირდაპირ ცესიონერის, როგორც შესრულების მიმღების, მიმართ.<sup>1</sup> დათმობის შემდეგ ეს უკანასკნელი სრულებით იკავებს კრედიტორის სამართლებრივ მდგომარეობას და ამიტომ შესრულების კონდიქციაც მის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული.

მოვალე ასრულებს ცესიონერის წინაშე, რადგან მას აქვს თავისი დამოუკიდებელი ვალის დაფარვის მიზანი. მაშინაც კი, როდესაც ამ გადახდით იქვითება ცესიონერის მოთხოვნა ცედენტის წინაშე, მოვალე მაინც არ ექვემდებარება ცედენტის ვალის დაფარვის მიზანს. ამგვარად, ეს ვალის დაფარვის მიზანი არ არის გადაწყვეტი ცესიონერსა და ცედენტს შორის ურთიერთობაში. მოვალე იძულებულია, ჰქონდეს დამოუკიდებელი დაფარვის მიზანი, რათა მოახერხოს მის წინააღმდეგ მიმართული მოთხოვნის შესრულების მეშვეობით გაქარწყლება. ამ მოსაზრების თანახმად, საწინააღმდეგო პოზიციის ამოსავალი წანამძღვარი, რომ მოვალის დაცვის გამო უნდა დავუშვათ შესრულების ურთიერთობის არსებობა მოვალესა და ცედენტს შორის, არასწორია, რადგან მოვალეს შეუძლია თავი დაიცვას ამ შედეგისაგან დათმობის აკრძალვის შეთანხმებით (199 I 1 მუხლი). მოვალის მიერ ცედენტისა, ხოლო ცედენტის მიერ ცესიონერის წინაშე შესრულების კონსტრუირების მცდელობა წარმოადგენს მხოლოდ ფიქციას და, აქედან გამომდინარე, უკუსაგდება.

ქართულ სამართალში ამ მოსაზრების ზოგად სავალდებულოდ მიჩნევა შეუძლებელია, რადგან სკ-ის 988 II 1 მუხლში საპირისპირო პრინციპია დაფიქსირებული.

## ბ) გაბატონებული მოსაზრება და სასამართლო პრაქტიკა

გაბატონებული მოსაზრების<sup>2</sup> მიხედვით, რომელსაც იზიარებს, ასევე, სასამართლო პრაქტიკა,<sup>3</sup> მოვალე ასრულებს

ცედენტის, ხოლო ცედენტი კი ცესიონერის წინაშე. კონდიქციური უკუქცევა უნდა მოხდეს ხელშეკრულების მხარეებს შორის.<sup>4</sup> მოვალე დარჩებოდა დაუცველი, თუ მას ცესიონერისაგან კონდიქციების შესაძლებლობაზე მივითითებდით. სკ-ის მე-200 და 201 II მუხლებიდან გამომდინარე პრინციპის მიხედვით, მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა ცესიონერის შედეგად არ უნდა გაუარესდეს. უკუქცევა უნდა მოხდეს ხელშეკრულების მხარეებს შორის, რათა მხარეებს შეუნარჩუნდეთ მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი და მისი გამაქარწყლებელი ყველა შესაგებელი.

ეს გაბატონებული მოსაზრება დამაჯერებელია. მზღვეველს, რომელიც ასრულებს ცესიონერის წინაშე, მოთხოვნის არანამდვილობის აღმოჩენის შემდეგ უნდა ჰქონდეს დაზღვეული-ცედენტისაგან მოთხოვნის უფლება და უნდა ატაროს, ამგვარად, მხოლოდ მისი გადახდისუნარიანობის რისკი.<sup>5</sup> გარდა ამისა, დათმობილი მოთხოვნის შესრულება მსგავსია მითითების საფუძველზე განხორციელებული შესრულებისა და, შესაბამისად, მათი გადაწყვეტაც იდენტური უნდა იყოს. ცესიონერის შემდეგაც მოვალეს, ისევე როგორც მითითებულ მოვალეს, არა აქვს არჩევანი, თუ ვის წინაშე შეასრულებს, არამედ აკეთებს ამას (იძულებით) კრედიტორი-ცედენტის გადაწყვეტილების გამო.<sup>6</sup> მართალია, ცესიონერის შემთხვევაში თავდაპირველი კრედიტორი არ უთითებს მოვალეს, არამედ მხოლოდ ანიჭებს ცესიონერს უფლებას, თავად მოითხოვოს შესრულება, თუმცა, ამ განსხვავების გარდა, ეს ორი შემთხვევა, მხარეთა ინტერესების გადანაწილების მხრივ, არსობრივად ერთგვარია და ერთგვარად უნდა გადაწყდეს.

შესაბამისად, როდესაც მოვალემ დაფარა ვალი ცესიონერის წინაშე, მან გადაცემული უკან უნდა მოითხოვოს შესრულების კონდიქციით ცედენტისაგან. ამის საპირისპიროდ, თუ დათმობილი მოთხოვნა არსებობდა, მაგრამ დათმობა მოხდა შესაბამისი საფუძვლის გარეშე (მაგ., არანამდვილია მოთხოვნის ნასყიდობა ან ჩუქება, რომელიც წარმოადგენდა ცესიონერის საფუძველს), ამ შემთხვევაში ცედენტს აქვს ცესიონერისაგან გადაცემულის მოთხოვნის უფლება შესრულების კონდიქციით,<sup>7</sup> ხოლო მოვალე კი თავისუფლდება ვალდებულებისაგან. ცესიონერის წინაშე ვალის დაფარვა მას ეთვლება ცედენტის წინაშე განხორციელებულ შესრულებად. ორმაგი არანამდვილობის შემთხვევაში, როდესაც ხდება არარსებული მოთხოვნის დათმობა უსაფუძვლოდ, უკუმოთხოვნა უნდა მოხდეს სამკუთხედში — მოვა-

<sup>1</sup> Ch. Thomale, Erfüllungsaunomie im Bereicherungsrecht, Tübingen 2012, 351; M. Reuter/D. Martinek, Ungerechtfertigte Bereicherung, Tübingen 1983, § 12 VI 3

<sup>2</sup> Wendehorst, in Beck OK BGB, 43. Aufl., 2017, § 812 Rn. 206; Canaris, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger NJW 1992, 871; J. Esser/H. L. Weyers, Schuldrecht BT II/2, 8. Aufl., Heidelberg 2000, § 48 III 3 d; Martinek, in juris PraxisKommentar BGB, 3. Aufl. 2006, § 812 Rn. 143; Larenz/Canaris, Lehrbuch des Schuldrechts, II/2, München 1994, § 70 V 1; St. Lorenz, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 2003, 842; W. Lorenz, Abtretung einer Forderung aus mangelhaftem Kausalverhältnis, AcP 191 (1991), 309; Eckert, Anmerkung zu BGH, Urteil vom 23. 03.1988 — XII ZR 58/87, JR 1991, 504; Schlechtriem, Rechtsprechungsübersicht zum Bereicherungsrecht, JZ 1993, 29.

<sup>3</sup> BGHZ 105, 369; BGHZ 122, 50; BGH NJW 1993, 2678; BGH NJW 2005, 1369; BGH NJW 2006, 1732; BGH NZM 2012, 773 Rn. 7; OLG Hamm WM 2001, 1064.

<sup>4</sup> Lorenz, in Staudinger BGB, 15. Aufl., 2007, § 812 Rn. 41; Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 141-ე და მომდევნო ველები; C. W. Canaris, Der Bereicherungsausgleich bei Zahlung des Haftpflichtversicherers an einen Scheingläubiger NJW 1992, 868.

<sup>5</sup> BGH NJW 1991, 3031.

<sup>6</sup> St. Lorenz, Bereicherungsrechtliche Drittbeziehungen, JuS 2003, 842-ე და მომდევნო გვერდი.

<sup>7</sup> BGH WM 1989, 1813.

ლე ითხოვს ცედენტისაგან შესრულების კონდიქციით, ხოლო ცედენტი – ცესიონერისაგან.<sup>8</sup>

*გ) 988 II 2 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი*

ეს გაბატონებული მოსაზრება უფრო დამაჯერებელია. შესაბამისად, სადაზღვეოს მხოლოდ მაშინ ექნება ბესიკისაგან შესრულების კონდიქციით მოთხოვნის უფლება, თუ სახეზეა სკ-ის 988 II 2 მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი, რომელიც უშვებს გადახდელის მიერ ცესიონერისაგან პირდაპირი მოთხოვნის შესაძლებლობას. ეს მაშინ არის სახეზე, როდესაც ცედენტის (ვითომ-კრედიტორის) მითითება საეჭვოა.

ამ „საეჭვოობის“ ქვეშ რეალურად იგულისხმება შემთხვევები, როდესაც დათმობა, როგორც ასეთი (ანუ დათმობის სანივთო ხელშეკრულება), არანამდვილია ან საერთოდ არ არსებობს. აქ ერთხმად აღიარებული გადაწყვეტის თანახმად, მოვალეს უნდა ჰქონდეს პირდაპირ ცესიონერისაგან კონდიციების შესაძლებლობა, არაშესრულების კონდიქციით. ეს შედეგი განპირობებულია პარალელურად არანამდვილ მითითებასთან. ქონების გადადინება ამ შემთხვევაში უნდა მოექცეს იმავე პარადიგმაში, როგორც ვითომ-მითითებულის მიერ განხორციელებული გადახდა. თუ (არარსებული) ცესიის ილუზია არ შეერაცხება ვითომ-ცედენტს, რადგან მას არაფრით გამოუწვევია ის ან, მართალია, გამოიწვია (არანამდვილი ცესია), მაგრამ ეს ცესიის

არანამდვილობის გამო არ შეერაცხება მას, ვითომ-ცედენტი აღარ უნდა იყოს ჩართული გადაცემულის კონდიქციური უკუქცევის პროცესში. მოვალეს უნდა ჰქონდეს გადაცემულის პირდაპირ ვითომ-ცესიონერისაგან გამოთხოვის უფლება. ყველა ის ზემოთ ხსენებული არგუმენტი, რომლებიც სამკუთხედში უკუქცევის სასარგებლოდ მეტყველებს, მათ შორის მოვალის დაცვა, ამ შემთხვევაში არ მოქმედებს. მოვალე, რომელიც საკუთარი მცდარი წარმოდგენის გამო უხდის არასწორ (შეცდომით ცესიონერად მიჩნეულ) პირს ან საკუთარი შეცდომის გამო იხდის უფრო მეტს, ვიდრე ვალდებული იყო, თავად უნდა იბრუნოს მიმღებისაგან მისი უკუმოთხოვნისათვის და ეს მას ვერ ჩაეთვლება ვითომ-ცედენტის წინაშე შესრულებად. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოვალე, მხოლოდ ვითომ-ცესიონერის დაჟინებული მოთხოვნის გამო, ასრულებს.

მოცემულ შემთხვევაში ამგვარი გამონაკლისი არ არის სახეზე, მხოლოდ დაფარული მოთხოვნის არანამდვილობა არ არის საკმარისი პირდაპირი კონდიციების შესაძლებლობის დასაშვებად და ზემოთ აღწერილი ინტერესთა გადანაწილებისათვის ხაზის გადასასმელად.

**შედეგი:** სადაზღვეოს არ აქვს ბესიკისაგან გადახდილი 200 000 ლარის მოთხოვნის უფლება სკ-ის 976 I 1, 988 I 2 მუხლების მიხედვით, არამედ უნდა მოსთხოვოს ეს თანხა პაკოს, რომელიც სადაზღვეოს მიერ გადახდით გათავისუფლდა საკუთარი ვალდებულებისაგან.

<sup>8</sup> Lieb, in MüKo BGB, 4. Aufl., 2004, § 812 Rn. 243.

# პარტნიორის გარიცხვის სირთულე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან

## I. შესავალი

სამეწარმეო საზოგადოების ფორმირება მეტად კომპლექსურ, მრავალსაფეხუროვან მოვლენას წარმოადგენს, რომელიც დროის გარკვეულ მონაკვეთში, კანონით გათვალისწინებულ ქმედებათა ერთობლიობით მიიღწევა.<sup>1</sup> ისევე როგორც რიგი სამართლებრივი ინსტიტუტებისა, ქართველი კანონმდებლის მიერ შემოთავაზებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში – „შპს“) სისტემურ-რეგულაციური გაუმართაობის კლასიკური ნიმუშია, ვინაიდან ის გამომწვევად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ფორმისთვის სახასიათო ნიშნებს არ შეიცავს.<sup>2</sup> მას კონკრეტულად, არც ამხანაგური ტიპის საზოგადოების და არც კაპიტალური ტიპის საზოგადოების დამახასიათებელი სუბსტანციური ელემენტები არ გააჩნია.<sup>3</sup> შესაბამისად, რიგი მოსაწესრიგებელი საკითხების გვერდით შეგვიძლია მოვიპოვოთ პარტნიორის გარიცხვის სირთულე შპს-დან, ვინაიდან, კანონი არ შეიცავს ერთიან ჩამონათვალს თუ რა შემთხვევაში არის შესაძლებელი პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან ისე, რომ აღნიშნული ქმედება სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არაპირდაპირ განსაზღვრავს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის დანაწესი, თავისი შინაარსობრივი დატვირთვითა და სამართლებრივი შედეგებით, პარტნიორის მხრიდან შენატანის შეუტანლობის შემთხვევაში, უთანაბრდება საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვას.<sup>4</sup> შენატანის განუხორციელებლობის გარდა, ყველა სხვა შემთხვევაში, პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვისათვის ანუ მისთვის საკუთრების ჩამოსართმევად, აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება.<sup>5</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონი პარტნიორის გარიცხვის სხვა კონკრეტულ შემთხვევებზე არ მიუთითებს, ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება კომპანიაში წარმოიშვას რიგი მიზეზები, რაც შემდგომში პარტნიორის გარიცხვის საფუძველი გახდეს. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა უკიდურ-

ესი ღონისძიებაა, რაც დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ის უნდა ეფუძნებოდეს გასარიცხი პარტნიორის კანონისა და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედებას.<sup>6</sup> მაშინ როდესაც კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს ზემოთ აღნიშნულს, ბიზნეს პარტნიორებისათვის საკმაოდ საინტერესო და აქტუალური კითხვაა თუ რა შემთხვევაში შეიძლება პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა და რა პროცედურების დაცვით უნდა განხორციელდეს ის.<sup>7</sup>

## II. პარტნიორთა შეთანხმების არსი და მისი მნიშვნელობა სამომავლო საქმიანობისთვის

მრავალწლიანმა გამოცდილებამ დაადასტურა, რომ კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გამართული ბიზნეს გეგმის, კვლევისა და რესურსის გარდა, აუცილებელია მაღალკვალიფიციური, პროფესიული და პასუხისმგებელიანი მენეჯმენტის ჩამოყალიბება, რომელსაც შესწევს უნარი კორპორაციების ქონება რაციონალურად გამოიყენოს და მოახმაროს კომპანიის ძირითად მიზნებს. ამის უზრუნველყოფის სხვა საშუალებებთან ერთად ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის ინსტიტუტს საყურადღებო მისია აკისრია.<sup>8</sup> იქედან გამომდინარე, რომ შპს ვალდებულებით-სახელშეკრულებო ელემენტებსაც მოიცავს, მოგების მიღების მიზნის შემდგომ, პარტნიორთა მთავარი ნიშა, მათი სტრუქტურის, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ ორგანოზე პირდაპირ მონაწილეობით კონტროლშია,<sup>9</sup> შეთანხმების არსი კი სწორედ საერთო მიზნის მიღწევაში მდგომარეობს, რომლისთვისაც პარტნიორებმა გარკვეული მოვალეობები უნდა შეასრულონ, იმოქმედონ კეთილსინდისიერად და განუხრელად დაიცვან თავიანთი ვალდებულებები.<sup>10</sup>

პარტნიორულ ურთიერთობათა უდიდესი ნაწილი, გარკვეული შედეგის მიღწევისკენაა მიმართული, თუმცა ხშირად ურთიერთობის თავდაპირველი შეთანხმებული მიზანი მოგვიანებით ფერმკრთალდება, რასაც, საბოლოოდ, ყველა მონაწილისთვის სასურველ შედეგამდე ვეღარ მივყავართ. სწორედ ასეთ დროს უდიდეს მნიშვნელობას იძენს პასუხისმგებლობის საკითხი, ის თუ რამდენად პასუხისმგებელია

<sup>1</sup> A. P. Morris, Changing the Rules of the Game: Offshore Financial Centers, Regulatory Competition & Financial Crises, Chapman's Journal of Law & Policy, 2009, 3.

<sup>2</sup> გ. მასარაძე, მასარაძე, კაპიტალურ საზოგადოებათა სტრუქტურაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელება კორპორატიულ სამართლებრივ ქმედებათა (შეძენა – შერყევა) საფუძველზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 16.

<sup>3</sup> იქვე, 16.

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის განჩინება, N ას-771-732-2013.

<sup>5</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 01 ნოემბრის განჩინება N 28/980-17.

<sup>6</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 09 ნოემბრის განჩინება N ას-812-1099-2009

<sup>7</sup> Allan W. Vestal, Law Partner Expulsions, Washington and Lee Law Review, Fall 9-1-1998, 1084.

<sup>8</sup> ლ. ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი 2006, 1.

<sup>9</sup> P. Davies, Introduction to company Law, 2010, 21.

<sup>10</sup> P. Branson, Understanding Corporate Law, 3rd Edition, 2009, 313.

სუბიექტი დამდგარი შედეგისათვის და რა ფარგლებში.<sup>11</sup> ისევე როგორც სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონიც ითვალისწინებს კეთილსინდისიერი ქმედების ვალდებულებას, კერძოდ ხელმძღვანელები, უნდა მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.

თავის მხრივ, საწარმოს წესდება, არის პარტნიორთა შეთანხმება, რომელიც შპს-ს ძირითად სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს. იგი, შეიძლება ითქვას, საზოგადოების „კონსტიტუცია“<sup>12</sup>, რომლის საფუძველზეც წესრიგდება საწარმოს საქმიანობასთან ან/და პარტნიორების ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები.<sup>13</sup> იგი მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა-მოწესრიგებისკენ<sup>14</sup> და მისი, როგორც გარიგების, ნამდვილობა განისაზღვრება, ზოგადად გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დაწესებული პირობებით. გარდა სავალდებულო ინფორმაციისა, რომელსაც წესდება შეიცავს<sup>15</sup> მასში აუცილებელია, რომ განისაზღვროს სამეწარმეო კანონმდებლობისგან განსხვავებული მოთხოვნები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მეწარმეთა შესახებ კანონს. მეტიც, კომპანიებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ყველა იმ საკითხს, რომელიც ითვლება რომ სამართლებრივად რთულად გადასაჭრელია. ეს საკითხები საზოგადოებასა და მის აქციონერებს აძლევს მოქმედების თავისუფლებას კომპანიის სტრუქტურის ორგანიზებაში, მისი საქმიანობისა და აქციონერთა უფლებების გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ითქვას წესდება ზოგადად განსაზღვრავს კომპანიის მახასიათებლებს და საქმიანობას.<sup>16</sup>

თუ წესდების იურიდიულ ბუნებას შევხებით, იგი არის გარიგება, დამფუძნებელთა ნების გამოვლენა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება და განსაკუთრებით აქტუალურია პარტნიორთა შორის დავის წარმოშობის დროს.<sup>17</sup> თუ გადავხედავთ პრაქტიკას წესდებების შედგენასთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ წესდებების დიდი ნაწილი, გადმოწერილია კანონიდან, შესაბამისად მასში მოცემული არ არის ის მნიშვნელოვანი საკითხები რაც კანონით არ არის დარეგულირებული. არადა თავისუფლად შეიძლება მათი გათვალისწინება, მაგალითად პარტნიორთა გარიცხვის საფუძველზე დაკავშირებით, ახალი პარტნიორის შემოყვანა,

ნა, წილის გადაცემასთან დაკავშირებით და სხვ. არასრულყოფილი წესდება კი იწვევს არა მხოლოდ პარტნიორების დაბნევას საკითხის გადაწყვეტის დროს, არამედ მოსამართლისაც და დავის შემთხვევაში ურთულესს, საქმის სწორად გადაწყვეტის შესაძლებლობას.<sup>18</sup> ამიტომ პარტნიორებმა წინასწარ უნდა გაიაზრონ წესდების მნიშვნელობა, გამართონ სამართლებრივად სწორად და გაითვალისწინონ ის საკითხები რაც შემდგომში დავის გადაჭრაში დაეხმარებათ.

### III. პარტნიორთა ძირითადი და დამატებითი მოვალეობები საზოგადოების წინაშე

საზოგადოების წინაშე პარტნიორებს გარკვეული მოვალეობები აკისრიათ, რომელთა შეუსრულებლობამ შესაძლოა პრობლემები შექმნას საზოგადოებაში. უფრო მეტიც, შესაძლოა მათი შეუსრულებლობა პარტნიორის საწარმოდან გარიცხვის საფუძველიც კი გახდეს. ამდენად, უნდა განისაზღვროს თუ რა ვალდებულებები აკისრიათ შპს-ის პარტნიორებს და ვის მიმართ. თუ მეწარმეთა შესახებ კანონითა და საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. წესდებით შესაძლებელია მათ მიერ შეტანილი შენატანებისგან დამოუკიდებლად განისაზღვროს განსხვავებული უფლება-მოვალეობები.<sup>19</sup> ყველაზე ზოგადი კლასიფიკაციით პარტნიორის ვალდებულებები შეიძლება დაიყოს ძირითად და დამატებით ვალდებულებად.<sup>20</sup>

შპს-ში, სმირად დგება მომენტი როდესაც საზოგადოების ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე აუცილებელია, საწესდებო კაპიტალის გაზრდა. საწესდებო კაპიტალი, საზოგადოების საკუთარი კაპიტალის შექმნის, მართალია, არა ერთადერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. პარტნიორთა მიერ განხორციელებული შენატანები კი, საწესდებო კაპიტალის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი მექანიზმია. პარტნიორების ძირითად მოვალეობასაც შესატანის შეტანა წარმოადგენს. შესატანის გადახდა პარტნიორთა განსაზღვრულ ვადაში ძირითადად მაშინ ხორციელდება, როდესაც საჭიროა საწესდებო კაპიტალის გაზრდა, შესაბამისად პარტნიორთა მხრიდან ვადების დარღვევა ან შესატანის შეუტანლობა ითვლება ვალდებულების დარღვევად, რაც საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის წინაპირობად ითვლება, როგორც კანონის, ასევე სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. მთავარია პარტნიორის გარიცხვის დროს დამტკიცდეს საწესდებო კაპიტალის გაზრდის აუცილებლობა და არ დაფიქსირდეს დომინანტი პარტნიორის მიერ ხელოვნურად შექმნილი საჭიროება მინორიტარი პარტნიორის უფლების შელახვის გზით.

<sup>11</sup> ა. ხარაიშვილი, „გამჭოლი პასუხისმგებლობისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპების ურთიერთმიმართება სამეწარმეო სამართალში“ თსუ, იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 123.

<sup>12</sup> გ. ლილუაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თეორია და პრაქტიკა, თბილისი 2005, 103.

<sup>13</sup> მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-4<sup>1</sup> პუნქტი.

<sup>14</sup> სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი

<sup>15</sup> მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტები.

<sup>16</sup> კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო, პირველი გამოცემა, საქართველო 2010, 43.

<sup>17</sup> გ. ლილუაშვილი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თეორია და პრაქტიკა, თბილისი, 2005, 103.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>19</sup> მეწარმეთა შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი.

<sup>20</sup> ნ. შუბიტაშვილი, პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან, საკორპორაციო სამართლის კრებული II, თბილისი 2014, 145.

პარტნიორთა დამატებით ვალდებულებას კეთილსინდისიერი და სამართლიანი ქმედების მოვალეობა წარმოადგენს. შპს-ს პარტნიორები, ვალდებულნი არიან საზოგადოებას გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისთვის. სამეწარმეო ურთიერთობები კერძო სამართლებრივი (სამოქალაქო) ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ მისი მონაწილენიც ვალდებულნი არიან – თავიანთი უფლება-მოვალეობანი განახორციელონ კეთილსინდისიერად.<sup>21</sup> თავის მხრივ, კეთილსინდისიერება სამართლებრივ ურთიერთობებში გულისხმობს მონაწილის მიერ საკუთარი უფლებების რეალიზებას საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების ობიექტური, სამართლიანი შეფასებით და სამართლებრივი ურთიერთობის მეორე მონაწილის უფლებების პატივისცემით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახეზე იქნება უფლების ბოროტად გამოყენება,<sup>22</sup> რაც დაუშვებელია და იურიდიული შედეგი არ მოჰყვება.<sup>23</sup>

კეთილსინდისიერების მოვალეობის გარდა, თანამედროვე საკორპორაციო სამართალი, როგორც გერმანულ, ასევე ამერიკულ სამართალში ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობას ორ დიდ ჯგუფად ყოფს: გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობა (duty of care or duty of diligence)<sup>24</sup> და ერთგულების მოვალეობა (duty of loyalty).<sup>25</sup> გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობებს ამერიკულ სამართალში ფიდუციური მოვალეობები ეწოდება.<sup>26</sup> გარდა ამისა, ამერიკულ საკორპორაციო სამართალში ასევე გამოყოფენ მოვალეობათა კიდევ ერთ ჯგუფს, რომელსაც მართლმომიერი მოქმედების მოვალეობა (Duty of obedience) ეწოდება. სიტყვა-სიტყვით თარგმანი ქართულ ენაზე შეიძლება იყოს კანონმორჩილების მოვალეობა,<sup>27</sup> რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს საზოგადოების წარმატებით ფუნქციონირებისათვის, ვინაიდან პარტნიორთა მხრიდან ვალდებულებების დარღვევა და შემოთაღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობა, რა თქმა უნდა ცუდად აისახება კომპანიის განვითარებაზე. მოვალეობათა ყოველგვარი კლასიფიკაციის მიზანი უნდა იყოს პრაგმატული. კერძოდ იგი უნდა აძლევდეს კორპორაციის ხელმძღვანელობას შესაძლებლობას ერთმანეთისგან განა-

სხვას მთავარი და მეორეხარისხოვანი მოვალეობები, კანონისმიერი, ხელშეკრულებიდან თუ წესდებიდან გამომდინარე მოვალეობანი. არც იმ რისკის დაფიქრება შეიძლება, რომელიც ამა თუ იმ მოვალეობის დარღვევას შეიძლება უკავშირდებოდეს. კერძოდ ის მოვალეობა, რომელიც ერთი შეხედვით, შესაძლოა წვრილმანად გამოიყურებოდეს, თუმცა დარღვევის შემთხვევაში შეიძლება დიდი ზიანის გამომწვევიც გახდეს.<sup>28</sup> პარტნიორთა შეთანხმების მიმართ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ვრცელდება,<sup>29</sup> შესაბამისად სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს, თუ რა იყო პარტნიორთა მოლოდინი სამოქმედო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე და ამ მოლოდინს უსადაგებს მოვალეობის დამრღვევი პარტნიორის ქმედებას. თუკი ქმედება, მისი წინმსწრები ფაქტების გათვალისწინებით, არ არის პარტნიორული ურთიერთობიდან გამომდინარე გონივრულად მოსალოდნელი, მიიჩნევა, რომ კეთილსინდისიერების მოვალეობა დარღვეულია.<sup>30</sup> ზემოთ მოცემული მოვალეობების დარღვევის შემდეგ შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს პარტნიორის გარიცხვის საკითხი, თუმცა სასამართლოს შესაფასებელი და დასამტკიცებელია, თუ რამდენად დაარღვია პარტნიორმა მისი დამატებითი მოვალეობები.

#### IV. პარტნიორთა პასუხისმგებლობა

პრაქტიკაში, კომპანიებში იდეალური მდგომარეობა ხშირად არ გვხვდება. ადგილი აქვს მხარეებს შორის გარკვეული სახის უთანხმოებასა და აძაბულობას.<sup>31</sup> სწორედ ამიტომ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც საზოგადოების რეგისტრაციამდე პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას და აქედან გამომდინარე, მის შედეგს უკავშირდება არის პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი, პასუხისმგებლობის ადრესატი. პასუხისმგებლობა კორპორაციული მართვის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს.<sup>32</sup> ის საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორებმა უნდა გაიაზრონ, რომ ორგანიზაციას მართავდნენ პასუხისმგებლობისა და სამეწარმეო გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილებას იღებდნენ დამოუკიდებლად თავისი კომპეტენციის, ცოდნის და გამოცდილების ფარგლებში. ამიტომ ბუნებრივია, რომ კა-

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 8 მუხლის მე-3 ნაწილი

<sup>22</sup> სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი.

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება N851-795-2017

<sup>24</sup> E. William, A. Dan, Liability of Corporate Officers and Directors, Seventh Edition, 2004, 73.

<sup>25</sup> ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, ზემოთ სქ. 8, 199.

<sup>26</sup> A. W. Vestal, Law Partner Expulsion, Washington and Lee law review, 1140

<sup>27</sup> ჭანტურია, კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, ზემოთ სქ. 8, 199.

<sup>28</sup> იქვე, 201.

<sup>29</sup> L. C. David, Theories of the Corporation and the Limited Liability Company: How should Courts and Legislatures Articulate Rules for Piercing the Veil, Fiduciary Responsibility and Securities Regulation for the Limited Liability Company? Oklahoma Law Review, 1998, 6.

<sup>30</sup> მუბიტაშვილი, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ზემოთ სქ. 20, 159.

<sup>31</sup> ი. ბურდული/ვ. მახარობლიძე/ი. ხარაიშვილი, „რბილი სამართლის გავლენა კორპორაციული მართვის ეფექტიანობაზე“, თბილისი 2018, 55.

<sup>32</sup> Report of the High Level Group of Company Law Experts. (4.5 Chapter III of the Report) 69

ნონი მეწარმეთა შესახებ მას დიდ ყურადღებას უთმობს. თუ აღიარებულია წინარე საზოგადოების, როგორც უფლებამოვალეობის მატარებლის ბრუნვაში შეუფერხებელი მოძრაობა და ამ ურთიერთობაში განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე გარკვეული ვალდებულების აღება, სახეზე უნდა იყოს ასევე ამ ვალდებულების შესრულების, ხოლო ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის განსაზღვრის წესი.<sup>33</sup>

გამოარჩევენ საგარეო და საზოგადოების შიგნით პასუხისმგებლობას. საგარეო პასუხისმგებლობის დროს, შპს-ს პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, როცა საკითხი ეხება სამეწარმეო სუბიექტების ურთიერთობას კრედიტორებთან და მესამე პირებთან, ხოლო პარტნიორების პასუხისმგებლობაზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობისათვის (მაგალითად, შესატანის შეუტანლობა) მიიჩნევა, როგორც პასუხისმგებლობა საზოგადოების შიგნით.<sup>34</sup> ორივე შემთხვევა რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია საწარმოს წარმატებულად ფუნქციონირებისათვის, თუმცა სტატიის ფარგლებში განსახილველი საკითხი უფრო მეტად შეეხება შიდა ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას, რომლის გარეშეც ძალიან რთულად მიიღწევა როგორც საწარმოს განვითარება ასევე შემდგომში მოგების მიღება.<sup>35</sup>

თანამედროვე საკორპორაციო სამართლის მიხედვით, დამფუძნებელი პარტნიორები შეუზღუდავად აგებენ პასუხს მთელი თავიანთი პირადი ქონებით წინარე შპს-ის დანაკლისისთვის. იმ შემთხვევაში, თუ წინარე საზოგადოებას მისი საქმიანობიდან გამომდინარე გახარჯული აქვს პარტნიორის მიერ შევსებული (შესავსები) ქონება მთლიანად ან ნაწილობრივ, იგი პასუხისმგებელია არა მხოლოდ ღირებულების სხვაობის დაფარვისთვის, არამედ ვალდებულია აანაზღაუროს დანაკარგის მთლიანი ოდენობა. მიზანშეწონილია აქ საუბარი იყოს არა მხოლოდ იმ დანაკლისზე, რომელიც ეხება დამფუძნებლის შესატანის განხორციელებას, ვალდებულებიდან გამომდინარე ნაკისრი ღირებულების შეუვსებლობით გამოწვეულ დანაკლისს, რომელიც საზოგადოების საწესდებო კაპიტალს ვერ ფარავს, არამედ მთლიანად შესასრულებელი ვალდებულების ღირებულებას. მაგალითად, დამფუძნებლის ვალდებულებას წარმოადგენს, მისი სამომავლო წილის პროპორციულად, დავუშვათ 25%-ის ფარგლებში, 100 000 ლარიან კაპიტალში 25 000 ლარის განხორციელებას. დამფუძნებლის მიერ შესრულებულ იქნა 15 000 ლარის შეტანა კაპიტალში, თუმცა საზოგადოების მიერ აღებული ვალდებულებიდან გამომდინარე დანახარჯი

საწესდებო კაპიტალის ციფრს აღემატება, ვთქვათ, 10 000-ით. აღნიშნულ შემთხვევაში, დამფუძნებელი პასუხისმგებელი უნდა გახდეს 10 000 ლარის შეტანაზე (გასწორება საწესდებო კაპიტალთან) დამატებული 10 000 ლარის 25% ის ოდენობის ღირებულება, რადგანაც დამფუძნებელი დანაკლისისთვის პასუხისმგებელია პროპორციულად.<sup>36</sup>

საკორპორაციო და ზოგადად, სამეწარმეო სამართლის ძირითადი ფუნქცია საწარმოსთან დაკავშირებული პირთა გვერდებისათვის დაცვითი გარანტიების შექმნაა. ორგანიზაციული მოწყობის შიდა-საზოგადოებრივი საკითხები, უმეტეს შემთხვევებში, სახელმწიკრულებო ავტონომიით რეგულირდება. საკორპორაციო სამართლის დაცვითი ფუნქცია ვლინდება ორი მიმართულებით: 1. მცირე პარტნიორის (აქციონერის) დაცვა და 2. კრედიტორთა დაცვა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართალში, კომპანიის პერსონიფიცირებული ხასიათიდან გამომდინარე, მცირე პარტნიორთა დაცვა უკანა პლანზე იწევს.<sup>37</sup> დომინანტი პარტნიორებისგან ხშირია ისეთი ქმედებები, რაც მცირე პარტნიორებს წამგებიან მდგომარეობაში ამყოფებს, შესაბამისად მეწილეები, რომლებსაც საკუთარი კაპიტალიდან სარგებლის მიღების პრეტენზია აქვთ, არ უნდა ცდილობდნენ მარალის სოციალიზაციას და რისკის სხვისთვის დაკისრებას. საკორპორაციო სამართალმა კი უნდა მოგვეცეს ამ პასუხისმგებლობის ოპტიმალური სტრუქტურა.<sup>38</sup>

### V. პარტნიორული ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა – პარტნიორის გარიცხვა

პარტნიორულ ურთიერთობებში არც ისე იშვიათად დგება საკითხი პარტნიორის გარიცხვის შესახებ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, ძალიან ხშირად პარტნიორის გარიცხვის საფუძვლები წესდებით არ არის მოწესრიგებული, რის გამოც წარმოიქმნება მათი გარიცხვის სირთულეები, შესაბამისად პარტნიორები სასამართლოში ხშირად ვერ აღწევენ მათ გარიცხვას. პარტნიორის გარიცხვა, დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში. იგი უნდა ეფუძნებოდეს გასარიცხი პარტნიორის კანონისა და საზოგადოების ინტერესების აშკარად საწინააღმდეგო ქმედებას, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება,<sup>39</sup> როდესაც პარტნიორის მიერ განხორციელებული ქმედება კრიზისულ მდგომარეობაში აგდებს საწარმოს და შეუძლებელია ნორმალური ურთიერთობის გაგრძელება და საწარმოს მთავარი მიზნისკენ სრაფვა. დასავლეთის ქვეყნებსა და იურიდიულ ლიტერატურაში პარტნიორის გარიცხვა უდავოდ არის აღიარებული.

<sup>33</sup> ი. ბურდული/ვ. მახარობლიშვილი/ვ. მალრაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი, თბილისი 2019, 63  
<sup>34</sup> ლ. ჭანტურია/თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, თბილისი, 2012, 41  
<sup>35</sup> ბურდული/მახარობლიშვილი/მალრაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ზემოთ სქ. 33, გვ. 63.

<sup>36</sup> ბურდული/მახარობლიშვილი/მალრაძე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ზემოთ სქ. 33, 80.  
<sup>37</sup> გ. ქირია, საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, საკორპორაციო სამართლის კრებული I, თბილისი 2011, 37  
<sup>38</sup> იქვე, 37.  
<sup>39</sup> სუს, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკატრების საქმეთა პალატა, 2009 წლის 2 ნოემბრის გადაწყვეტილება Nას-812-1099-09

როგორც პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, აქაც მნიშვნელოვანია საფუძვლის არსებობის აუცილებლობა, რაც სასამართლოს შეფასების საგანია. აღსანიშნავია, რომ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ, არ იწვევს მის გარიცხვას საზოგადოებიდან. ეს არის საფუძველი, რათა საზოგადოებამ გარიცხვის თაობაზე მიმართოს სასამართლოს და მან გამოიტანოს საბოლოო გადაწყვეტილება.

პარტნიორს გააჩნია რამდენიმე ვალდებულება, კერძოდ ის უნდა მოქმედებდეს საწარმოს საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და არ უნდა აყენებდეს მას ზიანს, არ უნდა ეწეოდეს იმავე ან მსგავს საქმიანობას, არ უნდა გაახმაუროს საწარმოს კონფიდენციალური ინფორმაცია და აშ. აღნიშნული საკითხების დარღვევის შემთხვევაში, შესაძლოა დღის წესრიგში მართლაც დადგეს პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხი.<sup>40</sup> მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს მიერ ინსტიტუციურად მოწესრიგდეს საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის კანონით გაუთვალისწინებელი წინაპირობები, მისი შესაბამისობა კონსტიტუციასთან და დადგინდეს გარიცხვის განხორციელების წესი. გარიცხვის საფუძვლების დადგენა იმდენად გართულებულია, ხშირ შემთხვევაში სარჩელი მოკლებულია ზუსტ და კონკრეტულ დასაბუთებას იმის თაობაზე, თუ რამდენად გამართლებულია პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა, შესაბამისად ასევე ხშირ შემთხვევაში პრაქტიკა მიუთითებს, რომ პარტნიორებს შორის პიროვნული კონფლიქტის არსებობისას მხარეებს შეუძლიათ გამოიყენონ წარმომადგენლობა და ამ გზით განაგრძონ ერთობლივი საქმიანობა, რათა თავი აარიდონ უკიდურეს მოქმედებას – პარტნიორის გარიცხვას საზოგადოებიდან.<sup>41</sup> მაგალითად, აშშ-ის სამართლით, დახურულ კორპორაციაში პარტნიორთა შორის არსებული პერსონალური კონფლიქტიდან გამოსავალი შეიძლება იყოს კორპორაციაში პარტნიორის ნებაყოფლობითი გასვლა (withdrawal), პარტნიორის გარიცხვა (expulsion) ან საზოგადოების ლიკვიდაცია (dissolution). აღსანიშნავია, რომ გერმანიაში ისევე, როგორც აშშ-ში საზოგადოებიდან ნებაყოფლობით გასვლისა და ნების გარეშე (in invitum) გარიცხვის უფლებათა დადგენა მოხდა სასამართლო პრაქტიკით.<sup>42</sup>

ქართული კანონმდებლობა პარტნიორის გარიცხვის ორ შემთხვევას განამტკიცებს: კერძოდ საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა ზიანის მიყენების გამო და საზოგადოების წინაშე პარტნიორის მიერ ნაკისრი ძირითადი ვალდებულების – შენატანის განხორციელების ვალდებულების და-

რღვევის გამო.<sup>43</sup> გარდა ზემოთაღნიშნულისა ერთ-ერთ ქვეთავად ასევე განხილული იქნება პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა, საწესდებო კაპიტალის ხელოვნურად გაზრდის გზით.

#### ა) საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა ზიანის მიყენების გამო

პარტნიორის მხრიდან ვალდებულების სისტემური არაჯეროვანი შესრულება, იწვევს საწარმოსთვის ზიანის მიყენებას. ბუნებრივია, როდესაც საწარმოს პარტნიორთან, მისი არასტაბილური, არარაციონალური, არასწორი, ზიანის მიმყენებლური, ავზრახული ქმედების გამო მასთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება შეუძლებელია, სამართალმა უნდა მისცეს დანარჩენ პარტნიორებს საზოგადოების საქმიანობის შემდგომი გაგრძელებისა „მშვიდი“ საქმიანობის შესაძლებლობა აღნიშნული პარტნიორის გარეშე. ამ შემთხვევაში, საკორპორაციო სამართალი გამოდის იმ მოსაზრებიდან, რომ საწარმოს, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური წარმონაქმნი, რომელიც ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური კეთილდღეობის ძირითადი მოთამაშეა ქვეყანაში, ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონკრეტული მასში მონაწილე პირის ოპორტუნისტული ინდივიდუალური ინტერესი. მიუთმეტეს, როდესაც ეს ინტერესი ვერ ადასტურებს საზოგადოების პრიორიტეტულ ინტერესს და ამასთან ერთად მას თან ახლავს პარტნიორის მხრიდან საზოგადოებასთან და თანა პარტნიორთან მიმართებაში არასწორი საქციელი.<sup>44</sup> პარტნიორის გარიცხვის მნიშვნელოვანი საფუძველი სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებამ აღარ უნდა ითმინოს გასარიცხი პარტნიორის კორპორაციულ-სამართლებრივი მონაწილეობა: სახელდობრ, როდესაც მისი ქცევა შეუძლებელს ხდის ან მნიშვნელოვნად ართულებს საზოგადოების მიზნის მიღწევას, რაც აუტანელს გახდის მისი საზოგადოების რიგებში დარჩენას. საუბარია პიროვნულ თვისებებსა და ურთიერთობებზე, როგორცაა მაგალითად, ნდობის დეფიციტი, ვალდებულებების მძიმე დარღვევა, დანაშაულებრივი საქმიანობა, ნდობის ბოროტად გამოყენება და სხვა პარტნიორებთან დაძაბული ურთიერთობები. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საფუძველი შეიძლება გახდეს არა ყველა სახის, არამედ იმგვარი ზიანი რომელიც საწარმოს საქმიანობას უშლის ხელს გრძელვადიან პერსპექტივაში და მაშასადამე საფრთხის ქვეშ აყენებს მის არსებობას.<sup>45</sup> პარტნიორის გარიცხვის დროს სასამართლომ უნდა დაადგინოს პარტნიორის გარიცხვის უფლების წარმოშობის წინაპირობები და სსკ-ის 399-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს, მნიშვნელოვანი საფუძვლის არსე-

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება №ს-1203-2018

<sup>41</sup> სუს, სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება №ს-1075-1245-08 შპს „არგო“-ს საქმე

<sup>42</sup> *გუბიტაშვილი*, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ზემოთ სქ. 20, 172.

<sup>43</sup> *ბურდული/მხარობლიშვილი/მარტაძე*, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი 2019, გვ. 148.

<sup>44</sup> იქვე 149.

<sup>45</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 2009 წლის 09 ნოემბრის გადაწყვეტილება №ს-812-1099-2009.

ბობისას, ხანგრძლივი სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის მოშლის შესაძლებლობას. გამოიკვლიოს საზოგადოების მიერ ამ უფლების გამოყენების მართლზომიერება. სასამართლომ უნდა დაადგინოს საზოგადოების მიზნის შელახვა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება პარტნიორული ურთიერთობის შენარჩუნება; საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება; პირველ და მეორე წინაპირობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. გარიცხვის შესახებ სასარჩელო წარმოებისას, სასამართლოს ამოწმებს რამდენად კეთილსინდისიერად გამოიყენეს პარტნიორებმა (პარტნიორმა) გარიცხვის უფლება, ხომ არ იყო მათი გადაწყვეტილება მოტივირებული პირადი ინტერესებით, პირადი სარგებლობის ან ქონებრივი უპირატესობის მოსაპოვებლად.<sup>46</sup> მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ გარიცხვის საფუძვლად არ ჩათვალა ის ფაქტი, რომ პარტნიორმა, სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე დავალების ხელშეკრულებით გადასცა თავისი წილი სხვა პირს. ასევე, სისტემატურად, შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი განცხადებით მიმართვა პარტნიორთა და თანამშრომლების წინააღმდეგ, ერთ-ერთი პარტნიორის მიერ. მაგრამ სააპელაციო სასამართლომ საპირისპირო გადაწყვეტილება გამოიტანა და აღნიშნული „ჩასაფრებულ საქციელად შეაფასა“.<sup>47</sup>

ყოველი ზემოაღნიშნული მიზეზი საკმაოდ რთული დასამტკიცებელია. შესაბამისად, პრობლემურია საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის საკითხიც. როდესაც პრობლემის სათავე მხოლოდ ერთი ადამიანია, სხვა პარტნიორებს შორის კი არსებითი უთანხმოება არ არსებობს, ამ დროს უმჯობესია სასამართლო პრაქტიკა ისე ჩამოყალიბდეს, რომ სხვა პარტნიორებს მინიჭებული ჰქონდეთ საზოგადოებისათვის „მიუღებელი“ პარტნიორის გარიცხვის უფლებამოსილება, შესაბამისი მტკიცებულებების ხარჯზე.

**ბ) პარტნიორის საზოგადოებიდან გარიცხვა შენატანის განუხორციელებლობის გამო**

მრავალი ევროპული ქვეყნის კანონმდებლობა, მათ შორის გერმანული კანონმდებლობის წარმოების ნამდვილობას გარკვეული წინაპირობების არსებობას უკავშირებს, რომელთა კუმულაციური ერთობლიობა იძლევა საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ საფუძველს<sup>48</sup>. ამ წინაპირობათა დარღვევა, როგორც წესი იწვევს გარიცხვის განხორციელების არაკანონიერებას რასაც პროცესის ანულირებამდე მიყვავართ. წინაპირობები 4 ნაწილად იყოფა: 1) სახეზე უნდა იყოს გადახდის შეყოვნება, 2) საზოგადოება ფორმის დაცვით გამოსცემს დამატებით ვადაში გა-

<sup>46</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 08 ოქტომბრის განჩინება Nას-201-201-2018.  
<sup>47</sup> სუს, სამოქალაქო, სამეწარმეო და ვაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინება Nას-1075-1245-08 შპს „არგო“-ს საქმეზე.  
*ბურდული/მხარობლიშვილი/მალრაძე, მებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თბილისი, 2019, 158.*

დახდის მოთხოვნის და მისი (პარტნიორის) საზოგადოებიდან შესაძლო გარიცხვის განკარგულებას, 3) დამატებით ვადა უშედეგოდ გადის და ბოლოს 4) კადუცირება, ანუ გარიცხვა ფორმის დაცვით იქნება განმარტებული. ჩემი აზრით, აღნიშნული მოდელი პროცედურულად სწორად და ნაბიჯ-ნაბიჯ წარმართავს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას.<sup>49</sup> აღნიშნული მოდელს ასევე წააგავს საქართველოს პრაქტიკა შენატანის განხორციელების დროს. საქართველოს კანონმდებლობის შემთხვევაშიც, შენატანის განხორციელება ხდება პარტნიორთა მიერ შეთანხმებულ ვადებში. თუ პარტნიორი დათქმულ ვადაში არ განახორციელებს შენატანის შეტანას სახეზე ვალდებულების დარღვევა, თუმცა თავდაპირველად პარტნიორებმა უნდა მოსთხოვონ ვალდებულების შესრულება და დაუწესონ გონივრული ვადა. დამატებით ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კრებას წარმოემოხება უფლება მიიღოს გადაწყვეტილება პარტნიორის გარიცხვის შესახებ.<sup>50</sup> ამ დროს მთავარ სირთულეს წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული შენატანი სამართლიანად უზრუნველყოფდეს კაპიტალის შევსებას და არ აღინიშნებოდეს კაპიტალის ხელოვნური ზრდის ნიშნები.

**გ) პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა საწესდებო კაპიტალის ხელოვნურად გაზრდის გზით**

საწარმოს კაპიტალს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში სამართალ ბრუნვისა და ბიზნესის განვითარების კუთხით. სწორედ ამგვარი გარანტიის შექმნას ემსახურება მესამე პირებთან ურთიერთობაში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი. შეიძლება ითქვას, რომ სამეწარმეო სუბიექტის კაპიტალი კაპიტალური საზოგადოების სიმყარის გარანტიასაც წარმოადგენს.<sup>51</sup>

საზოგადოების პარტნიორები უფლებამოსილნი არიან საზოგადოების საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე მიიღონ გადაწყვეტილება საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ.<sup>52</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კაპიტალის გაზრდა შეიძლება იქცეს პარტნიორის გარიცხვის ხელოვნურ საშუალებად. ზემოთ აღნიშნულს ადგილი აქვს, მაშინ, თუკი კონკრეტულ შემთხვევაში, უმრავლესობის მიერ უფლების ბოროტად გამოყენებას აქვს ადგილი და მაგალითად, არსებული გარემოებები ცხადყოფენ, რომ უმცირესობაში მყოფი პარტნიორი ვერ განახორციელებს დამატებით შენატანს. თუმცა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკე მსჯელობის საგანია, რა-

<sup>49</sup> იქვე 158.  
<sup>50</sup> *გუბიტაშვილი*, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ზემოთ სქ. 20, 165.  
<sup>51</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის განჩინება, საქმე N28/183-11, 9.  
<sup>52</sup> მეწარმეთა შესახებ კანონი, მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტი.



მდენად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების მოვალეობას პარტიორის გარიცხვის ასეთი მექანიზმის გამოყენება.<sup>53</sup>

თავისუფალი კონკურენციის პირობებში, მეწარმე სუბიექტები სულ უფრო მეტ სახსრებს საჭიროებენ იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ თანამედროვეობის მოთხოვნები და იყვნენ კონკურენტუნარიანები ბაზარზე. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესაძლებლობას შენატანების შეტანის გზით. კერძოდ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს-ში კრება იღებს გადაწყვეტილებას ახალი დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ. რომ რამდენადაც აღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს მეწარმე სუბიექტების გაძლიერებას, კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას, იმდენად საფრთხილოა, რათა აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით დაუშვებლად არ იქნეს პარტიორთა უფლებები შელახული. შესაბამისად, აუცილებელია, ბალანსის დაცვა ერთი მხრივ, შემლუღული პასუხისმგებლობის საზოგადოების ინტერესებსა და მეორე მხრივ, იმ პარტიორის ინტერესებს შორის, რომლის წილიც კაპიტალის გაზრდის ხარჯზე, წილების გადაანგარიშების შედეგად პროპორციულად მცირდება.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოსარჩელის მტკიცების დროს არის ის ფაქტი, რომ პარტიორთა კრების გადაწყვეტილება კაპიტალის გაზრდის თაობაზე, რეალურად, საზოგადოების საჭიროებით კი არ არის განპირობებული, არამედ პარტიორთა წილის შემცირებასა და პარტიორთა საზოგადოებიდან გარიცხვას ისახავს მიზნად.

მართალია, ამგვარი მოცემულობას „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს, თუმცა, აღსანიშნავია, რომ შენატანების შეტანის გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდა აუცილებლობით, ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილობით უნდა ხასიათდებოდეს. კანონით გათვალისწინებული უფლების გამოყენების აუცილებლობა ან/და მიზანშეწონილობა ის კატეგორიებია, რომელთა დადგენის საჭიროება განპირობებულია არა კანონის დანაწესიდან გამომდინარე, არამედ უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის მიზნებისათვის. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩელე სარჩელის საფუძვლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ საწარმოს კაპიტალის გაზრდა მიზნად ისახავდა პარტიორების წილის შემცირებას, შესაგებლის მტკიცების საგანში სწორედ იმ გარემოებების დამტკიცების ვალდებულება შედის, რომ კაპიტალის გაზრდა აუცილებელი, ან/და სულ მცირე, მიზანშეწონილი იყო.<sup>54</sup>

ხშირია შემთხვევები, როდესაც სადავო გადაწყვეტილება ემსახურება მხოლოდ დომინანტი პარტიორების ინტერესებს, შეამცირონ სხვა პარტიორთა წილობრივი მონაწილეობა. უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს უფლებით ისეთი სარგებლობა, როდესაც არ არის გამოკვეთილი ამავე უფლების მატარებლის ინტერესი, არამედ იკვეთება მხოლოდ სხვა პირის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების ინტერესი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, უფლების ბოროტად გამოყენება გულისხმობს უფლების მართოდ იმ მიზნით გამოყენებას, რომ ზიანი მიადგეს სხვას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 28 ივნისის განჩინებაში აღნიშნა, რომ მოსარჩელის მტკიცება იმის თაობაზე, რომ საწესდებო კაპიტალი ხელოვნურად იყო გაზრდილი არ იყო დასაბუთებული. მოწინააღმდეგე მხარის მიზანი კაპიტალის გაზრდის თაობაზე კანონშესაბამისი და ლეგიტიმური იყო, ამასთან არსებობდა აღნიშნული უფლების გამოყენების არათუ მიზანშეწონილობა, არამედ საჭიროებაც კი.<sup>55</sup> დასკვნის სახით, ქმედების კვალიფიკაციისათვის და იმის დასამტკიცებლად, რომ დომინანტმა პარტიორებმა საწესდებო კაპიტალი პარტიორის საზოგადოებიდან გარიცხვის გამო გაზარდეს, აუცილებელია სასამართლომ დაამტკიცოს, რომ უფლების რეალიზატორი მხოლოდ სხვის საზიანოდ მოქმედებდეს და არანაირ სარგებელს არ იღებდეს აღნიშნული ქმედებიდან.

## VI. დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ პარტიორის გარიცხვა საზოგადოებიდან უკიდურესი ღონისძიებაა და არც თუ ისე მარტივ პროცედურებთან არის დაკავშირებული. საბოლოო ჯამში, მტკიცების ტვირთი ხშირ შემთხვევაში სასამართლოს ეკისრება და სწორედ მან უნდა განსაზღვროს პარტიორთა ქცევაში, მართლა არსებობდა თუ არა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლიდა საზოგადოების ნორმალურ მუშაობას და პარტიორთა შორის ნდობის არსებობას.

პირველ რიგში, ნაშრომში გამოიკვეთა წესდების მნიშვნელობა, როგორც პარტიორთა დაცვის ერთ-ერთი საშუალება. იგი არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ფორმალურ დოკუმენტს, მისი გამართულობა სამომავლოდ შეიძლება პრობლემის აცილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის ის, რომ საზოგადოების დაფუძნების დროს, აუცილებელია, რომ ყველა პარტიორი ანალიზებდეს იმ პასუხისმგებლობას, რაც მას მომავალში დაეკისრება და მზად იყოს ყველა იმ ვალდებულების შესასრულებლად, რაც მოგების მიღებაში დასჭირდებათ, საბოლოოდ წარმატებული კომპანიის ფორმირების მიზნით. ისევე როგორც, ნებისმიერ ურთიერთობაში, პარტიორულ ურთიერთობაშიც დიდი მნიშვნე-

<sup>53</sup> მუბიტაშვილი, საკორპორაციო სამართლის კრებული II, ზემოთ სქ. 20, 147.

<sup>54</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის განჩინება, საქმე N28/183-11, 10.

<sup>55</sup> იქვე 10.

ლობა აქვს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულების პირწმინდად შესრულებას, კეთილსინდისიერებისა და ერთგულების მოვალეობის დაცვით, კომპანიაში კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

იქედან გამომდინარე, რომ კანონი არ ადგენს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობის ჩამონათვალს, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო პრაქტიკა სწორად ჩამოყალიბდეს ისე, რომ არ შეილახოს როგორც ნომინალური ასევე დომინანტი პარტნიორის უფლებები. ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებაში მსუბუქი კონფლიქტის არსებობის დროს პრაქტიკა მიუთითებს წარმომადგენლის საჭიროებაზე და ამ გზით კომუნიკაციაზე, რაც საკმაოდ გამართლებულია, ვინაიდან ზოგჯერ საწარმოში არ დგას პარტნიორის გარიცხვის აუცილებლობა და საკითხი შეიძლება წარმომადგენლის დანიშვნით გადაწყდეს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, პარტნიორის გარიცხვა შესაძლოა გამართლებული იყოს საწარმოს მიზნებიდან გამომდინარე, ვინაიდან ყოველდღიური კონფლიქტისა თუ ვალდებულებების დარღვევა საწარმოსა და მის თანამშრომლებზე უარყოფითად

აისახება, რაც აფერხებს მის გამართულად მუშაობას, ამ დროს კი შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი პრობლემები, რომ საწარმომ ვეღარ შეძლოს ნორმალურად ფუნქციონირება და დღის წესრიგში დადგეს მისი ლიკვიდაციის პროცესის განხილვა. შესაბამისად შესაძლებელია უკიდურესი ღონისძიების გამოყენება, უკეთესიც კი იყოს ამ დროს, თუმცა ამ შემთხვევაში საჭიროა მყარი დასაბუთება და ქმედების მიზანშეწონილობა. ამ დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, გარიცხული პარტნიორის წილის კომპენსაციის საკითხი. საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის სამართლებრივ შედეგს წილზე საკუთრების უფლების ჩამორთმევა წარმოადგენს, შესაბამისად არ უნდა მოხდეს მისი კონსტიტუციით დაცული უფლების შელახვა და გარიცხული პარტნიორი, შესაბამისად კომპენსირდეს კომპანიაში თავისუფალი სახსრების არსებობის საფუძველზე.

*სოფიკო ხიდეშელი*

## უზრუნველმყოფი საკუთრების გამოყენება ე.წ. „ბინის გირავნობისას“

მიუხედავად იმისა, რომ 1992 წლის რესპუბლიკის კანონის „გირავნობის შესახებ“ გადმონაშთი „ბინის გირავნობა“ მთლიანად უკუაგდო 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა, „ბინის გირავნობის“ მომავალმა სუბიექტებმა ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის საფუძველზე, ზემოაღნიშნული სამართლებრივი სტრუქტურის ქვეშ მოიპოვეს სესხის, იპოთეკის და სესხის უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დატვირთული საცხოვრებელი სადგომის, სარგებლობის ხელშეკრულებათა სინთეზი, რომლის მიზანია, კრედიტორმა ისარგებლოს იპოთეკით დატვირთული ნივთით, ხოლო სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ბინის მის საკუთრებაში გადასვლით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან 21 წლის შემდეგ, 2018 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილებით, კანონმდებელმა ირიბად აღიარა „ბინის გირავნობის“ არსებობა. რეფორმის ფარგლებში, ფიზიკურ პირებს დაუწესდათ შეზღუდვები იპოთეკის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით და საქართველოს სამოქალაქო კოდექსში პირველად გაჩნდა მხოლოდ საცხოვრებელი მიზნით, არაუმეტეს ორი, იპოთეკის ხელშეკრულების დადების შესახებ ჩანაწერი, რომელმაც აქცენტი იპოთეკის ხელშეკრულების მიზნობრიობაზე გააკეთა, რაც გულისხმობს, რომ კანონმდებელი „საქმის კურსშია“ სამართლებრივად გაუმართავი, თუმცა გავრცელებული „ბინის გირავნობის“ ურთიერთობის შესახებ. მიუხედავად, კანონმდებლის „კეთილგანწყობისა“, საკვლევ კონსტრუქციაში, საკუთრების უფლების მარტივ მონაცვლეობასთან დაკავშირებით, იპოთეკის ჩართვა, მხოლოდ ილუზიის შექმნა მხარეებისთვის. შექმნილ ვითარებაში, სამართლებრივი „ფორსმაჟორისა“ და „ილუზიისგან“ თავის დაღწევის სამართლებრივ პანაცეად, უზრუნველმყოფი საკუთრება უნდა მივიჩნიოთ.

### უკანასკნელი ცვლილებები იპოთეკის მარეგულირებელ ნორმებში

იპოთეკის მარეგულირებელ ნორმებში განხორციელებული უკანასკნელი ცვლილებების განმარტებით ბარათში აღნიშნული, კანონმდებლის ძირითადი მიზანი, მოსახლეობის ჭარბვალიანობის პრობლემის გადაჭრაა, თუმცა, ფიზიკური პირებისთვის უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით ამ ურთიერთობების ამომწურავად მოწესრიგება და ამით მომხმარებელთა უფლებების დაცვა შეუძლებელია. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 4 თებერვლის დირექტივა 2014/17, ზღვარს ავლენს იპოთეკურ ბაზარსა და მომხმარებლის მაღალ დონეზე დაცვის ვალდებულებას შორის.<sup>1</sup> აღნიშნული პრობლემის იდენტიფიცირების საკითხი დადგა მას შემდეგ, რაც შეინიშნა იპოთეკური ბაზრის მხარეებს შორის არაკეთილსინდისიერი ქმედება, სესხების ან გასესხების პროცესში, მათ შორის საკრედიტო ან არასაკრედიტო დაწესებულებების მხრიდან.<sup>2</sup> დირექტივა დამყარებულია მსესხებლის ან მისი წარმომადგენლის გულისხმიერ, კეთილსინდისიერ, გამჭვირვალე და პროფესიონალურ ქმედებებზე, მსესხებლის საუკეთესო ინტერესებისა და მისი უფლებების მაღალ სტანდარტზე დაცვის გათვალისწინებით.<sup>3</sup>

მეორე მხრივ, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, იპოთეკური სესხის გაცემის საკითხი სხვადასხვაგვარად რეგულირდება.<sup>4</sup> მაგალითად ბელგიაში, იპოთეკურ სესხებს გასცემენ ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და მხოლოდ ავტორიზებული სუბიექტები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სპეციალურ რეესტრში,<sup>5</sup> ბულგარეთში არ არის კონკრეტული შეზღუდვა იპოთეკის გამცემ სუბიექტებთან დაკავშირებით,<sup>6</sup> ისევე, როგორც ესტონეთსა<sup>7</sup> და გერმანიაში<sup>8</sup>. ამასთან, საინტერესოა, რომ ძირითადი პროცენტული მაჩვენებელი იპოთეკური სესხის გაცემის კუთხით, უკავიათ საბანკო დაწესებულებებს: მაგალითად, ფინეთში იპოთეკური ბაზრის 100% ბანკებს და სპეციალურ იპოთეკურ სესხებზე ავტორიზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს უკავიათ,<sup>9</sup> ხორვატიაში<sup>10</sup> — 94%, ხოლო ბელგიაში — 96,5 % ბანკებს, 1,3%

<sup>1</sup> იხ. *M. Elvira Mendez-Pinedo*, Will the Directive 2014/17/EU on mortgage credit protect consumers in the next economic and/or financial crisis? [www.oaji.net](http://www.oaji.net) - იხ. ბმულზე: <http://oaji.net/articles/2017/5275-1533070044.pdf> (05.06.2019), 565.

<sup>2</sup> იხ. The Directive 2014/17/EU on credit agreements for consumers relating to residential immovable property and amending Directives 2008/48/EC and 2013/36/EU and Regulation (EU) No 1093/2010, [eur-lex.europa.eu](http://eur-lex.europa.eu) - იხ. ბმულზე <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32014L0017&from=EL> (22.06.2019).

<sup>3</sup> იხ. *K. Waliszewski*, Requirements for intermediaries and advisors in the area of mortgages resulting from mortgage credit directive-implications in Poland. [www.econstor.eu](http://www.econstor.eu), იხ. ბმულზე: <https://www.econstor.eu/bitstream/10419/147125/1/84237244X.pdf> (22.06.2019) 21.

<sup>4</sup> იხ. *European Mortgage Federation*, A Review Of Europe's Mortgage and Housing Markets, Hypostat 2017, [hypo.org](http://hypo.org), იხ. ბმულზე <https://hypo.org/app/uploads/sites/3/2017/09/HYPOSTAT-2017.pdf> (23.06.2019).

<sup>5</sup> იქვე 43.

<sup>6</sup> იქვე 45.

<sup>7</sup> იქვე 55.

<sup>8</sup> იქვე მე-60 და მომდევნო გვერდები.

<sup>9</sup> იქვე 57.

<sup>10</sup> იქვე 47.

სადაზღვევო კომპანიებს, 2,2% კი — სხვა ტიპის სუბიექტებს.<sup>11</sup>

საქართველოში იპოთეკის მარეგულირებელ ნორმებში განხორციელებულმა რეგულაციებმა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებათა დასაფარად მხარეები „აიძულა“ მიემართათ თვალთმაქცური გარიგებებისთვის. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ რეფორმის შემდეგ განსაკუთრებით გახშირდა ნასყიდობის ხელშეკრულებების დადება გამოსყიდვის უფლებით.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად<sup>12</sup>, უძრავ ნივთებზე, რომლის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ნასყიდობა გამოსყიდვის უფლებით, 2017 წლის პირველი სექტემბრიდან 2018 წლის პირველ სექტემბრამდე დარეგისტრირდა 1 115 უძრავი ნივთი, ხოლო, 2018 წლის პირველი სექტემბრიდან 2019 წლის პირველ აგვისტომდე დარეგისტრირდა 2 961 უძრავი ნივთი. ერთი წლის მონაცემებით, რეფორმის შემდეგ, თითქმის სამჯერ გაიზარდა ამ ტიპის ხელშეკრულების რეგისტრაციის მაჩვენებელი, რაც განსაკუთრებით აღრმავებს ეჭვს იმის შესახებ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები შეიძლება წარმოადგენდეს არა ნამდვილ, არამედ თვალთმაქცურ გარიგებას, რადგან ფიზიკური პირები ცდილობენ არსებული, საკმაოდ გართულებული, საკანონმდებლო მოწესრიგების გვერდის ავლას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის გარიგების რეგისტრაციისას საჯარო რეესტრში წარდგენილი დოკუმენტები და სარეგისტრაციო მოთხოვნა სრულად შესაბამისობაშია ერთმანეთთან, თუმცა გარიგების მართლწინააღმდეგობა ამ შემთხვევაში ვლინდება მის სხვა გარიგების გადაფარვის მიზანში, რაც სსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ბათილია. აქვე, აღსანიშნავია, რომ ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2019 წლის იანვრიდან აგვისტოს თვემდე დარეგისტრირდა 3 109 იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის მხარეებს ფიზიკური პირები წარმოადგენენ, კანონმდებლის ნების მიხედვით კი ეს ნიშნავს ამავე რაოდენობის ე.წ. „ბინის გირავნობის“ ხელშეკრულებას. გადაჭრით თქმა შეუძლებელია, თუმცა ცხადია, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების მიზნობრიობა და საკანონმდებლო რეგულაციებთან ჰარმონიზაციის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

**უზრუნველყოფი საკუთრება**

გემოაღნიშნული ცვლილებების ფონზე, სამართლებრივად გამართული კონსტრუქციის ცენტრად, უზრუნველყოფი საკუთრება უნდა მივიჩნიოთ. მოცემულ კონსტრუქციაში მოვალის ვალდებულებას კრედიტორის წინაშე უზრუნველყოფს არა შემზღვეული სანივთო უფლება, არამედ თავად საკუ-

თრება. ამასთან, უზრუნველყოფი საკუთრება, სანივთო გარიგების გარეშე თავის მნიშვნელობას კარგავს.<sup>13</sup> ე.წ. „ბინის გირავნობის“ ხელშეკრულების მხარეებმა სანივთო გარიგებით უნდა დადასტურონ, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით, მათი სამომავლო „მიზანი“. ამ მხრივ, შესაძლებელია როგორც გადადების, ასევე, გაუქმების პირობის გამოყენება.

უზრუნველყოფი საკუთრების შეთანხმება წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას. ის დამოუკიდებლად მოქმედებს სესხის ხელშეკრულებასთან ერთად. ორივე გარიგება მკაცრად უნდა იყოს გამიჯნული, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საკითხი ეხება ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების ბათილობის შესაძლო საფუძვლების ზემოქმედებას სანივთო-სამართლებრივ მდგომარეობაზე.<sup>14</sup>

უზრუნველყოფის მიზნით საკუთრების უფლების დატვირთვა გადადების პირობით, თავისი შინაარსით უახლოვდება პირობადებულ საკუთრებას, იმ განსხვავებით, რომ საკუთრების უფლების მოპოვების გზა, ერთ შემთხვევაში, სესხის ხელშეკრულების დარღვევაა, ხოლო მეორე შემთხვევაში, ნასყიდობის ფასის ვერ გადახდა.<sup>15</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდან გაზიარებული პრაქტიკით, 188-ე მუხლი უძრავ ნივთებზე არ ვრცელდება, რაც საქართველოში ტელეოლოგიური და სისტემური არგუმენტებით მყარდება, კერძოდ, ის უკავშირდება ნივთის გადაცემისა და 188-ე მუხლების შემადგენლობების ადგილს სამოქალაქო კოდექსში, თუმცა ე.წ. „ბინის გირავნობა“, რომლის არსი კრედიტორისთვის ბინის მფლობელობაში გადაცემა და სარგებლობაა, ასევე, საჯარო რეესტრში დამკვიდრებული პრაქტიკა, „მომავალი მე-საკუთრის“ რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ზემოაღნიშნული არგუმენტების საწინააღმდეგოდ მეტყველებს. შესაბამისად, თუ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი შესაძლებელს ხდის „მომავალი მე-საკუთრის“ რეგისტრაციას, სამართლებრივი შედეგების წარმოსაშობად, მნიშვნელობას კარგავს გადადების პირობის შინაარსი, იქნება ნასყიდობის თანხის გადახდა, თუ სესხის ვერაბრუნება, მთავარია, რომ, მიუხედავად უზრუნველყოფი საკუთრებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებისა და პირობადებული საკუთრების უძრავ ნივთებზე აღიარების აკრძალვისა, ეს მოძველებული კონსტრუქცია პრაქტიკასთან შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი.

მეორე მხრივ, უზრუნველყოფი საკუთრება, გაუქმების პირობით, უფრო ახლოს დგას ნასყიდობის ხელშეკრულება-

<sup>11</sup> იქვე 43.  
<sup>12</sup> ს.ს.ი.პ. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემები № 72444 02.08.2019.

<sup>13</sup> იხ. ჰ. ბილინი, უძრავი ქონებით საკუთრების უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე, პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის დაბადებიდან 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი 2003, 71.  
<sup>14</sup> ჰ. ბილინი, უძრავი ქონებით საკუთრების უზრუნველყოფა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მაგალითზე, თბილისი 2003, 72.  
<sup>15</sup> იხ. გ. რუსიაშვილი/ლ. სირაძე/დ. ევნატაშვილი, კაზუსების კრებული სანივთო სამართალში, თბილისი 2019 279.

სთან გამოსყიდვის უფლებით, იმ განსხვავებით, რომ მხარეები სამართლებრივი რეგულაციის სფეროში ექცევიან და სესხისთვის ნასყიდობის საფარველის გადაფარვაზე ამბობენ უარს. შესაბამისად, ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების მიზანი და სანივთო კონსტრუქცია ერთმანეთს შეესატყვისება და ამ უკანასკნელს ამყარებს საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც მიეთითება, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების სანივთო შედეგები. მართალია, ამ შემთხვევაში, საკუთრების უფლება ხელშეკრულების დადებისთანავე გადადის კრედიტორზე, თუმცა ის შემზღუდულია, ისევე როგორც ნასყიდობის შემთხვევაში გამოსყიდვის უფლებით.

უზრუნველყოფი საკუთრების დასაშვებობის საკითხი შესაძლოა ეჭვქვეშ სკ-ის 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტმა დააყენოს, თუმცა უზრუნველყოფი საკუთრების ამორალურობის შეფასებისას გადამწყვეტია გარიგების შინაარსი, სესხის თანხა და მისი საპროცენტო განაკვეთი, ისევე როგორც პირგასამტეხლო, ანუ ის ფაქტორები, რომლებიც ნებისმიერი სესხის ან უზრუნველყოფილი სესხის შეფასებისას გამოიყენება სასამართლოს მიერ. უზრუნველყოფი საკუთრების

კონსტრუქცია მათგან დამოუკიდებლად ამ ამორალურობის მომენტს არ შეიცავს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სესხის, სარგებლობის და უზრუნველყოფი საკუთრების ხელშეკრულებათა კომბინაცია სრულყოფილად პასუხობს ე.წ. „ბინის გირავნობის“ ხელშეკრულების მხარეთა მოთხოვნებს. ე.წ. „ბინის გირავნობის“ ხელშეკრულების კონსტრუქცია, მიუხედავად მისი სამართლებრივი უზუსტობისა და 2018 წელს იპოთეკის მარეგულირებელ ნორმებში განხორცილებული ცვლილებების, ის ექცევა სამოქალაქო კოდექსის მოწესრიგების სფეროში, ხოლო, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს აქვთ შესაძლებლობა სამართლებრივად გამართული ხელშეკრულებათა კომბინაციით მიაღწიონ სასურველ შედეგს, რასაც ე.წ. „ბინის გირავნობის“ ხელშეკრულების ქვეშ მოიაზრებენ.

*მარიამ გამხუაშვილი*

## სასამართლო პრაქტიკა

### თავდების პასუხისმგებლობა მოვალის მიმართ სარჩელზე უარის თქმისას

1. თავდები ვალდებულებისგან არ გათავისუფლდება, თუ კრედიტორი უარს იტყვის მოვალის წინააღმდეგ სარჩელზე.  
2. თავდები ვერ მიუთითებს სკ-ის 1488-ე მუხლზე იმ დასაბუთებით, რომ გარდაცვლილი მოვალის კრედიტორმა მოთხოვნა ძირითადი მოვალის მემკვიდრეს კანონით დადგენილ ვადებში არ წარუდგინა.

სკ-ის 463, 895, 899, 1488-ე მუხლები

უმუნაესი სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის განჩინება საქმე №ას-97-2019

### I. ფაქტობრივი გარემოებები

ბანკსა და ძირითად მოვალეს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც ბანკსა და თავდებს შორის დაიდო თავდებობის ხელშეკრულება – თავდები ვალდებულების შეუსრულებლობისთვის მოვალესთან ერთად სოლიდარულად აცეხდა პასუხს. მოვალემ ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, მოგვიანებით კი გარდაიცვალა. თავდებმა განცხადებით მიმართა ბანკს და აცნობა გარდაცვლილი ძირითადი მოვალის პირველი რიგის მემკვიდრეების ვინაობისა და მათ მიერ სამკვიდროს მიღების შესახებ. ბანკმა სარჩელი აღძრა ძირითადი მოვალის მემკვიდრისა<sup>1</sup> და თავდების წინააღმდეგ და მოითხოვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა. ძირითადი მოვალის მემკვიდრემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, სკ-ის 1488-ე მუხლიდან გამომდინარე. მოსარჩელის მიერ ძირითადი მოვალის მემკვიდრის მიმართ სარჩელზე უარის გამო მისდამი მოთხოვნის ნაწილში საქმისწარმოება შეწყდა. პირველმა ინსტანციამ სარჩელი არ დააკმაყოფილა და დაასკვნა, რომ სოლიდარული თავდების მიმართ სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია, რადგან მოსარჩელეს მოვალის მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნა სკ-ის 1488-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადებში არ წარუდგინა. ამასთან, ვინაიდან თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა, რამედაც მოსარჩელემ უარი განაცხადა, სარჩელი არ

უნდა დაკმაყოფილებულიყო ამ საფუძვლითაც. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების გადახდა. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა თავდების განმარტება სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ მოპასუხე სოლიდარული თავდებია, შესაბამისად, კრედიტორის წინაშე მისი ქონებრივი პასუხისმგებლობა არა სამემკვიდრეო, არამედ სახელშეკრულებო სამართლის ნორმებით უნდა გადაწყვეტილიყო – სკ-ის 1488-ე მუხლის დანაწესი შეეხება გარდაცვლილის მემკვიდრეებს და არა თავდებ პირებს. სასამართლოს დასაბუთებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს მოთხოვნა ძირითადი მოვალის მემკვიდრეების მიმართ არ წარუდგინა, თუმცა სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში თავდებს მოვალესთან ერთად სოლიდარული ვალდებულება ეკისრება სკ-ის 463-ე მუხლის გაგებით და კრედიტორს შეუძლია თავისი არჩევანით ვალდებულების შესრულება ერთ-ერთ ან ორივე სოლიდარულ მოვალეს მოთხოვოს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორმა, მიუხედავად იმისა, რომ უარი თქვა მსესხებლის მიმართ მოთხოვნაზე, ეს უფლება დაიტოვა სოლიდარული თავდების მიმართ, ამასთან, მოთხოვნა ხანდაზმულად ვერ მიიჩნევა. მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. მოპასუხის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ თავდების პასუხისმგებლობა და სოლიდარული თავდებობის ინსტიტუტი ერთმანეთში აურია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავდებისა და ძირითადი მოვალის პასუხისმგებლობა სოლიდარულად ჩათვლებოდა, სასამართლოს სკ-ის 449-ე მუხლით უნდა ეხელმძღვანელა, რომლის მიხედვითაც, ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისთვის ვალის პატიება ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც. ამასთან, ძირითადი მოვალის მიმართ სარჩელზე უარი თქმის გამო სასამართლოს საქმე უნდა შეეწყვიტა ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა თავდებობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე. მოპასუხემ სადავოდ მიიჩნია მისთვის, როგორც თავდებისთვის, პასუხისმგებლობის დაკისრება კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ სარჩელზე უარის თქმის პირობებში და მიუთითა, რომ ძირითადი მოვალის მიმართ სარჩელზე უარის თქმა მოვალისათვის ვალის პატიებად უნდა განიშარტოს, რაც აქარწყლებს თავდების ვალდებულებასაც. მოპასუხის მტკიცებით, კრედიტორს მისთვის გარდაცვლილი ძირითადი მო-

<sup>1</sup> სავარაუდოა, რომ სარჩელის აღძვრის მომენტიდან მომხდარი ფაქტობრივი გარემოებების აღწერისას გადაწყვეტილებაში გამოყენებული სიტყვა „მოვალე“ მიემართება ძირითადი მოვალის მემკვიდრეს, რადგან ძირითადი მოვალე მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრამდე გარდაიცვალა, იხ. აღწერილობითი ნაწილი, 5 და 8.1 პუნქტები.

ვალის მოთხოვნები სკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილ ვადაში არ წარუდგენია.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უმენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოპასუხის საჩივარი, გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და განმარტა, რომ მოცემული შემთხვევა სოლიდარულ ვალდებულებად უნდა შეფასდეს – კრედიტორს აღარ სჭირდება მოვალის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობა, იგი უფლებამოსილია უშუალოდ თავდებს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება. სოლიდარული თავდებობის შემთხვევაში თავდებს მოვალესთან ერთად ეკისრება სოლიდარული ვალდებულება და ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს სკ-ის 463-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე. კრედიტორს შეუძლია თავისი არჩევანით მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება ერთ-ერთ ან ორივე სოლიდარულ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პრეტენზია, რომლის თანახმადაც, კრედიტორს მიერ მოვალის მემკვიდრეების მიმართ მოთხოვნა სკ-ის 1488-ე მუხლით დადგენილ ვადაში არ წარუდგენია და ამის გამო სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. საკასაციო სასამართლომ სკ-ის 463-ე, 895-ე, 899-ე მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სოლიდარული თავდებისათვის თანხის დაკისრება, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა სახელშეკრულებო ნორმებიდან გამომდინარეობს.

## III. კომენტარი

საკასაციო სასამართლოს განმარტება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის გამართულობასთან დაკავშირებით არასწორია და ეწინააღმდეგება თავდებობის სამართლებრივ ბუნებას. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ინსტანციის სასამართლო მართებულად მიუთითებს თავდებობის სოლიდარულ ბუნებაზე (კრედიტორსა და თავდებს შორის სწორედ სოლიდარული თავდებობა იყო შეთანხმებული), დაუშვებელია ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის თავდებისა და ძირითადი მოვალის სოლიდარულ ვალდებულებად დაყვანა. სკ-ის 463 მუხლის მიზნებისთვის აუცილებელია ვალდებულების ერთიანობა, რომლითაც სამართლებრივად შებოჭილია ერთზე მეტი პირი. ამის საპირისპიროდ, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები ასრულებს საკუთარ ვალდებულებას<sup>2</sup> იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თავდებობა სოლიდარულია. სოლიდარულ თავდებობას სუბსიდიურისგან (შესაბამისად, სკ-ის 895-ე და 894-ე მუხლები) გამოარჩევს თავდებისგან შესრულების მოთხოვნის შე-

საძლებლობა მოვალისგან მოთხოვნის იძულებით აღსრულების მცდელობის გარეშე და არა თავდებისა და ძირითადი მოვალის სოლიდარულ მოვალეებად მოაზრება. თუკი სოლიდარულ მოვალეს, რომელმაც ვალდებულება შეასრულა მთლიანი მოცულობით, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენი მოვალეების მიმართ (სკ-ის 473 I მუხლი), თავდები ვალდებულების შესრულებისას იძენს მოთხოვნას სრული მოცულობით ძირითადი მოვალის მიმართ (სკ-ის 905 მუხლი).<sup>3</sup>

სოლიდარული თავდებობის სოლიდარულ ვალდებულებასთან გათანაბრებამ სასამართლოს თავიდან ააცილა იმ საკითხის განხილვა, რომელიც სადავოდ გახდა მოპასუხემ და გადაწყვეტილებაში არცაა დასაბუთებული, რა სამართლებრივი შედეგი დგება თავდებისთვის, როდესაც კრედიტორი მოვალისადმი მოთხოვნის ნაწილში სარჩელზე უარს ამბობს. სავარაუდოა, რომ სასამართლომ კრედიტორის საპროცესო მოქმედება განმარტა შემთხვევად, როდესაც კრედიტორი, ერთი სოლიდარული მოვალისადმი ვალის პატიების მიუხედავად, სხვა სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნას იტოვებს, სკ-ის 449-ე მუხლის მიხედვით. ამის საწინააღმდეგოდ, სამართლებრივი შეფასების საკითხი უნდა გამხდარიყო სარჩელზე უარის თქმის ბუნება მატერიალურსამართლებრივი გაგებით და თავდების ვალდებულების არსებობა-არარსებობის დადგენა ასეთ შემთხვევებში.

სარჩელზე უარის მატერიალურსამართლებრივი გააზრების ორი შესაძლებლობა არსებობს: მოთხოვნის არარსებულად მიჩნევა იმაზე მითითებით, რომ სარჩელზე უარი ართმევს პირს უფლებას ამ მხარეებს შორის, იმავე საგანსა და იმავე საფუძვლით სასამართლოს ხელმეორედ მიმართოს (სკ-ის 273 II მუხლი) ან შემთხვევის იმგვარად განმარტება, რომ სარჩელზე უარის თქმით ისპობა მოთხოვნის იძულებით აღსრულების შესაძლებლობა, თუმცა თავად მოთხოვნა ხელუხლებელი რჩება. მოთხოვნის არარსებულად მიჩნევის დასაბუთება საქმის ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში აქარწყლებს თავდების ვალდებულებასაც ამ უკანასკნელის აქცესორული ბუნების გამო. საკითხის გადაწყვეტას მეტი დასაბუთება ჭირდება, თუ სარჩელზე უარი არ იქნება გათანაბრებული ვალის პატიების ინსტიტუტთან იმ გაგებით, რომ კრედიტორი უარს მხოლოდ მოთხოვნის საპროცესოსამართლებრივ დაცვაზე ამბობს მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე. ერთი მხრივ, ანალიზის მიზნებისთვის არასწორი იქნება ამგვარი მოთხოვნის ხანდაზმულ მოთხოვნასთან გაიგივება, რადგან ხანდაზმულობა არის ფაქტი, რომელზე მითითების ტვირთიც აკისრია მხარეს (სსკ-ის 4 I მუხლი), როცა სარჩელზე უარი იმავე სარჩელის განმეორებით წარდგენისას წარმოებაში მიღებაზე უარის საფუძველია მხარის მითითებისგან დამოუკიდებლად (სსკ-ის 186 I ბ)

<sup>2</sup> იხ. ამავე ნომერში *რუსიაშვილი, ქავშაია*, აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის.

<sup>3</sup> იქვე.

მუხლი). თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინააღმდეგე მხარე მიუთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, მოთხოვნა არსებობას არ წყვეტს და, ამდენად, მისი მატერიალურსა-მართლებრივი არსებობა გამიჯნულია მისი იძულებით აღსრულების შესაძლებლობისგან. შესაძლოა, იგივენიერად განიმარტოს იმ მოთხოვნის შინაარსიც, რომლის იძულებით დაკმაყოფილების უფლებაზეც კრედიტორმა საკუთარი ნებით თქვა უარი.<sup>1</sup>

მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მოთხოვნის არსებობა თეორიულად დასაბუთდეს მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში, არასწორი იქნებოდა კრედიტორისთვის ასეთი ძალაუფლების მინიჭება და თავდებისთვის იმ ვალდებულების დაკისრება, რომლის მოთხოვნის უფლებაც სასამართლო წესით ძირითადი მოვალისგან შეუძლებელია. მართალია, სამართალურთიერთობიდან ძირითადი მოვალის გამოთიშვა ყოველთვის არ აუქმებს თავდებობას,<sup>2</sup> თუმცა ეს დაუშვებელი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ძირითადი მოვალის გამოთიშვის გამომწვევი მიზეზი მომდინარეობს კრედიტორის ძალაუფლების სფეროდან.

ნინო ქავშიბაია

**სოლიდარული თავდებობის ბუნება, თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობის აღნიშვნა ხელშეკრულებაში**

**1.სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება არ წარმოადგენს სოლიდარული ვალდებულების კერძო შემთხვევას სკ-ის 463-ე მუხლის გაგებით.**

**2.თავდების პასუხისმგებლობის ფარგლების აღნიშვნა თავდებობის ხელშეკრულების არსებითი პირობა და კანონის იმპერატიული დანაწესია, რომლის დაუკმაყოფილებლობა**

<sup>1</sup> სარჩელზე უარის თქმის ამგვარი გააზრების შესაძლებლობას სპობს სკ-ის 83<sup>1</sup> | მუხლი, რომელიც სარჩელის გამოხმობას მოიაზრებს საპროცესო მოქმედების შესრულებას მოთხოვნაზე უარის თქმის გარეშე. უკუდასკვნით გამომდინარეობს, რომ სარჩელზე უარი, სარჩელის გამოხმობის საპირისპიროდ, მოთხოვნაზე უარსაც გულისხმობს. (იხ. ქურდაძე, ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2015, 378). თეორიული მსჯელობა სარჩელზე უარის განსხვავებულ გააზრებასთან დაკავშირებით ემსახურება იმის წარმოჩენას, რომ სასამართლოს დასაბუთება ვერ ჩაითვლება გამართულად ასეთი გააზრების პირობებშიც კი.

<sup>2</sup> იხ. ამავე ნომერში რუსიაშვილი, ქავშიბაია, აქცესორული ბმა ძირითად ვალდებულებასა და თავდების პასუხისმგებლობას შორის.

**სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას გამორიცხავს.**

**3.კრედიტორის მიერ მოვალის გაფრთხილება დამატებითი ვადის უშედეგად გავლის შემდეგ მოთხოვნის სასამართლო წესით დაცვასთან დაკავშირებით არ განიმარტება ხელშეკრულებიდან ავტომატურად გასვლად ამ ვადის უშედეგად გავლის შემდეგ, სკ-ის 355-ე მუხლიდან გამომდინარე.**

**4.იპოთეკის ხელშეკრულებით იმის განსაზღვრა, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არასაკმარისობის შემთხვევაში მოთხოვნა არ ითვლება სრულად დაკმაყოფილებულად, იპოთეკარს აძლევს უფლებას რეალიზაციის მიქცევა მოითხოვოს დატვირთული ქონების მესაკუთრის სხვა ქონებაზეც.**

სკ-ის 355, 463, 898 | მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება № ახ-1172-2018

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

მოსარჩელემ მსესხებელთან გააფორმა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველყოფის მიზნით თავდებ პირებსა და მოსარჩელეს შორის დაიდო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება. ამავდროულად, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლისა და ერთ-ერთი მოპასუხის (არათავდები პირის) კუთვნილი უძრავი ქონება. მსესხებელმა, თავდებმა პირებმა და უზრუნველყოფილი ქონების მესაკუთრემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულეს. მოპასუხე წერილობით იყო გაფრთხილებული, რომ 14 დღის განმავლობაში ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოსარჩელე მიმართავდა სასამართლოს უფლების დასაცავად. ვადის გასვლის შემდეგ მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მსესხებლის, თავდები პირებისა და დატვირთული ქონების მესაკუთრის მიმართ და მოითხოვა საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების გადახდა და თანხის ამოღების მიზნით იპოთეკის საგნის რეალიზაცია. მოპასუხეებმა სარჩელით მოთხოვნილი დავალიანება ნაწილობრივ ცნეს.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებით სარჩელი იმ ნაწილში დაკმაყოფილდა, რომელშიც მოპასუხეებმა ცნეს მოთხოვნა. ამასთან, გადაწყვეტილებით სარეალიზაციოდ მიექცა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება. სარჩელი თავდები პირების მიერ ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა სარჩელის



სრულად დაკმაყოფილება, მათ შორის, სადავო თანხის დაფარვა მოპასუხეთა საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონების და შემოსავლების ხარჯზე.

სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პოზიცია იმის შესახებ, რომ მოპასუხის მისამართით გაგზავნილი წერილი არის მოვალის შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რადგან აღნიშნული წერილის არც სათაური („გაფრთხილების წერილი მსესხებელს საქმის სასამართლოში გადაცემასთან დაკავშირებით“) და არც შინაარსი არ იძლეოდა ამგვარი განმარტების შესაძლებლობას. სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, ბანკის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა ხორციელდება ცალმხრივი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის გზით და შეწყვეტილად ითვლება მას შემდეგ, როდესაც იგი ადრესატს მიუვა. საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო „გაფრთხილების წერილი საქმის სასამართლოში გადაცემასთან დაკავშირებით“. წერილით მოსარჩელემ გააფრთხილა მსესხებელი, რომ ის სასამართლოს მიმართავდა, თუ დავალიანება 14 დღეში არ იქნებოდა გადახდილი. მეორე ინსტანციის სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, აღწერილი გაფრთხილების შინაარსი ვერ განიმარტება მოვალისთვის ინფორმაციის მიწოდებად დამატებით ვადასთან დაკავშირებით. სააპელაციო პალატის მითითებით, წერილი მოვალეს აწვდის ინფორმაციას მხოლოდ საქმის სასამართლოში გადაცემასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხელშეკრულებაში განსაზღვრული არ ყოფილა თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა, ამდენად, განსახილველი ხელშეკრულებები არ აკმაყოფილებდა თავდების ხელშეკრულებისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს – მხარეებს არ მიუთითებიათ თავდების ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური ზღვრული თანხა, რაც აუცილებელი მოთხოვნაა თავდების ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, სკ-ის 892-ე მუხლის მიხედვით. სააპელაციო პალატის შეფასებით, ასეთ მითითებად ვერ ჩაითვლება ხელშეკრულებაში არსებული დათქმა იმის შესახებ, რომ „სოლიდარული ვალდებულების მოცულობა განისაზღვრება მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით წარმოშობილი მთლიანი ვალდებულებით“.

სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნა დავალიანების მოპასუხეთა დაუტვირთავი ქონებიდანაც დაკმაყოფილების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან პირველ ინსტანციაში მოთხოვნა აღძრული იყო მხოლოდ იპოთეკარების მიმართ იპოთეკის საგნების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გაფრთხილება არასწორად განმარტა და, მისი აზრით, გაფრთხილების წერილის ტექსტის როგორც სიტყვასიტყვით, ისე შინაარსობრივი შეფასებით ცალსახად და გარკვევით იკითხებოდა, რომ მოსარჩელე მსესხებელ მოპასუხეს აძლევდა ვალდებულების დაფარვის დამატებით 14-დღიან ვადას და აფრთხილებდა ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სასამართლოში მიმართვის გზით. მოსარჩელის შეფასებით, მის მიერ განხორციელებული ქმედებები სრულებით საკმარისი იყო მოპასუხის ინფორმირებისთვის ხელშეკრულებიდან გასვლასთან დაკავშირებით. მოსარჩელის მტკიცებით, სკ-ის 355-ე მუხლის მოთხოვნა შეტყობინების ვალდებულებასთან დაკავშირებით შესრულებულია სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის გადაცემის გზით. ამასთან, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ სამართალურთიერთობა არა თავდებობად, არამედ სოლიდარულ პასუხისმგებლობად უნდა შეფასებულიყო. მოპასუხეთა ნებისმიერი ქონებიდან მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სააპელაციო სასამართლომ უარი მოსარჩელემ მიიჩნია დაუსაბუთებლად და მიუთითა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო იპოთეკარის უფლებამოსილება, მოეთხოვა სხვაობა იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად ამონაგებ თანხასა და მოთხოვნის ოდენობას შორის მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევით.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უმენაესმა სასამართლომ დასაშვებად ცნო და ნაწილობრივ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი. საკასაციო პალატამ განმარტა, რომ სოლიდარულ მოვალეთა ცალკეული ვალდებულებები ერთი საერთო მიზნით (კრედიტორის წინაშე ერთი და იმავე შესრულების ინტერესის დაკმაყოფილებით) არის შეკავშირებული და ერთ მთლიანობას ქმნის. ერთ-ერთი სოლიდარული მოვალის მიერ ვალდებულების მთლიანად შესრულება ნიშნავს მთლიანი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის დასასრულსა და კრედიტორის ერთიანი ინტერესის დაკმაყოფილებას. სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში თითოეულ სოლიდარულ მოვალეს ვალდებულების მთლიანი შესრულების ვალდებულება ეკისრება. კანონის საფუძველზე წარმოშობილი სოლიდარული ვალდებულების შემთხვევაში, მაგალითად, სკ-ის 998 I მუხლი, რომელიც ბიანის დადგომაში მონაწილე პირების სოლიდარულ პასუხისმგებლობას აწესებს; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები და კომანდიტური საზოგადოების პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ საზოგადოების ვალდებულებისათვის სოლიდარულად („მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3 III მუხლი); სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ საწარმოს დაფუძნებამდე საწარმოს სახელით მოქმედ პირებსა და საწარმოს დამფუძნებლებს („მეწარმეთა შესახებ“ საქართვე-

ლოს კანონის 2 II მუხლი). საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის არ წარმოშობილა სკ-ის 464-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული ვალდებულება, ვინაიდან არ დასტურდება აღნიშნული ნორმით დადგენილი საფუძვლის არსებობა – კანონიდან ან ვალდებულების საგნის განუყოფლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა; სახეზე არ არის არც ხელშეკრულების საფუძველზე სოლიდარული ვალდებულების წარმოშობილი ფაქტობრივი შემადგენლობა. ამასთან, საკასაციო პალატამ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია საკრედიტო დაწესებულებას ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობების დაუცველობასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, თავდების ზღვრული პასუხისმგებლობის არაღნიშვნა ხელშეკრულებაში სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას გამოირიცხავს. ნორმის დანაწესი, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა, კონკრეტული ოდენობის თანხის მითითების ვალდებულებას გულისხმობს და არა ზოგადად აბსტრაქტულ ციტირებას პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით. აღნიშნული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებაა.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია მსესხებელი მოპასუხისა და დატვირთული ქონების მესაკუთრის მიმართ სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის ნაწილში. საკასაციო პალატის განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებებით, თუ იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები არ იქნებოდა საკმარისი იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად, უზრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობა არ ჩაითვლებოდა სრულად დაკმაყოფილებულად, რის უფლებასაც მხარეებს სკ-ის 301 I მუხლი ანიჭებს. აქედან გამომდინარე, სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის შესაძლებლობა იყო დადგენილი აღსრულების წესთან დაკავშირებულ მხარეთა შეთანხმებაში, რაც მოსარჩელეს აძლევდა ლეგიტიმურ მოლოდინს მასზე, რომ მოვალისათვის დაკისრებული თანხის ამოღების მიზნით იპოთეკის საგნის რეალიზაციის, ასევე იპოთეკის საგნის რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისობის შემთხვევაში მას ექნებოდა მოთხოვნა მოვალისა და სოლიდარული თავდების საკუთრებაში არსებული ყველა სხვა ქონებების რეალიზაციის თაობაზე.

ნინო ქავჭავაძე

**ქირავნობის სპეციალური ხანდაზმულობის ვადის გამოყენება დანახარჯების კონდიქციით ურთიერთობის მოწესრიგებისას**

1. ძირითადი და წინარე ხელშეკრულების გამიჯვნის გადამწყვეტი კრიტერიუმი ეკონომიკური შედეგია.
2. ხელშეკრულების მოშლის წესების გამოყენებისას, უფლებამოსილი პირი არ კარგავს ინტერესს უკვე შესრულებულის მიმართ, თუ შესრულების საგანი ფულია.
3. უფლებამოსილსა და მფლობელს შორის ურთიერთობის მოწესრიგებელ ნორმებს უპირატესობა ენიჭებათ დანახარჯების კონდიქციიდან წარმოშობილი მოთხოვნის მიმართ.
4. დამქირავებლის მიერ გაწეული „სხვა ხარჯების“ ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ გამოიყენება ქირავნობის სპეციალური ხანდაზმულობის ვადა, იმ შემთხვევაშიც როდესაც მოთხოვნა დანახარჯების კონდიქციის საფუძველზე წარმოიშება.  
(*ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები*)

სკ-ის 531, 327, 969-975, 163-164, 987, 546, 568 მუხლები

*უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 24 ივლისის № ას-60-60-2018 გადაწყვეტილება*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

მოპასუხე იყო უძრავი ქონების – კომერციული ფართის მესაკუთრე. მხარეებს შორის გაფორმდა წერილობითი შეთანხმება, მოსარჩელისთვის დროებით სასყიდლიან სარგებლობაში კომერციული ფართის გადაცემის თაობაზე, თვეში 650 აშშ დოლარის გადახდის პირობით. ორი თვის ქირა – 1300 აშშ დოლარის ოდენობით წინასწარ იქნა გადახდილი. შეთანხმებაში გაკეთდა შემდეგი ჩანაწერი: „ფართის სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ შევადგენთ ქირავნობის ხელშეკრულებას...“. სილამაზის სალონის გახსნის მიზნით კომერციული ფართის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო იყო სარემონტო სამუშაოების ჩატარება. მოსარჩელემ სარემონტო სამუშაოები შეთანხმებიდან რამდენიმე თვეში დაასრულა, თუმცა მოპასუხემ ორი თვის ქირის გადაუხდელობის მოტივით, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და ქონება უკან დაიბრუნა. სარემონტო სამუშაოების ჩატარების შედეგად, უძრავი ქონების ღირებულება 9 555 ლარით გაიზარდა, ხოლო მის გაუმჯობესებაზე მთლიანობაში 10 000 ლარი დაიხარჯა. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა წინასწარ გადახდილი ქირის – 1300 აშშ დოლარის, უძრავ ქონებაზე გაწეული ხარჯის – 10 000 ლარის ანაზღაურებისა და მისი კუთვნილი მოძრავი ნივთების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, წინასწარ გადახდილი ქირის თანხა და მოძრავი ნივთები დაიბრუნა მოსარჩელემ, ხოლო რემონტის ღირებულების ანაზღაურებაზე უარი ეთქვა.

საქართველოს უმენაესმა სასამართლომ საჩივარი მიიჩნია დაუსაბუთებლად და არ დააკმაყოფილა.

## II. სასამართლოს მსჯელობის კრიტიკა

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, თუ როგორ დააკვალიფიცირეს სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის დადებული წერილობითი შეთანხმება შეფასდა წინარე ხელშეკრულებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – „სკ-ის“) 327 III მუხლის საფუძველზე, რომლის პირველი წინადადების შესაბამისად: „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება.“ აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლომ გააკეთა შემდეგი განმარტება, რომ მხარეთა შეთანხმებაში არსებული ჩანაწერი – „ფართის სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ შევადგენთ ქირავნობის ხელშეკრულებას...“ სამართლებრივ სურათს არ ცვლის, რადგანაც უკვე აღებული ვალდებულებების შემდგომი დაკონკრეტება (დამატებით პირობებზე შეთანხმება), უკვე ნაკისრ და შესრულებულ ვალდებულებებზე გავლენას ვერ მოახდენს.

მოცემულ შემთხვევაში, გასაზიარებელია საკასაციო სასამართლოს კვალიფიკაცია მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ქირავნობად შეფასების თაობაზე, შემდეგი არგუმენტაციის გათვალისწინებით: მხარეთა წერილობითი შეთანხმებით რეალურად უკვე განსაზღვრული იყო ქირავნობის ურთიერთობის ორი არსებითი, დამაფუძნებელი პირობა: 1. ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა და 2. ყოველთვიურად შეთანხმებული თანხის გადახდა, რაც თავისი არსით ცალსახად განეკუთვნება ქირავნობის ურთიერთობას სკ-ის 531-ე მუხლის გაგებით. მიუხედავად ამ ორი არსებითი ელემენტის არსებობისა, სკ-ის 531-ე მუხლი ფორმულირებულია იმგვარად, რომ განსაზღვრული ვადა, ერთი შეხედვით, ასევე ერთ-ერთი არსებითი პირობაა მხარეთა შორის ურთიერთობის ქირავნობად კვალიფიკაციისათვის. მოცემულ საქმეში ქირავნობის ვადა მხარეთა შორის განსაზღვრული არ იყო. მიუხედავად ნორმის ასეთი ფორმუ-

ლირებისა, საქართველოს საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის, ასევე ქართული იურიდიული ლიტერატურის მიხედვით<sup>1</sup>, ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, ქირავნობის ხელშეკრულება ვადის მიუთითებლად დადებულად ითვლება განუსაზღვრელი ვადით და, ასეთ შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს შეუძლია, ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება. აღნიშნული პოზიცია გასაზიარებელია, რადგანაც განუსაზღვრელი ვადის არსებობა არ ეწინააღმდეგება ქირავნობის ურთიერთობის არსს – ნივთით დროებითი სარგებლობის ხასიათს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ურთიერთობის წინარე ხელშეკრულებად შესაძლო კვალიფიკაციის საკითხი. მთავარი მიზეზი, რომელიც ამ ორი სახის ურთიერთობას ჰყოფს, არის კონკრეტული ეკონომიკური შედეგი.<sup>2</sup> აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს შესრულების, საქონლის მიწოდების ან მომსახურების გაწევის ვალდებულების დაკისრებას ერთ-ერთ ხელშემკვერელ მხარეზე, რაც ცხადია მისი შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობის არსებობასაც ითვალისწინებს. იმის გამო, რომ მხარეთა შორის ქირის გადახდის ვალდებულება უკვე შეთანხმებული იყო, ასევე მოსარჩელეს დროებით სარგებლობაში გადაცემული ჰქონდა უძრავი ქონება, სახეზე გვაქვს ის კონკრეტული ეკონომიკური შედეგი, რომლითაც ძირითადი ხელშეკრულება წინარესგან იმიჯნება. წინარე ხელშეკრულების მიზანი ძირითადი ხელშეკრულების დადებაა, რაც არ განეკუთვნება კონკრეტულ ეკონომიკურ შედეგს, რადგანაც მხოლოდ შეთანხმების მიღწევა, ბუნებრივია, ვერც ერთი მხარის ეკონომიკურ მდგომარეობაზე ვერ მოახდენს გავლენას. ასეთი შედეგი დგება არა ვალდებულების შეთანხმების, არამედ მისი შესრულების საფუძველზე.

შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობა მხარეთა ურთიერთობის ქირავნობად კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გასაზიარებელია, თუმცა იმ არგუმენტაციამ დაყრდნობით, რომელიც მოყვანილია ზემოთ. აქედან გამომდინარე, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა განეკუთვნება ქირავნობას.

პირველი სასარჩელო მოთხოვნა წინასწარ გადახდილი ორი თვის ქირავნობის თანხის უკან დაბრუნებაა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა და მისი გადაწყვეტილება ამ ნაწილში კანონიერ ძალაში შევიდა. საკითხავია, იყო თუ არა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სწორი ქირავნობის თანხის მოსარჩელისთვის უკან დაბრუნების თაობაზე, იმის გათვალისწინებით, რომ ქირავნობა განეკუთვნება

<sup>1</sup> მ. ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის კომენტარი, 12, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), [14.10.2019].

<sup>2</sup> ე. ძალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის კომენტარი, 7, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), [14.10.2019].

გრძელვადიან ურთიერთობას, ხოლო ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა ხდება ხელშეკრულების მოშლის (სკ-ის 399-ე მუხლი) და არა ხელშეკრულებიდან გასვლის (სკ-ის 352-ე მუხლი) საფუძველზე. ხელშეკრულების შეწყვეტის ამ ორ გზას შორის არსებითი განსხვავებაა — ხელშეკრულების მოშლის რეჟიმი მხარეების მიერ უკვე განხორციელებულ შესრულებას არ ეხება, მხარეები არ უბრუნდებიან პირვანდელ მდგომარეობას, სამართლებრივი შედეგები დგება არა თავიდან, არამედ — შეწყვეტის მომენტისთვის, შესაბამისად, მხარეები არ არიან ვალდებული, ერთმანეთს დაუბრუნონ მიღებული შესრულება ან/და მიღებული სარგებელი. გარდა აღნიშნულისა, ხელშეკრულებიდან გასვლის აუცილებელი წინაპირობაა ხელშეკრულების მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების არსებითი დარღვევა (სკ-ის 405-ე მუხლი), ხოლო მოშლისას გაითვალისწინება ნებისმიერი პატივსაცემი საფუძველი, მათ შორის მხარის მიერ ხელშეკრულების არსებითი დარღვევაც (სკ-ის 399 II მუხლი). ერთადერთი გამონაკლისი, რომელიც გათვალისწინებულია მოშლის შემთხვევაში შესრულებულის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, არის შემთხვევა, როდესაც უკვე შესრულებული აღარ წარმოადგენს უფლებამოსილი პირისათვის რაიმე ინტერესს ხელშეკრულების მოშლის შედეგად (სკ-ის 399 IV მუხლი).<sup>3</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში მოყვანილი მაგალითი აშკარად შეეხება ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულ ნივთს, ხოლო წინამდებარე დავაში „უკვე შესრულებული“ არის ფული. საკითხავია, რამდენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს „ინტერესის დაკარგვის ცნება“ „უკვე შესრულებულის“ მიმართ, იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია გადაცემულ ფულზე, რომლის მიმართაც ინტერესის დაკარგვა, ამ უკანასკნელის საყოველთაო ეკვივალენტური ბუნების გამო, საკმაოდ დაუსაბუთებლად გამოიყურება. უფლებამოსილი პირის ინტერესი ფულადი შესრულების მიღებასთან დაკავშირებით ყოველთვის სავარაუდოა და არ მოიძებნება რაიმე გარემოება, რომელზე დაყრდნობითაც შეგვეძლებოდა გვეთქვა, რომ ფულადი შესრულების მიმართ უფლებამოსილმა პირმა ურთიერთობის რომელიმე ეტაპზე დაკარგა ინტერესი.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, წინასწარ გადახდილი ქირის დაბრუნება მოსარჩელისთვის არ უნდა მომხდარიყო და შესაბამისად ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა იქნეს გაზიარებული.

მეორე სასარჩელო მოთხოვნა — რემონტის ხარჯის (10 000 ლარის ოდენობით) ანაზღაურებაა. იმისთვის, რომ შემოწმდეს, თუ რამდენად მართებულად გადაწყვიტეს ამ ნაწილში დავა საერთო სასამართლოებმა, აუცილებელია აღნიშნული ხარჯის ანაზღაურების საკითხი შეფასდეს ქა-

რთული სამოქალაქო სამართლისთვის ცნობილი ყველა რელევანტური გზით.

უპირველესად უნდა შემოწმდეს, თუ რამდენად ჰქონდა სარემონტო ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს ქირავნობის ურთიერთობის საფუძველზე. მხარეთა შორის არსებული წერილობითი შეთანხმება რემონტის ჩატარების ვალდებულებას, მართალია, აკისრებდა დამქირავებელს, თუმცა არანაირი დათქმა იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი ხარჯით უნდა მომხდარიყო რემონტის ჩატარება, ამ შეთანხმებაში მოცემული არ იყო. შესაბამისად, უნდა ვიხელმძღვანელოთ სკ-ის 531-575-ე მუხლებით გათვალისწინებული რეგულაციით. კერძოდ, სკ-ის 545-ე მუხლის დანაწესებით, რომლის პირველი ნაწილის მიხედვით, დამქირავებელი ვალდებულია, დამქირავებელს აუნაზღაუროს ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯები, ხოლო სხვა ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება განისაზღვრება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების შესაბამისად.<sup>4</sup> ნივთზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ცნება კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული და შესაბამისად შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ იურიდიული დოქტრინით.<sup>5</sup> კერძოდ, აუცილებელია ხარჯი, რომელიც გაწეულია ნივთის სუბსტანციის ან/და ვარგისიანობის შესანარჩუნებლად. შესაბამისად, აუცილებელი ხარჯის გაწევა ემსახურება იმ მიზანს, რომ არ განადგურდეს, არ დაზიანდეს ნივთი და არ შემცირდეს მისი ღირებულება, რაიმე ქმედებით ან/და ხდომილებით. წინამდებარე დავის ფარგლებში რემონტის ჩატარება განპირობებული იყო სილამაზის სალონის გახსნის მიზნით ე. ი. ცარიელი კომერციული ფართის იმგვარად მოსაწყობად, რომ მისი გამოყენება კონკრეტული მომსახურების განხორციელებისთვის შესაძლებელი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, სახეზე არ გვაქვს დამქირავებლის მიერ გაწეული აუცილებელი ხარჯები. ასეთი შემთხვევისთვის კი გამოიყენება სკ-ის 545 II მუხლი.

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესები, რომელიც მოცემულია სკ-ის 969-975-ე მუხლებში, მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზე გვაქვს მისი გამოყენების ყველა წინაპირობა.<sup>6</sup> მოცემულ საქმეში შესაბამისი წინაპირობებიდან არ გვაქვს ორი არსებითი პირობა: 1. დავალების ან სხვა უფლებამოსილების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება — მხარეთა შორის დადებული იყო ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დამქირავებელს

<sup>4</sup> წინამდებარე დავაში არ არის მოცემული სკ-ის 548-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა - მიმდინარე რემონტის, საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის დამქირავებლის მიერ ჩატარების თაობაზე. ქირავნობის ობიექტი იყო კომერციული ფართი და არა საცხოვრებელი სადგომი, ხოლო რემონტის ჩატარება მოხდა სილამაზის სალონის გახსნის და არა კომერციული ფართის რაიმე სახის დაზიანებისგან დაცვის მიზნით.

<sup>5</sup> გ. რუსიაშვილი, ლ. სირდაძე, დ. ევნატაშვილი, სანივთო სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2019, 30.

<sup>6</sup> გ. რუსიაშვილი, დ. ევნატაშვილი, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 17-20.

<sup>3</sup> იხ., მაგალითი ბ. შიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001, 415.

მიენიჭა სარემონტო სამუშაოების ჩატარების უფლებამოსილება. შესაბამისად, დამქირავებლის მიერ რემონტის ჩატარებას ჰქონდა სამართლებრივი, კერძოდ ნამდვილი სახელშეკრულებო საფუძველი. 2. საკუთარ ინტერესებში მოქმედება — კომერციული ფართის იერსახის ცვლილება სილამაზის სალონის გახსნის მიზნით უნდა მომხდარიყო იმისთვის, რომ დამქირავებელს შესაბამისი საქმიანობიდან მიეღო მოგება. დამქირავებელს ექნებოდა სრული უფლებამოსილება, ესარგებლა აღნიშნული ფართით ქირავნობის პერიოდის განმავლობაში და მიეღო შესაბამისი მოგებაც. აქედან გამომდინარე, გამოირიცხულია ობიექტურად სხვისი საქმის შესრულება. შეიძლება ჰიპოთეტურად დავუშვათ „ასევე სხვისი საქმის“ შესრულების შემადგენლობის არსებობა (როდესაც შემსრულებლის და მეპატრონის ინტერესები ერთდროულად გვაქვს მოცემული), თუმცა, ამ წინაპირობის დაშვების შემთხვევაშიც, ნამდვილი სახელშეკრულებო საფუძვლის არსებობა საკმარისი წინაპირობაა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებიდან შესაძლოდ წარმომდგარი მოთხოვნების უარსაყოფად.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების განმარტებებში ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ქირავნობის ურთიერთობის ან დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში რემონტის ანაზღაურების შესაძლო მართებულობასთან დაკავშირებით, მოცემული არ არის. შესაბამისად, საერთო სასამართლოების მსჯელობა უპირველეს ყოვლისა არ არის დოგმატურად გამართული და დასაბუთებული. ზედა ინსტანციის ორივე სასამართლო საკუთარ მსჯელობას აგებს მხოლოდ სკ-ის 163-164-ე და 987-ე მუხლებს შორის კონკურენციის საკითხთან დაკავშირებით, რაც გაუმართლებელია პირველ რიგში, უპირატესად შესამოწმებელი მოთხოვნების არსებობის გამო. ცხადია, ცალკე მსჯელობის და შეფასების საკითხია ზემოთ ხსენებული კონკურენციის შემთხვევა.

სკ-ის 163-164-ე მუხლები აწესრიგებენ უფლებამოსილსა და მფლობელს შორის ურთიერთობას.<sup>7</sup> შესაბამისად, აღნიშნული ნორმების ამოქმედების უმთავრესი წინაპირობაა ის, რომ მფლობელი იყოს არაუფლებამოსილი. გარდა დოგმატურად გამართული დასაბუთების არარსებობისა, აშკარა შეცდომაა დაშვებული, როდესაც სასამართლო ამბობს, რომ არსებობს ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულება, ხოლო მოსარჩელის მფლობელობის მდგომარეობას აფასებს 163-164-ე მუხლების მიხედვით ანუ იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც არაუფლებამოსილი მფლობელის მიმართ გამოიყენება. საკასაციო სასამართლომ დაადგინა გამომრიცხავი კონკურენციის არსებობა ზემოთ დასახელებულ ნორმებს შორის სკ-ის 163-164-ე მუხლების სასარგებლოდ. აღნიშნულ ნორმებს შორის კონკურენციის საკითხი, ქართული იურიდიული დოქტრინით ნამდვილად

ამგვარად არის გადაწყვეტილი, თუმცა ცხადია, რომ ეს კონკურენცია წარმოიშვება მფლობელის არაუფლებამოსილების შემთხვევაში (იმისგან დამოუკიდებლად მფლობელი კეთილსინდისიერი იყო თუ არაკეთილსინდისიერი), რაც წინამდებარე დავაში მოცემული არ არის და, შესაბამისად, დასახელებული გამომრიცხავი კონკურენცია არ წარმოიშვა. გამომრიცხავ კონკურენციაზე სასამართლოს არ უნდა ემსჯელა ასევე იმ მიზეზით, რომ დავის განხილვის მომენტი-სთვის, მოსარჩელე საერთოდ მფლობელიც აღარ იყო, რადგან ქირავნობის მოშლის შედეგად (ქირავნობა შეწყდა სასამართლოში სარჩელის შეტანამდე), მოპასუხემ ქონება დაიბრუნა.

ცალკე შეფასების საკითხია ის არგუმენტაცია, რომლის საფუძველზეც საკასაციო სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა უფლებამოსილსა და მფლობელს შორის ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმებს სკ-ის 987-ე მუხლთან მიმართებით. ამ საკითხთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, სასამართლოს სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან აღნიშნული კონკურენციის გადაწყვეტისას მოიშველია, იურიდიული დოქტრინით გათვალისწინებული მოსაზრებები, რაც თავისი სტილით გადაწყვეტილების დასაბუთების გერმანულ მოდელს შეესაბამება.<sup>8</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ქართულ დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრება სკ-ის 163-164-ე მუხლების უპირობო უპირატესობის თაობაზე უსაფუძვლოდ გამდიდრების მოთხოვნებთან მიმართებით, სამართლიანად არის გაკრიტიკებული.<sup>9</sup> შესაბამისად, სკ-ის 163-164-ე მუხლების გამოყენების უპირატესობა სკ-ის 987-ე მუხლთან მიმართებით უნდა დასაბუთდეს არა ე.წ. აპრიორული გადაწყვეტის გზით, რომ თითქმის სკ-ის 163-164-ე მუხლები ყოველთვის გამოირიცხავენ უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმომდგარ მოთხოვნებს, არამედ იმისდა მიხედვით, საუბარია ძირითად თუ დამატებით მოთხოვნებზე, ასევე იმისდა მიხედვით, კონდიქციის რომელ შემთხვევას განვიხილავთ. რაც შეეხება სკ-ის 987-ე მუხლს, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია კონდიქციის ერთ-ერთი კონკრეტული სახე — დანახარჯების კონდიქცია. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება გერმანულ მიდგომას, ე.წ. „ამომწურავობის თეზა“ გამოიყენება დანახარჯების კონდიქციასთან კონკურენციის შემთხვევაზეც.<sup>10</sup> შესაბამისად, იმ დასაბუთების მიხედვით უნდა გამოირიცხოს 987-ე მუხლის გამოყენება სკ-ის 163-164 მუხლების გვერდით, რომელიც მოცემულია ზემოთ ხსენებულ სამეცნიერო წყაროში და არა სასამართლოს მიერ აღიარებული ზო-

<sup>7</sup> იხ., შენიშვნა 5, 29.

<sup>8</sup> ტ. ქიუზი, შედარებითი სამართლის მნიშვნელობა საქართველოსთვის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, N 2, 2019, 6.  
<sup>9</sup> გ. რუსიაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი I: შესრულების კონდიქცია, თბილისი, 2017, 106-109.  
<sup>10</sup> იხ., შენიშვნა 5, 41.

გადი დაუსაბუთებელი მსჯელობით.<sup>11</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ კონკრეტული დავის ფარგლებში გამოირიცხა სკ-ის 163-164-ე მუხლების მოქმედების სფერო, ასევე რადგანაც გამოირიცხა კონკურენციის არსებობაც ზემოთ ხსენებულ ნორმებს შორის, რემონტის ანაზღაურების მოთხოვნის ერთადერთ სამართლებრივ გზად რჩება კონდიქციის სამართალი.

დანახარჯების კონდიქცია განეკუთვნება არაშესრულების კონდიქციას (მსგავსად ხელყოფისა და რეგრესის კონდიქციებისა). სკ-ის 987 I მუხლის მიხედვით, პირს შეუძლია მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მან ისინი შეგნებულად ან შეცდომით გასწია მეორე პირის ქონებაზე, ხოლო ეს უკანასკნელი ამით გამდიდრდა. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ნორმის ფორმულირებაში საუბარია „ხარჯების გაწევამდე“ და „დანახარჯების ანაზღაურებაზე“,<sup>12</sup> რაც ერთი შეხედვით ქმნის შთაბეჭდილებას, რომ დანახარჯების კონდიქციის საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება პირის მიერ ფაქტობრივად გაწეული ხარჯები. აღნიშნული შთაბეჭდილება მცდარია, რადგანაც ზემოთ ხსენებულ ნორმაში ასევე მითითებულია მეორე პირის გამდიდრების ფაქტის დადგომის აუცილებლობაზე, ხოლო იმავე მუხლის მეორე ნაწილი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, თუ რომელი მომენტით უნდა განისაზღვროს გამდიდრების არსებობა. შესაბამისად, თუ დანახარჯების კონდიქციით უნდა ანაზღაურდეს ხარჯების ოდენობა, მაშინ გაუგებარია შემდეგი დათქმების მნიშვნელობა: „თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა“ და „გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტით ...“. გარდა აღნიშნული ფორმულირებებისა, ნორმა უნდა განიხილოს უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის მიზნიდან გამომდინარე — პირმა უნდა აანაზღაუროს ის, რითიც გამდიდრდა. შესაბამისად, ორივე განმარტებამ (როგორც სიტყვასიტყვით, ისე ტელეოლოგიურმა), უნდა მიაღწიონ საერთო შედეგს: უსაფუძვლოდ გამდიდრებულმა პირმა აანაზღაუროს ხარჯები, ოღონდ გამდიდრების ღირებულების ფარგლებში.<sup>13</sup> ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რომელი კრიტერიუმის მიხედვით ხდება გამდიდრების ოდენობის ანაზღაურება — ქონების გაზრდილი ღირებულების (ობიექტური კრიტერიუმი) თუ მესაკუთრის პერსპექტივიდან გასათვალისწინებელი ქონებრივი დაგეგმვის (სუბიექ-

ტური კრიტერიუმი) მიხედვით.<sup>14</sup> სიტყვები „თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა“ გულისხმობს ქონების ობიექტური ღირებულების ზრდას. მიუხედავად ამისა, სკ-ის 987-ე მუხლი მანაც იცნობს „თავსმოხვეული გამდიდრების“ პრინციპს, თუმცა გარკვეულწილად გამკაცრებული სახით (სკ-ის 987 III მუხლი „გ“ პუნქტი). გამკაცრება ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მესაკუთრისთვის გამდიდრების ოდენობა არასასურველი უნდა იყოს არა ზოგადად, არამედ მან მისი არასასურველობა ხარჯების გაწევამდე უნდა შეატყობინოს შესაბამის პირს (აღნიშნულს ადასტურებს სიტყვები „სადავო გახადა ხარჯები მათ განხორციელებამდე“). წინამდებარე საქმეში, მოსარჩელე დავის განხილვის მომენტისთვის აღარ იყო ქირავნობის საგნის მფლობელი, რადგანაც ეს ურთიერთობა სასამართლოში სარჩელის შეტანამდე შეწყდა. სკ-ის 987 I მუხლი მოიხსენიებს ტერმინს — „პირს“ და არა „მფლობელს.“ გარდა ამისა, აღნიშნული კონდიქცია უკან იხევს სხვა უფრო სპეციალური მოწესრიგების — დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების, ასევე უფლებამოსილსა და მფლობელს შორის ურთიერთობის წინაშე. ეს კონდიქცია გამოიყენება მაშინ როდესაც ხარჯების გამწევი იმავდროულად არ არის ნივთის მფლობელი.<sup>15</sup> აქედან გამომდინარე, სკ-ის 987 I მუხლის გათვალისწინებულ „პირის“ ცნებას მოსარჩელე დავის მომენტისთვის შეესაბამებოდა. ხარჯები გაწეულ იქნა შეგნებულად, რადგანაც მოსარჩელემ ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე იცოდა, რომ რემონტის ჩატარების უფლებამოსილება გააჩნდა. ნორმა არ ახდენს გაწეული ხარჯების დიფერენცირებას რაიმე ნიშნით (აუცილებელი და სასარგებლო ხარჯების კუთხით). შესაბამისად ის მოიპოვებს ყველა ამ ტიპის ხარჯს. წინამდებარე დავაში გაწეული რემონტის ხარჯი შეიძლება მივიჩნიოთ სასარგებლო ხარჯად. მოპასუხის გამდიდრება ცალსახად სახეზეა, რადგანაც ექსპერტიზით დადასტურდა (რაც სადავო არ გამხდარა), რომ ქონების ღირებულება გაიზარდა 9 555 ლარით. გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს დანახარჯების კონდიქციის გამოირიცხავი არც ერთი გარემოება, რაც ამომწურავად არის მოცემული სკ-ის 987 III მუხლი, მათ შორის ვერ ვიმსჯელებთ თავსმოხვეულ გამდიდრებაზე, რადგანაც რემონტის ჩატარება მხარეთა შორის იყო შეთანხმებული და არც ხარჯების გაწევამდე მათი განხორციელება მესაკუთრეს სადავოდ არ გაუხდია.

მოცემული მსჯელობის საპირისპიროდ, სააპელაციო სამართლო გვთავაზობს ერთგვარ წესს, რომლის საფუძველზეც ასაბუთებს, რომ მოპასუხე არ გამდიდრებულა მოსარჩელის მიერ ხარჯების გაწევის გზით. კერძოდ, სააპელაციო სამართლოს განმარტებით: ნივთის გაუმჯობესების ღირებულებას უნდა გამოკლებოდა ის საფასური, რომელიც მოსარჩელეს ქონებით სარგებლობისათვის უნდა გადაეხა-

<sup>11</sup> მაგალითად, შესრულების კონდიქციის უპირატესობის თაობაზე ვინდიკაციასთან მიმართებით იხ., *ძ. მიჭია*, კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2018, 238.

<sup>12</sup> ასევე მუხლის სათაური უთითებს „ხარჯების გაწევამდე“.

<sup>13</sup> ამ კრიტერიუმით დანახარჯების კონდიქცია ემიჯნება დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნამდვილი და მართებული შესრულების ფარგლებში გაწეულ აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნას, რადგანაც ეს უკანასკნელი (სკ-ის 973-ე მუხლი, ისევე როგორც მთლიანად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების თავი) არანაირ მითითებას არ აკეთებს გამდიდრების ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებაზე.

<sup>14</sup> *პ. შნიტგერი*, *ლ. შატერაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის კომენტარი, 4, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), [16.10.2019].

<sup>15</sup> იხ., შენიშვნა 6, 98.

და. ამ წესის შესაბამისად, სასამართლომ გაუმჯობესების ღირებულებას — 9 555 ლარს გამოაკლო ქირავნობის შეწყვეტამდე გადასახდელი ქირის თანხა, რამაც ყოველთვიურად 650, ხოლო ჯამურად (ქირავნობის შეწყვეტამდე პერიოდი მოიცავდა 6 თვეს) 3 900 დოლარი შეადგინა. შესაბამისად, აღმოჩნდა, რომ ქონების სარგებლობისთვის გადასახდელი თანხა აღემატებოდა კიდევ ამავე ქონების გაუმჯობესების ღირებულებას და ამდენად სასამართლომ გამდიდრებულად აღარ ჩათვალა მოპასუხე. ეს პოზიცია გაიზიარა საკასაციო სასამართლომაც. გაუგებარია თუ რომელ წესზეა საუბარი, როდესაც გამდიდრების ოდენობის დასადგენად ასეთ წესს ქართული უსაფუძვლო გამდიდრების სამართალი საერთოდ არ იცნობს. აღნიშნული შემთხვევა თავისი შინაარსით არის ე.წ. გაქვითვა, თუმცა ის პირდაპირ ეწინააღმდეგება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის სამართლებრივ მნიშვნელობას და მოწესრიგებას (სკ-ის 442-447-ე მუხლები). კერძოდ, იმ გარემოებას, რომ გაქვითვის დროს აუცილებელი და სავალდებულო წინაპირობაა, შესაბამისი მოთხოვნის უფლების მფლობელმა თვითონ გამოხატოს ნება ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით ვალდებულებათა შეწყვეტის თაობაზე, რადგანაც გაქვითვა არის ცალმხრივი გარიგება, რომელსაც დებს მხარე და არა სასამართლო.<sup>16</sup> იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ყველა წინაპირობა, შეიძლება მხარე თვითონ არ იყოს დაინტერესებული კონკრეტული, მის მიმართ არსებული ვალდებულების გაქვითვის გზით შეწყვეტაზე. შესაბამისად, სასამართლოს არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია, ჩაერიოს მხარის თავისუფალ ნებაში იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი გზით უნდა შეწყდეს მის მიმართ არსებული ვალდებულება და ამით დაარღვიოს როგორც კერძო ავტონომიის პრინციპი, ასევე სამოქალაქო საპროცესო — დისპოზიციურობის პრინციპიც.

მიუხედავად იმისა, რომ რემონტის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი სკ-ის 987-ე მუხლია, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს საკასაციო სასამართლოს მსჯელობა ქირავნობის ურთიერთობაში გამოსაყენებელ სპეციალური ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით. კერძოდ, მხარეთა შორის არსებობდა ქირავნობის ურთიერთობა, თუმცა კონკრეტულად მოსარჩელის მიერ ჩატარებული რემონტის ხარჯის ანაზღაურების საკითხი მოწესრიგებული არ იყო არც ხელშეკრულებით და არც ქირავნობის ურთიერთობის მომწესრიგებელი შესაბამისი საკანონმდებლო დანაწესებით. მიუხედავად ამისა, სკ-ის 573-ე მუხლის მოქმედება ვერ იქნება გამორიცხული, რომლის შინაარსის მიხედვით, დამქირავებელს უფლება აქვს, წაუყენოს პრეტენზია დამქირავებელს გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, ექვსი თვის განმავლობაში ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. აღნიშნული მუ-

ხლის სასამართლოების მიერ არაერთგვაროვანი განმარტებების თაობაზე<sup>17</sup>, აღსანიშნავია, რომ არსებობს ნაწილი გადაწყვეტილებებისა, რომლის მიხედვით, სკ-ის 573-ე მუხლი ადგენს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, რომელიც ანაცვლებს სკ-ის 129-ე მუხლით დადგენილ სახელშეკრულებო ზოგად ვადებს. საპირისპირო მოსაზრების მიხედვით, სკ-ის 573-ე მუხლში ნახსენები ექვსთვიანი ვადა არა ხანდაზმულობის, არამედ მხოლოდ მეორე მხარისთვის პრეტენზიის წარდგენის ვადაა. საბოლოო ჯამში, ორივე შემთხვევა, როგორც სასარჩელო ხანდაზმულობა, ასევე პრეტენზიის წარდგენის ვადის დაუცველობა, განეკუთვნება სასარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს და განსხვავებას მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივი დატვირთვა აქვს — სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე უნდა მიუთითოს მოპასუხემ, ხოლო ის ფაქტი რომ მოსარჩელემ ქირავნობის შეწყვეტიდან ექვსთვიანი ვადაში წარუდგინა დამქირავებელს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა, მოსარჩელის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა. შესაბამისად, კანონით დადგენილ ექვსთვიანი ვადაში პრეტენზიის წარდგენის ვალდებულება ნებისმიერ შემთხვევაში შესასრულებელია შესაბამისი მხარის მიერ. მიუხედავად ამისა, გერმანულ სამართალში მოიქცნება სკ-ის 573-ე მუხლის ანალოგი გსკ-ის 548-ე პარაგრაფი, რომელიც ცალსახად ხანდაზმულობის ვადებზე მიუთითებს და სადაც საერთოდ არ არის მოხსენიებული პრეტენზიის წაყენების ვადების თაობაზე. აქედან გამომდინარე, სკ-ის 573-ე მუხლი უნდა განიმარტოს, როგორც ხანდაზმულობის ვადის დამდგენი სპეციალური ნორმა.

გარდა აღნიშნულისა, სკ-ის 573 | მუხლში საუბარია „გაწეულ ხარჯებზე“, რაშიც მოიაზრება როგორც აუცილებელი, ასევე „სხვა ხარჯები“ სკ-ის 545 II მუხლის გაგებით.<sup>18</sup>

ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა და არგუმენტაციის საფუძველზე დავადგინეთ, რომ „სხვა ხარჯები“ წინამდებარე დავაში უნდა ანაზღაურებულიყო დანახარჯების კონდიქციის საფუძველით. თუმცა, მეორე მხრივ, „სხვა ხარჯები“ ასევე ის ხარჯებია, რომლის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართაც გამოიყენება სკ-ის 573-ე მუხლით დადგენილი სპეციალური ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა, ხოლო დანახარჯების კონდიქციის მიმართ გამოიყენება სკ-ის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ზოგადი 10 წლიანი ვადა.<sup>19</sup> შესაბამისად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ შეკითხვას — წინამდებარე დავაში სარემონტო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ, გამოიყენებულ უნდა იქნეს ხანდაზმულობის ზოგადი 10 წლიანი ვადა (რადგანაც მოთხოვნის სა-

<sup>16</sup> გ. სვანაძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის კომენტარი, 8, www.gccc.ge, [14.10.2019].

<sup>17</sup> სასამართლოს არაერთგვაროვან პრაქტიკასთან დაკავშირებით იხ., საქმე N ახ-648-616-2013; საქმე N ახ-169-163-2011; საქმე N 1227-1487-09; საქმე N ახ-542-775-08; საქმე N ახ-635-916-05.

<sup>18</sup> გ. ჭეჭელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 573-ე მუხლის კომენტარი, 2, www.gccc.ge, [14.10.2019].

<sup>19</sup> ნ. კვანტალიანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017, 728.



მართლებრივი საფუძველი სკ-ის 987 მუხლია) თუ სპეციალური ხანდაზმულობის, სკ-ის 573-ე მუხლით დადგენილი ექვსთვიანი ვადა (რადგანაც იმავდროულად ვსაუბრობთ სკ-ის 545-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ „სხვა ხარჯების“ ანაზღაურებაზე).

გერმანულ სამართალში აღიარებული პოზიციის მიხედვით, ქირავნობის ურთიერთობაში განსაზღვრული ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა (გსკ-ის 548-ე პარაგრაფი) არის სპეციალური დანაწესი, რომელიც გამორიცხავს ნებისმიერი სხვა მოთხოვნის განხორციელებისას გამოსაყენებელ ხანდაზმულობის ვადას (მაგ: დელიქტური მოთხოვნების ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, გსკ-ის 280-ე პარაგრაფიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ზოგადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადას, რომელიც სკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის ანალოგია, ასევე საკუთრების შესახებ ნორმებიდან წარმომდგარი მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადებს). წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ სპეციალურ რეგულირებას აზრი დაეკარგებოდა.<sup>20</sup> საკითხის იგივე გადაწყვეტა არის გამოარებული დანახარჯების კონდიქციიდან წარმომდგარი მოთხოვნების მიმართ.<sup>21</sup> კერძოდ, ერთ-ერთ საქმეზე გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ მოსარჩელის მიერ კოსმეტიკურ რემონტზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება მოპასუხეს დააკისრა უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე, იმ დასაბუთებით, რომ მოსარჩელის მიერ ქირავნობის საგანზე რემონტი ჩატარებული იყო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (ხელშეკრულებაში კოსმეტიკური რემონტის ჩატარებასთან დაკავშირებული შესაბამისი დათქმის არანამდვილობის გამო).<sup>22</sup> აქედან გამომდინარე, აღნიშნული შემთხვევა არაფრით არ განსხვავდებოდა დანახარჯების კონდიქციისგან და საკითხი უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიხედვით გადაწყდა. მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, სადავო იყო საკითხი მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით — კერძოდ, უნდა გამოყენებულიყო გსკ-ის 548-ე მუხლით განსაზღვრული სპეციალური ხანდაზმულობის ექვსთვიანი ვადა (რომლის ქართული ანალოგია სკ-ის 573-ე მუხლი) თუ ზოგადი ხანდაზმულობის ვადები. სასამართლოს განმარტების მიხედვით, იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც გაწეულია სამართლებრივი საფუძვლის გარეშე (და იმავდროულად არ არის გამორიცხული „თავსმოხვეული გამდიდრების“ პრინციპის მოქმედების გამო), ექვემდებარება შემცირებული ხანდაზმულობის ექვსთვიან პერიოდს. აღნიშნულ გადაწყვეტას საფუძვლად დაედო გსკ-ის 548-ე მუხლის სპეციალური ფორმულირება. აღნიშნული პოზიცია

გასაზიარებელია ქართულ სამართალშიც.

წინამდებარე დავაში, საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ დამქირავებელს, მის მიერ აღძრულ სარჩელში, პრეტენზიის წარდგენის თაობაზე არ მიუთითებია და არც აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია. შესაბამისად, აღნიშნულ გარემოებაზე მითითებით, სასამართლო სკ-ის 573-ე მუხლს განმარტავს, როგორც პრეტენზიის წარდგენისთვის განსაზღვრულ და არა სპეციალური ხანდაზმულობის დამდგენ ნორმას, რაც ეწინააღმდეგება ამ მუხლის პირველწყაროს შინაარსს — გერმანულ ანალოგს. შესაბამისად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მოთხოვნის ხანდაზმულობის დადგენის ზოგადი პრინციპით:

1. 2014 წლის მაისში ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა, ხოლო დამქირავებლის მიერ სასამართლოში სარჩელი შეტანილი იყო 2015 წლის სექტემბერში. შესაბამისად, ექვსთვიანი ვადა სარჩელის შეტანის მომენტისთვის გასული იყო;
2. მოპასუხეა უფლებამოსილი მიუთითოს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე, რაც მას პირველი ინსტანციის სასამართლოში არ გაუკეთებია და არც რაიმე საგამონაკლისო შემთხვევას ხანდაზმულობის ვადის დადგენასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია;
3. მოსამართლე ზოგადად არ არის უფლებამოსილი, დაადგინოს მოთხოვნის ხანდაზმულობა საკუთარი ინიციატივით, მიუხედავად მისი არსებობისა.<sup>23</sup>

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სარემონტო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი უნდა ყოფილიყო სკ-ის 987-ე მუხლი, ხოლო ამ მოთხოვნის დროში განხორციელება უნდა შეფასებულიყო სკ-ის 573-ე მუხლის ფარგლებში. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ არ დაიცვა სკ-ის 573-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის სპეციალური ექვსთვიანი ვადა, თუმცა მოპასუხეს არ მიუთითებია აღნიშნულ გარემოებაზე, ხოლო მოსამართლე ზოგადად არ არის უფლებამოსილი საკუთარი ინიციატივით დაადგინოს მოთხოვნის ხანდაზმულობა, სულ მცირე საკასაციო სასამართლოს მაინც უნდა დაეკისრებინა მოპასუხისთვის გამდიდრების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება 9 555 ლარის ოდენობით. ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გასაზიარებელია იმ შენიშვნით, რომ მოპასუხეს უნდა დაკისრებოდა არა ფაქტობრივად გაწეული ხარჯის — 10 000 ლარის, არამედ ამავე ხარჯის ფარგლებში არსებული გა-

<sup>20</sup> *ი. კროპპოლერი*, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, *თ. დარჯანიისა და მ.ჭეჭელაშვილის* თარგმანი, *თ. დარჯანიის, ე. ჩანანიძის და ლ. თოთლაძის* რედაქტორობით, თბილისი, 2014, 415.

<sup>21</sup> *MüKoBGB/Bieber*-BGB, 7. Aufl. 2016, § 548 Rn. 21.

<sup>22</sup> მსგავსი შემთხვევა მოცემული წინამდებარე დავაშიც, როცა არ არის მოწესრიგებული ქირავნობის ურთიერთობით (ხელშეკრულებით ან კანონით) „სხვა ხარჯების“ ანაზღაურების საკითხი.

<sup>23</sup> ეს გარემოება წინამდებარე დავაში სრულებით გამორიცხული იყო, რადგანაც საკასაციო სასამართლომ სკ-ის 573-ე მუხლი პრეტენზიის წარდგენის დამდგენ ნორმად არასწორად მიიჩნია.



მდიდრების ღირებულება - 9 555 ლარის ოდენობით.

მესამე სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვაა. აღნიშნული მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 546 I მუხლი. აღნიშნულ უფლებას უპირისპირდება სკ-ის 568-ე მუხლი, რომელიც გამჭირავებელს კანონისმიერი გირავნობის უფლებას ანიჭებს. თუმცა წინამდებარე დავის შემთხვევაში, ამ უფლებით გამჭირავებელი ვერ ისარგებლებდა შემდეგი მიზეზების გამო: 1. იმისთვის, რომ გამჭირავებელმა კანონისმიერი გირავნობის უფლებით დაიტოვოს დამჭირავებლის მიერ ქირავნობის ფართში შეტანილი, მიმატებული მოძრავი ნივთები, სავალდებულოა ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულების არსებობა. გამჭირავებელმა კი ცალმხრივი ნების გამოვლენით შეწყვიტა ეს ხელშეკრულება, რის შემდეგაც მოითხოვა დამჭირავებელმა კუთვნილი ნივთების დაბრუნება. 2. სკ-ის 568-ე მუხლი გამოიყენება კონკრეტული ქირავნობის საგნების მიმართ — მიწის ნაკვეთი, სახლი, ბინა. მოცემულ საქმეში კი ქირავნობის ობიექტი კომერციული ფართი იყო.<sup>1</sup> აღნიშნული არგუმენტაციის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მოძრავი ნივთების მოსარჩელისთვის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომელიც უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლომ და ამ ნაწილში მისი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა, შედეგის მხრივ გასამიარებელია.

*გიორგი მელაძე*

**იპოთეკის გავრცელება სესხზე, რომელიც გაიცა იპოთეკით უზრუნველყოფილი სასესხო დავალიანების დასაფარად**

1. უზრუნველყოფილი სასესხო დავალიანების დაკმაყოფილება გამსესხებლისგან გაცემული ახალი სესხით უზრუნველყოფის საშუალების ავტომატურად ახალ გარიგებაზე გადატანას ვერ გამოიწვევს.

2. ხელშეკრულებაში საკრედიტო ლიმიტის აღნიშვნის ავტომატური განმარტება იმგვარად, რომ შესაძლებელია დადგენილი თანხის ფარგლებში სესხის მრავალჯერადად გაცემა ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში, დაუშვებელია.

3. პირველი სესხიდან გამომდინარე დავალიანების დაფარვისთვის განკუთვნილი განმეორებითი სესხის გაცემა ავტომატურად არ იქცევა გენერალური საკრედიტო ხელშეკრულების ნაწილად, მისი მიზნობრიობის მიუხედავად.

სკ-ის 286 III, 311<sup>1</sup>-ე მუხლები

*უმენახის სასამართლოს 2012 წლის 6 მარტის განჩინება №ას-1280-1300-2011*

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

ბანკსა და მოვალეს შორის დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო მოვალისა და მეორე მოპასუხის უძრავი ნივთები, ამასთან, მესამე მოპასუხესთან ბანკმა გააფორმა სოლიდარული ვალდებულების<sup>2</sup> ხელშეკრულება. მოგვიანებით, გაიცა მეორე სესხი, რომლითაც დაიფარა მანამდე არსებული სასესხო დავალიანება, რის შედეგადაც ბანკმა გაათავისუფლა მოვალის ქონება იპოთეკის უფლებისგან. საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები შესრულებული არ ყოფილა. ბანკმა სარჩელი აღძრა მოვალის, იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრისა (მეორე მოპასუხე) და სოლიდარული მოვალის (მესამე მოპასუხე) წინააღმდეგ და მოითხოვა დარჩენილი სასესხო დავალიანების დაფარვა. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკისრა მოვალეს მოთხოვნილი თანხის გადახდა და დაადგინა მეორე მოპასუხის იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია, ხოლო მესამე მოპასუხის მიმართ სარჩელი არ დააკმაყოფილა. მოსარჩელემ და მეორე მოპასუხემ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა მხოლოდ მეორე მოპასუხის საჩივარი და მიუთითა, რომ იპოთეკური ვალდებულება გრძელდებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, ხოლო მეორე სესხის მიზნობრიობა (პირველი დავალიანების გადახდის მიზანი) არ წარმოშობდა იმ დასკვნის საფუძველს, რომ განმეორებით გაცემული სესხი საკრედიტო ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია. შესაბამისად, სააპელაციო პალატის განმარტებით, პირველი სესხიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებამ გააქარწყლა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იპოთეკის უფლებაც. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მიუთითა, რომ სასამართლოს მიერ არ იყო განხილული სესხის რესტრუქტურისა და სამართლებრივი ბუნებისა და მისი სოლიდარული მოვალეებისა თუ მსესხებლების ვალდებულებაზე ზემოქმედების (შემცირება-გაზრდის) საკითხები. მოსარჩელის განმარტებით, მან

<sup>1</sup> 8. *ჭეჭელაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 568-ე მუხლის კომენტარი, 2, [www.gccc.ge](http://www.gccc.ge), [14.10.2019].

<sup>2</sup> განჩინების ფაქტობრივი გარემოებები ბუნდოვნად აღწერს მესამე მოპასუხის სამართლებრივ მდგომარეობას. სავარაუდოა, რომ მესამე მოპასუხე იყო არა თანამსესხებელი (როგორც ამაზე მოსარჩელე მიუთითებს), არამედ სოლიდარული თავდები, რადგან ის შებოჭილი იყო, დადგენილი გრაფიკით დაეფარა სასესხო დავალიანება მხოლოდ მაშინ, თუ მოვალე ვალდებულებას არ შეასრულებდა. იხ. განჩინების აღწერილობითი ნაწილი.

გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული პრობლემური სესხი გადაანაწილა და თავიდან გასცა ახალი პირობებით, ხოლო მხარეთა შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულების მიხედვით, იპოთეკა სრულად უბრუნველყოფდა იპოთეკარი ბანკის მოთხოვნებს იმ მოცულობით, რაც იპოთეკარს ექნებოდა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მომენტში. ამასთან, მოვალისა და მესამე მოპასუხის მიერ განხორციელებული ფულადი შენატანები არსებული ოდენობით ვალდებულების აღიარებად უნდა შეფასებულიყო.

### II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ იპოთეკა იურიდიულ ძალას იძენს საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან (სკ-ის 289 I მუხლი). კანონით იპოთეკის წარმოშობისათვის უფლების სავალდებულო რეგისტრაციის დადგენა (სკ-ის 311<sup>1</sup> მუხლი) მხოლოდ იპოთეკის საგნის – უძრავი ნივთის სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით არ არის განპირობებული. იპოთეკის საჯარო ხასიათი შესაძლებლობას ანიჭებს მესამე პირებს, მოიპოვონ ზუსტი ინფორმაცია უძრავი ნივთის უფლებრივი ტვირთის თაობაზე და შემდეგ, საკუთარი რისკის გათვალისწინებით, გადაწყვიტონ ამ ნივთთან მიმართებით ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერებში უბრუნველყოფილი მოთხოვნის ოდენობის მითითება (რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია, არ ემთხვეოდეს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების ოდენობას), გულისხმობს სწორედ ამ მოცულობის ფარგლებში სანივთო უფლების გამოყენებასა და მოთხოვნის აღსასრულებლად მიქცევას. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება, რომ საკრედიტო ლიმიტის დადგენაში იგულისხმებოდა ლიმიტით განსაზღვრული თანხის გაცემა მრავალჯერ, შეუზღუდავად, ხელშეკრულების მთელი მოქმედების პერიოდში. სასაკაციო პალატამ უდავოდ შეაფასა გარემოება, რომ ლიმიტის ამგვარ განმარტებას მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ მოიცავდა.

სკ-ის 286 III მუხლის თანახმად, მოთხოვნა, რომელიც უბრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით, რისთვისაც საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის (იპოთეკარის) შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარეთა შორის მოთხოვნის უბრუნველყოფის საშუალების გამოყენება ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობისათვის დასატვირთი (დატვირთული) ქონების მესაკუთრის ნებას საჭიროებს, რაც განსახილველ სადავო ურთიერთობაში არ ფიქსირდება – იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრეს არ გამოუხატავს ნება, მისი უძრავი ნივთი ყოფილიყო ხელმეორედ დატვირთული, ამჯერად მეორე სესხის უბრუნველსაყოფად.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის შეფასებისათვის არ ჰქონდა მნიშვნელობა, რა მიზანს ემსახურებოდა მეორე სესხის ხელშეკრულება, არამედ სადავო იყო მოთხოვნის უბრუნველყოფის საშუალების – იპოთეკის ფარგლები და ძველი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნის შესასრულებლად აღებულ ახალ მოთხოვნაზე მისი გავრცელების დასაშვებობა, ხოლო ის გარემოება, რომ ამ ვალდებულების შესრულება ახალი საკრედიტო ხელშეკრულების ხარჯზე განხორციელდა, მოთხოვნის უბრუნველყოფის საშუალების ავტომატურად ახალ გარიგებაზე გადატანას ვერ გამოიწვევდა. საკასაციო პალატის დასაბუთებით, სახელშეკრულებო პირობა იპოთეკარის მოთხოვნების (მათი განხორციელების მომენტში) იპოთეკით სრულად უბრუნველყოფასთან დაკავშირებით არ შეიძლება განიმარტოს დამოუკიდებლად იმ პირობებისგან, რომლებიც მოთხოვნის უბრუნველყოფის მოცულობას კონკრეტული ლიმიტით განსაზღვრავენ.

ნინო ქავშიბაია

### იძულებით დადებული გარიგების ბათილობა და უკუქცევა

1. გარიგების დადების მიზნით პირის იძულება ქმნის როგორც სკ-ის 85-86-ე, ისე 54-ე მუხლის შემადგენლობას, რადგან იძულების განხორციელებით ირღვევა საჯარო წესრიგი.

2. იძულებით დადებული გარიგების უკუქცევისას უნდა მიეთითოს სკ-ის 978-ე და 979-ე მუხლებზე.

სკ-ის 54, 85-86 I, 978, 979 I მუხლები

უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 21 ივნისის განჩინება № ას-688-654-2015

### I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მოსარჩელე დადგენილებით ბრალდებულად იქნა ცნობილი და მის მიმართ აღმკვეთ ღონისძიებად დადგინდა გირაო 100 000 ლარის ოდენობით. მოგვიანებით, მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრს და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მიატოვა. მიტოვებულ ქონებაზე მესაკუთრედ დარეგისტრირდა სახელმწიფო. მოსარჩელესა და პროკურორს შორის გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, გაუქმდა გირაო და ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ.

მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სადავო ქონებაზე საკუთრების მიტოვების ბათილად ცნობისა და ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენის მოთხოვნით. მოპასუხემ მიუთითა, რომ მოთხოვნა ხანდაზმულია. თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც მოპასუხემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე კოლეგიას. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ გამოვლენილი ნება ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვებასთან დაკავშირებით არ ყოფილა ნამდვილი. გადაწყვეტილება გაასაჩივრა მოპასუხემ სააპელაციო წესით, მიუთითა სახელმწიფოს მხრიდან იძულების ფაქტის დაუდასტურებლობასა და მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. სააპელაციო სასამართლომ განხიხებით, საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოსარჩელის მიერ საკუთრების მიტოვება მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებაა (სკ-ის 54-ე მუხლი), რადგან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის ეტაპზე სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების დადება, რომელიც დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას არ ემსახურება, მაღალი ალბათობით ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგს არ წარმოადგენს - სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება გარიგების დადების მაპროვოცირებელი გარემოება შეიძლება იყოს. სააპელაციო სასამართლომ განხიხება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ იმ საფუძველზე, რომ სასამართლომ არასწორად იხელმძღვანელა სკ-ის 54-ე მუხლით.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საკასაციო პალატამ საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია, რადგან, მისი განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ მიერ საქმე განხილული არ ყოფილა მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით. უმენახეი სასამართლოს მითითებით, პატიმრობის შეფარდების შიში იყო ფსიქოლოგიური ფაქტორი, რომელმაც მოსარჩელე აიძულა, მიეღო ქონების მიტოვების გადაწყვეტილება, რასაც ადასტურებს ისიც, რომ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა და გამოყენებული აღმკვეთი ღონისძიება გაუქმდა. შეცილება ჩათვალა მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრა საქალაქო სასამართლოში.

უმენახეი სასამართლომ განმარტებით, გარიგების მიზნით პირის იძულება საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედებაა, რითაც ირღვევა სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები. სასამართლომ დაასკვნა, რომ ფაქტობრივ გარემოებებში აღწერილი შემთხვევა ქმნის სკ-ის 54-ე და 85-86-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობებს, თუმცა გამოყენებული უნდა იყოს მათგან უფრო სპეციალური - სკ-ის 85-86-ე მუხლები. გარიგების

შეცილების განხორციელების სამართლებრივი შედეგი იმ სამართლებრივი შედეგის გაუქმებას ნიშნავს, რაც ამ გარიგებას მოჰყვა. საკასაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელის საკუთრების უფლება აღდგენა უნდა დაეფუძნოს სკ-ის 978-ე და 979-ე მუხლებს.

## III. კომენტარი

მიუხედავად იმისა, რომ სამივე ინსტანციის სასამართლო მართებულად მიიჩნევს სარჩელის აღძვრას გარიგების შეცილება, არასწორად უნდა ჩათვალოს იძულებით დადებული გარიგების ავტომატურად მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალურ გარიგებად შეფასება სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით. თუკი გარიგება მიიჩნევა მართლსაწინააღმდეგოდ ან/და ამორალურად, ის უცილოდ ბათილია და ზედმეტია მსჯელობა შეცილების განხორციელებაზე. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვის ნების გამოვლენაზე მოქმედება მართლსაწინააღმდეგო ხასიათისაა, იძულების შედეგად დადებული გარიგება იმთავითვე უცილოდ ბათილი არაა სკ-ის 54-ე მუხლის გაგებით. მოცემულ საქმეში უმენახეი სასამართლომ, რომელმაც ხაზი გაუსვა სკ-ის 54-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, ისიც უნდა დაესაბუთებინა, ფაქტობრივი შემადგენლობის რომელი ელემენტი ხდიდა დადებულ გარიგებას კანონის, საჯარო წესრიგის ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოს. მსჯელობა არ უნდა იყოს გაგებული ისე, თითქოს შეუძლებელია, იძულებით დადებული გარიგება იყოს ამავდროულად ამორალური ან/და მართლსაწინააღმდეგო. თუმცა დასაბუთება უნდა განმარტავდეს, იძულების შემადგენლობის გარდა (დამოუკიდებლად) რა შეიძლება იყოს მიჩნეული ამორალურად, კანონის დანაწესების/აკრძალვებისა თუ საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ (მაგალითად, თუკი სასამართლო დაადგენდა, რომ სახელმწიფო თანამდებობის პირმა შესთავაზა იძულებულს საპროცესო შეთანხმება სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების მიტოვების სანაცვლოდ, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლი)).

დაუსაბუთებელია სასამართლოს მითითებაც სკ-ის 978-ე მუხლზე სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების აღდგენის მიზნებისთვის. საკუთრების უფლების მიტოვება სანივთო გარიგებაა, რომლის შეცილება შესაძლებელია საერთო დანაწესების მიხედვით (სკ-ის 85-89 მუხლები), რის გამოც სამართლებრივი შედეგების უკუქცევა (ქონების გადაღინება იმ პირის ფონდებისკენ, რომელსაც მართლწესრიგი მიაკუთვნებს სამართლებრივ სიკეთეს) უნდა დაეფუძნოს შესრულების კონდიციის ზოგად შემადგენლობას - სკ-ის 976-ე მუხლს. ის, რომ სკ-ის 978-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს იძულების შემადგენლობაზე, არ გულისხმობს ნორმის გამართულობასა და მისი უაპელაციოდ გამოყენების მართებულობას.

*ნინო ქავშიბაია*

### კონდიციური მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების მიზნებისათვის

თუკი იძულებით დადებული გარიგების უკუქცევას ვალდებული პირია სახელმწიფო, სათანადო მოპასუხეა ის უწყება, რომელიც იყო იძულებით დადებული გარიგების მხარე. საკითხის გადაწყვეტას არ ცვლის ის, რომ ფინანსთა სამინისტროა უფლებამოსილი სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში.

სკ-ის 54,85-86, 976, 978, 979 მუხლები  
სსკ-ის 85-ე მუხლი

უმენაესი სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის განჩინება № ას-761-729-2016

#### I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კაბეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსმა და მისმა მოადგილემ ზეწოლა განახორციელეს მოსარჩელის (შპს-ს) დირექტორსა და დამფუძნებელზე, რის შედეგადაც მოსარჩელის საკუთრებაში არსებული გამზადენი უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს, კერძოდ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. აღნიშნული ქონება სამინისტრომ გაასხვისა. უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნების მოთხოვნით წარდგენილი წერილის პასუხად საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვის ეროვნულმა სააგენტომ მოსარჩელეს აცნობა, რომ გამზადენი გასხვისებული იყო, შესაბამისად, სამინისტრო მოკლებული იყო შესაძლებლობას მიედო გადაწყვეტილება გამზადენის დაბრუნებაზე. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა ქონების იძულებით გადაცემის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელის განცხადებით, განხორციელებული უკანონო ქმედებების შედეგად მას მიადგა 758 267 ლარის ზიანი, რაც დასტურდებოდა აუდიტორული დასკვნით. შესაბამისად, არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარდგენილ შესაგებელში განმარტა, რომ იგი მოცემულ საქმეში წარმოადგენდა სსკ-ის 85-ე მუხლით განსაზღვრულ არასათანადო მოპასუხეს და მსგავსი კატეგორიის საქმეებზე არ შეიძლებოდა გაიგივებულიყო სახელმწიფოსთან, ვინაიდან სკ-ის 1005-ე მუხლის ჩანაწერი ავტომატურად არ ადგენდა მიყენებული ზიანის გამო მის პასუხისმგებლობას. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს სასარჩელო მოთხოვნის ხანდამშულობის სამწლიანი ვადა, რომლის ათვლა უნდა დაწყებულიყო იმ მომენტიდან, როდესაც გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება და დაზარალებულმა შეიტყო ზიანის შესახებ. თბილისის საქა-

ლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – ბათილად იქნა ცნობილი სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების კახეთის სამხარეო სამმართველოსა და მოსარჩელეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 671 355 ლარის გადახდა. მოსარჩელეს უარი ეთქვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის ზიანის ანაზღაურების მიზნით თანხის დაკისრებაზე. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება გაასაჩივრა ორივე მხარემ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დადგინდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელის მიერ გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ასახავდა ნების გამომვლენის ნამდვილ ნებას, რამაც მიუთითებდა ის გარემოება, რომ გარიგება დაიდო საჯარო მოხელის სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების შედეგად. ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით მოსარჩელის იძულების ფაქტი კი, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გულისხმობს ამავედროულად მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასაც, რადგანაც ამ დროს ირღვევა საჯარო წესრიგი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა სადავო ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილობა და აღნიშნული ბათილი გარიგების საფუძველზე მოსარჩელის საკუთრებიდან უძრავი ნივთის გასვლა უდავოდ მეტყველებს, რომ მას, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან გამომდინარე, უნდა წარმოშობოდა ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, თუმცა, რამდენადაც მითითებული ნივთის დაბრუნება შეუძლებელია (განკარგულია მესამე პირთა სასარგებლოდ), სკ-ის 979 II მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, უფლებამოსილია მოითხოვოს ნივთის საერთო ღირებულების ანაზღაურება. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრეტენზია, რომ ზიანის ანაზღაურება მასთან ერთად უნდა დაკისრებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სასარჩელო მოთხოვნის (გარიგების ბათილობის) მიზნებისთვის არ წარმოადგენდა გარიგების მხარეს (სკ 54-ე მუხლი) და არც მეორადი მოთხოვნის ნაწილში (ღირებულების ანაზღაურების მიზნებისთვის) მიიჩნეოდა ანაზღაურებაზე ვალდებულ პირად (სკ 976-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ. მოპასუხის განცხადებით, მოცემულ დავაში იგი არის არასათანადო მოპასუხე, ვინაიდან სარჩელი თანხის დაკისრების ნაწილში მიმართულია არა მის მიმართ, არამედ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ. გასაჩივრებული განჩინებით სასა-

მართლომ მოსარჩელის თანხმობის გარეშე დაადგინა სათანადო მოპასუხე, რითაც დაირღვა სკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნები. პირველი კასატორის მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა ხანდაზმულია სკ-ის 1008-ე მუხლის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ამდენად, მოსარჩელისათვის მოთხოვნის ვადის დენა დაიწყო 2010 წლის 3 მაისს, სარჩელით კი მან სასამართლოს მიმართა 2014 წლის 26 მარტს, ე.ი. სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. მოსარჩელემ საჩივარში აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის სახელმწიფოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხებში უფლებამოსილი ორგანო, რომელიც განკარგავს საბიუჯეტო სახსრებს, ამიტომ მილსადენის ღირებულების გადახდა მათ სოლიდარულად უნდა დაკისრებოდეთ.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უზენაესმა სასამართლომ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია. მოცემულ დავაში დადგინდა ჩუქების ხელშეკრულების იძულების შედეგად დადებისა და მოსარჩელის დაზარალებულად ცნობის ფაქტი, შესაბამისად, აუცილებელი იყო ზიანის ანაზღაურებაზე მავალდებულებელი პირის განსაზღვრა. საკასაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო მოპასუხე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საკასაციო საჩივარი და სრულად გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს დასკვნები მოცემულ დავაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არასათანადო მოპასუხედ მიჩნევის თაობაზე. კერძოდ, საკასაციო პალატა დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს განმარტებას, რომ სადავო საკითხი, თუ რომელი სამინისტროთი უნდა ყოფილიყო სახელმწიფო წარმოდგენილი, უნდა გადაწყვეტილიყო სკ-ის 54-ე და 976-ე მუხლების სამართლებრივი შინაარსის გათვალისწინებით. ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში არ დგინდებოდა თავდაპირველი მოპასუხის (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლების) მონაწილეობა სადავო გარიგების დადებისას, იგი არ წარმოადგენდა გარიგების მხარეს. შესაბამისად, სარჩელის ორივე მოთხოვნის (როგორც გარიგების ბათილობა, ისე ზიანის ანაზღაურება) მიმართ სათანადო მოპასუხე იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებულ სადავო საკითხზე საკასაციო პალატამ მიუთითა უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაზე, სადაც საკასაციო პალატამ განმარტა, რომ უცილოდ ბათილი გარიგების (საქმის გარემოებების მიხედვით, განხორციელდა იძულების შემადგენლობა ჩუქების ხელშეკრულების დადების მიზნით) მიმართ სამწლიანის ნაცვლად ხანდაზმულობის საერთო - ათწლიანი

ვადა უნდა გამოყენებულიყო. სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ სკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად გარიგების ბათილად ცნობისა და უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე უკუმოთხოვნის მიმართ მოქმედებს ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა. უზენაესი სასამართლოს მითითებით, განსახილველი საკითხის გადაწყვეტის მიზნებისთვის გამოსაყენებელია სკ-ის 54, 976, 979-ე მუხლები, რაზედაც არსებობს მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკა.

## III. კომენტარი

მთავარი პრობლემა, განჩინების ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, სასარჩელო მოთხოვნის სწორი გააზრებაა. არასწორი იქნებოდა მსჯელობა, რომელიც მოსარჩელეს დაავალდებულებდა მიუთითოს დარღვეული უფლების აღდგენის სწორი ან ყველაზე გამართული სამართლებრივი გზა, თუმცა იმის გარკვევა, რომელს მიანიჭა მხარემ უპირატესობა - სასამართლოს ვალდებულებაა. მოსარჩელე ითხოვდა იძულებით გარიგების ბათილობასა და მიყენებული ზიანის (რომლის მოცულობის განსაზღვრისთვის აუდიტორული დასკვნა ჰქონდა წარმოდგენილი) ანაზღაურებას. თუკი მოსარჩელე ითხოვდა იძულებით გასხვისებული საკუთრების გამო მიყენებული ქონებრივი დანაკლისის შევსებას, სამივე სასამართლოს ინსტანციის მიერ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება გამართლებელია - მართალია, სასამართლო უფლებამოსილია მიაკუთვნოს მხარეს იმაზე ნაკლები, ვიდრე იყო მოთხოვნილი (ქონებრივი დანაკლისის მოთხოვნა შესაძლოა, გაუტოლდეს ან აღემატებოდეს წანაცვლებული ქონების საერთო ღირებულებას), მაგრამ ეს არ გულისხმობს მოსარჩელისთვის მოთხოვნილზე ნაკლების მიკუთვნების უფლებას სამართალშეფარდების არასწორი პროცესის გამო. განმარტება იმისა, რომ მხარეს ნამდვილად სურდა მხოლოდ დათმობილი ქონების საერთო ღირებულებისა და არა ზიანის ანაზღაურება, სასამართლოს მსჯელობაში მოცემული არ ყოფილა. ამასთან, ზიანის ანაზღაურების ცნების გამოყენება კონდიქციურ ვალდებულებებთან მიმართებაში არასწორია, რასაც სასამართლო არ ითვალისწინებს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა იძულებით დადებული გარიგების ბათილობისთვის გამოსაყენებელ ნორმად სკ-ის 54-ე მუხლს მიიჩნევს, რითაც, მისივე თქმით, დადგენილ სასამართლო პრაქტიკას იზიარებს. გარიგების მართლსაწინააღმდეგოდ ან ამორალურად მიჩნევისთვის იძულების შემადგენლობის საკმარის ელემენტად განხილვა გამართლებელია, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სკ-ის 81-86-ე მუხლების არსებობა აზრს დაკარგავდა. როდესაც სასამართლო იძულებით დადებულ გარიგებას სკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით (უცილოდ) ბათილად მიიჩნევს, ისიც უნდა განმარტოს, რომელი გარემოება (იძულების

შემადგენლობისგან დამოუკიდებლად) ხდის გარიგებას კანონის დანაწესის/აკრძალვის, საჯარო წესრიგის ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოს.

ნინო ქავშაია

**არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი წუნდებული პროდუქტის მიწოდებისას**

**დამდგარ ზიანში ბრალის არარსებობისა და საპირისპირო გარემოების დამტკიცების ტვირთი მასზედ, რომ ზიანი გამოწვეული იყო არა მიწოდებული პროდუქტის უხარისხობით, არამედ - სხვა გარემოებით, ეკისრება ზიანის მიმყენებელს.**

სკ-ის 408, 409, 992, 1009, 1011-ე მუხლები

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება №2ბ/3167-13*

**I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

ნინო ქავშაია

მოსარჩელის ელექტროქსელში მომხდარი ავარიის შედეგად მწყობრიდან გამოვიდა ელექტროქსელი, მრიცხველი და ელექტროტექნიკური მოწყობილობები. მოსარჩელე ელექტროენერგით მარაგდებოდა მოპასუხის მიერ. მოსარჩელემ აღძრა სარჩელი მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება ინტერნეტ-მოდემის, ელექტროტექნიკური მოწყობილობებისა და მრიცხველის საბალანსო ღირებულების ოდენობით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ ელექტროქსელში მომხდარი ავარია გამოწვეული არ არის მისი ბრალეული ქმედებით. საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და განმარტა, რომ ამ მოცემულობაში იმის დადასტურება, რომ მოსარჩელის კუთვნილი ელექტროტექნიკა დაზიანდა არა მოპასუხის მიერ მიწოდებული ელექტროენერგის უხარისხობით, არამედ მიწოდებული ძაბვის უკუსვლით მოძრაობის მიზეზით, რაც გამოწვეული იყო მეტეოროლოგიური ზემოქმედებით (მეხის ჩამოვარდნა), წარმოადგენდა მოპასუხის მტკიცების ტვირთს. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ იმ არგუმენტაციით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა მოპასუხის მიერ უხარისხო ელექტროენერგის მიწოდების ფაქტი. სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გარდა ამისა, სასამართლომ არასწორად განსაზღვრა ზიანის ოდენობა: მიყენებული ზიანი შეიძლება განისაზღვროს დაზიანებული ტექნიკის აღდგენაზე დახარჯული თანხების პროპორციულად და არა - მათი ღირებულების მიხედვით.

**II. სასამართლო მსჯელობის შეჯამება**

სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებითა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოსარჩელე არაა ვალდებული, ამტკიცოს მიწოდებლის ბრალეულობა პროდუქტის უხარისხობაში, როცა უკვე დადასტურებულია უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანის შესახებ გარემოება. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა: დამდგარ ზიანში ბრალის არარსებობის მტკიცების ტვირთი და საპირისპირო გარემოების დამტკიცების ტვირთი მასზედ, რომ მოსარჩელის კუთვნილი ელექტროტექნიკა დაზიანდა არა მოპასუხის მიერ მიწოდებული ელექტროენერგის უხარისხობით, არამედ მეტეოროლოგიური ზემოქმედებით (მეხის ჩამოვარდნა), ცალსახად ეკისრებოდა მოპასუხეს, რომელმაც ვერ უზრუნველყო დამდგარ ზიანში მისი მხრიდან ბრალეულობის არარსებობის დადასტურება. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ზიანის პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებისგან განსხვავებული (შემცირებული) ოდენობა, რამაც მას საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საშუალება მისცა.

**მწარმოებლის პასუხისმგებლობა წუნდებული პროდუქტისთვის**

1. მწარმოებელს პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს ტექნიკური აღჭურვილობის სიძვირე ან/და იშვიათობა, რომლითაც შესაძლებელი იყო წარმოებული პროდუქტის წუნის გამოვლენა პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანის მომენტისთვის.
2. ისეთი პროდუქციის რეალიზაციისას, რომლის ხარისხის სრულყოფილი გამოკვლევა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალისწინებით პრობლემურია, მწარმოებელი ვალდებულია, მოხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით და გააფრთხილოს საგარაუდო თანმდევ შედეგებზე, სკ-ის 318-ე მუხლის მიხედვით.

სკ-ის 318, 413, 1009, 1010, 1011-ე მუხლები

სსკ-ის 105-ე მუხლი

„მომხმარებელთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 6 II მუხლი

*უმენაესი სასამართლოს 2007 წლის 25 ოქტომბრის განჩინება № ას-296-624-07*

## I. ფაქტობრივი გარემოებები

2001 წლის მარტში მოსარჩელეს შეეძინა ვაჟი და მშობი-  
არობის შედეგად დასჭირდა სისხლის გადასხმა. მოსარჩე-  
ლის ნათესავებმა ერთთროციტული მასა და კრიოპლაზმა,  
რომელიც მოსარჩელეს გადაეხსა, შეიძინეს მოპასუხისგან.  
ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნო-  
ლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გამოკვლევით  
მოგვიანებით დადგინდა, რომ მოსარჩელე და მისი ვაჟი და-  
ინფიცირდნენ „აივ“ ვირუსით. მოსარჩელეს განუმარტეს,  
რომ ქუთაისის სისხლის ბანკისგან (ამ დაწესებულებაში ჩა-  
აბარა სისხლი მოსარჩელის დონორმაც) მიღებული სი-  
სხლით რამდენიმე პირი დაავადდა შიდსით. მოსარჩელემ  
სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა მა-  
ტერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 200 000  
ლარის ოდენობით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთი-  
თა, რომ სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრისგან მიღებულ  
წერილს, რომელშიც სისხლის ბანკისგან მიღებული სი-  
სხლით მოსარჩელის დაინფიცირების ვარაუდი იყო გამო-  
თქმული, მტკიცებულების ძალა არ გააჩნია. პირველი  
ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი  
დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მოპასუხეს დაეკისრა 20  
000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ორივე  
მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასა-  
ჩივრა სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ არ  
დააკმაყოფილა საჩივრები, მიუთითა რა ფაქტობრივ გარე-  
მოებებზე: მოსარჩელის დონორის სისხლი 1998 წლიდან  
2001 წლის ჩათვლით გადაეხსა 10 ადამიანს, საიდანაც 4 გა-  
რდაიცვალა; 5 ადამიანს მისი სისხლი გადაეხსა 2000 წლის  
29 დეკემბრიდან 2001 წლის 20 მარტამდე (იმ პერიოდში,  
როდესაც სისხლი გადაეხსა მოსარჩელესაც) და თითოეული  
მათგანი დაინფიცირდა „აივ“ ვირუსით. ამასთან, მოსარჩე-  
ლის მეუღლესა და უფროს ვაჟს ვირუსი არ აღმოაჩნდათ.  
სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპასუხის მოსაზრება,  
რომ მოსარჩელის დაინფიცირება შეეძლო რაიმე სხვას გა-  
მოეწვია, რადგან ამის დამადასტურებელი მტკიცებულება  
მხარეს არ წარმოუდგენია. სააპელაციო სასამართლოს მო-  
საზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსა-  
ზღვრული მორალური ზიანის ოდენობა იყო მართლზომიერ-  
ი. განხილვა საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ მისი  
გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის  
მოთხოვნით. მოპასუხის დასაბუთებით, სააპელაციო სასა-  
მართლო დაეყრდნო მხოლოდ ვარაუდს იმასთან დაკავში-  
რებით, რომ მოსარჩელის დონორისგან მიღებული სი-  
სხლით დაინფიცირდა 5 ადამიანი. მოპასუხის განმარტებით,  
ის უნდა გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისგან, ვი-  
ნაიდან მისი ბრალეულობა კანონით დადგენილი წესით არ  
დადასტურებულა. საკასაციო საჩივრის ავტორმა მიუთითა  
იმუნოლოგიის ცენტრის წერილზე, რომლის მიხედვით, სი-  
სხლში „აივ“ ინფექციის აღმოჩენის 100%-იანი მეთოდი  
მსოფლიოში არ არსებობს.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უმენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩი-  
ვარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. საკასაციო პალატის  
განმარტებით, პროდუქტი, რომელიც იყო შეძენილი მოპა-  
სუხისგან, ვერ პასუხობდა სკ-ით გათვალისწინებულ მო-  
თხოვნებს, იყო უხარისხო და, საბოლოო ჯამში, გამოიწვია  
მოსარჩელის ინფიცირება, რაც მას აძლევდა იმის საშუალე-  
ბას, მოეთხოვა მორალური ზიანის ანაზღაურებაც. საკასა-  
ციო პალატამ განმარტა, რომ სკ-ის 1010-ე მუხლი პროდუ-  
ქტის უხარისხობის კრიტერიუმად მიიჩნევს მის საიმედო-  
ბას, თუმცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილისათვის და, გა-  
ნსაკუთრებით არამეწარმე მომხმარებლისათვის, რთულია  
და ზოგ შემთხვევაში – შეუძლებელი განსაზღვროს, თუ რა-  
მდენად საიმედოა ესა თუ ის პროდუქტი. ხელშეკრულების  
მხარეს, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ამა თუ იმ  
პროდუქციას, მართებს გულისხმიერი დამოკიდებულება ნი-  
ვთის საიმედოობასთან მიმართებაში. ეს ვალდებულება  
ძლიერდება, თუ პირი ისეთ პროდუქციას აწვდის მომხმარე-  
ბელს, რომელიც გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული.  
ამასთან, სახელშეკრულებო ურთიერთობაში ნივთის ხარი-  
სხზე შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს უხარისხო  
პროდუქტის მწარმოებლის პასუხისმგებლობას. უმენაესი სა-  
სამართლოს მითითებით, მოპასუხეს აქვს ნდობა კონტრა-  
ჰენტის ტექნიკური აღჭურვილობის სათანადოობისადმი, რო-  
დესაც ეს უკანასკნელი სპეციალური ნებართვის საფუძვე-  
ლზე სპეციფიკური პროდუქტის – სისხლის რეალიზაციით  
არის დაკავებული. გასაჩივრებული განხილვით დადგენი-  
ლია ფაქტობრივი გარემოება, რომ დონორის სისხლის ში-  
დსის ვირუსით დაინფიცირების უზუსტესი მეთოდით დადგე-  
ნა შესაძლებელია სათანადო აპარატურითა და ტექნოლო-  
გიით, რომელიც ძვირადღირებულია და ქვეყნის მასშტაბით  
ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ იმუნოლოგიის სამედიცი-  
ნო-პრაქტიკულ ცენტრს გააჩნია. მწარმოებელი, რომელიც  
აცხადებს პრეტენზიას ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება-რე-  
ალიზაციის კომპეტენციაზე, ვალდებულია საწარმოს სათა-  
ნადო ტექნიკით აღჭურვავს, ხოლო ტექნიკის სიძვირე და  
იმვიათობა მწარმოებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავ  
გარემოებად ვერ იქნება მიჩნეული. ამასთან, საკასაციო პა-  
ლატის განმარტებით, იმ მოცემულობაში, როდესაც მოპასუ-  
ხე მომხმარებელს აწვდის ისეთი პროდუქტს, რომელიც პი-  
რდაპირ მოქმედებს აბსოლუტურ უფლებებზე – სიცოცხლესა  
და ჯანმრთელობაზე და რომლის სრულყოფილი გამოკვლე-  
ვა მეცნიერებისა და ტექნიკის არსებული დონის გათვალის-  
წინებით გარკვეულ პრობლემებთანაა დაკავშირებული,  
ვალდებულია, მომხმარებელს მისცეს ინფორმაცია აღნი-  
შნულის თაობაზე, სკ-ის 318-ე მუხლის დანაწესის მიხე-  
დვით. იმავე ვალდებულებაზე მიუთითებს „მომხმარებელთა  
დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 6 II მუხლიც, რო-  
მლის მიხედვითაც, დამამზადებელმა მომხმარებელს უნდა  
მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია  
პროდუქციის შესახებ, რაც მას მისცემს სწორი არჩევნის



შესაძლებლობას. ამასთან, უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სასამართლომ თავისი დასკვნა დააფუძნა საქმეში წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც მხოლოდ ფაქტის (მოსარჩელის დონორის სისხლით 5 პირის დაინფიცირებასთან დაკავშირებით) არსებობის ვარაუდს გამოთქვამდნენ. საკასაციო პალატამ მიუთითა სსკ-ის 105-ე მუხლზე და განმარტა, რომ წინა ინსტანციის სასამართლომ დასკვნა დააფუძნა არა საქმის მასალებში გამოთქმულ ვარაუდს, არამედ სპეციალისტთა განმარტებების, მოსარჩელის დაინფიცირების კვლევის აქტებისა და სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რამაც სასამართლოს შეაბამინა ფაქტის არსებობის შინაგანი რწმენა ჩამოუყალიბა.

*ნინო ქავჭავაძე*

**ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის მიუთითებლობის/მიუთითების ხარვეზის სამართლებრივი შედეგი**

1. ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გასაჩივრების ვადის განსაზღვრისას შეცდომა კანონიერი ნდობის ფარგლებში მხოლოდ დადებითი განმარტების შემთხვევაში ექცევა.

2. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის გასაჩივრების ვადის მიუთითებლობა არ ქმნის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ანალოგიის გამოყენების საფუძველს.

3. განმარტება “Contra legem” მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში გამოიყენება და ნორმის არაკონსტიტუციურობის კატალიზატორად არ განიხილება. როდესაც ანალოგიის სახელმძღვანელო ნორმა მხოლოდ ერთგვარად იკითხება და ამასთან ერთად სბაკ-ში სამართლებრივი ხარვეზიც აშკარაა, საერთო სასამართლო უწყებრივად არაქვემდებარება განმარტოს ნორმა ნორმისვე საწინააღმდეგოდ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52 II მუხლი

ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 5 1) მუხლი

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება/განჩინება. № ბს-1433-1391(კ-08)*

**I. შესავალი**

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება კონსტიტუციური შინაარსის მატარებელია, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის - სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის - სამართლიანი სასამართლოს უფლებების სახით, რამდენადაც აქტის გასაჩივრება წინარე წარმო-

ებისა ( საჩივარზე წარმოება) და სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით ხორციელდება.

სამართლებრივი უსაფრთხოებიდან გამომდინარე გასაჩივრების ვადები გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული. შესაბამისად, პირისათვის მნიშვნელოვანია ზუსტად იცოდეს, თუ რა დროის განმავლობაში შეუძლია განახორციელოს საკუთარი უფლება გასაჩივრების თაობაზე.

პრაქტიკაში არაა იშვიათი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გასაჩივრების ვადებს ნაკლოვნად ანაც საერთოდ არ უთითებს. შედეგად, თავს იჩენს პრობლემა - რა ვადა უნდა განესაზღვროს პირს გასაჩივრებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ამ თემას თავდაპირველად 2009 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება/განჩინებაში შეეხო, როდესაც არგუმენტაცია დოგმატიკაში განვითარებულ მოსაზრებებს დააფუძნა. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნება თუ ამ გადაწყვეტილებას სამართლის მეთოდების გამოყენებით ისევ დოგმატიკის თვალთ შევხედავთ, რაც თვალნათლივ დაგვანახებს გარკვეულ სამართლებრივ პრობლემებს.

**II. გადაწყვეტილება**

**1. ფაქტობრივი გარემოებები**

2007 წლის 22 იანვარს მოსარჩელემ საგადასახადო ინსპექციისგან მიიღო საგადასახადო შეტყობინება 1998 წელს 159 ლარიანი დავალიანებისა და საურავის - 681 ლარის დარიცხვის თაობაზე. 2007 წლის 28 მარტს მოსარჩელემ თბილისის საქალაქო სასამართლოში ინსპექციის წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა შეტყობინების ბათილად ცნობა.

მოსარჩელე აღნიშნულ შეტყობინებას უკანონოდ მიიჩნევდა იმ საფუძველზე, რომ 1998 წლიდან მოყოლებული საგადასახადო ინსპექციის მისთვის საერთოდ არ უცნობებია საგადასახადის არსებობის თაობაზე და ამასთან, მის მიერ არ განხორციელებულა ეკონომიკური საქმიანობა, რაც გამოიწვევდა სოციალური გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის მიღებას.

საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი, რამდენადაც საგადასახადო ინსპექცია არაუფლებამოსილი იყო გამოეცა საგადასახადო შეტყობინება, რადგან საგადასახადო დავალიანება მოსარჩელის მიერ აღიარებული არ იყო, ასევე ამ უკანასკნელს გამოყენებული არ ჰქონდა პრიუდიციული გასაჩივრება, ვინაიდან მისთვის ამ შინაარსის აქტის ჩაბარება საერთოდ არ მომხდარა.

<sup>1</sup> თემატიკიდან გამომდინარე განხილული იქნება განჩინების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გასაჩივრების ვადებს ეხება.



გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალურმა ცენტრმა. აპელანტის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლოს დაუშვებლობის გამო უნდა შეეწყვიტა საქმის წარმოება, ვინაიდან საგადასახადო კოდექსის მიხედვით, მოქმედებდა 20 დღიანი გასაჩივრების ვადა შემოსავლების სამსახურში. პირის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა, თავის მხრივ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის აღიარებად მიიჩნეოდა, იგი მიიქცეოდა აღსასრულებლად და ვადის დაუცველად შეტანილი საჩივარი განუხილველად უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი და უცვლელად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მოსაზრება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ცენტრმა და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მეწარმეს გაშვებული ჰქონდა კანონმდებლობით დადგენილი ყველა ვადა.

საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2008 წლის 30 სექტემბრის განჩინება.

## 2. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, საგადასახადო კოდექსის 147.2 მუხლი ითვალისწინებდა გასაჩივრების 20 დღიან ვადას, რაც მოცემულ შემთხვევაში დაირღვა კიდევ, თუმცა მასზე მითითება არარელევანტური იყო შემდეგი გარემოების გამო: საგადასახადო შეტყობინებაში პირს განემარტა გასაჩივრების უფლება სზაკ-ის 180-ე მუხლის შესაბამისად, ესე იგი აქტის ოფიციალურად გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში. აღნიშული დაცული იყო მოსარჩელის მხრიდან, ვინაიდან მას საგადასახადო შეტყობინება 2007 წლის 28 თებერვალს ჩაჰბარდა, სარჩელი კი 2008 წლის 28 მარტს აღძრა. საგადასახადო კოდექსის დანაწესთან შედარებით საკასაციო სასამართლომ კანონიერი ნდობის ინსტიტუტს მიანიჭა უპირატესობა, რომელიც პირს ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომისაგან იცავს. მოცემულ შემთხვევაში ეს შეცდომა არსებით შეცდომას წარმოადგენდა და ვადის განსაზღვრის მხრივ შეცდომაში შეჰყავდა პირი. სასამართლოს განმარტებით, ამ გარემოების გათვალისწინებით, პირი აღიჭურვებოდა კანონიერი ნდობით, რაც მას უფლებამოსილებას ანიჭებდა

გაესაჩივრებინა აქტი იმ წესითა და ვადით, როგორც ეს ადმინისტრაციულმა ორგანომ განუმარტა.

საკასაციო სასამართლო ასევე მსჯელობს სზაკ-ის 52-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესს მიემართება. მისი თქმით, სზაკ-ში არაა განსაზღვრული ამ ნორმის დარღვევის სამართლებრივი შედეგი, რაც საკანონმდებლო ხარვეზად უნდა იქნეს მიჩნეული. ამის გამო, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, ადმინისტრაციული სამართლის დოგმატიკის საფუძველზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ანალოგიის გამოყენება, რომელიც გასაჩივრების 1 წლიან ვადას ითვალისწინებს, როდესაც მხარეს არ ეცნობა გასაჩივრების უფლების შესახებ. თუმცა მოცემულ დავაში სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა კანონის ანალოგიის გამოყენება, ვინაიდან მოსარჩელის მხრიდან დაცული იყო საგადასახადო შეტყობინებისათვის განსაზღვრული გასაჩივრების 1 თვიანი ვადა.

## III. კომენტარი

განჩინებაში ხაზგასასმელია ორი ასპექტი: კანონიერი ნდობისა და სასკ-ის 12.2 მუხლი, ანალოგიის გამოყენების ჭრილში.

### 1. მხარის კანონიერი ნდობა

ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობა გერმანული კანონმდებლობის მნიშვნელოვან გავლენას განიცდის, რაც კანონიერი ნდობის პრინციპის ნაწილშიც მნიშვნელოვნად ჩანს. კანონიერი ნდობის პრინციპი კონსტიტუციური რანგის პრინციპია,<sup>2</sup> რომელიც უშუალოდ გამოხატულებას ადმინისტრაციულ სამართალში ჰპოვებს. ქართულ ადმინისტრაციულ სამართალში იგი სზაკ-ის მე-9, მე-60<sup>1</sup> და 61-ე მუხლებშია რეგულირებული და 3 შემთხვევას მოიცავს: 1. როდესაც პირს კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების შედეგად წარმოეშვა 2. უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისას და 3. კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისას.

გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში კანონიერი ნდობის წარმოშობის საფუძველი შეიძლება გახდეს: 1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; 2. დამატებითი პირობები; 3. დროებითი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; 4. ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სხვა დანარჩენი ფორმები: ა) ადმინისტრაციული ხელშეკრულებ-

<sup>2</sup> გერმანიაში კანონიერი ნდობის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითად შემადგენელ ნაწილად განიხილება იხ: BVerfGE 30,392 <403>; 43,242 <286> ნორმატიული ბაზის შედარებით კი ანალოგიურად, იმავეს თქმა შეგვიძლია საქართველოზეც.

ბა; ბ) თანხმობა/დაპირება; გ) ცნობა; დ) ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ფაქტობრივი ფორმები.<sup>3</sup>

მოცემულ საქმეში სასამართლო კანონიერი ნდობის წარმოშობას გასაჩივრების ვადაზე ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით მითითებას უკავშირებს, რაც სიტყვასიტყვითი განმარტებით, ქართული საკანონმდებლო მოწესრიგების არც ერთ სტანდარტულ შემთხვევაში არ ჯდება. დასადგენია, რამდენად მიზანშეწონილი იყო სასამართლოს მხრიდან მსგავსი განმარტება (გადაწყვეტილებაში არ ვხვდებით კონკრეტულ ნორმაზე მითითებას, არამედ ზოგადად, პრინციპზე). ამოსავალი წერტილი კანონიერი ნდობის არსია, რომელიც როგორც უკვე აღინიშნა, პირს ადმინისტრაციული ორგანოს შეცდომისაგან იცავს. ამდენად, მისი კონსტიტუციური და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მნიშვნელობა დამოუკიდებელია იმისგან, თუ კონკრეტულად რომელ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივ მდგომარეობაში (ფორმაში) იმყოფება ადმინისტრაციული ორგანო.<sup>4</sup> მისასაღმებელია, როდესაც სასამართლო ნორმას სიტყვასიტყვით არ განმარტავს და კანონიერი ნდობის ინსტიტუტს მარწუხების ქვეშ არ აქცევს. შედეგად, პირის სასარგებლოდ იყენებს ისეთ პრინციპს, რომელსაც ზურგს კონსტიტუცია უმაგრებს.

აღნიშნულ საქმეში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მითითებული გასაჩივრების ვადა აღემატებოდა საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადას. ესე იგი, ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი შეცდომით პირს ვადა გაუხანგრძლივა. გასათვალისწინებელია შემთხვევა, როდესაც შეცდომის შედეგად პირიქით, ვადა მცირდება. მაშინ არარელევანტური იქნება კანონიერი ნდობის პრინციპზე მითითება და პირს უნდა შეეძლოს იდავოს გასაჩივრების ვადის ხანგრძლივობაზე (საჭიროების შემთხვევაში), რა დროსაც სპეციალური კანონმდებლობის დანაწესი უპირატესი იქნება.

## 2. სასკ-ის მე-12 მუხლის ანალოგია

ვიდრე უშუალოდ ანალოგიის გამოყენებას შევხებოდეთ, პირველ რიგში, დასადგენია გასაჩივრების წესის შე-

სახებ მითითების ადგილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების ნაწილში, კერძოდ, ფორმალური კანონიერების ფაქტობრივი თუ სავალდებულო ნაწილი იგი.

გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში გასაჩივრების წესის შესახებ განმარტება (Rechtsbehelfsbelehrung) არ წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის ფორმალური კანონიერების ნაწილს. იგი გამოხატულია, როგორც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (VwGO) განსაკუთრებული ფორმის მოთხოვნა, რომლის ნაკლოვანებაც ადმინისტრაციული აქტის უკანონო-ბასთან არაა დაკავშირებული.<sup>5</sup> VwGO-ის 58-ე პარაგრაფის მეორე აბზაცის შესაბამისად, გასაჩივრების წესის შესახებ განმარტების გამოჩენის ან შეცდომით განმარტების შემთხვევაში საჩივრის შეტანის 1 თვიანი ვადა 1 წლამდე ხანგრძლივდება.<sup>7</sup> აღსანიშნავია, რომ საქართველოსგან განსხვავებით გერმანიაში ადმინისტრაციული საჩივრის ინსტიტუტი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსითაცაა მოწესრიგებული,<sup>8</sup> ამ საკითხთან მიმართებით გერმანიაში საერთოდ არ დგას ანალოგიის გამოყენების საჭიროება, ვინაიდან საკანონმდებლო რეგულირება სახეზეა.

ქართულ დოგმატიკაში, მართალია, გასაჩივრების წესზე მითითება აქტის ფორმალური კანონიერების კრიტერიუმად განიხილება, თუმცა მისი დარღვევის შემთხვევაში, გერმანიის მსგავსად, გასაჩივრების ვადა 1 წლამდეა გახანგრძლივებული.

როგორც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/ განჩინებაშია ნათქვამი, ანალოგიის გამოყენების საჭიროება საკანონმდებლო ხარვეზმა განაპირობა, ვინაიდან სზაკ-ში დარღვევის სამართლებრივი შედეგი არაა მოცემული.

თუ იმ მსჯელობას განვაავითარებთ, რომ გასაჩივრების წესზე მითითება აქტის ფორმალური კანონიერების კრიტერიუმი, მაშინ წინ წამოიწევეს სზაკ-ის 60<sup>1</sup> მუხლი, რომლის 1-ლი ნაწილის თანახმად, "ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები." ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მატერიალური კანონიერების დარღვევა იმთავითვე აქტის ბათილობას იწვევს, თუმცა ფორმალური კანონიერება, ესე იგი, აქტის მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის და-

<sup>3</sup> იხ: Fuhmanns, Vertrauensschutz im deutschen und österreichischen öffentlichen Recht, eine rechtsvergleichende Untersuchung unter Berücksichtigung des Vertrauensschutzes im Europäischen Gemeinschaftsrecht, Gießen 2004, SS.70-76 <http://geb.uni-giessen.de/geb/volltexte/2005/2209/pdf/FuhrmannsAchim-2005-05-30.pdf> (11.09.2019).

<sup>4</sup> ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის საჯარო სამართლებრივი ფორმის ქვეშ მოიაზრება ყველა ის საქმიანობა, რომელიც ემსახურება ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო სამართლებრივი მიზნების შესრულებას (მაგ. ინდ.აქტი, რეალაქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება). მოცემულ კონტექსტში გამოყენებულია იმ დატვირთვით, რომ კანონიერი ნდობა ნებისმიერ ასეთ ფორმაში შეიძლება წარმოიშვას.

<sup>5</sup> "თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი" - სზაკ 180.1 -ის შესაბამისად.

<sup>6</sup> Ergbuth, Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozess- und Staatshaftungsrecht, 3. Aufl. 2009, §14 Rn.24.

<sup>7</sup> იქვე. იხ, ასევე: Detterbeck, Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht, 17. Aufl. 2018, Rn. 586.

<sup>8</sup> იხ: ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის (VwVfG) 79-ე პარაგრაფი.

<sup>9</sup> იხ: პ. ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, თბილისი 2016, 113-14.

რღვევა, აპრიორი უკანონობაზე არ მიუთითებს, არამედ აუცილებელია, სახეზე გვექნოდეს არსებითი დარღვევა. გასარკვევია, რამდენად ჯდება გასაჩივრების წესის მიუთითებლობა ან ხარვეზი არსებითი დარღვევის ცნებაში. ამაზე პასუხი უარყოფითი უნდა იყოს შემდეგი გარემოების გამო: არსებითი დარღვევა მოასწავებს იმაზე – რომ არა ეს დარღვევა, ადმინისტრაციული ორგანო სავარაუდოდ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა. მაგალითისთვის, თუ დარღვეულია საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პრინციპი,<sup>10</sup> ასეთ დროს სასამართლო სასკ-ის 32-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად ცნობს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი.

ვხედავთ, რომ სზაკ-ით ნამდვილად არაა განსაზღვრული დარღვევის სამართლებრივი შედეგი და უმენაესი სასამართლოს არგუმენტაცია ამის თაობაზე სწორია. თუმცა გვაძლევს კი მხოლოდ ხარვეზის არსებობა ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობას?! საკითხს სხვადასხვა პასუხი მოეძებნება გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით. მართალია, ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ გერმანიაში საკანონმდებლო ხარვეზი არ იყო სახეზე და საპროცესო კანონმდებლობა პირდაპირ მიემართებოდა განსახილველ შემთხვევას, თუმცა კვლევის მიზნებისთვის დავუშვათ ხარვეზის ჰიპოთეტურად არსებობა.

გერმანიაში ანალოგიის გამოყენებისათვის საჭიროა ორი კრიტერიუმის: დაუგეგმავი რეგულირების ხარვეზისა<sup>11</sup> და მსგავსი სიტუაციის არსებობა.<sup>12</sup> თუ ამას ჩვენს შემთხვევას მოვარგებთ, საკანონმდებლო ხარვეზის არსებობა უკვე დადგენილია. რაც შეეხება დაუგეგმავ ხარვეზს, სავარაუდოდ, ეს კომპონენტაც სახეზე უნდა იყოს. დაუგეგმავი ხარვეზის დროს, კანონმდებელს გამორჩენილი უნდა ჰქონდეს ამ შეთხვევის მოწესრიგება და შესაბამისად გამოირიცხოს მისი განზრახ დიად დატოვება.<sup>13</sup> როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობა გერმანიის მნიშვნელოვან გავლენას განიცდის. სავარაუდოდ, ქართველმა კანონმდებელმა VwGO-დან ნორმა (58-ე პარაგრაფის მეორე აბზაცი) დაუფიქრებლად გადმოიღო და ის არ გაითვალისწინა, რომ ადმინისტრაციული სა-

ჩივარი მხოლოდ სზაკითაა რეგულირებული და სასკ-ის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი მას პირდაპირ ვერ შეესატყვისებოდა. რაც შეეხება მსგავს სიტუაციას, ვინაიდან სასამართლო აქტიც და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტიც გასაჩივრების წესის მითითების ხარვეზს განიცდის, ეს კომპონენტაც სახეზეა. ამდენად, თუ მხედველობაში მივიღებთ ანალოგიის გამოყენების გერმანულ რეგულირებას, სასკ-ის მე-12 მუხლის ანალოგიის გამოყენება სწორი იქნება.

რაც შეეხება ქართულ მოწესრიგებას, ანალოგიის გამოყენებას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს. უმენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება 2009 წლის 17 მარტით თარიღდება, რა დროსაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 1996 წლის რედაქცია მოქმედებდა. ამიტომ განხილული იქნება, როგორც თავდაპირველი ისე, ახლანდელი საკანონმდებლო რეგულირება, ვინაიდან უმენაესი სასამართლო მე-12 მუხლის ანალოგიას შემდგომი წლების გადაწყვეტილებებშიც იყენებს.<sup>14</sup>

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 1996 წლის რედაქცია ანალოგიის გამოყენებას 27-ე მუხლში ითვალისწინებდა, რომლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია)“. დასახელებული ნორმა საერთოდ არ ითვალისწინებდა ანალოგიის გამოყენებას საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში, რაც ქმნიდა იმის შთაბეჭდილებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალში, რომელიც საჯარო სამართლის ნაწილს წარმოადგენს, ანალოგიის გამოყენება იკრძალება. ამ ხარვეზის აღმოფხვრას თითქოსდა შეეცადა 2009 წელს მიღებული იმავე სახელწოდების აწ უკვე ორგანული კანონი. მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მეორე წინადადებაში ჩაიწერა, რომ „საჯაროსამართლებრივ ურთიერთობებში კანონის ანალოგია გამოიყენება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.“ შედეგად, აუცილებელი გახდა ორი კუმულაციური წინაპირობის, კანონით პირდაპირი გათვალისწინებული შემთხვევისა და დადგენილი წესის არსებობა.<sup>15</sup> გასაჩივრების წე-

<sup>10</sup> სადისკუსიოა, კონკრეტულად რომელ ნაწილში უნდა განვიხილოთ საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის პრინციპი, ფორმალური თუ მატერიალური კანონიერების ეტაპზე. მართალია იგი ადმინისტრაციული წარმოების ნაწილშია მოთავსებული, თუმცა ვინაიდან მისი მამოძრავებელი პრინციპია, აზრსმოკლებული არ იქნება თუ მატერიალური კანონიერების ეტაპზე მოხდება მისი განხილვა, სამართლის სხვა პრინციპებთან ერთად. შუად: Ergbuth, Allgemeines Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozess- und Staatshaftungsrecht, 3. Auflage, 2009, §14 Rn. 17.

<sup>11</sup> იხ: BVerfGE 82, 6, 13; 116, 69, 83.

<sup>12</sup> იხ: BVerfGE 116, 69, 84.

<sup>13</sup> იხ: BVerfGE 82, 6, 12.

<sup>14</sup> იხ: სუსგ, საქმის ნომრები ბს-732-728(2კ-17)09.11.2017, ბს-226-223(2კ-14) 23.09.2014, ბს-168-162(კს-09) 28.04.2009.

<sup>15</sup> საინტერესოა ანალოგიის გამოყენება სისხლის სამართალში. მატერიალურ ნაწილში გამოთვალისწინებულ მიჩნევა სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე და 38-ე მუხლები, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამოძიების ვეკანონური გარემოებები, რომელთა საფუძველზეც ანალოგია მხოლოდ პირის სასარგებლოდ გამოიყენება. იხ: მ. ტურავა, სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა თბილისი 2013, 34.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მესამე ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება დასაშვებია, თუ ამით არ იზღუდება

სის განმარტების შესახებ ანალოგიის გამოყენების კანონი-სმიერი მითითება არ გვაქვს. ამდენად, თუ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მითითებას გავყვებით, უზენაესმა სასამართლომ ანალოგია არასწორად გამოიყენა.

მიუხედავად სასამართლოს მსჯელობის ხარვეზისა, რა შეიძლება იყოს გამოსავალი? ერთია, რომ გასაჩივრების წესის შესახებ განმარტების დარღვევა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლად ვერ გამოდგება და მეორე, ანალოგიის გამოყენებას ძალიან შეზღუდულია, რაც თავად საჯარო სამართლის სპეციფიკიდანაც შეიძლება აიხსნას, ვინაიდან კერძო სამართალში კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მეტ თავისუფალ სივრცეს ვხვდებით.<sup>16</sup>

იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის მეთოდების გამოყენება საკმაოდ აქტუალურია და შეიძლება ითქვას, რომ იგი სასამართლო ხელისუფლების ძმლავრ იარაღად იქცა. მართალია, უზენაესი სასამართლო ამ განჩინებაში არ ცდილობს, არგუმენტაციულად დაგვანახოს რაიმე გზა, რომლითაც ანალოგიის გაუკვალავ ბილიკებს გაიკვალავდა, თუმცა იქნებ ნორმის განმარტების მეთოდებში ვეძიოთ სწორ პასუხს?!<sup>17</sup>

განმარტება „contra legem“-ის მეშვეობით შესაძლებელს ხდის კანონის სიტყვასიტყვითი ჟღერადობისგან გვერდის ავლასა და მისი შესწორებას იმ შემთხვევაში, როდესაც კანონს აშკარა და უაზრო შედეგებისკენ მივყავართ.<sup>18</sup> მოსამართლეს მგავსი განმარტების ფარგლებში დიდი სიფრთხილე მართებს, რათა ნორმის კონსტიტუციურობის ფარგლებში არ გადაიჭრას.

„Contra legem“ არ ნიშნავს, რომ კანონი არაკონსტიტუციურია, არამედ ძალიან ვიწრო კაზუსტურ შემთხვევაში მისი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი განმარტება მთლიანობაში კანონმდებლის ნებას ვერ გამოხატავს. ამდენად,

იგი არაა მოწოდებული, კანონშემდარდებელი მოსამართლე კანონშემოქმედად აქციოს. ქართული სასამართლოების პრაქტიკაში ვხვდებით „Contra legem“ განმარტების გამოყენების ძალიან საინტერესო შემთხვევას – 2015 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სააქტო ჩანაწერში სუროგატი დედების მიერ სხვადასხვა დღეს გაჩენილი ტყუპების დაბადების თარიღად ერთი კალენდარული დღე დაფიქსირდება.<sup>19</sup>

ჩვენს შემთხვევაში კანონმდებლის ნება ცალსახაა, როდესაც ის საჯარო სამართალში ანალოგიის გამოყენებას მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში აცხადებს ნებადართულად. საკანონმდებლო ხარვეზი ადმინისტრაციულ სამართალში არასდროსაა გამორიცხული და ცხადია, ეს მხოლოდ გასაჩივრების ვადებს არ ეხება. ამდენად, სისტემატიზაციისათვის უმჯობესი იქნება, თუ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი სხვაგვარად ფორმულირდება ან ანალოგიის გამოყენებას სზაკ და სასკ გაითვალისწინებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში პირი ვერ განახორციელებს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციურ უფლებას.

**IV. დასკვნა**

განჩინების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ კანონიერი ნდობის ნაწილში სასამართლოს მსჯელობა სწორია. ამდენად, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გასაჩივრების არასწორი ვადა მიუთითა, აღნიშნულის მიმართ პირს კანონიერი ნდობა წარმოეშობა და აქტის გასაჩივრება სწორედ მითითებული დროის განმავლობაში შეეძლება (გამონაკლისია შემცირებული ვადის მითითება).

რაც შეეხება გასაჩივრების წესის შესახებ მიუთითებლობას, სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის ანალოგიაზე მითითება, რომელიც უკვე მის შემდგომ გადაწყვეტილებებშიცაა

საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.  
<sup>16</sup> კერძო ავტონომია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ვიწრო ჭრილში, როგორც ცალკეულ სუბიექტზე მიდევანებადი უფლება, რასაც საკანონმდებლო მოცემულობაც ამყარებს. მართალია, უშუალოდ კერძო სამართლის სუბიექტები მოქმედებენ კერძო ავტონომიის ფარგლებში, თუმცა სასამართლო, როგორც შუალედური რგოლი ისევ მათსავე ურთიერთობის დასარეგულირებლად იყენებს ანალოგიას. ამდენად, ანალოგიის გამოყენების საფუძველს სწორედ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის ფარგლები (ავტონომია) ქმნის.  
 თუმცა სპეციალური (საგამონაკლისო) ნორმების ანალოგიით გამოყენების აკრძალვას აქაც ვხვდებით. იხ: „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მესამე პუნქტი.  
<sup>17</sup> ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ანალოგიის გამოყენება და ნორმის განმარტება. მოცემულ შემთხვევაში ხდება არა ამ ორი ცნების აღრევა, არამედ იმ ნორმის განმარტება, რომელიც ანალოგიის გამოყენებას მიემართება.  
<sup>18</sup> რ. ციპელიუსი, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, ლ. თოთლაძის თარგმანი, რედ. მ. ტურავა, 2009, 100.

<sup>19</sup> გ. ხუბუა, contra legem საქართველოს სახელით? <https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/> (07.09.2019)

ასახული, არასწორი უნდა იყოს და „პანაცეად“ ვერ გამოდგება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი. უმჯობესი იქნებოდა თუ უმენაესი სასამართლო კონსტიტუციური წარდგინებით მიმართავდა საკონსტიტუციო სასამართლოს. აქედან გამომდინარე კი შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ მიზნის მიღწევის არასწორი საშუალება გამოიყენა.

პრობლემა სისტემური ხასიათისაა და მხოლოდ გასაჩივრების წესის მიუთითებლობის სამართლებრივი შედეგის ხარვეზს არ მიემართება, რამდენადაც საჯარო სამართალში და კონკრეტულად ადმინისტრაციულ სამართალში ანალოგიის გამოყენების აუცილებლობა ნებისმიერ დროს შეიძლება შეიქმნას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული ამის მოწესრიგებას უშუალოდ დარგის კანონმდებლობას ანდობს, რომელსაც, როგორც ვხედავთ, სზაკ და სასკ ღიად ტოვებენ. სწორედ ამიტომ აქტუალურია საკანონმდებლო ცვლილება, რათა პირმა დაუბრკოლებლად განახორციელოს კონსტიტუციური უფლება.

*თამარ შავგულიძე*

**სხვისი პირადობით სესხის აღება, როგორც თაღლითობის შემადგენლობა**

1.სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის (თაღლითობა) მიზნებისთვის, ყალბი მინდობლობით ან სხვა პირის პირადობის საშუალებით სესხის ხელშეკრულების დადებისა და თანხის მიღების შემთხვევაში დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს ის პირი, რომლის უძრავი ქონება დაიტვირთა იპოთეკით ამ სესხის უზრუნველყოფისთვის.

2.მთავარი პირადობის მოწმობით ქონებრივი უპირატესობის მიღება არ ქმნის სსკ-ის 208-ე მუხლის შემადგენლობას.

**(ავტორის სახელმძღვანელო წინადადებები)**

სისხლის სამართლის კოდექსის 180 II ა) III ბ), 208, 362-ე მუხლები

*უმენაესი სასამართლოს 2017 წლის 20 ივნისის განაჩენი № 112აპ-17*

**I. ფაქტობრივი გარემოებები**

2015 წლის 24 ოქტომბერს პირველმა ბრალდებულმა და მეორე ბრალდებულმა პირველი ბრალდებულის ძმის პირადობის მოწმობის გამოყენებით (რომელსაც მანამდე პირველი ბრალდებული ფარულად დაეუფლა) მიმართეს ნოტარი-

უსს და გააფორმეს იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება, რომლითაც დატვირთეს პირველი ბრალდებულის ძმის უძრავი ქონება, და მიიღეს თანხა გამსესხებლისგან. სესხის ხელშეკრულება დაიდო მეორე ბრალდებულსა და გამსესხებელს შორის.

იმავე წლის 27 ოქტომბერს მეორე ბრალდებულმა პირველი ბრალდებულის ძმის სახელით (მისი პირადობის გამოყენებით) გასცა მინდობლობა პირველ ბრალდებულზე, რომელსაც მიეცა მანამდე დატვირთული ქონების განკარგვის უფლება. პირველმა ბრალდებულმა მეორედ დატვირთა ძმის უძრავი ქონება იპოთეკით, გააფორმა სესხის ხელშეკრულება და მიღებული თანხით დაფარა 2015 წლის 24 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, პირველი ბრალდებული დამნაშავედ იყო ცნობილი სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში: სსკ) 180 II ა) III ბ) (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა დიდი ოდენობით) მუხლით მხოლოდ პირველი დანაშაულებრივი ქმედების ეპიზოდისთვის, 362 II ბ) (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) მუხლით დანაშაულებრივი ქმედების ორივე ეპიზოდისთვის და გამართლდა სსკ-ის 180 II ა) III ბ) მუხლით წარდგენილ ბრალდებაში პირველი დანაშაულებრივი ქმედების ეპიზოდისთვის. მეორე ბრალდებული სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 180 II ა) III ბ) (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა დიდი ოდენობით), 362 II ბ) (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) მუხლებით მეორე ეპიზოდისთვის, სსკ-ის 362 I მუხლით პირველი ეპიზოდისთვის და უდანაშაულოდ იყო ცნობილი პირველი ეპიზოდისთვის სსკ-ის 180 II ა) III ბ) (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი თაღლითობა დიდი ოდენობით) მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს პროკურორმა და მეორე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა. პროკურორის განმარტებით, თუკი სასამართლომ მეორე ეპიზოდში დადასტურებულად მიიჩნია მსჯავრდებულთა მიერ თაღლითობის ჩადენა, დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე ქმედებისათვის იმავე ეპიზოდში მათი გამართლების შესახებ მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ იპოთეკარს თანხა დაუბრუნდა. სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ჩადენილია ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი დანაშაული. პროკურორმა ასევე განმარტა, რომ მეორე მსჯავრდებულის მიმართ საქართველოს სსკ-ის 362 II ბ) მუხლით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარდგენილი ბრა-

ლდება ამავე მუხლის I ნაწილზე (პირველი ეპიზოდი) გადაკვალიფიცირდა იმავე დასაბუთებით (პირველი ინსტანციის განმარტებით, მისმა ქმედებამ მნიშვნელოვანი ზიანი არ გამოიწვია, რადგან თანხა დაუბრუნდა იპოთეკარს), რაც, პროკურორის შეფასებით, არასწორი გადაწყვეტაა. მეორე მსჯავრდებულის ადვოკატმა მიუთითა, რომ მისი კლიენტის მიერ განხორციელებული ქმედება შეესაბამება სსკ-ის 208 I მუხლს, ვინაიდან მეორე მსჯავრდებულმა სესხი აიღო ხელმოწერილი ყალბი მინდობილობის საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. ამასთან, სესხის საფუძველზე აღებული თანხის არაპროპორციული განაწილებიდან გამომდინარე, მისი კლიენტი იყო დამხმარე პირველი მსჯავრდებულის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაში, რაც ყალბი მინდობილობის დამზადებაში გამოიხატა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატმა ითხოვა მეორე მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 24, 208 I და 362 I მუხლებით. თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრეს პირველმა მსჯავრდებულმა და მეორე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა იმავე მოთხოვნებით. პროკურორმა გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი და მოითხოვა ორივე მსჯავრდებულის დამნაშავედ ცნობა მათ მიმართ ბრალად წარდგენილ ყველა ეპიზოდში იმავე სამართლებრივი საფუძვლებით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში. მანვე დამატებით მიუთითა, რომ სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაზარალებულად არასწორად მიიჩნია თანხის გამსესხებლები, რადგან დანაშაულის ორივე ეპიზოდის შემთხვევაში ზიანი მიადგა არა მათ, არამედ პირველი მსჯავრდებულის ძმას, რადგან მის საკუთრებაში არსებული ქონება ორჯერ დაიტვირთა იპოთეკით.

**II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება**

უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მეორე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის მოთხოვნა და დასაბუთებულად მიიჩნია პროკურორის საკასაციო საჩივარი. საკასაციო პალატა არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნას და მიუთითა - ის, რომ პირველმა მსჯავრდებულმა სრულად დაუბრუნა თანხა გამსესხებელს, არ გამოორიციხავს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანს დანაშაულებრივი ქმედების პირველ ეპიზოდში, რომელშიც დამთავრებულად უნდა შეფასდეს 2015 წლის 24 სექტემბრიდან, იმ მომენტიდან, როდესაც მსჯავრდებულებმა შეცდომაში შეიყვანეს ნოტარიუსი და პირველი მსჯავრდებულის ძმის სახელით გააფორმეს 2015 წლის 24 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. საკასაციო პალატის განმარტებით, დანაშაულის შემადგენლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, როდის ან საერთოდ დაუბრუნა თუ არა პირველმა მსჯავრდებულმა ნასესხები თანხა გამსესხებელს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებულე-

ბის ქმედებებით დანაშაულის ორივე ეპიზოდში ზიანი მიადგა იმ პირს, ვიცი ქონებაც დაიტვირთა იპოთეკით, რადგან მას წარმოეშვა თანხის დაბრუნების ვალდებულება გამსესხებლების სასარგებლოდ. უზენაესი სასამართლოს მითითებით, მსჯავრდებულების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანზე მეტყველებს პირველი მსჯავრდებულის ჩვენებაც, მისივე განმარტებით, მას ვალების დასაფარად არ ეყო პირველი სესხით მიღებული თანხა და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ იძულებული გახდა, ხელმეორედ აედო სესხი, რისთვისაც აუცილებელი იყო პირველი სესხის სრულად გადაფარვა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მეორე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი ადვოკატის მოსაზრება მეორე მსჯავრდებულის მიერ არა თაღლითობის, არამედ კრედიტის უკანონო მიღებაში დახმარების ჩადენასთან დაკავშირებით და მიუთითა, რომ საქართველოს სსკ-ის 208 I მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სამეურნეო ან ფინანსური მდგომარეობის შესახებ ბანკის ან სხვა კრედიტორისათვის ყალბი ცნობის მიწოდებაში, კრედიტის მიღების მიზნით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორისათვის მიწოდებული ინფორმაცია შეგნებულად არის დამახინჯებული და არ ასახავს მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ობიექტურ სურათს. მოცემულ შემთხვევაში მეორე მსჯავრდებულს იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ყალბი ინფორმაცია კი არ მიუწოდებია, არამედ ოფიციალური დოკუმენტი გააყალბა, სხვის ქონებას დაეუფლა და ქონებრივი უფლება მიიღო მოტყუებით. გარდა ამისა, კრედიტი არის ფულადი საშუალება, რომელსაც გასცემს ბანკი ან სხვა საკრედიტო ორგანიზაცია, რისი ფაქტობრივი შემადგენლობაც საქმის გარემოებებში არ იკვეთება.

*ნინო ქავშიბაია*

**წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ჩადენილი დანაშაული**

**მტკიცებულებად წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერები, სადაც ასახულია ორი პირის ერთად მისვლა მაღაზიასთან და ერთობლივი ძალებით მაღაზიის კარის შემტვრევა, საკმარისია მათი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფად მიჩნევისთვის სსკ-ის 237 III ა) მუხლის მიზნებისთვის. (ავტორის სახელმძღვანელო წინადადება)**

სსკ-ის 237 I, III ა) მუხლები

*უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 ივნისის განაჩენი №2კ-114აპ.-17*

## I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ბრალდებული ცნობილი იყო დამნაშავედ სსკ-ის 237 III ა) მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ) და სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა ბრალდებულის მიერ დაუდგენელ პირთან ერთად ძალადობის გამოყენებით მალაზიის შესასვლელი კარის გაღებითა და სროლისთვის ვარგისი ცეცხლსასროლი იარაღების მართლსაწინააღმდეგო დაუფლებით. პირველი ინსტანციის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა, რომელმაც მოითხოვა მისი კლიენტის გამამართლებელი განაჩენის გამოტანა. სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მსჯავრად შერაცხული ქმედება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 237 I მუხლზე (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით) და სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილემ და მოითხოვა ქმედების კვლავ სსკ-ის 237 III ა) მუხლით კვალიფიკაცია იმაზე მითითებით, რომ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერით უტყუარად დასტურდებოდა მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა მეორე, დაუდგენელ პირთან ერთად წინასწარი შეთანხმებით.

## II. სასამართლოს მსჯელობის შეჯამება

უმენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა საკასაციო საჩივარი და ქმედება გადაკვალიფიცირა სსკ-ის 237 III ა) მუხლზე იმ დასაბუთებით, რომ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი, სადაც ასახული იყო მსჯავრდებულისა და დაუდგენელი პირის მიერ მალაზიის კარის ერთობლივად გატეხვის პროცესი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მათგანი შევიდა მალაზიაში და გამოიტანა ცეცხლსასროლი იარაღები. საკასაციო პალატის მითითებით, ვიდეოჩანაწერში ასახული ორივე პირი ქმედების ობიექტური შემადგენლობის დაწყებამდე მოქმედებს ერთობლივად, წინასწარი შეთანხმებით. უმენაესმა სასამართლომ გაუგებრად მიიჩნია წინასწარი შეთანხმების არარსებობა იმ ვითარებაში, როდესაც ორი ნიღბიანი პირი ერთსა და იმავე დროს, ერთდროულად მივიდა მალაზიაში, ერთი შეეცადა კარის გატეხვას, მეორე კი ამ დროს უყურებდა მას, რამდენჯერმე ერთად დაიმაღლნენ მალაზიის კუთხეში და ისევ უკან დაბრუნდნენ, შემდეგ უკვე ერთობლივად შეეცადნენ კარის გატეხვას და ეს მოახერხეს კიდევაც. საკასაციო პალატამ სრულად გაიზიარა პროკურორის არგუმენტები და განმარტა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით, კერძოდ, მითითებული ვიდეოჩანაწერებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუ-

თრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ (სსკ-ის 237 III ა)).

## III. კომენტარი

უმენაესი სასამართლოს დაშვება, რომ სსკ-ის 237-ე მუხლის (ცეცხლსასროლი იარაღის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება) მიზნებისთვის მალაზიის კარების შემტვრევა უნდა ჩაითვალოს განსახილველი დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობის ნაწილად, ნორმის ასისტემური განმარტებაა. ის, რომ ხსენებული ნამდვილად გამომდინარეობს სასამართლოს მსჯელობიდან, ჩანს იქიდან, რომ დანაშაული ჯგუფურად ჩადენილად ჩაითვალოს იმ მოცემულობაში, როდესაც პირებმა ერთობლივად მხოლოდ მალაზიის კარი ჩამტვრიეს, მაგრამ მალაზიაში მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი შევიდა. სულ მცირე ორი პირის ჯგუფად მიჩნევისთვის აუცილებელია, ორივე მათგანი იყოს ამსრულებელი (სსკ-ის 22-ე მუხლი), ესე იგი, ორივე მათგანი ახორციელებდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რაღაც ნაწილს მაინც<sup>1</sup>. იმის დაშვებით, რომ ვიდეოჩანაწერზე ასახული ორივე პირი დანაშაულის ამსრულებელია, სასამართლომ მალაზიის კარების ჩამტვრევა არაპირდაპირ შეაფასა განსახილველი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილად.

მსჯელობის მიზნებისთვის გამოსადეგია სსკ-ის 177-ე მუხლის (ქურდობა) დამამძიმებელი გარემოებების განხილვა და სსკ-ის 237-ე მუხლთან შეპირისპირება. იმ ფაქტობრივი გარემოებების შემთხვევაში, როდესაც ერთი პირი ეხმარება მეორეს ბინის/სადგომის/საცავის კარის გაღებაში ან შემტვრევაში და შესაბამის სივრცეში შედის მხოლოდ პირველი, ქმედება კვალიფიცირდება წინასწარ შეთანხმებით ან მის გარეშე (გარემოებების გათვალისწინებით) ჯგუფურად ჩადენილ ქურდობად იმის გამო, რომ ბინაში, სადგომსა თუ საცავში პირის უკანონო შეღწევა ქურდობისთვის ობიექტური ნიშნით დამამძიმებელი გარემოებაა, რაც მას ობიექტური შემადგენლობის ნაწილად აქცევს<sup>2</sup>. იმ შემთხვევაში, თუ განხილული არ იქნებოდა მითითებული დამამძიმებელ გარემოებად სსკ-ის 177-ე მუხლში, მას ვერ ჩავთვლიდით ქურდობის ობიექტური შემადგენლობის ნაწილად – ის არაა ქურდობის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტი. ამიტომ, განვითარებული მსჯელობიდან გამომდინარე, პირი, რომელიც მეორეს უღებს კარს საცავში/სადგომში/ბინაში ან, თუნდაც ეხმარება მის შემტვრევაში, სსკ-ის 177-ე მუხლის მიზნებისთვის ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს, ხოლო დანაშაული – ჯგუფურად ჩადენილად.

<sup>1</sup> ამსრულებლისა და თანამონაწილის გამიჯვნის ფორმალურ-ობიექტური თეორიის მიხედვით, იხ. *ნ. თოდუა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა), 2016, გვ. 339.

<sup>2</sup> *ნ. თოდუა*, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (რედ. გ. ნაჭყებია, ნ. თოდუა), 2016, გვ. 343.

საცავში/სადგომში/ბინაში უკანონო შეღწევა ვერ ჩაითვლება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილად სსკ-ის 237-ე მუხლის მიზნებისთვის, რადგან ასეთი დამამძიმებელი გარემოება (ქურდობისგან განსხვავებით) არ აქვს ცეცხლსასროლი იარაღის მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების შემადგენლობას. პირი, რომელიც მეორე მამაკაცს დაეხმარა კარის შემტვრევაში, თუმცა მაღაზიაში არ შესულა ცეცხლსასროლი იარაღების დასაუფლებლად, ფიზიკური დამხმარეა,<sup>3</sup> რომლის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 25, 237 I მუხლებით. აქედან გამომდინარე, უზენაეს სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა ემსჯელა იმაზე, მოცემული ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, საერთოდ უნდა ჩათვლილიყო თუ არა დანაშაული ჯგუფურად ჩადენილად, მით უფრო მაშინ, როცა სამართლებრივი პრობლემის გადაწყვეტა თავის თავში

იურიდიულ ლიტერატურაში სადავო საკითხების მიმოხილვასაც მოითხოვს.

გარდა შინაარსობრივი ხარვეზებისა, განაჩენი სტილისტურად გაუმართავია. ვიდეოჩანაწერის შინაარსი გაუგებრადაა ჩამოყალიბებული და ძალიან გართულებულია იმის შეფასება, როდის ჩაერთო მეორე პირი დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში, რასაც ქმედების კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ნინო ქავშბაია

<sup>3</sup> ფუნქციონალური თეორიით საბუთდება განსხვავებული მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სადგომის/ბინის/საცავის გარეთ მდგომი ადამიანი, რომელიც არ ასრულებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას, თუმცა მაინც ამსრულებლად უნდა ჩაითვალოს, იხ. *მ. ტურავა*, სისხლის სამართლის ზოგადი მიმოხილვა, 2013, გვ. 336.